

პეპსი

N35 (429) 28/VIII-31/IX.2008
ფასი 80 თეთრი

1168
2008

ანება

დათვა

აიწყვიტა

**იმპერიის რღვევის
დასაწყისი?**

**„რუსეთმა განაჩენი საქუთარ
თავს თვითონ გამოუბანა“ ...**



სამი ქვირის
კარგლეთელი
სალომეს
თავბადანსავალი

32 ათასი კილოგრამი ველოსიპედით და
მართულ-სლოვაკური სტუმარბასნიმელოვა




**მარიაშობას ბილოცავთ! ღვთისმშობლის მადლი ჰფარავდეს
სრულიად საქართველოს!**

ISSN 1987-50
0779221507

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან



 **OIKOS**

აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ და აფხაზები



„აფხაზეთის ხელისუფლებას ხალხი რომ ცხვრის ფარად მიაჩნია, ამაში საბოლოოდ დაერწმუნდი. ამის არც ადრე გვეკითხებოდნენ, მაგრამ ახლა, იმას აკეთებენ, რაც უნდათ. თქვენთვის ასე ჯობიაო, გვითხრეს და უნდა დაეიჯეროთ. აბა, გაბელოს ვინმემ და განსხვავებული ამრი გამოთქვას“.

13

„პატივსაცემი“ გასულიყო ჩინური ინტერვიუ




„ამ პატარა ქვეყანაში ყველაფერი – მღვატე, უდაბნოც, მცინეარიც და უღრანი გყვც, რომ ალარაფერი ვთქვით ცხოველთა მრავალფეროვან სამყაროზე, მთების გეოლოგიურ აგებულებასა და კლიმატზე. ჯერ სხვა ქვეყნები უნდა ნახო და მერე საქართველო, ეს ყველაფერი რომ დააფასო“.

24

სიხვალის გარე სისრულეში ვაიმოყვანილი მანარანი

სიხვალის გარე სისრულეში ვაიმოყვანილი მანარანი

სიხვალის გარე სისრულეში ვაიმოყვანილი მანარანი



ომის შედეგები

მსხვერპნილები



თუ ვინმე ვიყავას, თავისუფლებას მიანიჭე — თუ ამ დაშინებულს, იპოვე და მოკალი!



ქვეშის ციხე

35



№35 (429)
28 აპრილი -
3 მაისი 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

86

■ შინაგარეობა

1921-დან 2008-მდე ანუ XXI საუკუნის დათვაბი 5

■ გეოგრაფია

ჩამწარბული თაფლოვის თვა

გედინერი დასასრულით 6

■ რეპორაჟი

ურდოს მიერ გა(და)ვილილ გზაგსა და ბილიკაგზა 8

■ სამსოგლო

აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ და აფხაზები 13

■ პერსპექტივა

✓ „რუსეთი ამერიკულ ხომალდგზა თაქდასხმას ვერ გაგადას“ 15

✓ ყველა — ერთის წინააღმდეგ... 16

■ ბივილი

„თავის გადარჩენა ვუიქრობლით და დახომილებს ყურადღებას ვეღარ ვაქმნავლით“ 18

■ განსაყვლი

სააბიგროდ გადამყვული სკოლები, მოთხი დღე სანგარში და სანგანებლად „გალამაზებული“ გყვეები 19

■ დენილები

მოყვაროთ, ვუაბრონოთ, გააქლებლინოთ ერთმანეთს 22

■ პრევიტი

პირველი მიწისბრი რუბრიკაში და „ბერიკადაგზა“ გასვლამდე ჩანერილი ინგერვიუ 24

— თქვი, რომ მაგყვებს ხომ ვენციელი ხარ და არა — გურვი? — მუროჩის მიუბრუნდა აბიბი.
— ასაკი სიღინჯით ფასდება და არა — ჭადარა წვერით! — მისკენ გაუხებავად ჩაილაპარაკა მუროჩიმ.
— რისი თქმა ვინდა მგვი, უცხოელი? — ჩაებდა აბიბი.
— გრელი ენა გექს მოხუცი! — ცოვად გამოყრა მუროჩიმ აბიბი უკმხად აპირებდა პასუხის გაცემას, მაგრამ ფხოველმა ისე შემოუბღვირა, რომ მაშინვე გადმოიქრა და გვიდოს მიუბრუნდა, რომელიც წყლით იგრილებდა სახეს.



ფილმოჩის საყა ვიანდა ის აპრაი

78

■ მოგზაური

32000 კილომეტრი ველოსიპედით, ომის გამო
შეფარებული მოგზაურობა და ქართულ-სლოვაკური
სტუმარმასპინძლობის კიდევ ერთი ახგაპი 26

■ ანტიდეპრესანები 27

■ თემა

„თურქე ორსულ ქალს შეიქლება შეუყვარდეს“ ... 29

■ ჯანმრთელობა

განიტალური პერანესული ინფექცია 32

■ ქარნალი ქარნაღი

✓ **სსოვრება** 35

✓ **გზანდილები** 51

■ რომანი

სეზაბა კეარასხელია.

მორიქლის ნიხანი (გაბრქალება) 70

■ ბიიგ-აუბი 74

■ სპიითხავი ქალებიისთვის

✓ **რომელ ბიის მიქათხეხებით?** 76

✓ **მიითები და რეალობა ლეგაზი თმის შესახებ** 77

■ ისტორიული რომანი

გოჩა გაველიქა. დიდგორის ხაზა ფრანდა
ის ჯვარი (გაბრქალება) 78

■ პარსქვლავები

✓ **15 მუსიქოსის ერთობლივი სინგლი** 82

✓ **დანიელ რედქლიფს ბიინის იხვიითი
დებებება აღმონანდა** 82

■ რუსული ჩეხეა

„პრადის გზაფხულის“ აღსასრული 84

■ დღესანაული

ყოვლადწინდა დეთისგოგბელი ვებდღესი
ხველა ქვნილ გონიერ არსებებთა შორის 86

■ პროფსიია

ზურგსა და ხეხსლის ხაზს შუა... 89

■ კრიმინალი 91

■ დიიქესტი 93

■ ავტო 95

■ სქანეორღი 96

■ ბესტი 97

■ პროგნოზი 98

გარეიქანეზი: ირგა ლიბარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიქური შურნალი „გზა“
გამოდის კვირაში მრთხელ, ხუთშაბათოვლით
გაზვით „კვირის კალიტრის“ დამატება

შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიქა ქვჯავა
მენეჟერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებბიძის ქ. №49

ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63, email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„თურქე ორსულ ქალს შეიქლება შეუყვარდეს“ ...



სამივე რესპონდენტი ურთიერთობებში გარკვეულ დეფიციტს განიცდიდა და როგორც კი მისი შევსების შესაძლებლობა გაჩნდა, სიყვარულმაც თავი იჩინა. ორსულ ქალს კი დამიჯერეთ, სვებზე უფრო ხშირად შეიძლება შეუყვარდეს.

29

32000 კილომეტრი ველოსიპედით

„მხოლოდ ის ვიცოდი, სად მდებარეობს თქვენი ქვეყანა მსოფლიო რუკაზე. არ ვიცოდი, ქვეყნის შიგნით კონფლიქტური რეგიონები თუ გქონდათ“.



26

თავის გაღარჩენაზე ვუიქრობდი...



„კომპიუტერში ნახა ჩემმა შეიღმა გადამწვარი აზბეთი და ერთ ეზოში ჩვენი ტრაქტორი შენიშნა, ნომრით ამოიცნო, სახლი კი დამწვარი იყო. ასე რომ, სახლი აღარ არსებობს“.

18

მამიქოს ნიძინი



გაჭირვებით შეძლო ვნების მოზღვავებული გაღღის უკუგდება, ცდილობდა, რაც შეიძლება, უხმაუროდ ესუნთქა. რამდენიმე წუთი კიდევ იწვა გაუნძრევლად იმავე პოზაში, მერე ფრთხილად წამოდგა და ოთახიდან ფეხბერეფით გავიდა.

მისი გასვლა და თაკოს გაღვიძება ერთი იყო. სასოწარკვეთილი კარს მიაჩერდა. წავიდა!.. ნუთუ არ დაბრუნდება? მას ძალიან სჭირდებოდა ირაქლი, მისი სხეული, მისი სიახლოვე...

70

1921-დან 2008-მდე ახე XXI საუკუნის დათვები



დათვი კუნთმაგარ და გონებაჩლუნგ ცხოველად მიიჩნევა. მულტიფილმებსა და ზღაპრებში ხომ ისეთი გულუბრყვილოები და საყვარლები არიან, რომ შეჭამ პირდაპირ. ცხადში კი აქეთ გვჭამს და ვერ ძლებს. ჩვენს მეზობლად მცხოვრებ ციმბირულ მურა დათვზე ნამდვილად ვერ იტყვი — გონებაჩლუნგიანო, მაგრამ სინდისის ქენჯნის დაჩლუნგების ხარჯზე რომ ძალა აქვს მომატებული, ფაქტია.



დათვური სამსახურიც გაგიგონიათ ალბათ. ასე დათვურად გვემსახურება ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი და ლამის დაგვახრჩოს მოფერებაში. დღემდე ვერ გამიგია, რატომ ზრუნავს ასე ჩვენს გათავისუფლებაზე ან ვისგან გვათავისუფლებს?! 1921 წელს რუსეთის მეთერთმეტე „განმათავისუფლებელი“ არმია რომ შემოვიდა საქართველოში, ისე „გაგათავისუფლა“, რომ 70 წელი ვერ გავთავისუფლდით მათი „თავისუფლებისაგან“. ახლა ისევ შემოვიდნენ. მართალია, უფრო განვითარებულ დონეზე — ტყვიამფრქვევებსა და ტანკებზე — ლულებზე თავისუფლების თეთრი ლენტებიც ჰქონდა შებმული, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს: დათვს გინდ თეთრი ლენტი შეაბი და გინდ ჰალსტუხი გაუკეთე — „ბამბანერკა“ ამოუდე ილიაში, მაინც დათვია, დაგტორავს და იტყვის, — გეფერებო. არ ვითარდება დათვის გონება და იმიტომ — რა დათვიც 1783 წელს იყო, იგივეა 1921-შიც და 2008-შიც...



ბოლო „ვიზიტი“ ისეთი აგრესიული აღმოჩნდა, რომ მთელი მსოფლიო გადარია. მონადირეებისაგან გამიგონია, დათვი ყველაზე აგრესიული მამინაა, როცა კბილი სტკივაო... კბილი ეტკინება, აბა, რა დაემართება, რაც მაგან ქართული მინა ჭამა?! ქართული მინა კი ტკბილია, პოდა, ტკბილის ჭამამ კბილის ტკივილი იცის; კბილის ტკივილი კი, იმავე მონადირეების მონათხრობით, დათვს კლავს კიდევ...

დათვის ჯიშებს შორის, როგორც ვატყობ, ყველაზე ცუდი ის დათვია, რომელიც ღორივით იტყევა. ყველაფერს ლენავს, ანადგურებს და გულზე „MC“ აწერია. ამიტომ, მგონი, ისე შერცხვა თავისი ჯარისკაცების საქციელის რუსეთის პრეზიდენტს დმიტრი პუტინის ძე მედვედევს, რომ სულ დაპატარავდა და რომ გამოდის, ტრიბუნასაც არ აჩნია... ზოგი ამბობს, რაც ზევითაა, ორი იმდენი ქვევითააო... იმ ძველი ანეკდოტისა არ იყოს, სადაა სამართალი, თორემ მთლად ქვევით უნდა იყოს, მაგრამ მაგის იღბალი ვინ მოგვცა ჩვენ?.. იღბალი რომ გვექონოდა, რუკაზე ჩვენს

ზემოთ რუსეთი კი არა, ამერიკა გვეყოლებოდა... ისიც გამიგონია, დათვი რომ მოგერევა, ბაბაი უნდა დაუძახო, მაგრამ მორევაც საკითხავია. ყველამ ვიცით, რომ ჩვენმა ბიჭებმა ისეთი ძმარი აღინეს, კარგა ხანს არ დაავინყდებათ ქართული ჯარის შეუპოვრობა. რაოდენობით, რა თქმა უნდა, გვაჯობებს, მაგრამ ჩვენგან „ბაბას“ რომ ვერ ეღირსებიან, ესეც ფაქტია! დათვს კიდევ ერთი უცნაური თვისება აქვს, სიმინდის ყანაში რომ შევა, დაამტკრევს ტაროებს, ერთ ადგილზე მოაგროვებს და ჭამს უზომოდ. რომ გაძლება, კმაყოფილებისგან დაგორავს და მთელ ყანას ისე თელავს, რომ სიმინდი კი არა, ჩალაც კი აღარ ვარგა საქონლისათვის — პარალელი მგონი, ნათელია, რაც წაიღეს, წაიღეს და ენგურის ხიდთან ვეებერთელა „ჰიპერმარკეტი“ გახსნეს, სადაც ფასდაკლებით იყიდი ყველაფერს, რაც ვერ წაიღეს — ...

ისე, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ისეა ჩვენი საქმე. ახლა უკეთ ვიცით მათი გემოვნება: რას დავათრევდით აქამდე რუსეთში ჭაჭას და ღვინოს, ქალების დასაკერად?! წაიღე ერთი-ორი უნიტაზი და ყველა ქალი შენი არაა?

დათვის ღორულ საქციელს უკვე მოჰყვა მსოფლიოს დაპირისპირება და ბირჟებზე რუსული აქციების ფასიც დაეცა, 13 მილიარდი დოლარის ინვესტიცია გავიდა, სოჭის ოლიმპიადის სპორტული ობიექტების ტენდერები ჩავარდა. ქვეყნის ეკონომიკური დონის მაჩვენებელი მობარული უნიტაზისკენ მიდის და თუ ყველა მოსალოდნელი ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური სანქცია განხორციელდა, თვითონ პუტინიც და მედვედევიც უნიტაზისკენ წავლენ (ვერ ჩაეტევიან თუ რა?) და ვინ ვის დაუძახებს „ბაბას“, მაგასაც ვნახავთ!.. და ბოლოს, დათვს კიდევ ერთი თვისება აქვს: ზამთარში იძინებს და 2014 წელს სოჭის ოლიმპიადის ჩატარების ნაცვლად, ზამთრის ძილს მიეცემა — იძინოს მშვიდად!..

P.S. რუსი სამხედროები ქართული ბაზის ტუალეტში: — ამხანაგო გენერალო, წამომყევით, ძალიან მაგარი აბანო აღმოვაჩინე. ნახეთ, ეს თავის დასაბანი მოწყობილობაა, რატომღაც იატაკზეა დამაგრებული, მაგრამ არა უშავს, მუხლებზე დადგებით, თავს ჩაყოფთ, ამ ღილაკს თითს დააჭერთ და წყალი ჩხრიალით ჩამოვა. — ყოჩაღ, ჯარისკაცო! მაგრამ ეს რბილი ქალაქის რულონი რატომ კიდია? — ალბათ, თავი რომ გაიმშრალეთ. პირსახოცებიც არ ჰქონიათ ამ მათხოვრებს!

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროვოკატორი

26014

ქალ-ვაჟის სასიყვარულო ურთიერთობის ლოგიკური გაგრძელება — ოჯახის შექმნა. 24 წლის ჯუბა (ჯუმბერ) ნაცვლიშვილსა და 19 წლის ნონა გაზაშვილსაც უყვარდათ (და ახლაც უყვართ) ერთმანეთი. გაიარეს შეყვარებულობის პერიოდი — თავისი გაბუტვებითა და შეროგებებით, შემდეგ კი ოჯახის შექმნა გადაწყვიტეს. ალბათ, ჯუბას გულმა უგრძნო, რომ საქართველოში სიტუაცია აირეოდა და ქორწილისთვის აღარავის ეცლებოდა: ნიშნობამდე დარჩენილი სულ რაღაც 3 დღე იყო, მაგრამ სულსწრაფმა საქმრომ აღარ მოიცადა და ცოლი შეირთო. ახალშეუღლებულ წყვილს მშვიდად თანაცხოვრება არ დასცალდა. რუსი აგრესორების შიშით, ცოლ-ქმარმა სახლი მიატოვა და ჩამწარებულ თაფლობის თვეს რუსთავში, კარავში — ლტოლვილების სტატუსით ატარებს.



ჩაქვარებული თაფლობის თვე ზედნიური დასასჯელით

ეთო ყორღანაშვილი

ჯუბა:
— დიდი ხანია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ, მაგრამ ნონას მიმართ სიყვარულის გრძობა ორი წლის წინ გამიჩნდა.
— თანასოფლელები იყავით?
ნონა:
— ჯუბა ახალდაბაში ცხოვრობდა, მე — წედისში. ახლობლის დაბადების დღეზე სტუმრად ვიყავი მისული, ჯუბაც იქ იყო და ერთმანეთი უკეთესად გავიცანი. ჩვენ შორის სიმპათიაც გაჩნდა. ამიტომ ტელეფონის ნომრები გავცვალეთ... ძირითადად, ტელეფონით ვკონტაქტობდით. ჩვენი პირველი პაემანი გორში, ახალბაღში შედგა. სწორედ იქ ამიხსნა სიყვარული და მაკოცა... (იცინის). როცა გავიგე, რომ რუსებმა ახალბაღი დაბომბეს, ძალიან განვიცადე...
— სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხებ?
— არა, რადგან იმ დროს სხვა შეყვარებული მყავდა. ჩემს გრძობებში გარკვევა მიჭირდა. საკუთარ თავს ვერ ვუმხელდი, რომ შეყვარებულის მიმართ გული ამიცრუვდა.
— ჯუბას გამო?
— დიას (იცინის). ისე მოხდა, ჯუბასთან ურთიერთობა განწყვიტე. ჩემმა მომავალმა ქმარმა დამშვიდობებისას მითხრა, ცხოვრების ბოლომდე მეყვარებიო.

ჯუბა:
— ნონას ვუთხარი, — თუ სხვასთან იქნები, ღმერთმა ბედნიერი გამყოფოს-მეთქი. სხვა რა უნდა მეთქვა?
ნონა:
— შემდეგ, როცა შეყვარებულს დავმორდი, ჯუბამ შემახსენა, რომ ისევე ძალიან ვუყვარდი. მისმა სიტყვებმა გამახარა, რადგან მეც მიყვარდა.
ჯუბა:
— ნონას და მისი შეყვარებულის დაშორების ამბავი ჩემი ძმაცისგან შევიტყვე. მაშინვე ნონას დაურეკე, მაგრამ შემდეგ დედამისმა დამირეკა და გამლანძღა — ჩემს გოგოს თავი დაანებე, ახლოსაც არ გაეკაროო.
— სასიდედროს არ მოსწონდი?
ნონა:
— ალბათ — არა... (იცინიან).
— ჯუბა, ახლა როგორი ურთიერთობა გაქვს სიდედრთან?
— მშვენიერი. ნონას ახლობლებმა ნარკოლოგიური შემონეშებაც კი ჩამიტარეს. ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდნენ, რომ კარგი ბიჭი ვარ. ახლა სიდედრ-სიმამრთან გადასარევი ურთიერთობა მაქვს. სანამ თქვენ მოხვიდოდით, მათთან დარეკვას ვცდილობდი — ისინი წედისში დარჩნენ და მაინტერესებს, როგორ არიან, სამწუხაროდ, ვერ ვუკავშირდები... მოკლედ, ერთ დღეს გავიღვიძე და მიუხედავად იმისა, რომ ნიშნობამდე სამი

დღე იყო დარჩენილი, აღარ მოვიცადე და ნონა ცოლად შევირთე. ქორწილი ვინრო წრეში გადავიხადეთ. ქეიფი მეორე დღესაც გაგრძელდა, მესამე-მეოთხე დღეს კი სიტუაცია აირ-დაირია. აფეთქების და სროლის ხმა ნონას ძალიან აშინებდა.
ნონა:
— ის დამეები საერთოდ არ მძინებია, შიშისგან ვტიროდი.
ჯუბა:
— სხვა რა გზა მქონდა, თავის მშობლებთან — წედისში უნდა წამეყვანა, რადგან იქ უფრო მშვიდი სიტუაცია იყო. ასეც მოვიქეცი: ცოლი უსაფრთხო ადგილას წავიყვანე, მე კი უკან — ახალდაბაში დავბრუნდი. ამ დროს, ჩემი სოფელის საჭაერო დაბომბვა რუსებს უკვე დაწყებული ჰქონდათ.
— ახალდაბაში რატომ დაბრუნდი?
— ჯერ ერთი, იქ ჩემი მშობლები იყვნენ და მათზე ვდარდობდი. ამის გარდა, მინდოდა, რომ ჩემი ტრაქტორი ცოტა უსაფრთხო ადგილას დამეყენებინა. ტრაქტორი ჩვენი ოჯახის შემოსავლის წყარო იყო: მინის ნაკვეთებს ვხნავდი, რაშიც სოფლის მოსახლეობა ფულს მიხდიდა. მამაჩემი ავადმყოფი კაცია, დედა ჯანმრთელი მყავს, მაგრამ... მოკლედ, ოჯახს მე ვარჩენდი, რა.
— გზაში რამე საფრთხე ხომ არ შეგქმნია?

— არა, მაგრამ ვიდრე ახალდაბა-ში ჩავიდოდი, მანამდე ჩემი „ჟიგუ-ლით“ ვარიანში გავიარე — ვიფიქრე, მამას სიგარეტს ვუყიდი-მეთქი. დავ-ინახე, რომ ქართველი ჯარისკაცები მორბოდნენ. მანქანა გავუჩერე და ვკითხე: — ბიჭებო, რა ხდება-მეთქი? — რა და რუსები მოგვდევენო! — მიპასუხეს. ბათუმის და სენაკის ჯარისკაცები ყოფილან. გორში მიდ-იოდნენ. ზოგი მანქანის სალონში ჩავ-ისვი, ზოგი „ბაგაჟნიკზე“, კაპოტზე დაჯდა... ჯარისკაცები ორთაშენამდე მივიყვანე, მე კი ჩემი სოფლისკენ გავემართე. შინ მისულმა აღმოვაჩინე, რომ ტრაქტორი აფეთქებას გადაურ-ჩა, მაგრამ ბორბლები სულ დაცხრი-ლული ჰქონდა. სოფელში დარჩენა საშიში იყო: რუსების მიერ ჩამოგდე-ბული ჭურვი ჩემი მეზობლის სახლს დაეცა და სულ გაანადგურა — აღარაფერი დარჩა... ახალდაბიდან მშობლების წამოყვანა მინდოდა, მა-გრამ მათ უარი განმიცხადეს. რაღას ვიზამდი? იძულებული გავხდი, ნონ-ასთან, წედისში გავმგზავრებულიყავი. ნონა და მისი ახლობლები გორში დაშხდნენ. მე და ჩემი სიდედრი მან-ქანიდან გადავედით. მე სიგარეტი უნდა მეყიდა, მას — პროდუქტები. რუსებმა სწორედ ამ დროს ჩამო-ყარეს ბომბები: ერთი — კომბინა-ტის დასახლებაში დაეცა, მეორე — გორიჯვარზე.

წონა:

— ხალხი პანიკაში ჩავარდა, გარ-ბოდა... საშინელება იყო. ის სურათი ცხოვრებაში არ დამავინყდება... გორი-დან წედისში გავემგზავრეთ. ჩემს

სოფელში სიმშვიდე იყო, მხოლოდ სროლის ხმები ისმოდა. ერთხელ ქართველი ჯარისკაცები მოვიდნენ და ტანსაცმელი გვთხოვეს. გვითხრეს — რუსებს ვემალებით და თუ გვიპოვეს, ყველას დაგვხოცავენო. ტანსაცმელი მივეცი.

— რამდენი ჯარისკაცი იყო?

— საკმაოდ ბევრი. ზოგი მოტო-ციკლეტით მოდიოდა...

— წედისიდან რატომ წამოხ-ვედით?

ჯუზა:

— როცა გავიგე, რომ რუსების ჯარმა გორი დაიკავა, ნონას ვუთხ-არი: წავიდეთ-მეთქი და წედისიდან-აც გამოვემგზავრეთ. ახლა კარავში ვცხოვრობთ, მაგრამ უსაფრთხოდ ხომ ვართ? ვიდრე კარვების ქალაქში მოვი-დოდით, მანამდე ახლობელთან ვიყავით. ერთ სახლში რამდენიმე ლტოლვილი ოჯახი ვცხოვრობდით. ახლობლის ხარჯზე ყოფნა შემრცხვა. ამიტომ ვიფიქრე — ბაზარში წავალ, რამეს ვიყიდი, გავყიდი და ვაჭრო-ბიდან მოგება 10 „კაპიკი“ რომ დამ-რჩეს, ეგეც საქმეა-მეთქი. სახლიდან წამოღებული 120 ლარი მქონდა. ბა-ზარში კარტოფილი, პომიდორი, ბადრიჯანი ვიყიდე, შემდეგ იქვე დავჯექი და გავყიდე... ასე გავატარე ჩემი დაბადების დღე. საღამოს კი ჩემმა დეიდაშვილმა მე და ნონა რესტორაში დაგვპატიუა.

— ნონა, მეუღლეს დაბადების დღეზე რაიმე საჩუქარი ხომ არ გაუკეთე?

წონა:

— არა, უფრო სწორად — ვერა...

— ჯუზა, შენი მშობლები ისევ ახალდაბაში არიან?

— დიას, იქ არიან. უკვე ორი დღეა, რაც მათთან ტელეფონით დაკავშირე-ბას ვეღარ ვახერხებ.

წონა:

— ახალდაბაში მობილური ტელე-ფონები ყველას „დამჯდარი“ აქვს, რადგან იქ დენი არ არის.

ჯუზა:

— ჩემს სოფელში, მთაზე ტელეან-ძაა. მისი საშუალებით ტელემაუნყე-ბლობა მთელ შიდა ქართლს გადა-ეცემოდა. რუსებს ანძის აფეთქება სურდათ. აფეთქებით ვერ აფეთქეს, მაგრამ სადგურში შეიჭრნენ და შიგ-ნით ყველაფერი დაამტყრიეს, მორიგე ბიჭი — მორის პაპუაშვილი მოკლეს. ქართველებს მორისის გვამს დასა-მარხავად არ ატანდნენ. ჩემმა თანა-სოფელმა ბიჭებმა ცხედარი მოი-პარეს და დაღუპულის სახლის ეზო-ში დამარხეს... ჰოდა, იმის თქმა მინ-დოდა, რომ რაც რუსებმა ტელესად-გური დაანგრიეს, ახალდაბაში დენ-იც გამოირთო — მოსახლეობას დენი ანძიდან გვექონდა გადმოყვანილი...

— კარვების ქალაქში დღევს როგორ ატარებთ?

წონა:

— საკმაოდ ვსხდევართ და ვსაუბრობთ.

— რაზე?

— შინ დაბრუნებაზე. უამრავი გეგ-მა გვექონდა, ბათუმში დასვენებასაც ვაპირებდით...

— განმარტოების საშუალება თუ გაქვთ?

— კი, კარავში (იციინიან)... ნუხელ კაფეში ვიყავით. ჯუზამ მითხრა: რად-გან უკვე ჩემი ცოლი გქვია, გგონია, კაფეში აღარ დაგპატიუებო?

ჯუზა:

— შეყვარებულობის პერიოდში კაფეშიც დავდიოდით, კინოშიც... რაც ცოლად შევირთე, ამის დრო აღარ გვექონდა. გუშინ ნონა ძალიან მოწყ-ენილი იყო. კაფეში დაგვპატიუე და ვუთხარი: რადგან ასეთი პრობლემე-ბი შეგვექმნა, ხომ არ გგონია, ყვე-ლაფერი დასრულდა-მეთქი?

წონა:

— ყველაფერი არ დასრულებულა. დარწმუნებული ვარ, შინ აუცილე-ბლად დავბრუნდებით... კარვების ქალაქში განსაკუთრებულად გვექცე-ვიან: მხოლოდ ერთი „ლეჟანკა“ გვექონ-და, მერიის თანამშრომლებმა კი სა-ნოლიც გვაჩუქეს. ახლა იმის საშუ-ალება გვაქვს, რომ ერთად გვეძინოს. წინათ ღამეს ნათესავთან ვათევდი, ჯუზას კი კარავში ეძინა...

P.S. სანამ ჩვენი ინტერვიუ დაიბე-ჭდებოდა, ახალდაქორწინებულებმა თავიანთ სოფელში დაბრუნება მოასწრეს!

პალიტრა L აზნაღას წიგნს გამოსაყვამად, საღამო იქნება ასახული 20086.

ოპუნიკის ფაქტაბი. ას წიგნი თქვეთინ ერთად უნდა მოგზადღუს.

გთხოვთ 12 სპაბაგრაგდა, მოგვანოღათ ამ პერიოდთან დაახვირებაული

თქვენს ხალთ არსებაული ინფორმაცია და ფობოგასალა, ზამღაგ

მისაგართმა: იოსანიძის №49 ან ჯლ. ფოსტით: book@kvispalitra.com

უჩინო მიწა და (და) ჰლიც გზებზე და ბილიკობა...

დილის 10 საათია. სამარშრუტო ტაქსით კარაღეთში მივდივართ. მგზავრების უმეტესობა ქალია. ყველა ღელავს, რადგან იციან, რომ სოფელს ისევ რუსი ჯარისკაცები აკონტროლებენ. შესასვლელთან ისევ მათი უკანონო საგუშაგოა. რუსი „მშვიდობისმყოფელნი“ მანქანებს ჩხრეკენ და პასპორტებს ამოწმებენ, განსაკუთრებულ აგრესიას ჟურნალისტების მიმართ იჩენენ. მძლოლი გაფრთხილებულია, რომ კარაღეთის ტერიტორიაზე მასმედიის წარმომადგენლები არ უნდა მოხვდნენ, მაგრამ მაინც მივყავართ. უფრო მეტიც — გვპირდება, რომ ოდნავი საფრთხის შემთხვევაში, „საიდუმლო“ გზით გორში გადაგვიყვანს.

ლევა ჭანკობაძე

ჩვენს საუბარში მოხუცი ქალბატონი ერეკლე გვთხოვს, მისი მეზობლის შესახებ დავწეროთ, რომელიც უკვე 10 დღეზე მეტია, რაც დაკარგულია. ეს ქალბატონი სოფელში ოსებისა და რუსების თარეშის თვითმხილველია.

მერი:

— კარაღეთი ერთი ნუთითაც არ დამიტოვებია. ოჯახი გაეხიზნეთ. მე და ჩემმა ქმარმა კი სახლი ვერ მივატოვეთ. ტანკების ყურებამ გული დამიგლიჯა. თვლას რომ დავინწყებდი, 50-მდე ავდიოდი. სანამ ამდენი ტანკი გაივლიდა, სოფელი ისე იყო განაბული, ჩიტიც კი არ გადაიფრენდა ხოლმე. ბევრი უცხოელი ჟურნალისტი მაინც სოფელში რჩებოდა. მე უკრაინელი გოგო დავმალე. მან თავისი კოლეგები დაკარგა და ერთი დღე ჩემთან იყო. მთელი ღამე დაჯვებოდი. ხან რომელ სახლს მივფარებოდი და ხან რომელ ხესთან მიწას ვერთხმოდი. მაინც იღებდა სურათებს. როგორი უშიშარი იყო — გამაოცა! შიშის გრძნობა მეც გამიქრა: უცხოელი თავს წირავდა და მე როგორ ვიტყოდი, დავილაღე-მეთქი?! ამ ხნის ქალმა ყველა კუთხე-კუთხუღი მოვატარე, ყველა დამწვარი სახლი გადავაღებინე... ყოველდღე ვიგებდი, რომელიმე თანასოფელელის სიკვდილის ამბავს. სანაყლებს ზენრებში ახვევდნენ და ეზოებში მარხავდნენ. შანსი მომეცა და ამას როგორ არ გავაგებინებდი უცხოელებს?!


გზიდან ვუხვევთ. ირგვლივ გადამწვარი ყანები და ტანკებით გათელილი ბალ-ბოსტ-

ნებია. მგზავრებს მლეღვარება ემატებათ. სოფელ რეხიდან კარაღეთში შევდივართ. ჯერ ქართველი სამხედროები დგანან და ამოწმებენ მანქანებს, შემდეგ — რუსები. რუსი სამხედროების, მათი ტანკებისა და კარების დანახვისას მძლოლი ყველას სიმშვიდისკენ მოგვიწოდებს. შემოწმება დიდხანს არ გრძელდება. მანქანაში იარაღი და ტყვია-წამალი არ არის, ამიტომ წასვლის ნებას გვრთავენ.

ნუთიც და — ომის რეალობასთან პირისპირ ვრჩებით. სოფელი დამწვარი სახლებით იწყება. მგზავრები ტირიან და მოთქვამენ. ხუთი სახლი ერთმანეთის მიყოლებით ისე გადამწვარი, რომ ცოტაც და კედლებიც ჩამოიშლება... მალაზიები გაძარცვულია და დამწვარი, ტანკებით დაჭყლეტილი ატკორმანქანები გზის პირას ყრია.


ჩვენი მასპინძელი მოსალმების მაგივრად გესაყუდურობს: რატომ ჩამოხვედით? აქ ხომ ჯერ ისევ საშიშია, ომი... შემდეგ თავისი ამბის მოყოლას იწყებს. სათქმელი მართლაც ბევრი აქვს. კითხვის დასმაც კი არ არის საჭირო:

— სამი ღამე ხევში ვიმალეობოდი. ცა სოფლის თავზე სულ ნითელი იყო. არ ვიცო, სოფელმა აქდეს როგორ გაუძლო. გვბობავდნენ და ჩემი ქმარი მაინც ფორთხვით მიიწვედა ბალებისკენ, პამიდორსა და კომბოსტოს რწყავდა. ერთ დღესაც თავის ბაღში ტანკები დახვდა. რუს ჯარისკაცებს ატმის ბალი გაგვავათ და ტანკებისთვის „მასკიროვკა“ გაეკეთებინათ. მაინც არ შეშინდა. ჯარისკაცებს გამოელაპარაკა. წყალი და საჭმელიც მისცა. ერთი ჯარისკაცი





ქეთინო



მერა

თურმე მეორეს მიუბრუნდა და უთხრა: აი, ასეთები არიან ქართულები — ვესვრით, ვანგრევთ და მაინც გვიმასპინძლებიანო. ჰკითხეს თურმე: არ გინდა, ნავთი და „სალიარკა“ მოგცეთო? — არაო, უპასუხია ჩემს ქმარს, არაფერი მინდა, ოღონდ ეგ ტანკები გაიყვანეთ ბალიდანო... ქმარი ახლაც ბაღშია ნასული. რა ყოფილან ჩვენი გლეხები! ტყვიამ და სიკვდილმაც ვერ შეაშინა.

— მართლა არ გეშინოდათ?
— როგორ არ გვეშინოდა?! დაბობბვა რომ დაიწყო, მთელმა უბანმა ჩემს მარანში მოიყარა თავი. გვეგონა, იქ უსაფრთხოთ ვიქნებოდით. სიგრილის შესანარჩუნებლად, შიგ წყალი დგას, ფიცრები დავდეთ და ღვინის ბოცების გვერდით, ამ თაროებზე ვისხედით. დაბობბვა რომ შეწყდა, ქურდობა დაიწყო. აქ ამბობენ, მაგას მაროდორობა ჰქვიაო. ჩამოვსენი ფარდები, აკვეცე ლოგინები და ხალიჩები. ყველაფერი სარდაფში დავმალე. მერე ვიფიქრე, მიხვდებიან, რომ სახლი დაეცალეთ და გადაამინვავენ-მეთქი. ამიტომ ძველი ფარდები მოვებენე და ჩამ-

კარალეთელი გლეხის მასპინძლობას. ახლა მირჩევნია, მალე დატოვოთ სოფელი. დღესაც დანჯეს ერთი სახლი, ბოლი რომ ამოვარდა, ყველა ოჯახში ტირილი ისმოდა.

სოფელი ომს ღირსეულად გაუმკლავდა. ჯარისკაცის დედებმაც კი არ მიატოვეს სახლები. ჩემი რესპონდენტი, რომელსაც შეგნებულად ინკოგნიტოდ ვტოვებ, დიაბეტიანია. ის ყოველდღე იკეთებს ინსულინს. ბოლო ნემსი რომ გაიკეთა, იფიქრა, შეიღს ცოცხალი ვეღარ დაჭედებოო. მისი შვილი ჯარისკაცია, ერაყში იმყოფება. მეორე დღეს თბილისიდან თანასოფელელმა ბიჭმა წამალი ჩაუტანა. სოფელს ეს ამბავი არასდროს დაავიწყდება.

მოსახლეობა დაბნეულია და შეშინებული გვხვდება. ჩვენს ფოტოაპარატს ემალებიან. გვთხოვენ, წამდვილი სახელები და გვარები არ დაბეჭდოთო. ეშინიათ, სახლები არ გადაუნვან. მხოლოდ ისინი აქტიურობენ, ვისაც დასაკარგი აღარაფერი აქვთ. მათი სახლები უკვე გადაშენებულია.

ბიბი ფარხაშვილი:
— სოფლიდან რუსმა სამხედროებმა 12 ბიჭი წაიყვანეს. ყველანი გამოიქცნენ, მხოლოდ ჩემი ძმა არ ჩანს. ის მძლოლის გვერდით, კაბინაში ჩაუსვამთ და ალბათ ამიტომ ვერ მოახერხა გამოპარვა. დაბეჭდეთ მისი სახელი და გვარი — ფარხაშვილი ბიბინა, 44 წლის, — იქნებ, ვინმემ რამე იცოდეს. 13-ში წაიყვანეს. მას შემდეგ აღარ

ვიცი, მკვდარია თუ ცოცხალი. მძევლები ცხინვალში ჩაუსვანიათ და სხვადასხვა ბანაკში გადაუნანილებიათ. ორი დღის განმავლობაში ყველა გამოიპარა. ტყე-ტყე იარეს და სოფლამდე მოაღწიეს. ბიბინას შესახებ მათაც არაფერი იცინა.

გიული:
— მე სახლიც დამენვა და მალაზიაც. უზარმაზარი მალაზია მქონდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ნახანძრალია დარჩა. მადლობა ღმერთს, რომ ყველანი ცოცხლები გადავრჩით. ჩვენს კორპუსში ჯარისკაცები ცხოვრობენ. სწორედ მათი სახლების გადასანჯავად მოვიდნენ. პირველ სართულზე თამაზავილები ცხოვრობენ. ოთხ ძმას ეს ერთი ბინა ჰქონდა. ერთი საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ, დანარჩენებმა ჯარს მიაშურეს. სამივე ვერ ერაყში იბრძოდა, შემდეგ კი — ცხინვალში, წინა ხაზზე. მესამე სართულზე სუბიტავილები ცხოვ-

რობენ. ორი ძმა ვერ ერაყში, შემდეგ კი სამშობლოში, ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა. მათი დედა რომ მოვარდა, სულ თმა დაიგლიჯა, მთელი ხმით ყვიროდა: შვილებო, მოგიკვდათ დედა, სახლიც ვერ შეგინახეთო!..

ლია:
— მე და გიული კომპიუტერულ ცენტრს ვხსნიდით. 7 კომპიუტერი შევიძინეთ. ინდონარმე ვარ. საბუთები ვერ მონესრიგებულა არ მქონდა. ყველაფერი ცეცხლმა შთანთქა. ისეთი დაძაბულობა იყო, რომ მეზობლები და ახლომახლო მოსახლეობა ჭუჭყრუტანებიდან იყურებოდა, გამოსვლას ვერაინ ბედავდა დღეს კიდევ ერთი სახლი გადაწვეს. ორი ძმის სახლი უკვე დამწვარი იყო, მესამეს კი დღეს დაუნჯეს. ჩვენს სოფელში ურუნალისტების შემოსვლა ჭირდა, რადგან რუსები დგანან შემოსასვლელში და მკაცრად აკონტროლებენ, რომ პრესა ან ტელევიზია არ შემოვიდეს. თუ ვინმე შემოაღწევს, როგორ არ დავეხმარებით?! იქნებ, ჩვენმა უბედურებამ მთელ მსოფლიოს ატყინოს გული და მსგავსი ტრაგედიები სხვა ქვეყნებში მაინც აღარ გამოვრდეს.

აზა:
— ჩემი სახლიც დაინვა. ჩემი ოჯახი უკვე გახიზნული იყო. ღამით მარტო ყოფნის მეშინოდა და დასაძინებლად ნათესავებთან მივდიოდი. საღამოს ბინის კარი ჩაკეტე. დილას რომ მოვედი, უკვე დამწვარი დამხვდა. ვერ გაუძარცვავთ, ყველაფერი წაულიათ, შემდეგ კი გადაუნვათ. რომ მოვედი, ისევ ცეცხლი ცვიდა. შევერდი და ჩაქრობა დავინახე. თავგანწირული ვიბრძოდი, რომ კედლები მაინც გადამერჩინა. ამ დროს ტანკები და-



ნანი და ანა



გიული და ლია


დაბეჭდეთ მისი სახლი და გვარი — ფარხაშვილი ბიბინა, 44 წლის, — იქნებ, ვინმემ რამე იცოდეს

ოკვიდე. ძველი ფარდაგებით მოვრთე სახლი... სახლების დანვა რომ დაიწყო, ქმარმა სახურავს მაღალი კიბე მიადგა, უპირავი ქურჭელი აზიდა და წყლით გაავსო. ფიქრობდა, ცეცხლს თუ წაუკიდებენ, წყალს გამოვიყენებ და სახლი მთლიანად დანვას გადაურჩებაო. ან როგორ შეძლო მოხუცმა კაცმა? მთელი დღე ზიდა თითო ვედრო წყალი სხვენში... რამდენს ვლაპარაკობ, მოშივებულები იქნებით, მე კი ჩემი ამბებით შეგანუხეთ. ახლავე სუფრას გაავანო...

— ნუთუ ომგამოვლილ სოფელში სტუმრის გამასპინძლება მაინც შეგიძლიათ?
— ხომ გაგიგონიათ — თუ კაცი გონიერია, სოფელიც ღონიერი! ყველი და პური, კიტრი და პომიდორი, ღვინო, ხილი და კეთილი გული არ გამოგველევა. სხვა დროს რომ ჩამოხვალთ, მერე ნახავთ

დიოდნენ, ოსები კი გიჟებოვით ღრიალებდნენ. მათი ხმები არასდროს დამავიწყდება.

გზას ვაგრძელებთ. „ბირჯანუ“ ხალხი ისევ გამოფენილა. გვთხოვენ, — შუა ტრასაზე იარეთ, ბილიკები დანალმული არ იყოსო. დამწვარ სახლებთან ვჩერდებით. შემზარავი



38 წლის ვარ და პირველად მაშინ ვიტირე, ეს სახლი რომ იწვოდა

სანახაობაა სოფელში ძაღლის ყვავა კი აღარ ისმის. შერიკ კვამლით არის გაუღუნთილი. ახალგაზრდა კაცი გვიახლოვდება. გვთხოვს, — ფრთხილად იყავით, წუთის წინ ქართველ ჟურნალისტებს მანქანა და აპარატურა წაართვესო. ნასახლარი, რომელსაც სურათებს ვუღებთ, მისი ბიძაშვილისაა.

ზალზა:

— 38 წლის ვარ და პირველად მაშინ ვიტირე, ეს სახლი რომ იწვოდა ცეცხლი ცაში ადიოდა, მე კი დამალული ვიყავი და ჭუჭყრუ-ტანიდან ვუყურებდი. შესჯოდნენ სახლებს, ჯერ გაძარცვავდნენ, შემდეგ — ცეცხლს უკიდებდნენ. ჩემი სახლიც გაძარცვეს. ნადავლი რომ მიჰქონდათ, ტელევიზორი ძირს დაუვარდათ. ცხადია, მისვდნენ, რომ გაფუჭდა და ვეღარ გამოიციენებდით, მაგრამ მაინც დაღუნეს. მე მეძებდნენ, რადგან პოლიციაში ვმუშაობ. ხან სად ვიმალებოდი და ხან — სად. ერთ დღესაც მივატოვე აქაურობა და გავიხიზნე. მეორე დღესვე უკან მოვბრუნდი. აქედან წასვლა არ შემეძლო. მერჩია, სოფლის სატყევეთა საფუთარი თვალთ მენახა და მესხიერებაში აღმუბეჭდა. ახლა რაც ხდება, ეს ომზე უარესია. დილაუთენია ტყაცუნის ხმამ გამოაღვიძა მაშინვე მივხვდი, რომ ვილაცის სახლს წვავდნენ. არადა, ამბობენ, ომი დამთავრდაო.

კარალეთში დამწვარი და დარბული სახლების ნახვას მთელი დღე არ ვყოფა. ის ადამიანები, რომელთა ბინებიდანაც ყველაფერი გაიტანეს, მაინც კმაყოფილები არიან: ამბობენ, რომ მათ ღამის გასათევი აქვთ, ნაომარ სოფელში კი ეს უკვე ფუფუნებაა განსაკუთრებული სიმწარე იმ ოჯახებმა ნახეს, რომლებსაც ომმა სიკვდილიც მოუტანა: მათ მიცვალებულთა ეზოებში ჰყავთ დაკრძალული.

ჩვენს ყურადღებას ახალგაზრდა მამაკაცი იპყრობს. ბალიდან ატამი მოაქვს. ქიშკარს აღებს, თან გვეპატრუება: მობრძანდით, ხილით და ცივი წყლით გაგიმასპინძლებდითო. ალაყაფის კარში შევდივართ. ჩვენი მასპინ-

ძლის კარ-მიდამო გადამწვარია. დიასახლისი ცდილობს, თავისი გაჭირვების შესახებ გვიამბოს და თან ცრემლი არ დაგვანახვოს.

ძაბიწო პარავილი:

— ჩვენი სახლი 13-ში დანვეს. ჩემი შვილი რეგიონის სამხედრო გამოძიებელია. არავინ მოუკლავს, ბოვეიკი არ იყო და ხალხი არ გაუმწარებია. პირიქით — ოსები დაიჭირეს და ზედ გადაეფარა, რომ გამწარებულ ქართველ ჯარისკაცებს არ ეცემით. მას ამ ომთან პირდაპირი შეხებაც არ ჰქონია. სამხედრო პოსპიტალში იყო და გარდაცვლილების აღრიცხვას აწარმოებდა. თუ ვინმე არ მიუთითა, რუსებმა რა იცოდნენ, რომელ ოჯახში იყო ჯარისკაცი და რომელში — არა?.. სახლს რომ ვტოვებდით, სამხედრო ტანსაცმელი წავიღეთ. არანაირი ნიშანი იმისა, რომ აქ ჯარისკაცი ცხოვრობდა, არ დაგვიტოვებია. მეგონა, სახლს გაძარცვავდნენ, ამას ვერც წარმოვიდგენდი. შვილიშვილებით თბილისში ვიყავით, რომ დაგვირგვეს, თქვენი სახლი იწვისო. ჩამოვედით და აი, ასეთი სურათი დაგვხვდა. 29 წლის განმავლობაში რაც კი შევიძინეთ, ყველაფერი ნაცარტუტად იქცა. მკვრავი ვარ. ცხოვრება ნულიდან დავიწყეთ, ყველაფერი შესაძენი მქონდა, ღამითაც კი ვმუშაობდი. რამდენჯერ ჩამოძინებია საკვრავ მანქანაზე. პირველი სართულის ჭერი რომ ჩავარდა, მეორე სართულიდან ავეჯი მთლიანად ცეცხლში ჩაიყარა. ბოსელსაც გადაედო ცეცხლი. ძროხებიც ჩაიწვინენ. ჩამწვარი პირუტყვი ეზოში დაფარხეთ. ჩემი შვილიშვილები თბილისში, 87-ე სკოლაში არიან. ორი წლის ტყუპი გვყავს. მერხებზე რომ ვერ აწვეწვს, დედა იატაკზე აძინებს. სად უნდა ჩამოვიყვანო?! უფროსი შვილიშვილი წელს პირველად მიდის სკოლაში. ბაღში ზეიმზე ულაშაზესი კაბითი შევუკერე, ყველაფერი დაიწვა, სურათებიც კი არ დარჩა. რა უნდა ვუთხრა? როგორ უნდა ავეხსნა, რა მოხდა?..

ისევ გზაზე გამოვდივართ და გულდამძიმებულები კიდევ ერთხელ ვათვალისწინებთ გადამწვარ სახლს. გამწვლი მანქანა აჩერებს. მძლოლი გვთხოვს: მალე დაღამდება, ოსებისა და რუსების თარეში ისევ დაიწყება, იქნებ, წამოხვიდეთ, დატოვოთ სოფელიო. მანქანაში ვსხდებით. მძლოლი თავის გულსტკივილს გვიზიარებს:

— ჩვენს ბიძაშვილს — ეზარ ნილოსანს ვეძებთ. 4 წელია, რაც სენაკის 22-ე ბრიგადაში მსახურობს. ბრიგადირის მძლოლი იყო. ის კაცი ცოცხალია, ეზარი კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. 11 აგვისტოს 9 საათზე ველაპარაკე. მითხრა: შინდისში ვარო. მას შემდეგ აღარაფერი ვიცით. ეზარი 29 წლის არის. ერთი წლის ბიჭი და ოცი დღის გოგო ჰყავს. ახლა შინდისიდან მოვდივართ. მისი მანქანა ისევ იქ გდია, ნომრები დახსნილია. საერთოდ, იქ რაც ხდება, ენით აუწერელია. ალბათ ჩვენი ჯარისკაცები რკინიგზის სადგურში, კედლებთან იმალებოდნენ. კედელს ბომბი მოხვდა... ძირს ჩვენი ჯარისკაცების „ქასკები“ ყრია. „ქასკებზე“ სახელები აწერია... იქ ძალიან ბევრი ბიჭი დაიღუპა, იქნებ, ეზარიც ან იქნებ, ჩვენი ბიძაშვილი იმ შვიდ დაღუპულს შორისაა, „უცნობის“ სახელით რომ დაკრძალეს, ვინ იცის?

ომგამოვლილი გორი ნამდვილად ჩვეული ცხოვრების რიტმს უბრუნდება. უკვე მუშაობს მალაზიები და აფთიაქები, დადის ტრანსპორტი და რაც ყველაზე მთავარია, ქალაქში ქალები და ბავშვები ბრუნდებიან. ქუჩებს ფეხით მივუყვებით და თითოეულ დაზიანებულ შენობას ვათვალისწინებთ. ცაბაძის ქუჩაზე უჩვეულო ხალხმრავლობაა. აქ მამაკაცები ჩამოვარდნილი ბომბის ნაწილებს აგროვებენ და ავტოფარეხში აწყობენ. საცხოვრებელი კორპუსის სამი სართული მთლიანად დამწვარია.

მარაბ მარაბიშვილი, დამწვარი

სახლის მეპატრონე:
— 12 აგვისტოს დილით დაბომბვა დაიწყო. ბინას ცეცხლი მალე მოედო. სამმა კაცმა იმდენი მოვახერხეთ, რომ ცეცხლი ჩაეაქრეთ, თორემ მთელი სახლი გადაიწვებოდა. ეს უზარმაზარი ბომბი იმავე დღეს საბავშვო ბაღის ეზოში ჩამოვარდა. ისეთი ძლიერი ხმა ჰქონდა და ისეთი ძალით დაეცა, რომ გვერდით სახლს სახურავი ახადა, სულ პატარა-პატარა ნაწილებად დაიშალა. „საკოლკები“ სულ აქეთ-იქით ცვიოდა მეზობელ ქუჩაზე ერთი კაცი მოკლა. მერე უცხოელ ჟურნალისტებს მანქანა წაართვეს. არ ვიცი, სადაურები იყვნენ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს?.. „პადალაში“ დავმალე და გაფუშასპინძლი. შემინოდა, ხიდი არ აფეთქებულაო. ნაცრობი ბიჭებიც მოვებენ, რომ თუ ხიდს დააზიანებდნენ, წყალში გაგვეცურა და ისე გადაგვეყვანა. ორი მოხუცი იყო ბინაში დარჩენილი, იმათაც წყლით ვუპირებდით გადაყვანას, მაგრამ ხიდი არ ააფეთქეს. აქ ისეთი გმირობის მაგალითები ვნახეთ, უცხოელი ჟურნალისტები თავს ისე წირავდნენ, რომ მათთვის საკუთარ სიცოცხლეს გავილებდით. ქალაქი რომ იბომბებოდა, აივნებზე იდგნენ და იღებდნენ. მიკვირს კიდევ, უფრო მეტი ჟურნალისტი რომ არ შეეწირა ამ სიგიჟეს.

იქვე გორის მეორე საბავშვო ბაღია. ბომბი სწორედ ბაღის ეზოში ჩავარდა. ამ ბაღში დევნილები ცხოვრობენ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც თავიანთი სოფლები სულ ბოლოს დატოვეს. თითოეულ მათგანს სურს ჩვენთან გასაუბრება და თავისი ტკივილის გაზიარება.

ჟანო ჭოქვილია:

— მე ძარწევიდან ვარ. სოფელი გუშინ დავტოვე. ავადმყოფი ქმარი მყავს, ამიტომ



ჯენო ჭოქვილია



ხალხი ყვითელი ავტობუსებით გორის ცენტრალური მოედნიდან სოფლებისკენ მიდის

ველითო. ნადით, სულე-
ბი ხომ უნდა გაიტანო-
თო. სამივე ჩაგვსვეს
„მარშრუტკაში“ და თეი-
თონ ჩამოგვიყვანეს გორ-
ში.

**— ბევრი ადამი-
ანი დაიღუპა?**

— ძალიან ბევრი, მა-
გრამ ჯერ სახელების
თქმა არ მინდა, რადგან
ომის დროს ჭორ-მარ-
თალი ერთმანეთშია
არეული. ჩვენ, ორმა მოხ-
უცმა, ყველაფერი საკუ-
თარი თვალებით ვნახეთ,
მაგრამ ყველაფ-
რის მოყოლის დრო ჯერ არ
მოსულა. ჩვენი ბიჭები არ
დაძრახოთ, გოგოებო. არც
მათ უნდოდათ სახლების
დატოვება. სოფელი რომ
დაიცალა, ათი ბიჭი დარჩა.
მთელი დღე სარდაფებში
იმალებოდნენ ხოლმე, ღამე
ამოძვრებოდნენ და ჩემთან
იკრიბებოდნენ. ცხელ
წვინას ვახვედრებდი.
ექვი რომ არავის აელო,
რუსებსაც ვაძლევდი
საჭმელს — აქაო-
და, დიდ ქვაბში თქვენ
გამო ვტარშავ წვინას-
მეთქი... მაგრამ სახლების
გადაწვა რომ დაიწყო,
ბიჭები ერედვის ტყით
გამოიპარნენ. უმეტესობას
მშობლები ეძებენ. გავიგე,
რომ გზადაგზა ოსები
იჭერდნენ და ტყვედ მი-
ჰყავდათ.

**ზინაბა ბასი-
შვილი.**

— მე აჩაბეთში მე-
ფრინველეობის ფაბ-
რიკის დასახლებაში ვცხ-
ოვრობ. სოფელი სულ
დაიცალა, რადგან მთე-
ლი ღამე ბომბავდნენ. მხ-

სახლებს წვავდნენ. ჩვენ ორნი რუს ჯარისკ-
აცებს არაყს ვაძლევდით ხოლმე, ამიტომ
გვეუბნებოდნენ, ოსებისგან დაგიცავთო.
ოსის კაცმაც სცადა ჩვენი გადარჩენა. 19-
ში მოვიდა და ქართულად მითხრა: მოდი,
მანქანაში ჩამიჯექიო. უარის თქმას
როგორ გავუბედავდი?! კიდევ ვინ არის
სოფელში დარჩენილი, იმასთან მიმიყვან-
ეო, — მიბრძანა. მეორე ქალიც მანქანა-
ში ჩავისვით. იმ კაცმა კი გვითხრა: ახ-
ლავე დატოვეთ სოფელიო. ტირილი დავი-
წყე. ყველაფერი წაიღეთ, ჩემი ხელით ჩა-
გილაგებთ, ოღონდ აქედან ნუ გაგვყრი-
თეთქი, — ვუთხარი. — მოგკლავენ, დედა,
მოგკლავენო! — მითხრა. მაინც არ და-
ვუჯერეთ. რამდენიმე საათი გავიდა. ოთხი
ბიჭი დავინახეთ. სათითაოდ შერბოდნენ
სახლებში და ცეცხლს უკიდებდნენ. თვა-
ლის დახამხამებაში ცეცხლი სახურავებს



**5 შვილი მყავს. ხუთივეს
დაუწვას სახლი. არც ერთი
მათგანის ადგილსამყოფელი
არ ვიცი. იქნაბ, თქვენს
ქურნალში მნახონ და
გამომეხმარონ...**

დანყებულნი, 9 სოფელი სულ გადანვეს,
იქ აღარაფერი არსებობს. წყალი სულ
ჭვარტილიანი მოდიოდა, მთელი დღე უნდა
დაგვედგა, რომ დანმენდილიყო. სოფელში
სუნთქვა ისე ჭირდა, რომ თეთრი ნაჭრე-
ბი გვერდნა ცხვირ-პირზე აფარებულნი. ახლა
სოფლებს ტრაქტორებით „ხვეტენ“. ოსები
ამბობენ: ჯაბიევიჩის ბრძანებაა — ალგავთ
მინიდანო. ჯაბიევიჩი ალბათ, კოკოითია.
როგორც უნდა გაგიკვირდეთ, სკოლები
არ გადაუნვათ. ვერ ვხვდები, რატომ...

— სახლები საერთოდ აღარ დგას?

— არა, შვილო. ძნელი დასაჯერებელია,
მაგრამ ეს 9 სოფელი ახლა მხოლოდ 9
დიდი ნასახლარია. აგერ თამარა ბებო ჩემთან
ერთად, ბოლომდე იქ იყო. ჩვენ თვალწინ
ინვოდა სახლები. ბოლოს დასანჯავი მხო-
ლოდ ჩვენი სახლებიღა დარჩა. 5 შვილი
მყავს. ხუთივეს დაუნვეს სახლი. არც ერთი
მათგანის ადგილსამყოფელი არ ვიცი. იქნებ,
თქვენს ქურნალში მნახონ და გამომეხმარ-
ონ... 21-22 აგვისტოს სოფელში ოსების
ნამდვილი შემოსევა იყო. ერთი რუსი
ჯარისკაცი მოვიდა ჩემთან. იმ ბიჭს პურს,
ყველს და ღვინოს ვაძლევდი ხოლმე. მას
სხვებიც მოჰყვებენ. მითხრეს: ბაბო, ნადი
აქედან, მალე ნადი, თორემ ვეღარ გიმშ-

ოლოდ სამი ქალი დავრჩით. მესამე ქალი
მეორე სართულის აივნიდან გადმოაგდეს
და სულ მთლად დაიღვინა. ოსები 3 დღის
განმავლობაში არ გამოჩენილან. როცა
გავიგეს, რომ ყველგან რუსების ჯარი იდგა,
მაშინვე კალიბრით შეესივნენ სოფელს.
ყველაფერი მიჰქონდათ — ლოგინი, ჭურ-
ჭელი, ქათამი, ძროხა და ა.შ. მერე კი

**მეინაბ
ბასიშვილი**



მოედო. ჩემს სახლსაც გადმოედო. წყალი
არ გვექონდა, ოსებმა გადაგვიკეტეს. ამი-
ტომ ჭას ვეცი. წყალს ვედროთი ვიღებდი
და ჩემს სახლს ვასხამდი. მეორე ქალს შეეშ-
ინდა, ცეცხლში მეც არ შემავდომო და
დაიმალა. ამ დროს ის რუსი ჯარისკაცი
მოვიდა, რომელსაც ხშირად ვაძლევდი საჭ-
მელს. ხუთი ვედრო წყალი იმანაც შეასხა
ჩემს სახლს. მერე გაიქცა. მითხრა: თუ დამ-
ინახეს, რომ გეხმარები, ცოცხლად დამ-
წვავენო... მარტო ქალი რას ვიზამდი?! ჩემი
სახლი ჩემ თვალწინ ნაცრად იქცა.

— უკან დაბრუნებას აპირებთ?

— დღესვე გავიქცევი ჩემს ნასახლარზე.
ჩემი სახლის ნახანძრალზე ვიცხოვრებ, იმ
ნაცარში მიჩვევია, მაგრამ დაგვაბრუნებენ?
ჩემი შვილი 3 წლის არის. ვიცი, რომ
ტყვედ არის ჩაყარდნილი. თუ გაათავისუ-
ფლეს, იქნებ, გამომეხმაროს.

გორის ცენტრში ხალხმრავლობაა. ხალხი
ყვითელი ავტობუსებით გორის ცენ-
ტრალური მოედნიდან სოფლებისკენ მი-
დის. დევნილები დედაქალაქიდან უკან
ბრუნდებიან. ერთი სული აქვთ, თავიანთ
სახლებს როდის ნახავენ. ზოგს იმის და-
ჯერებაც კი უჭირს, რომ მისი სახლი არ
დამწვარა.

ღეილა ცხოვლიძე:

— დღეს გული საგულეს აღარ მაქვს. ჩემი 3 შვილით საკუთარ ქერს ვუბრუნდები. ამ ხუთი წუთის წინ გავიგე, რომ ჩემი სახლის მხოლოდ ერთი ნაწილი დამინვარა. მადლობა უფალს, რომ შვილებს საკუთარ საწოლებში დავაძინებ! სკოლაში იატაკზე ეძინათ. იქ გატარებული ყოველი წუთი ჯოჯოხეთი იყო. წლების წინ ჩემს გალელ ნათესავეებზე ვთქვი, — რას გამორ-



მაშაკაცი ჩამოვარდნილი ბომბის ნაწილებს აგროვებენ და აგროფარეხში აწყოფენ



ბოდნენ, კაცებმა მაინც როგორ დატოვეს თავიანთი ნაოფლარი-მეთქი?! მაგრამ ჩემი შვილების სიცოცხლეს საფრთხე რომ დამუქრა, უკანმოუხედავად გამოვიქეცი. არ დამძრახოთ, გოგოებო, სახლი რომ მივატოვე! ძნელი ყოფილა ომის გაძლება. მაგრამ უფრო ძნელი აღმოჩნდა დევნილობა. რომ თქვეს, რუსების ჯარი გავიდაო, მაშინვე მოვდიოდი, მაგრამ ფული არ მქონდა და რითი წამოვიდოდი?.. სიხარულით მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. დღეს ამ ყვითელ ავტობუსს გამოყვევთ. სახლში დედამთილი მყოფდება. ჩემი ქმარი საზღვარგარეთ არის.

ლია წითლიძე:

— მე გორელი ვარ. ჩემი ბიჭებით, ნათესავთან ვიყავი შეხიზნული. რომ გამოაცხადეს, რუსების ჯარი მიდისო, სიხარულით თბილისელებიც ტიროდნენ. მეზობლები ხშირად შემოდოდნენ. ოჯახში 10 დევნილი ვიყავით. ისეთი დღე არ მახსოვს, ვინმეს ჩვენთვის ტანსაცმელი ან სურსათი არ მოეტანოს. ერთმანეთის მხარში დგომა ნამდვილად შეგვძლებია. დღეს რომ მოვდიოდი, მთელი ქუჩა მაცილებ-

და. მეზობლები გამოეფინნენ. ფული შეუგროვებიათ და 200 ლარი ჩამიდეს ჯიბეში. ჩემი სახლი დამწვარი არ არის, მაგრამ გაძარცვულია. ვიცი, რომ ყველაფერი წაიღეს, ღმერთს მაინც მადლობას ვნირავე, რომ ძაძების ჩაცმა არ დამჭირდა! ყველანი ცოცხლები გადავრჩით. ჩემი ორივე ძმა ჯარისკაცია. ერთი ლუდუშაურის საავადმყოფოში წევს, მეორე — გორის ჰოსპიტალში. ის ტყვედ იყო. ჩვენთვის ომი ნამდვილად დამთავრდა. გვიტხრეს, რომ ტალონებს დაგვირიგებენ — სექტემბრის ბოლომდე დღეგამომშვებით საკვებს ავიღებთ. აქეთ-იქით ვიყურები და არ მჯერა, რომ ნაომარი ქალაქი ასე უცბად გაასუფთავეს. რომ არა დაცხრილული სახლები, ომის კვალიც კი არ ჩანს.

ომის კვალი ილიკო სუხიშვილის ქუჩას აღბათ ყოველთვის დაეტყობა. აქ სამი საცხოვრებელი სახლი ისე უმოწყალოდ დაიბომბა, რომ აქაურობა საშინელებათა ფილმის კადრებს ჰგავს. მთლიანად დამწვარი და დაცლილი კორპუსიდან კივილისა და ტირილის ხმა ისმის: მეზობლები მაია ვაზაგაშვილს ტირიან. ამ ბინაში კიდევ სამი ქალბატონი დაიღუპა... გვერდით ის სახლი დგას, რომლის ნანგრევებშიც 7 თვის ორსული გოგო და მისი ქმარი მოყვნენ.

მანანა:

— აქ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დაიღუპა, ზვიადი და მისი 7 თვის ფეხშიძე ცოლი ნანგრევებში მოყვნენ. მათი სახლისგან აღარაფერი დარჩა. მანქანა, რომლითაც წასვლას აპირებდნენ, სულ დაბრუნდა. ჩვენი მეზობელი ზოია მძიმედ არის დაჭრილი. ჯერ არ ვიცი, გადარჩება თუ არა. სახლის ერთი ნაწილი ჩამოინგრა, დაინვა, მეორე შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ კარ-ფანჯრები ჩარჩოებიანადა არის ამოვარდნილი. ამჟამად თბილისში, კარვების ქალაქში ვცხოვრობთ. დღეს აქ ჩემი ქმარი დარჩება, ხვალ მეც ჩამოვიყვან ბავშვებს და ჩამოვალ. 5 წლის და 3 წლის შვილები მყავს. მათთვის ძნელი იქნება ამ საშინელების ნახვა, მაგრამ რა ვქნათ? ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენთვის აუცილებელია, პატარაობიდანვე ვისწავლოთ სიმტკიცე, ამტანობა და მოთმინება. ხედავთ, უცხოელი ჟურნალისტი დადის, იღებს სურათებს და გვიღებს ჩვენც — ადამიანებს, რომლებიც ამ ნანგრევებში ვბრუნდებით და ვაგრძელებთ ცხოვრებას?!

ნორა:

— მე ჩემი ოჯახით ხიდისთავში გადავედი, მაგრამ დღეს უკან დავბრუნდი. ხვალ ისინიც დაბრუნდებიან. აქ არის ჩვენი სახლი. ჩვენს მტრებსაც ის უნდათ, რომ არ დავბრუნდეთ. ერთი ქართველიც რომ დარჩეს, ქართველობა მაინც აღდგება. ძალიან ამტანი ხალხი ვყოფილვართ. წარმოიდგინეთ, როგორ დაიბომბა აქაურობა, მაგრამ იყვნენ ისეთები, რომლებიც მაინც

არ ნავიდნენ... ამ უცხოელმა ჟურნალისტმა რუსული იცის. გვეუბნება, — გმირები ხართო. ჩვენი კაცებისთვის უთქვამს: თქვენთან ყველა გმირი ყოფილა, მსოფლიომ ეს უნდა ნახოსო.

ელენე ზარაიძე:

— ჩემი რძალი და ბავშვი იმ წუთის წასულები იყვნენ, როცა დაბომბვა დაიწყო. მეც მინდოდა, საავადმყოფოში წასულიყავი და ქალიშვილი მომენახულებინა. სწორედ მაშინ გამოჩნდნენ ბომბდამშენები. არ არსებობს სიტყვები, რომლითაც გადმოვიცემ, თუ რა ხდებოდა. აღარაფერი ჩანდა, ყველაფერი თითქოს შავ ნისლში იყო გახვეული. სუნთქვაჭირდა. დენი აღარ იყო, არც წყალი გვექონდა. მე და ჩემი ასაკის მეზობელს გარაჟში გვეძინა. ერთ დღეს ორი რუსი ჯარისკაცი მოვიდა. წინ გადავუდექი. რალა შემაშინებდა? სიკვდილზე უარესი იყო ჩვენი ყოფა! გაგვატარე, ბაბოო, — მითხრა ქართულად. ვიყვირე, — ქართველი ხარ, ჯარისკაციო-მეთქი?! — ქართველი ვარ, ქუთაისელი, მაგრამ მოსკოვში გავიზარდეო, — მიპასუხა. — მერე, ქართველი ხარ და შენს ძმებს ხოცავენ-მეთქი?! — რა, ვენა, ბაბო, ჯარში ასეთი წესია, რასაც გიბრძანებენ, უნდა გააკეთოო, — თქვა. გული გამისკდა, მაგრამ რალას ვიზამდი? როგორც კი სადარბაზოში შევიდნენ, გვერდით გარაჟში შევევარი, იქ კაცები იმალებოდნენ. ვუთხარი, რაც ხდებოდა. არ დამიჯერეს. გამწარებულები მაშინვე გამოეფინნენ. ამასობაში ის სამხედროები უკან მობრუნდნენ. ერთი ბოთლი სასმელი მოჰქონდათ. ქართველი ბიჭი მომიახლოვდა და მკითხა: ეს სასმელი მონამლული ხომ არ არისო? ხელისგულზე დავისხი და მოვსვი. ალუბლის ლიქიორი იყო. ამ ხნის ქალი ვარ და მსგავსი არაფერი მიწახავეს... გუშინ რუსი ჟურნალისტი იყვნენ. ჩვენი კაცები ერთ-ერთს მისცვივდნენ: გადაიღე და შენს ხალხს აჩვენეო! მაინც არ გადაიღეს. ფოტოაპარატები ტყუილადაც არ გააჩნავს.

იანო:

— დედაჩემი, ანა მესხი უმძიმეს მდგომარეობაშია — კიბზე ჩამოდიოდა, სადარბაზოში ჭურვი რომ შევარდა. ახლა თბილისში რესპუბლიკურ საავადმყოფოში წევს. მუცლის ფარი სულ გაფატრული აქვს.

ნათია ავაძიანი:

— აქ 35 წლის ბიჭი მოკვდა. დილას დედამისი მოვიდა, სათელი დაანთო, იტირა და ნავიდა. საცოდავი ბიჭი სადარბაზოდან რომ გამოდიოდა, ჭურვი მაშინ მოხვდა და ადგილზე მოკლა. ჩვენ თბილისში ვიყავით. ახლა ჩამოვედით. ჩემი სახლისგან მხოლოდ ნაცარილაა დარჩენილი. არაფერი არ გადარჩა, ერთი სურათიც კი. ავეჯი მთლიანად დაინვა. უკვე მოვიდნენ, ყველაფერი აღწერეს; გვიტხრეს, რაც დასაგრევი, დაანგრევენ, რაც შესაკეთებელია — შეაკეთებენო. ძალიან ოპერატიულად მუშაობენ. არც ველოდით, თუ თბილისის მერია ასე სწრაფად დაიწყებდა დანგრეულის გასუფთავებას და აღდგენას. გვეუბნებიან, რომ გორი უფრო ღამაში გახდება... ■



აფხაზეთის „დაპოუქიდებლობა“ და აფხაზები

რუსეთმა საქართველოსთან დამაკავშირებელი უკანასკნელი ხიდიც დაწვა. დემიტრი მედვედევმა სეპარატისტული აფხაზეთისა და ენ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ხელი მოაწერა და განაცხადა, ეს არ იყო იოლი, მაგრამ აფხაზი და ოსი ხალხების გადასარჩენად გააკეთო. აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი რუსეთის პრეზიდენტის საბოლოო გადაწყვეტილებას მოუთმენლად ელოდა, რადგან ცხინვალის მოვლენების შემდეგ, ქართული მხარის მიმართ შიში უფრო მეტად გაიზარდა. თუმცა არსებობს განსხვავებული აზრიც — აფხაზების მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ ამით აფხაზეთა გარუსების საბოლოო პროცესი დაიწყო. რუსეთის საქართველოზე განხორციელებულ აგრესიას აფხაზეთში უკვე ეკონომიკური ბლოკადა მოჰყვა, რადგან პროდუქტი და პირველადი მოხმარების ნივთები აფხაზებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და მათ შორის, თბილისიდანაც ჩაჰქონდათ. რამდენად სარწმუნოა დიდი და აგრესიული რუსეთის გვერდით პატარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ამის შესახებ ჩვენი რესპონდენტებისგან შეიტყობთ (ინტერვიუ ჩაწერილია 24 აგვისტოს).



თუ ადრე ნახევარი აფხაზეთის გერბატორია რუსი ჯარისკაცებით იყო სავსე, ახლა მთელი აფხაზეთი მათ განკარგულებაშია

„რუსეთთან ყოფნა დამლუპველია, გაენადგურებით“

ლალი კაკასკირი

ნოდარი, 33 წლის, სოხუმელი აფხაზი:

— ოსების რა გითხრათ, მაგრამ აფხაზეთში ყველამ კარგად იცის, ახლა, ასეთ ვითარებაში აფხაზეთის დამოუკიდებლობა ჩვენი ტერიტორიის რუსეთთან მიერთებას ნიშნავს. ისინი კი, ვინც ამას ახლა ვერ ხედავს, სიმართლეს სულ რამდენიმე თვეში შეიტყობენ. ერთ-ერთ ორგანიზაციაში ვმუშაობ და მათთან ხშირი საუბარი მაქვს. მათ არც არასდროს უნდოდათ დამოუკიდებლობა. ამ ხალხს არც კი ესმის, რას ნიშნავს დამოუკიდებლობა და ეს მათი ლიდერის გამოსვლებიდანაც კარგად ჩანს. რაც

შეეხება აფხაზეთის დამოუკიდებლობას, მართალია, ქართულ-აფხაზური ომი სწორედ ამ მიზნით დაიწყო, მაგრამ სულ ცოტა ხანში მივხვდით, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთი ილუზია იყო, თუმცა მაინც ითხოვდნენ, ვერ გეტყვი, რატომ... ალბათ საქართველოსგან სამუდამოდ დასაშორებული ერთგვარი საშუალება იყო ან კონფლიქტის ზონების გაყინვას ემსახურებოდა. 15 წლის განმავლობაში აფხაზეთს დამოუკიდებელი სახელმწიფოსი არაფერი ეტყობოდა. ნებსით თუ უნებლიეთ, აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, გალის რაიონის მოსახლეობის ჩათვლით, რუსეთის მოქალაქე გახდა. ვერაფერს დამაჯერებს, რომ აფხაზე-

თის დამოუკიდებლობის შემდეგ, რუსეთი იმ პასპორტებს შეგვიცვლის ან უკან დაიბრუნებს... თუ ადრე ნახევარი აფხაზეთის ტერიტორია რუსი ჯარისკაცებით იყო სავსე, ახლა მთელი აფხაზეთი მათ განკარგულებაშია. რაიონის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობებში კი პირდაპირ გვეუბნებიან, ისინი ჩვენ გვიცავენ და პატივი უნდა ვცეთო. მეტი რაღა პატივი ვცეთ, მთელი აფხაზეთი მათ ემსახურება. ყველგან „დაბრო“ აქვთ. ყველაფერი მიაქვთ, ყველგან შედიან, სადაც მოესურვებათ. რასაც უნდათ, იმას აკეთებენ, ვისაც უნდათ, იმას იჭერენ და ვისგან გვიცავენ, არ ვიცი. საქმე ის არის, რომ მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. ყველგან არიან, ადგილობრივთა სახლებში, ბარებში, კერძო სასტუმროებში. მათია აფხაზეთი, არაფერს არაფერს უშლის, რაც მოეპრიანებათ, იმას აკეთებენ. თუ მედვედევმა აფხაზეთის დამოუკიდებლობას ხელი მოაწერა, სოხუმში საზეიმო ღონისძიებაც გაიმართება, მაგრამ არავინ დაიჯეროს, რომ ეს ხალხის პოზიცია იქნება. ხელისუფლებას ხალხი რომ ცხერის ფარად მიაჩნია, ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი. აზრს არც ადრე გვეკითხებოდნენ, მაგრამ ახლა, იმას აკეთებენ, რაც უნდათ. თქვენთვის ასე ჯობიაო, გვითხრეს და უნდა დავიჯეროთ. აბა, გაბედოს ვინმემ და განსხვავებული აზრი გამოთქვას.

— მართალი გითხრათ, თქვენი პოზიცია ცოტათი გაუგებარია. ქართველებთან თანაცხოვრებაც არ გინდათ...

— არა, ცხინვალის მოვლენების

დავნილთა საყურადღებოდ!

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, დღეისთვის რეგისტრირებული დევნილების საერთო რაოდენობა 119 ათასამდეა, აქედან საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დაბრუნება უპრობლემოდ შეუძლია 87121 დევნილს, ხოლო 31462 კვლავ დევნილობაში რჩება.

გრძელდება სერვისი — „იპოვე შენი ნათესავი“. დაინტერესებულმა პირებმა უნდა დარეკონ ნომერზე: 17.22.22 და ოპერატორები უკვე, 119000-მდე ადამიანის მონაცემში მოიძიებენ დევნილებისთვის სასურველ ინფორმაციას.

აღნიშნულ საძიებო სისტემაში ჩართულია აგრეთვე მობილური ჯგუფების მიერ შეგროვებული ინფორმაციაც, რაც პიროვნების მოძებნის ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის.

ამ დროისთვის სერვისით — „იპოვე შენი ნათესავი“ — სულ 600-მდე ხარის შემოვიდა, აქედან 400-ზე მეტმა მოქალაქემ მისთვის სასურველი პიროვნება იპოვა.

შემდეგ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება არავის მოუვა აზრად, მაგრამ ახლა, როცა საბოლოოდ დაგვიპყრო რუსეთმა, მისი კლანჭებიდან თავის დაღწევა ბევრად უფრო გაგვიჭირდება, ვიდრე საბჭოთა საქართველოსგან. სანამ ხალხი იმ გადანყვეტილებამდე მივა, რომ რუსეთთან ყოფნა დამლუპველია, მორალურად და იდეოლოგიურადაც გავნადგურდებით. ჩვენს ხალხს 90-იან წლებში იმისთვის არ უბრძოლია, რომ რუსის ხელქვეითი გამხდარიყო. არ ვიცი, ახლა რამ-

მათნაირ დამონებულ აფხაზებს ატყუებენ, ჩვენ გეხმარებითო. სინამდვილეში აფხაზეთში ჩადებულ ინვესტიციებსა და ბიზნესიდან ამოღებულ ფულს გვაძლევენ. რუსეთში იმდენი წელი მომინია ცხოვრებამ და სამსახურში ისეთი დაძაბული რეჟიმი მქონდა, სამშობლოში ჩამოსასვლელად ზაფხულობითაც ვერ ვიცლიდი. როცა ვრეკავდი, ჩემებს ვეკითხებოდი, როგორ ხართ-მეთქი, უკეთესობა არისო, მეუბნებოდნენ. ნელს მეც დავიჯერე და ჩამოვედი.

— არ დაგვბდა უკეთესი პირობები?

— ბევრად უარესი პირობები დამხვდა. ხალხი ისეა შეცვლილი და დაშინებული, რომ ყველანაირ პირობაზე თანახმა არიან. ჩემი ხალხი წლების განმავლობაში დაგროვილ პრობლემებს დაუჩოქებია. აფხაზი ერი ამაყი იყო... ახლა კი გამუდმებული შიში

ბუდე გახდებოდა. ვინმეს თუ წარმოუდგენია, რომ იქ გაზრდილი თაობა ნორმალური იქნება, მას ან სამშობლო ეყვარება, ან თავისი ხალხი, სხვა რამეზე აღარ მაქვს ლაპარაკი ძალიან ცდება.. ყაჩაღი აფხაზების ოჯახის წევრები სიამაყით ამბობდნენ, ეს საცოდავი მეგრელები სულ ჩვენთვის შრომობენ, რაც აქ დატოვეს, ხომ ჩვენია, რაც ომის შემდეგ იშოვეს, ისიც ჩვენთვის უწვალათო... შემძრა მათმა პოზიციამ. როცა ქართული ტელეარხები რუსების ავანაყობას აჩვენებდნენ, ჩვენი ხალხი გაოცებული კითხულობდა, აბა რა ეგონათ, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყვნენო... ამდენწლიანმა მონობამ ხალხს ყველანაირი ღირსება დაუკარგა... რუსები ბევრნი არიან და საღად მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფი მაინც გადარჩება, ერმა არსებობა რომ გააგრძელოს. სამწუხაროა, მაგრამ აფხაზებს ამის ძალზე მცირე შანსი აქვთ. ადგილობრივთა უმეტესობა ნაძარცვით არსებობს. ისინი ერთმანეთსაც ჰპარავენ. ალბათ მალე იმ წარსულს დაუბრუნდებიან, როცა თიხით შელესილი სახლები დიდი თხრილით ჰქონდათ ერთმანეთისგან დაცული, რადგან ერთმანეთს არ ენდობოდნენ. შემძრა ჩემი ერის ყოფამ. ჩემს ნათესავს ვკითხე, კი მაგრამ, სანამ რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყებოდა, როგორ არსებობდით-მეთქი? სამეგრელოდან გადმოგვექონდა პროდუქტი, პირველადი მოხმარების ნივთები და აქ ვყიდდითო. რუსებისგან რატომ არ ყიდულობდით ფსოუს საზღვარზე-მეთქი, რუსული პროდუქტი უფრო ძვირი ღირსო... მერე ისიც „გამიშვილა“, რომ მისი ცოლი და და თბილისში დადიოდნენ, იქ ბაქოდან ჩამოტანილ ტანსაცმელს ყიდულობდნენ და სოხუმში ვაჭრობდნენ... მე ქართველების მეხოტბე არასდროს ვყოფილვარ, მათთან ურთიერთობას რუსეთშიც კი ვერიდებოდი, რადგან ვიცი, რომ ჩემს ხალხს გენოციდი მოუწყვეს, მაგრამ ახლა აფხაზების საქციელის გამო შემრცხვა; როცა სულს ლაფავდით, მათ ხელი მოგიმართეს და გადაგარჩინეს, ახლა კი სიტუაციით სარგებლობთ და არ ინდობთ-მეთქი. იმან კი დამარიგა, ეგ ხმამალა არ გაიმეორო, თორემ ოჯახიანად მოგიწევს აფხაზეთის დატოვებაო. მას შემდეგ, რაც იქ ვნახე, აფხაზეთში ცხოვრების სურვილი საბოლოოდ დამეკარგა. იქ ცხოვრებას არც ვაპირებ და სანამ რუსი სამხედროები იქნებიან, არც დავბრუნდები.



ჩემი ხალხი წლების განმავლობაში დაგროვილ პრობლემებს დაუჩოქებია. აფხაზი ერი ამაყი იყო...

დენად დროულია ამაზე სინანული, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზების მცირე ნაწილს ამის გაცდა ნამდვილად აქვს. ამას წინათ, დასავლურ პრესაში, ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწის ვიტალი ჩირიკბას ინტერვიუ წავიკითხე, — აფხაზი ერი ისედაც ნახევრად მკვდარი ერია და რუსული პოზიციების იქ მოძლიერება, საბოლოოდ გაგვანადგურებსო.

ოსკან ძიჯვა, გუდაუთა, სოფელ გუდაყვის მცხოვრები:

— მე წლების განმავლობაში ვცხოვრობდი რუსეთში და კარგად ვიცნობ ამ ხალხის ბუნებას. მათ საკუთარი ქვეყანა არ უყვართ და ეს ხელმძღვანელობის ბრალია. საშინელი კანონები და ცხოვრების რეჟიმი აქვთ. რუსი ახალგაზრდები ევროპასა და ამერიკაში ცხოვრებაზე ოცნებობენ. მოსკოვის, პეტერბურგისა და კიდევ რამდენიმე რუსული ქალაქის იქით, მოსახლეობა უკიდურესად გადატყავებულია. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ ანაწილებენ ასაკოვანი რუსები თვიდან თვემდე პენსიას. იქ ჯერ კიდევ ჩალით გადახურულ ქოხებში ცხოვრობენ. მე ციმბირის ამბებს კი არა, მოსკოვიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ უბნებზე გიყვებით. რუსები ჩემს მშობლებს და

აქვთ — ხან ქართველის, ხან რუსის, ხან ისევ აფხაზის. ერთმანეთს არ ენდობიან და არც ინდობენ. თუ პოლიტიკაში არ ხარ და ხალხის გამყიდველ ბლადფუს არ უჭერ მხარს, ყველას მოღალატე ჰგონიხარ... ცხინვალში ომი რომ დაიწყო, რასაც სამეგრელოსა და დანარჩენი საქართველოს გათიშვა მოჰყვა, ჩემი მეზობლები დაირაზმნენ, რუსებს გამოწვავალი ფორმები არაყზე გაუცვალეს და ზუგდიდის სოფლებს მიანყდნენ. მერე კი პირდაპირ ენგურის ხიდით გადადიოდნენ სამეგრელოში...

— რისთვის?

— სანადიროდ. ახლა იქაურობას ქართული პოლიცია აღარ აკონტროლებსო და საყაჩაღოდ გავარდნენ. ყაჩაღთა ჯგუფი ორად იყო გაყოფილი. ერთ ნაწილს მანქანებით სამეგრელოდან წამოღებული ნაძარცვი მოჰქონდა, მათ ენგურთან თავისიანები ხვდებოდნენ, დრო რომ არ დაეკარგათ, ნაძარცვს იქვე ცლიდნენ და ისევ უკან ბრუნდებოდნენ. ყველანაირ ნივთს ნახავდით, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან ბევრი იარაღიც გამოიტანეს. არა მარტო ზუგდიდან, სენაკიდანაც. აფხაზეთი, რომელიც წლების განმავლობაში კრიმინალების გავლენის ქვეშ იყო, ახლა საერთოდ ბოროტმოქმედების



„რუსეთი აპერიკულ სოვადღეზუე თავდასხმას ვერ გაბედავს“

ჩელი სექტემბრისათვის დაგეგმილ ევროკავშირის საგანგებო სამიტზე, საქართველოში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესია უნდა განხილულიყო, მაგრამ პოლიტიკოსები და ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ახლა, ევროკავშირის 27 ქვეყნის ლიდერი პუტინისა და მედვედევის მხრიდან საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტზე იმჯერებს და რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შესაჩერებლად, გარკვეულ მექანიზმებსაც შეიმუშავებს. პროგნოზების გამოთქმა ექსპერტს საერთაშორისო საკითხებში, კბხბ გოგოლაშვილს ვთხოვეთ.



ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო კახა, თქვენი აზრით, რას შეიძლება ველოდეთ ევროკავშირის საგანგებო სამიტისაგან?

— ევროკავშირი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას კიდევ ერთხელ დაუჭერს მხარს და რუსეთის ფედერაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არაკანონიერად გამოაცხადებს. სამიტზე წარმოდგენილი იქნება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, რომელშიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კრემლის მიერაც არის ცნობილი. აუცილებლად აღინიშნება ისიც, რომ რუსეთმა დაარღვია თავისივე მიცემული პირობა, რომლის მიხედვითაც, მოსკოვს, საქართველოს ტერიტორიული ურღვევობის პრინციპის გათვალისწინებით, ხელი უნდა შეენეო კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებისთვის. ერთ-ერთ მთავარ თემად განიხილება ის ფაქტი, რომ სარკოზის, სააკაშვილისა და მედვედევის მიერ დადებული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რუსეთის მიერ იქნა დარღვეული. ამ საკითხების გათვალისწინებით, ევროკავშირი უეჭველად შეიმუშავებს ერთიან პოზიციას და შეეცდება, კრემლთან მოლაპარაკებები გამართოს.

— ფიქრობთ, რომ რუსეთთან რაიმე სახის მოლაპარაკებას აზრი აქვს?

— ვფიქრობ, მოლაპარაკებამდე არც მიაგა საქმე. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ რუსეთი, მას შემდეგ, რაც მედვედევა დუმის გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი, რაიმე სახის მოლაპარაკებაზე წამოვიდეს, მაგრამ ევროპა თავისას მაინც ეცდება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს ქმედით ზომებს ანუ დასჯის რუსეთს.

— კუშნერმა განაცხადა, რომ ევროკავშირი არ განიხილავს რუსეთთან რაიმე სანქციის შემოღების საკითხს. ასეთი განცხადების შემდეგ რისი იმედი უნდა გვქონდეს?

— ეს განცხადება კუშნერმა იმიტომ გააკეთა, რომ იმედი ჰქონდა, მედვედევი დუმის გადაწყვეტილებას ხელს არ მოანერდა.

ახლა სხვა სახის გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.

— ახალი გარემოების გათვალისწინებით, რუსეთის წინააღმდეგ რა სახის სანქციები შეიძლება დაწესდეს?

— რუსეთის წინააღმდეგ მომავალში ტოტალური სანქციებიც შეიძლება დაწესდეს. ამჯერად ალბათ, ნაწილობრივი სანქციებით შემოიფარგლებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირისა და რუსეთს შორის თანამშრომლობისა და პარტნიორობის შეთანხმების რატიფიცირება აღარ მოხდება. ცოტა ხნის წინ, სავიზო რეჟიმის მოხსნა იგეგმებოდა, მაგრამ ახლა ის შერბილებული სავიზო რეჟიმიც გაკაცრდება, რომელიც აქამდე არსებობდა.

— ტოტალური სანქციებში რა იგულისხმება?

— ტოტალური სანქციების შემთხვევაში, საერთოდ წყდება ყველა სახის ურთიერთობა. ევროკავშირის წევრი ქვეყნები თავიანთ კომპანიებს რუსეთში აუკრძალავენ ნებისმიერი პროექტის ან ბიზნეს-ურთიერთობის განხორციელებას. გარდა ამისა, რუსულ საქონელს საერთაშორისო ბაზარზე ემბარგო დაედება. ასეთ ზომებს ევროკავშირი მოკლედ დროში ვერ მიიღებს, რადგან შესაძლოა, ამ ყველაფერმა ევროპულ ბაზრებზე დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, მაგრამ აუცილებლად შეიმუშავებს ისეთი სახის ზომებს, რომლითაც მისთვის ნაკლებად მტკივნეული გზით მოახდენს გავლენას რუსეთის ეკონომიკაზე.

— ერთი შეხედვით, კრემლს სანქციების შესაძლო დაწესება არ აზინებს. რა ბერკეტების იმ-

ედზე შეიძლება იყოს რუსეთი?

— როგორც ზიუგანოვმა თქვა, რუსებს საერთაშორისო თანამეგობრობასთან დაპირისპირების არ ეშინიათ, იმიტომ, რომ აქეთ უზარმაზარი ტერიტორია, ყველაზე დიდი, სახმელი წყლის რეზერვი. ამასთანავე, იმის იმედიც აქვთ, რომ მსოფლიო მათ არ დაუპირისპირდება, რადგან დასავლეთს რუსეთში ეკონომიკური ინტერესები აქვს. მაგრამ დასავლეთისთვის უმნიშვნელოვანესია, კავკასიაში თავისუფალი დერეფნის არსებობა, რომელიც შუა აზიასთან დააკავშირებს, რუსეთი კი თავისი ქმედებებით ამ დერეფნის ჩახერგვას ცდილობს და ამით დასავლეთს ძალზე აღიზიანებს. მოსკოვმა ისიც თქვა, რომ არც ნატოსთან სტრატეგიული პარტნიორობა აინტერესებს და არც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრება, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. როდესაც კრემლში ეს განცხადება გაკეთდა, პუტინმა უკვე იცოდა, რომ მისთვის გზა ისედაც ჩაკეტილი იყო. პუტინი და მედვედევი ახლა მხოლოდ შიდა პოზიციე-



ინტერბიზნესის აკადემია

განათლებისა და მენეჯმენტის სამინისტროს მიერ ლიცენზირებული ინტერბიზნესის აკადემია ახსნადას მიღებას 2008-2009 სასწავლო წლისათვის უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრისა და მაგისტრატურის | ჯარსხა.

აკადემია ფუნქციონირებს 1992 წლიდან და გასული წლის განმავლობაში გააერთიანებულა ბიზნესის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობების, მენეჯმენტის, სპორტის, მედიცინის, ხელოვნებისა და სხვა ფაკულტეტები.

ინტერბიზნესის აკადემიის დიპლომი აღიარებულია მსოფლიოს 102 სახელმწიფოს მიერ.

**მის: თბილისი, გურამიშვილის გამზ: 66 ა
ტელ: 605 423, 615 423**

სწავლი ინტერბიზნესის აკადემიაში

ბის გამაგრებზე ზრუნავენ. ამ ადამიანებმა რუსეთი თავად მოაქციეს იზოლაციაში და მალე ძალზე ნეგატიურ შედეგებსაც მიიღებენ.

პუტინისა და მედვედევის ურთიერთდაპირისპირების შესახებ ცნობებზე რას იტყვი?

— ეს მხოლოდ ბლეფია. მედვედევი ხელს აწერს იმას, რაც პუტინს სურს. ჩემი აზრით, მათ მიერ წარმოებული პოლიტიკის ხელახალი შეფასება აუცილებლად მოხდება თვით რუსეთში, თან ამას მათივე მხარდაჭერები გააკეთებენ. ყველაზე მნიშვნელოვანი — რუსეთის ბიზნესსტრუქტურის რეაქცია იქნება, რადგან პუტინ-მედვედევის ტანდემი მათ საერთაშორისო ბიზნესში ინტეგრაციისკენ გზას უღობავს.

რამდენად შესაძლებელია, რომ ეკონომიკური კრიზისის გარდა, რუსეთს ტერორიზმი მთლიანობის პრობლემებიც შეექმნას?

— ჩემი აზრით, რუსეთის ავტონომიურ რეგიონებში აუცილებლად გამოჩნდებიან პოლიტიკოსები, რომლებიც ჩეჩნეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის დამოუკიდებლობას მოითხოვენ. ისინი სრულიად სამართლიანები იქნებიან, თუ იტყვიან, რომ ჩრდილოეთ ოსეთი გაცილებით დიდი და მრავალრიცხოვანია, ვიდრე ცხინვალის და დამოუკიდებლობის უფლება მისაც აქვს. ალბათ ისევე წამოიწივს წინ ჩეჩნეთის პრობლემა. გაჩნდება სრულიად ლოგიკური კითხვა — რატომ უნდა ჰქონდეს აფხაზეთს ჩეჩნეთზე მეტი სუვერენული უფლება?!

დღეს საკმაოდ დაძაბული ვითარებაა საქართველოს ზღვისპირეთში. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?


— ალბათ ყველა ხვდება, რომ ნატოში საქართველოს გაწევრება ძალიან სწრაფად მოხდება, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით, მანამდეც დაგვემარებინ. ჩვენი ქვეყნის გაძლიერება მსოფლიოს ინტერესებში შედის, იმიტომ, რომ ევროპა-აზიის დერეფნების უსაფრთხოების გარანტიად მხოლოდ ძლიერი და დამოუკიდებელი საქართველო შეიძლება იყოს. ჩემი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ნატომ თავისი სამხედრო ბაზები ჩვენს ქვეყანაში განალაგოს. ახლა ჩვენ იმის მომსწრენი ვართ, რომ ნატოს ხომალდები თანდათან შემოვიდნენ და შავი ზღვის აკვატორიას იკავებენ. ამ ხომალდების რაოდენობა მომავალში კიდევ გაიზრდება. მალე რუსები იძულებული გახდებიან, ფოთის პორტი დატოვონ. ვფიქრობ, ნატოს სამხედრო საზღვაო ბაზა სწორედ ფოთის პორტში აშენდება. თუ პუტინი და მედვედევი უკვე დაწყებული პროცესის შეჩერებას შეეცდებიან, რუსეთის წინაშე კიდევ უფრო დიდი სირთულეები წამოიჭრება. ნატოს ხმელთაშუა ზღვის ფლოტი (ანუ ამერიკის მეექვსე ფლოტი) ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში, მაგრამ ნატოს კიდევ, სხვა შესაძლებლობებიც აქვს და მისი სამხედრო პოტენციალი, რაოდენობრივად და ხარისხობრივად, რამდენჯერმე აღემატება რუსეთის სამხედრო პოტენციალს, იმიტომ რუსეთი ამერიკულ ხომალდებზე თავდასხმას ვერ გაბედავს.

უკრაინა

ერტის წინააღმდეგ...

„რუსეთს ჩვენსავით, რამდენიმე ფრონტზე მოუწევს ბრძოლა“

რუსეთის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარებას ქართული მხარიდან შესაძლოა, აგრესორთან დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტაც მოჰყვეს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ლამის მთელი მსოფლიო დაუპირისპირდა, ის პოზიციას არ ცვლის და ჩვეული სიჯიუტით მიჰყვება წლების წინ აღებულ კურსს, ოღონდ — უკვე სრულიად დაუფარავად. ვითარებას ართულებს ისიც, რომ შავი ზღვის აკვატორიაში ნატოსა და რუსეთის სამხედრო საზღვაო ძალების რიცხვი თანდათან იზრდება. ჩვენ შევეცადეთ, კვალიფიციურ სპეციალისტებთან გაგვერკვია — სადამდე შეიძლება მივიდეს რუსეთის აღვირახსნილი ქმედებები და რა შედეგი შეიძლება მოუტანოს მას მსოფლიოსთან დაპირისპირებამ.



ევროკავშირი საქართველოს გერმანიის მთლიანობას კიდევ ერთხელ დაუჭერს მხარს

„ეს ხალხი იმაზე ბევრად ადრე დაინგრა, ვიდრე ბერლინის ხალხი“

ლელი პაპასკირი

— როგორც საქართველოში, ისე დანარჩენ მსოფლიოში ვითარება ყოველდღიურად იცვლება. იზრდება ნატოს სამხედრო გემების რიცხვი შავი ზღვის აკვატორიაში, ამავედროულად, რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით უკვე წამოვიდა სარაკეტო კრეისერო. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?

ამირან სალუშვანიძე, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი:

— ჩემი აზრით, ვითარება ხრუშჩოვის დროინდელ, კარიბის კრიზისს უტოლდება. შავი ზღვის აკვატორიაში რუსეთისა და ნატოს ფლოტების თავმოყრა და მათი რაოდენობის გაზრდა პირველად მოხდა. რიტორიკაც საკმაოდ დაძაბულია და რუსეთი აშკარად გამომწვევად იქცევა. იქ არსებული პოლიტიკური ძალებიც მმართველ პოლიტიკურ ელიტასა და თავიანთ ლიდერს — პუტინს უბაძენ მხარს. რუსეთი ალბათ გააგრძელებს ძალის დემონსტრირებას და დასავლეთს, კერძოდ, აშშ-სა და ნატოს არჩევანის საშუალებას არ დაუტოვებს. თუმცა ამ ეტაპზე ძალისმიერ დაპირისპირებას გამოვრიცხავ, მაგრამ რუსეთის იზოლაცია გარდაუვალია. ეკონომიკურ და პოლიტიკურ სანქციებს ვგულისხმობ. დასავლეთს მოუწევს ამ ნაბიჯების გადადგმა და რაც უფრო მკაცრი იქნება ეს ზომები, მით უფრო მალე

მოვა რუსეთი გონს.

— დემიტო მედვედევის განცხადებით, „რუსეთს „ცივი ომის“ არ ეშინია“. რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები? რამდენად შორს წავა რუსეთი? უნდა ველოდეთ თუ არა, რომ რამდენიმე დღის წინ განხორციელებულ აგრესიულ ქმედებებს გაიმეორებს? — საჰაერო იერიშებს ვგულისხმობ.

— საჰაერო იერიშებს ამ ეტაპზე არ უნდა ველოდეთ, რადგან ამას დასავლეთის მხრიდან ძალისმიერი რეაგირება მოჰყვება, რაც რუსეთს ხელს არ აძლევს. პუტინს იმედი აქვს, რომ მის ენერგორესურსებზე დამოკიდებული ევროპა შუაზე გაიხლიჩება და საბოლოოდ, რუსეთი თავისას გაიტანს, მაგრამ ის ცდება. ისევე, როგორც საქართველო არ გაიყო ორად, არც ევროპა გაიყოფა. რა თქმა უნდა, იქნებიან ცალკეული ფიგურები, თუნდაც — „გაზპრომის“ ჩინოვნიკი შრედერი, — რომლებსაც საპირისპირო მოსაზრებები ექნებათ, მაგრამ საბოლოო ჯამში, მივიღებთ ერთიან და საქართველოსავე კონსოლიდირებულ ევროპას. რუსეთი უნდა მიხვდეს, რომ არ შეიძლება თამაშის წესების შეცვლა და ენერგორესურსების გამოყენება ცივილიზებული მსოფლიოს წინააღმდეგ. ის ფაქტობრივად, მსოფლიოს უცხადებს ომს, რომელშიც მარტო დარჩება (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ქვეყანას) გაზის გადაკეტვა — ომის გამოცხადება. ევროპა ხვდება, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება.



თუ დათმობს, ის კატასტროფულად მოუ-
მატებს გაზს ფასს, რაც მაინც გამოიწვევს
ევროპაში სოციალურ უკმაყოფილებას.
როგორც „გაზროვნა“ განაცხადა, გაზის ფასი
500-დან 1.000 დოლარამდე აიწევს და ეს
კიდევ არ იქნება საბოლოო ფასი. ფაქტია,
რომ რუსეთს სულ უფრო მეტი უნდა. ასე
იცის იოლად გამდიდრებამ. სამხედრო ბიუ-
ჯეტს უკვე მათთვის ფანტასტიკურ ციფრამ-
დე — 50 მლრდ დოლარამდე ზრდიან, ეს
სხვა ხარჯების ზრდასაც გამოიწვევს, რასაც
გაზსა და ნავთობზე ფასების მომატების გარეშე
ვერ გასწვდებიან... ნატოსთან დაპირისპირე-
ბის შემთხვევაში კი რუსეთის ხარჯები უფრო
და უფრო მოიმატებს. ახლა ორი „ოლქი“
დაიმატეს: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.
მათ რჩენას კი მოსახლეობის ხარჯზე აპირებენ,
რაც თავისთავად, მის უკმაყოფილებას გამ-
ოიწვევს. საბჭოთა კავშირისაც არ ემინოდა
„ცივი ომის“, მაგრამ სამხედრო ბიუჯეტის
უთავებოლო ზრდამ იგი საბოლოოდ დაშა-
ლა. რუსეთსაც იგივე ბედი ელის, თუ ასე
გააგრძელებს. ის უკვე განიცდის სერიოზულ
დანაკარგებს. უკვე ეჭვსაც აღარ იწვევს, რომ
სოჭის ოლიმპიადასთან დაშვებულობა მოუ-
წევს. ეცემა ფასიანი ქალაქების კურსიც,
რასაც ინვესტიციების შემცირება, შემდეგ —
შენწყვეტა მოჰყვება. რუსეთის საფინანსო
სისტემა დასავლეთიდან კონტროლდება და
რუსების იდეები — სარეზერვო ვალუტის
შექმნის შესახებ — იდეებადვე დარჩება.
ფიქრობ, რუსი მილიარდერებიც მალე
მოეგებიან გონს, რადგან მილიარდერი ვერ
გახდება მილიონერი: ან მილიარდერად
დარჩება, ან დილით გაიღვიძებს და აღ-
მოაჩენს, რომ ბანკოროტი გამხდარა. ჩემი
აზრით, ციხე ნელ-ნელა შიგნიდან გატყდება.

დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ რუსეთსა და ნატოს შორის



კრემლს სოჭის ოლიმპიადასთან დაშვებულობა მოუწევს

დაპირისპირების გამწვავებაზე, რამდენად რეალურია, რომ ასეთ შემთხვევაში საქართველო სამხედრო პოლიგონად იქცეს?

— ჯერჯერობით საქმე გვექნება პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაპირისპირებასთან. თუმცა დასაჩქარებელია საერთაშორისო კონტინენტის შემოყვანა კონფლიქტის ზონებში და საქართველოს მიღება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთება რთულია. კონფლიქტის დაწყებას ერთი ნაპერწკალიც ჰყოფნის. რუსეთის პოლიტიკური ლიდერები კი ცეცხ-

ლს აფრქვევენ თავიანთ განცხადებებში.
მაინც ოპტიმისტად ვრჩები და ვფიქრობ, რომ ძალის დემონსტრირება მშვიდობიანად ჩაივლის და რუსეთს დათმობა მოუწევს. როგორც განაცხადებაც, ნატოსთან სამხედრო ურთიერთობაში ნახევარწლიანი პაუზის აღების შესახებ, ნიშნავს, რომ რუსეთი იტოვებს უკან დასახევს და ევროპას ატყობინებს, რომ ნახევარი წელი — შემოდგომასა და ზამთარს ნიშნავს ანუ — გაზაფხულზე გავაგრძელოთ. რუსეთი არა დიპლომატიურ, არამედ ენერგეტიკულ პაუზას იღებს.

— მას შემდეგ, რაც რუსეთმა განაცხადა, — საერთაშორისო იზოლაციის არ შეშინაო, რა შეიძლება ნატომ და მთავლიო თანამეგობრობამ რუსეთის აგრესიას დაუპირისპიროს?


— პირველ რიგში, ერთიანობა. ევროპამ უნდა გაიგოს, რომ თუ სურთ კომფორტი შორეულ პერსპექტივაში შეინარჩუნონ, ხანმოკლე პერიოდით უნდა შეძლონ ცხელი წყლისა და გათბობის გარეშე გაძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთთან უფრო და უფრო მეტ დათმობაზე წასვლა მოუწევთ. დაჩქარებული წესით უნდა მიიღონ ნატოში საქართველო და უკრაინა. თუ რუსეთი ცვლის თამაშის წესებს, უფრო სწორედ — უხეშად არღვევს მათ, დასავლეთშიც მკაცრი ზომები უნდა გაატაროს, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკურიც და, თუ საჭირო იქნება, მზად უნდა იყვნენ სამხედრო სცენარისთვისაც. აბა, რად უნდათ, ახელა არმიებს რომ ინახავენ?... აშშ-სა და ნატოსთან დაპირისპირება სერიოზულად დაარტყამს რუსეთის ეკონომიკას. რუსეთის არმიას არ შესწევს უნარი, დაუპირისპირდეს ნატოს. თუ ბირთვული იარაღის იმედით ბაქიბუქობენ, ერთი განცხადებაც კი ამ თემაზე, რუსეთის სრულ ბლოკირებას გამოიწვევს და ამ ჭაობიდან ის ვეღარასდროს ამოვა. ყველაზე გადამწყვეტი — ჩინეთის პოზიცია იქნება, რომელიც არ დაუჭერს მხარს რუსეთს, რადგან ის უომრად იპყრობს რუსეთის აღმოსავლეთ ნაწილს... დარწმუნებული ვარ, რუსეთში ადრე თუ გვიან დაიწყება „დამოუკიდებლობის აღდგენის“ ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა სუბიექტს ცვნობთ. რუსეთი საკუთარ თავს იმშვიდებს, — ეს პრობლემა მოგვარებული მაქვსო. რა თქმა უნდა, ოსტანკინოს სტუდლიდან სეპარატისმის საშიშროება არ ჩანს, მაგრამ აბა, ჩავიდნენ ჩრდილო კავკასიის ქალაქებში, ბაშკირეთსა და სხვა რეგიონებში!.. მალე ალბათ იაპონიასთან გაერთულდება ტერიტორიული პრობლემები... რუსეთს ჩვენსავით, რამდენიმე ფრონტზე მოუწევს ბრძოლა. პროცესები ელვისებური სისწრაფით განვითარდება. საქმე ის არის, რომ ამ პროცესებს რუსეთი თვითონ აჩქარებს. ასე რომ, რუსეთმა განაჩენი საკუთარ თავს თვითონ გამოუტანა.

კობა ლიპლიძემ, სამხედრო ექსპერტი, ურუნალისტი:

— ეს არის ძალიან ცუდი გადაწყვეტილება — როგორც საქართველოსთვის, ისე დანარჩენი მსოფლიოსთვის, მათ შორის, რუსეთისთვის. მან საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა და ზოგადად, მსოფლიო თანამეგობრობა ახალი პრობლემის წინაშე დააყენა. ეს ჩვენი ქვეყნისთვის, რა თქმა უნდა, კარგი არ არის, მაგრამ ფორმალურად რუსეთს ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, როგორც საკუთარი ანკლავი, უკვე დაეფაქტოდა აღიარებული ჰქონდა. ახლა ეს ყველაფერი იურიდიულად გააფორმა. მაგრამ ისინი არ იქნებიან დამოუკიდებელი სუბიექტები. დოკუმენტს შესაძლოა, რამდენიმე ქვეყანამ მოაწეროს ხელი — ბელორუსიამ, სირიამ, კუბამ და ა.შ. მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი. საქართველოსთვის გაცილებით საშიში იქნებოდა, ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობისთვის ისეთი ქვეყნების ლიდერებს მოეწერათ ხელი, რომლებსაც საერთაშორისო თანამეგობრობა ანგარიშს უსწევს. ჩემი აზრით, ამის შემდეგ, საქართველო უფრო მეტად მოექცევა დასავლეთის ორბიტაში. აგრეთვე, დაჩქარდება განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენა რაც მთავარია, დეკემბრისთვის საქართველო მიიღებს „მასს“, რის შემდეგაც ძალიან მალე გავხდებით ნატოს წევრი ქვეყანა.

— რაც შეეხება, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემას.

— ეს საკითხი ღიად დარჩება, მაგრამ ნატოში შესვლის შემდეგ მისი დაბრუნების შანსი უფრო გაიზარდება, ვიდრე მამინ, როცა რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობათა ნორმებით თამაშობდა, — ვითომ მედიატორი და შუამავალი იყო. დიახ, რუსეთის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარება ცუდია, მაგრამ ტრაგიკული არ არის. მოდი, გავიხსენოთ, როგორი იყო გერმანია, როცა მისი ერთი ნაწილი ნატოს წევრი იყო, მეორე კი — საბჭოთა კავშირის ბანაკის. რამდენ ხანს ელოდნენ გერმანელები „ბერლინის კედლის“ დახრევას!.. კედელი, რომელიც რუსეთმა ქართველ და აფხაზ, ქართველ და ოს ხალხებს შორის აღმართა, იმაზე ბევრად ადრე დაინგრევა, ვიდრე გერმანული კედელი. ამ შემთხვევაში კი ყველაზე მეტად, რუსეთი დაზარალდება. დღეს საქართველოს მართლა უპრეცედენტო მხარდაჭერა და დახმარება აქვს — გნებავთ, მორალური, გნებავთ, პოლიტიკური, მატერიალური თუ სამხედრო. ვერავინ დამაჯერებს, რომ სამხედრო ჰუმანიტარული ტვირთი სასმელი წყლითა და შამპუნით შემოიფარგლება. იქ უფრო სერიოზული და საჭირო ტვირთიც არის... მე აქტიურად ვცნობი დასავლურ პრესას, სადაც ამერიკელი სენატორები წერენ, რომ საქართველო ამერიკისგან პურსანინალამდეგო, ტანკანინალამდეგო და სხვა სისტემებს მიიღებს. მათივე თქმით, გაძლიერდება დახმარება სხვა მიმართულებითაც: ლაპარაკია საქართველოს ეკონომიკის მილიარდინი ფონდით დაფინანსებაზე. ასე რომ, მოსკოვის გაუაზრებელი პოლიტიკის სანინალამდეგოდ ამაყარი გზავნილები კიდევ იქნება.



ბაც ვერ მოვახერხებ — მხოლოდ სიცოცხლის გადარჩენაზე ვფიქრობდით. შემოვლითი გზით, წვერიახოდან წამოვდით, ვინ მანქანით მივდიოდით, ვინ — ფეხით. მტრები, როგორც კი მიხვდნენ, სოფელი იცლებოდა, მაშინვე სროლა დაგვიწყეს.

— რუსები ისროდნენ თუ ოსები?

— მგონი, უფრო რუსები ისროდნენ, თუმცა, ალბათ, ოსები მიუთითებდნენ, რომელ მხარეს ესროლათ. რალაც საშინელება ხდებოდა. ჩვენ უკან, დიდი მანქანით, ჩემი რძლის მშობლები მოდიოდნენ. ის მანქანა დაცხრილეს, საბედნიეროდ, შიგ მსხდომები გადაარჩინენ.

— გზაზე ბევრ დაღუპულს ან-

ფეხით მოვდივართო.

— თქვენი სახლის შესახებ იცით რამე?

— გადამწვარია. კომპიუტერში ნახა ჩემმა შვილმა გადამწვარი აჩაბეთი და ერთ ეზოში ჩვენი ტრაქტორი შენიშნა, ნომრით ამოიცნო, სახლი კი დამწვარი იყო. ასე რომ, სახლი აღარ არსებობს.

— თიკოც თქვენთან ერთად იყო, რომ გამოიქცით?

— თიკო წინააღმდეგ გამოვუშვი თბილისში, რალაც მინვევა ჰქონდა და დაურეკეს.

— თქვენი მეზობლების, ნათესავების შესახებ თუ იცით რამე?

— ნათესავები ვიცი, სადაც არიან, მეზობლები დაკარგულები იყვნენ. 12

„თავის გადარჩენაზე ფიქრობდით და დახოსილვას ეუკარგვებას ველაგვს ვაქსოვდით“

ირმა ხარშილაძე

„ჯეოსტარი-2006“-ის გამარჯვებული აჩაბეთელი თიკო ქულუხაძე პირველად სოფელ თამარაშენში, 2004 წლის მაისში დიდი ლიახვის სოფლების მოსწავლეთა „დელოფიადაზე“ აღმოვაჩინეთ. მაშინ საქართველოს რადიოში ვმუშაობდი და ჩემს მეგობრებთან ერთად ფესტივალ „გაზაფხულის ზარები-სთვის“ ნიჭიერ შემარულებლებს ვეძებდით. მასსოვს, თიკომ მერაბ მერაბიშვილის „პირიშზე“ შეგვისრულა და იმდენად აღგვაფრთოვანა, თამარაშენის გამგებელს ვთხოვეთ, ეს ბავშვი თბილისში ჩამოგვიყვანეთ-მეთქი. თიკოს ახლა უკვე ბევრი გულშემატკივარი ჰყავს საქართველოში, ბევრმა შეიყვარა მისი სიმღერა და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებენ. სამწუხაროდ, დღეს მისი ოჯახი, ისევე როგორც ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი დევნილადაა ქვეულის ომს და ტყვეობს თავდაღწეულებმა თბილისს შეაფარეს თავი.

ლალი ქულუხაძე, თიკოს დედა:

— რვა აგვისტოს, სალამოს 7-8 საათისთვის გამოვიქცეით აჩაბეთიდან. დაბომბვა წინააღმდეგ დაინწყეს, მაგრამ მაშინ არ დავტოვეთ სოფელი არც ჩვენ, არც — სხვა მცხოვრებლებმა. ვფიქრობდით, რომ რალაც გაუგებრობა იყო და ყველაფერი მალე დასრულდებოდა. მში უფრო გართულდა სიტუაცია. ცხინვალის მასობრივი დაბომბვა რომ დაინწყეს, ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია, ნაწილი ჩვენს სოფელშიც შემოვიდა და ჯარისკაცებმა გვითხრეს, — წადით, თავს უშველეთო. როგორც ვიყავით, ისე გამოვიქცეით. ერთი ნივთის წამოღე-

ვდებოდით?

— ძალიან ბევრი იყო დაღუპული, მაგრამ ყველანი თავის გადარჩენაზე ვფიქრობდით და დახოსილებს ყურადღებას ველარც ვაქცევდით. ალბათ, ეს გადარჩენის ინსტინქტი იყო.

— დაღუპულები ჯარისკაცები იყვნენ თუ მშვიდობიანი მოსახლეობა?

— სულ მშვიდობიანი მოსახლეობა იყო დაღუპული. ჩემმა ბიჭმა — ზურიკომ, რომელიც პოლიციაში მსახურობს, წვერიახომდე მოგვაცილა. მერე გადმოგვიხტა მანქანიდან და ჩემს მეუღლეს უთხრა, — აწი, უჩემოდ წადით, მე უკან უნდა დავბრუნდე, ჩემი ხეობის დასაცავადო. არადა, იმ პირობით გამოცხვევი, თუ თვითონაც წამოვიდოდა ბოლომდე, ისე მანქანაში არ ვუჯდებოდი — ჩემი შვილების გარეშე ცხოვრებას რა აზრი აქვს? იმან კიდევ მომატყუა. მერე კი დაგვირეკა, რომ ყველაფერი გადაწვეს რუსებმა, ჩვენ


ტყვე რომ გამოვუშვეს, მოხუცები, მათში ერთი ჩემი მეზობელი იყო. ავტობუსიდან რომ ჩამოიყვანეს, დანარჩენების ამბავს ვეკითხებოდი. მან გვითხრა, სახლები სულ გადაწვესო. საერთოდ, სოფელში ძირითადად მოხუცები დარჩნენ. ორი მოხუცის გზა-კვალი არ ვიცი, ვერ პოულობენ. ამბობენ, დახოცესო.

— სოფლის ახალგაზრდები სად არიან, იცით?


— დაფანტულები არიან და მათი არაფერი ვიცი. ჩვენი ოჯახიც დაქსაქსულია. მე სხვაგან ვარ, თიკო — სხვაგან, მეუღლეც — სხვასთან ცხოვრობს. ზურა ისევ გორის რაიონში იმყოფება. რეაბილიტაციის ცენტრში ოროთახიანი ბინა მოგვცეს და იმედო მაქვს, ჯახი შევიკრიბებით. კულტურის მინისტრის მოადგილემ, პაპუნა დავითიამ სანორლები მოგვიტანა. ლეიბები კი არ გვაქვს, მაგრამ ნელ-ნელა ალბათ, რალაცას მოვახერხებთ. შვილიშვილები მრინამლენ და საავადმყოფოში არიან, იმედია, მალე გამოჯანმრთელდებიან...

— ვიდრე დაბომბვა დაიწყებოდა, წინა დღეებში რამე დაძაბულობა შეიმჩნეოდა ლიახვის ხეობის სოფლებში? ომის დაწყების წინა პირობა არსებობდა?

— ჩვენ მშვიდად ვცხოვრობდით. ხეობა აყვავებული იყო, ბევრი რამ გაკეთდა. ამიტომ ვფიქრობდით, რომ ჩვენები ომს არ დაინწყებდნენ. ოსები კი ვერ გაბედავდნენ. ბოლო სამი დღის განმავლობაში რუსეთის ტელევიზიით აცხადებდნენ, რომ ოსები — ქალები და ბავშვები ტოვებდნენ სახლ-კარს. კი გვიკვირდა, მაგრამ მაინც ვერაფერს მივხვდით, თორემ რალაც აუცილებელ ნივთებს ხომ გამოვიტანდით?! ახლაც სიზმარში მგონია თავი...



საკატოროდ გადაქცეული სკოლები, ოთხი დღე სანბარში და სარკინებლად „გალამაზებული“ ტყვეები



დღეს მათ ყოფილი სამხედრო ტყვეები ჰქვიათ. მათი ტანჯვა-წამება ფერისცვალების დღეს დასრულდა. ასლა იარებს იშუშებენ. ამბობენ, რომ მეორედ დაიბადნენ და სამშობლოს ისევ რომ დასჭირდეს, სიცოცხლეს არ დაიშურებენ. გული კვლავ ბრძოლის ველისკენ მიუწევთ. მაგრამ ის, რაც ტყვეობის დღეებში გადაიტანეს და განიცადეს, არასდროს დაავიწყდებათ. ვფიქრობ, თქვენც დიდხანს გაგყვებათ მათი მონათხრობით გამონწვეული ემოცია.

თამუნა კვინიკაძე

ზაზა კავთიაშვილი 32 წლის არის, IV ბრიგადაში მსახურობს. ომის დაწყების პირველი დღიდანვე ფრონტის წინა ხაზზე გავიდა. ცხინვალში შესვლის შემდეგ მძიმედ დაჭრილი, ტყვედ ჩავარდა.

— ვაზიანიდან 7 აგვისტოს, 3 საათზე გავედით. კონფლიქტის ზონაში შესვლისთანავე საომარ ოპერაციებში ჩავებით. ორ დღეში ცხინვალში შევედით. საბრძოლო გადაადგილებებს ფეხით ვანარმოებდით.

წინააღმდეგობას არავინ გინევდათ?

— წინააღმდეგობას ვერ გვინევდნენ, ოსები ერთს გაიბრძოლებდნენ და მერე გარბოდნენ. მათ სოფლებში უპრობლემოდ შევედიოდით. სამოქალაქო პირებიც ნაკლებად გვხვდებოდნენ. ჩვენთან ერთად სპეცრაზმი იბრძოდა, უკან ბათუმის ბრიგადის ნაწილები მოგვყვებოდნენ. ცხინვალის შესასვლელთან დავიყავით და სხვადასხვა მიმართულებით წავედით. დაახლოებით 3-კილომეტრიანი მონაკვეთის შემდეგ, მოულოდნელად რუსებს შევეჯახეთ. ჩვენ — ნიქოზის მხრიდან, ისინი კი სავარაუდოდ, თამარაშენის მხრიდან შემოდოდნენ.

მათი ნაწილების გადაადგილების შესახებ ინფორმაცია არ გქონდათ?

— არა, ეს ჩვენთვის მოულოდნელი იყო. ჯარისკაცების რაოდენობით ჩვენზე ბევრნი იყვნენ. ჯავ-

შანტეჟნიკით, „ბეემუეებით“ შემოვიდნენ. იმ გზაზე, სადაც ჩვენი შეტაკება მოხდა, ქართველების 2 ოცეული ვიყავით. საბრძოლო ტექნიკა ჩვენ არ გვქონდა, მხოლოდ ავტომატებით წინააღმდეგობას როგორ გავუწევდით?!

სათანადო ტექნიკის გარეშე ფრონტის წინა ხაზზე გასვლა ხელმძღვანელობის შეცდომა არ იყო?

— არ ვიცი, რა მოხდა. რუსებთან შეტაკების შემდეგ, ნ ჯარისკაცი მთავარ ჯგუფს მოვწყდით, ალყაში მოგვაქციეს. დანებებას მაინც არ ვაპირებდით, ალყიდან თავის დაღწევას ვცდილობდით. ამ დროს ფეხში დამჭრეს. იქვე ახლოს შენობები იდგა, ერთი ნაგებობიდან — მეორეში, მეორიდან მესამეში გადავდიოდით, თავი ტყისთვის რომ შეგვეფარებინა.

იმ ექვსიდან დაჭრილი მხოლოდ შენ იყავი?

— არა, კიდევ ერთი ჯარისკაცი დაგვიჭრეს, მაგრამ მე მძიმედ ვიყავი, მარჯვენა ფეხს საერთოდ ვეღარ ვამოძრავებდი. გადაადგილებაში ბიჭები მეხმარებოდნენ. ბოლოს ერთერთ შენობაში გავმაგრდით. რუსებმა ერთი კი შემოგვიტყეს, მაგრამ ცეცხლი ჩვენც გაუხსენით და გაიქცნენ. ცოტა ხნის შემდეგ, ჩემი თანამებრძოლებიც გამოვიდნენ და დამპირდნენ, რომ ჩემს გასაყვანად, დამხმარე ძალასთან ერთად მობრუნდებოდნენ. იმ დროს ჩემი თან ნაყვანა წარმოუდგენელი იყო: სროლის ხმა წამითაც კი არ ჩერდებოდა, რუსები ყველაფერს წმენდდნენ. იმ შენობაში 1 საათი მარტო ვიყავი.

მივხვდი, რომ ჩემები იქ მოსვლას ვეღარ მოახერხებდნენ. რუსებს რომ არ ვუპოვე, ვიფიქრე, სარდაფში ჩავხოსდები და რომ დაღამდება, იქნებ როგორმე იმ სარდაფიდანაც გავიდე-მეთქი. სარდაფში როგორც იქნა, ჩავხოსდი და რას ვხედავ: იქ ოსები ყოფილან დამალულები. განმაიარაღეს. მათ იქ კიდევ მ ქართველი ჰყავდათ, მაგრამ არც ერთს არ ვიცნობდი.

შემდეგ სად წაგიყვანეს?

— იმ ღამეს სარდაფში გვამყოფეს, მეორე დღეს კი ადგილი შეგვიცვალეს. ფეხით წაგიყვანეს. მე სიარული არ შემეძლო, სხვები მატარებდნენ. ისინი დაჭრილები არ იყვნენ. ბოლოს 3 დღით ცხინვალის №8 სკოლაში გავვაჩერეს.

როგორ გაქცეოდნენ?

— ძალიან ცუდად. ოსები, ჩეჩნები, კაზაკები — ვინც გვნახავდა, ყველა გვცემდა, არადაამიანურად გვექცეოდა. 3 დღის შემდეგ, ცხინვალის მილიციაში გადაგვიყვანეს.

დაჭრილი იყავი, სამედიცინო დახმარება არ გაგინიეს?

— ისინი მებრძოლები იყვნენ, თვითონ არაფერი ჰქონდათ, მე რას გამიკეთებდნენ?.. მხოლოდ ჭრილობას, ყოველგვარი დამუშავების გარეშე, ბინტით მიხვევდნენ. მილიციაში დაკითხვაზე ვყავდით. სანამ იქ გადაგვიყვანდნენ, ჩვენი ორი ტყვე დახვრიტეს.

რატომ, რა ნიშნით შეარჩიეს?

— პირველი ალბათ იმიტომ დახვრიტეს, რომ ნერვები დაეოკებინათ; მეორე — იმიტომ, რომ ოსი



იყო და ჩვენს მხარეს იბრძოდა. მილიციის 2 საათი მამყოფეს, შემდეგ კი კარების ჰოსპიტალში მომათავსეს. ექიმები მოსკოვიდან ჰყავდათ ჩაყვანილი. მათ ჭრილობები დამიმუშავეს, 3 დღე მკურნალობდნენ. იქ, ჩემ გარდა, უამრავი რუსი, ოსი, ჩეჩენი, კაზაკი სამხედრო იყო დაჭრილი, რომელთაც ახლობლები აკითხავდნენ. ბოლოს ექიმებმა მითხრეს, — შენს უსაფრთხოებას ვეღარ უზრუნველყოფთო, — და ვლადიკავკაზში გადამიყვანეს.

— იქ ქართველი ტყვეები ხომ არ გინახავს?

— ვლადიკავკაზში 2 ქართველი ტყვე დამხვდა. ისინი დღეს თავისუფლები არიან. მესამე დღეს ვლადიკავკაზიდან ჯავაში გადმოგვიყვანეს, იქ 1 ლამე გაგვაჩერეს და 19 აგვისტოს უკვე ჩვენი გაცვლა მოხდა.

— ამ დღეს 15 ქართველი ტყვის გათავისუფლება მოხდა. რუსებს სხვა ტყვეებიც ჰყავდათ? ამის შესახებ არაფერი იცი?

— ვერაფერს გეტყვი, ჯავიდან მხოლოდ 3 ტყვე გადმოგვიყვანეს.

— ხელი რატომ გაქვს დაზიანებული?

— მოტეხილი მაქვს, ავტომატის კონდახი ჩამარტყვეს. ოსები სასტიკად გვექცეოდნენ, ზოგიერთი ჩვენს მოსაკლავად იწყებდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც აჩერებდნენ, — გასაცვლელად გამოგვადგებინაო.

— რა ბედი ეწია შენს თანამებრძოლებს?

— ნაწილი დაიღუპა, ნაწილი ცოცხალია. დაჭრილებიც არიან.

როცა სარდაფიდან ამომიყვანეს და ცხინვალის მე-6 სკოლისკენ მივყავდი, ქუჩაში ჩვენი ჯარისკაცების გვამები ეყარა. მათგან ვერც ერთი ვერ ვიცანი.

— ბევრი იყო?

— არც ისე ბევრი, როგორც ამბობენ... რომ არა საპაერო დაბომბ-

— სახელი მამამ, იმ ექიმის პატივსაცემად დაარქვა, რომელიც მას ვლადიკავკაზში მკურნალობდა.

ზაზასა და ხათუნას შვილის დაბადებას ვულოცავთ, პატარა ვახტანგს კი ბედნიერ მომავალს და მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებთ.

სარდაფში როგორც იქნა, ჩაგხონდი და რას ვხედავ: იქ ოსები ყოფილან დამალულები

ვა, რუსების ამ რაოდენობას, რომელიც შემოსული იყო, შევაჩერებდით. სახმელეთო ომში ვერაფერს დაგვაკლებდნენ. ყველა ქართველი ჯარისკაცი თავგანწირვით იბრძოდა.

ამ დროს ტელევიზორზე ომის ამსახველი კადრები გადიოდა. ზაზამ ეკრანს შეხედა თუ არა, აშკარად სახე შეეცვალა.

— ზაზა, რა განცდა გეუფლება ამ დროს?

— ვცდილობ, არ ვუსურო. ყველაფერი მიახლდება...

— რამდენი წელია, რაც ჯარისკაცი ხარ?

— 2007 წლის დეკემბრიდან კონტრაქტით ვმსახურობდი. ომის დანაშაულები წვრთნებს გავდიოდით.

— ბავშვობაში ჯარისკაცობაზე ოცნებობდი?

— არა, მაშინ კოსმონავტობა მინდოდა.

21 აგვისტოს, იმავე კლინიკაში, სადაც ზაზა მკურნალობს, მისი მეორე ვაჟი დაიბადა. ჩვენ მისი ახალშობილი და მეუღლეც მოვიწვევდით.

— ხათუნა, როგორ ხარ? მძიმე დღეები გქონდა, მშობიარობამ როგორ ჩაიარა?

— პატარა ვახტანგი 2 კვირით ადრე დაიბადა. შეიძლება, ეს ნერვიულობის შედეგად მოხდა... რაც მთავარია, ორივენი კარგად ვართ. პატარა 3 კილოგრამს

ინონის.

— სახელი ვინ დაარქვა?

როლანდ ნაპაშვილს ბავშვობის ოცნება აუსრულდა: დღეს ის ჯარისკაცია, მეტყვიამფრქვევე-ამბობს, რომ მიზანში კარგად ისვრის და კიდევ ერთი მიზანი აქვს — სნაიპრობა უნდა ისწავლოს. მისი ტყვედ ჩავარდნის ამბავი საოცრად ამაღელვებელია:

— მეტყვიამფრქვევე ვარ, 44-ე ბრიგადაში ვმსახურობ. ვაზიანიდან რომ გავედით, ცხინვალში მეორე დღესვე შევედით. წინ ტანკი მიდიოდა, ჩვენ უკან მივყვებოდით. გზა რომ არ აგვრეოდა, ერთ-ერთ მკვეთრ მოსახვევთან ჩვენმა მეთაურმა რუკა გაშალა და ამ დროს, მოულოდნელად, რუსების პირისპირ აღმოვჩნდით, „ბეემეებით“ მოიწვევდნენ. იქ რუსები არ გველოდნენ. ცეცხლი გაგვიხსნეს. მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. ცეცხლი რომ შეწყდა, ჩემ ირგვლივ 18 ცხედარი დავთვალე.

— იმ დროს სად იყავი?

— დანით სანგარი ამოვთხარე და იქ ვინექი; ჩემი დაღუპული მეგობრების ცხედრების მიტოვება არ მინდოდა, შეიძლება, ძალებს შეეჭამათ. ჩემ ირგვლივ ტერიტორია გათენებამდე იბომბებოდა.

— მარტო იყავი?

— მარტო ვიყავი. ბომბის დაცემას ყოველ წუთში ველოდი, ხეები შუაზე იხლიჩებოდა, თავზე ხის ტოტები და მიწა მეყრებოდა. გვერდით ვინმე რომ მყოლოდა, ცხედრების გამოტანას შევძლებდი.

— სანგარში რამდენი ხანი გაატარე?

— 4 დღე და ლამე. თბრილში ვინექი. საჭმელზე ლაპარაკიც ზედმეტია. ნყალიც კი არ მქონდა. რომ არ მოვმკვდარიყავი, დაუმნიფებელი ყურძნის წვენს ვინვეთებდი. მეოთხე დღეს დავინახე, რომ გვამე-



იმავე კლინიკაში, სადაც ზაზა მკურნალობს, მისი მეორე ვაჟი დაიბადა



ბი მანქანაზე შეყარეს და წაიღეს. იქ რაღა მინდოდა?! ძალა მოვიკრიბე და გადაადგილება დავინწყე. როგორც იქნა, ერთ-ერთი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში შევალწიე. ბინაში ხალხი ცხოვრობდა. ვიფიქრე, ამ კორპუსს ავაფეთქებ-მეთქი. სარდაფში საჭირო მასალას მივაგენი, მაგრამ საღამოს დავინახე, რომ ბინებში 7-8 ბავშვი შეიყვანეს. ისინი როგორ უნდა მომეკლა?! ქართველები ასეთი სასტიკები არ ვართ.

— სარდაფიდან სად წახვედი?

— ახლომახლო დაბომბილი სახლები იყო. ღამის 2-3 საათი იქნებოდა, რომ გამოვედი და იმ სახლებისკენ გავეშურე. გზად რუსი ჯარისკაცები შემხვდნენ. გავიქეცი და დაჭერას გადავურჩი.

— არ გესროლეს?

— არ მესროლეს, შეიძლება, მეც რუსი ვეგონე. ერთ დაბომბილ სახლში შევედი. ის ღამე იქ გავატენე. ინათა თუ არა, ხალხმა მოძრაობა დაიწყო, მათ ვუთვალთვალე. ქუჩაში სამხედროებზე მეტი მოქალაქე დადიოდა. იმ სახლში ტანსაცმელი ვიპოვე. ფორმა გავიხადე და იარაღთან ერთად დავმალე... 12 საათი იქნებოდა, სახლიდან რომ გამოვედი. ვიარე, ცოტაც და ცხინვალიდან გამოვიდოდი, მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ დამაკავა. არ ვიცი, ჩემზე ეჭვი რატომ აიღეს. მათ შორის,



დაც იარაღი დავტოვე, აუცილებლად მიმიყვანდნენ. ვფიქრობდი: რაღა მათ უნდა მომკლან? თავს ჩემი იარაღით მოვიკლავ-მეთქი... იმ დანგრეულ სახლში რომ მიმიყვანეს, კიდევ მცემეს. ჩემი ავტომატის ალება მოვასწარი, ლულა ნიკაბთან მივიდე და ჩახმასხ ხელი გამოვკარი... არ

ლავად იწვედა. ერთი რუსი გოგო გადამეფარა. შემდეგ მან ოსებისგან გამომაპარა და რუსებს ჩამაბარა. ცხინვალში ერთ-ერთი სკოლის შენობაში შემიყვანეს. იქ სხვა ქართველი ტყვეებიც დამხვდნენ.

— ისინიც ნაცემები იყვნენ?

— ყველა ნაცემი იყო. ვერც ერთი ვერ ვიცანი. უმეტესობას თითები ჰქონდა დამტვრეული. განსაკუთრებით, საჩვენებელ თითს „ემტერებოდნენ“: ამით იარაღს ისვრითო. ქართველები კი პასუხობდნენ, — ნეკა თითითაც ვისვრით, დედას გიტირებთო!.. ამაზე სულ გიჟდებოდნენ. ძალიან მაგარი მებრძოლები გვყავს. უკან არაფერზე იხევდნენ. შემართებით იბრძოდნენ. თავად რუსებმაც არაერთხელ აღნიშნეს, ასეთი დიდი დანაკლისი არასდროს გვქონიაო. ხმელეთზე ომი წავაგეთო, აღიარებდნენ.

— იმ სკოლაში, სამედიცინო დახმარება გაგიწიეს?

— ჭრილობები არ შემიხვიეს: ბევრი დროა გასული და აღარ შეიძლებაო... ტკივილი და თავბრუსხვევა ახლაც მაქვს. ამ ყველაფერზე რომ არ ვილაპარაკო და მხოლოდ ვიფიქრო, შეიძლება, ჭკუიდან შევიშალო. ჩემი თვალით ვუყურებდი, როგორ მიცხრილავდნენ ძმაკაცებს. აღარ ვიცი, რა გითხრა... ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები!

— როლანდ, ტყვეობაში რამდენი დღე გაატარე?

— სამი. წინიბურასა და შავ პურს გვაჭმევდნენ. ქართულ მინერალურ წყალსაც გვაძლევდნენ.

— იმ ქართველი ტყვეებიდან, რომლებიც შენთან ერთად იყვნენ, ყველანი გაათავისუფლეს?

— არა, 2 კაცი დატოვეს. ერთ-ერთ მათგანს ყური ჰქონდა მოჭრილი. ტყვეების გაცვლის დღეს მოგვანეს-რიგეს, 14 კაცს წვერი 2 „ბრიტით“ გაგვაპარსვინეს, ცივი წყლით გვაბანავეს, ტანსაცმელი გავგარეცხვინეს... მსოფლიო გვიყურებდა და ეს, საჩვენებლად გააკეთეს.

— როლანდ, რამდენი წლის ხარ?

— 22 სექტემბერს 23 წელი შემისრულდება, მაგრამ უკვე 40 წლის კაცი მგონია თავი. ბევრი რამ ვნახე და გადავიტანე.

— ეჭმები რას გეუბნებიან მალე გაგწერენ?

— რამდენიმე დღეში გამწერენ. ეგრევე ბათუმში წავალ. სახლში 2 თვის მოყვანილი ცოლი მელოდება, ძალიან მენატრება...

ავტომატის ალება მოვასწარი, ლულა ნიკაბთან მივიდე და ჩახმასხ ხელი გამოვკარი... არ გავარდა. მეორედ გასროლა აღარ მაცალეს

ქალებიც იყვნენ. 15-მა კაცმა უმოწყალოდ მცემა. შემდეგ ოსებს დაურევეს, 4 ჯარისკაცი მოვიდა, ჰაერში რომ ამაგდეს, მიწაზე ფეხი აღარ დამადგმევინეს, თავში ავტომატის კონდახს გამეტებით მირტყამდნენ, სისხლი თქრიალით მდიოდა. თუ გადავრჩებოდი, აღარ მეგონა. შემდეგ მკითხეს, — შენი აღჭურვილობა სად გაქვს დამალული? სიმართლე ვუთხარი, ეს მეც მაძლევდა ხელს.

— რატომ?

— ვიცოდი — იმ ადგილზე, სა-

გავარდა. მეორედ გასროლა აღარ მაცალეს, იარაღი წამართვეს. ტანსაცმელი სისხლისგან სულ სველი მქონდა, ჩექმებიდან შედედებულ სისხლი გადმოვაცქციე. მერე გონება დავკარგე. აზრზე რომ მოვედი, ავტომატის საბარგულში ჩამაგდეს და ერთ მთაზე ამიყვანეს. იქ კარვები იყო გაშლილი, დაჭრილებს რუსი მედდები უვლიდნენ. მათ გადასხმები გამოიკეთეს, მერე კარავში ვილაც ოსი შემოვარდა, იარაღს მიმიზნებდა და ჩემს მოსაკ-

მთავარით, პეპატრონით, განაკლებით ერთგანათ...

ექსტრემალური სიტუაცია ადამიანის გამოცდის საუკეთესო საშუალებაა. სწორედ მაშინ ვლინდება სულის სიმტკიცე და სიძნელებთან გამკლავების უნარი. ომი თუ სტიქიური უბედურება კიდევ უფრო მკაცრ გამოცდას უწყობს თვით საზოგადოებას და განსაკუთრებით, სახელმწიფოს. რამდენად მზად არიან სახელისუფლებო სტრუქტურები, დაიცვან გაჭირვებაში ჩავარდნილი მოსახლეობა, უპატრონო უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს, უმკურნალო სნეულებს? რით შეუძლია საზოგადოებას მათი ტკივილის შემსუბუქება და თავად რას ითხოვენ დევნილები სახელმწიფოსა და თანამოქალაქეებისგან? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, „გზის“ კორექტივებზე დევნილთა დროებითი დასახლების ადგილები მოიარეს.



თბილისის 23-ე საშუალო სკოლა

აქ 12 აგვისტოდან, ძირითადად, ცხინვალთან ახლოს მდებარე, გორის რაიონის სოფლებიდან დევნილი 161 ადამიანი ცხოვრობს. სკოლის დირექტორის, ნატო გაბოშვილის თქმით, დევნილები ძველი თბილისის რაიონის გამგეობისგან ყოველდღიურად იღებენ პურს, ძხვს, ხანდახან — ბურღულეულს, ბოლო დღეებში კი მშრალი საკვების სახით, ჰუმანიტარული დახმარებაც მიუტანეს. თუმცა ძირითადად, ისევე, როგორც სხვა სკოლებში, დევნილებს მასწავლებლები, კურსდამთავრებულები, მეზობლად მცხოვრები მოხალისეები, კერძო ფირმები და ორგანიზაციები ჰპატრონობდნენ. განათლების სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულების თანახმად, ერთ-ერთ აბანოში ყოველდღიურად მისვლის საშუალებაც მიეცათ. რამდენიმე მამაკაცს იქვე, მშენებლობზე დროებითი სამუშაოც უშოვია. სკოლის ერთ-ერთ თანამშრომელს კი დევნილი ქალბატონები შეუკრებია და უთხოვია: ჩამომინერეთ, რა ნომერს საღებავს იყენებთ, ჩემს სახლში წავიყვანთ და თმას შევიღებავთ — აბა, შინ რომ დაბრუნდებით, მხნედ და ძლიერად ხომ უნდა გამოიყურებოდეთო!.

ცხინვალიდან 4 კილომეტრის დაშორებით მდებარე სოფელ მელვრეკისიდან დევნილებსაც გავესაუბრე. ამობენ, — კი გვინდა ჩვენს სახლებში დაბრუნება, მაგრამ ძალიან გვეშინია — ვიცით, რომ ეზოებში აუფეთქებელი ყუმბარები ყრია... ისედაც გავკვირდებო შესვლა — ჩვენს სოფლამდე 34 კილომეტრის მანძილზე რუსის ჯარი დგასო.

თბილისის 128-ე საჯარო სკოლა

აქ გორიდან და გორის რაიონის სოფლებიდან 173 დევნილი, ალაბაძის ცხოვრობს. გარდა ამისა, სკოლა ჰპატრონობს ანუ საკვებით ამარაგებს კერძო სექტორში მცხოვრებ 32 დევნილს. რამდენიმე დღეა, ჰუმანიტარული დახმარება — დახურული ყავისფერი პაკეტით მშრალი საკვები და პური შეიტანეს. საერთოდ კი იქ მცხოვრებ დევნილებს საკვები პროდუქტებით, საყოფაცხოვრებო ნივთებით, მედიკამენტებით, მოსახლეობა, კერძო ფირმები და ორგანიზაციები ამარაგებენ. სკოლის პედაგოგები და დევნილებისგან შერჩეული მამასახლისი შემოსულ პროდუქტს თითოეულ სულზე თანაბრად ანაწილებენ. მასწავლებლებს სკოლაში მორიგობაც დაუწესებიათ, რათა მაქსიმალურად კარგად დაეხმარონ დევნილებს.

მნო ვარალიძე, სკოლის დირექტორის მოადგილე:

— პირველ დღეს, როდესაც ყველგან ქაოსი იყო და სახელმწიფომაც არ იცოდა, სკოლებში რამდენი დევნილი იმყოფებოდა, უბნის მოსახლეობა ამოგვიდა მხარში და ლეიბებითა და სხვა აუცილებელი ნივთებით მოგვამარაგეს. დღეს მადულარაც გვაქვს, გახუტრებიც, თეთრეულიც, ბალიშებიც, პლედებიც... მოსახლეობამ 10 სანოლიც მოგვითანა და ინვალიდ და დიაბეტით დაავადებულებს გავუნაწილეთ, მოკლედ, მოხუცი და ბავშვი იატაკზე არ წევს. აქვე მდებარე პირველი სამკურნალო ცენტრიდან დევნილებს ექთანი და ექიმი ემსახურებიან. თავიდან, საბნაოდაც მოსახლეობამ და პედაგოგებმა

წავიყვანეთ სახლებში. აქაც გვაქვს ერთი სველი წერტილი, სადაც თვის მონეს-რიგებას ახერხებენ. სხვათა შორის, ერთი ჩვილიც გვყავს. 10 დღის იყო, როცა მოიყვანეს. თუ გსურთ, გაჩვენებთ...

ასე გავიცანით 3 კვირის კარალეთელი სალომე, რომელსაც ჩემი სტუმრობისას ტკბილად ეძინა.

ცირა, სალომეს დედა:

— 40 წლის ვარ და ოთხი ვაჟი მყავს: უფროსი 19 წლისაა, უმცროსი — 12-ის. სალომე ნაბოლარაა. აღარ ვაპირებდი მესუთე შვილის გაჩენას, მაგრამ „გამომეპარა“, ეტყობა, ღმერთმა მაჩუქა. რთული ფეხმძიმობა მქონდა და გორის საავადმყოფოდან თბილისში გამომიშვეს. ლუდუშაურის კლინიკაში 2 დღე ვინექი და ვადამდე ვიმშობიარე — სალომე 1-ელ აგვისტოს რვათვიანი დაიბადა. 8 დღის შემდეგ გამომწერეს, რადგან საგანგებო მდგომარეობა იყო და საავადმყოფოში დაჭრილებს ელოდებოდნენ. 3 დღე ვიყავი ჩემს დასთან დილაში. იქ იმდენი დევნილი მოაწყდა, ზოგი — ჩვილი ბავშვით, სახლი გადაჭედილი იყო. ყველანი იატაკზე ვინექით, დაძინების საშუალება არც იყო. გადაწყვიტე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის მიმეკითხა და რეგისტრაცია გამეწყო. ძალიან მიჭირდა. პატარას კანი სულ გამომწვარი მქონდა — ერთი პამპერსი რამდენიმე დღე ეცვა... ბავშვით ხელში 3 დღე ვიარე რეგისტრაციის გასაუფლად, რიგებში ვიდექი, უამრავი ადამიანი იყო. ლამის კიბზე დამაგორეს. ერთი ქალი ისე მანჯებოდა, ვითხოვე, — ქალბატონო, იქნებ უკან მოიხედოთ, ბავშვით ხელში ძლიერ ვდგავარ-მეთქი. — მეთქე შენნაირი გაჭირვებული ვარ, აუცილებლად ბავშ-



ვი უნდა მყავდეს ხელშიო?! — მიპასუხა... ყველანაირი იმედი გადამენურა, ვიფიქრე, აქ ტანჯვას, ქუჩაში მიჩრჩენია ლამის თვეა-მეთქი. დადარდიანებული გამოვედი შენობიდან და ქუჩაში გავეყრდი. ამ დროს შევეშინევივარ ირასა და მის მეგობრებს...

ქალბატონი ირა ჩვენი საუბრის დროსაც იქ იყო. როგორც ჩანს, ახალშექმნილი მეგობრები ყოველდღე აკითხავენ სალომეს ოჯახს. ახალგაზრდა თბილისელმა ქალბატონმა იუზერხულა კიდეც თავის გაკეთებულ სიკეთეზე ხმაშლილა ლაპარაკი, მაგრამ ცირას დაუინებული თხოვნით, მაინც გაიხსენა ის საღამო.

ირა:

— როცა ტელევიზიით გამოაცხადეს, მოხალისეების დახმარება გვჭირდებაო, მე და ჩემი ორი მეგობარი მაშინვე ლტოლვილთა და გამსახლების სამინისტროში მივედი. დიდი ხუნა დაგვჭირდა, რომ დავეკალიანებინეთ, სად წავსულიყავით. ბოლოს ყაზბეგის ქუჩაზე, 42-ე ბაღში გაგიმწვეს — ნახეთ, რა სიტუაციაა და თუ საჭირო იქნება, დარჩითო. მანამდე ვეღარც მივალნიეთ, რადგან ქალი დავინახეთ, ჩვილით ხელში. გამოველაპარაკეთ და რომ გავარკვიეთ, ბავშვი რა მდგომარეობაში იყო, ლელამ უცებ ვილატებთან დარეკა და 128-ე სკოლაში ეს ოთახი ვუშოვეთ. აქ ძალიან კარგად შეხედნენ, კარგი ოთახიც შეურჩიეს, სანოლიც გამოუძებნეს...

ცირა:

— რომ გაუგიათ, 10 დღის ბავშვი მოჰყავთო, მთელი სკოლა ფეხზე დამდგარა, ოთახიც დამახვედრეს, პატარა



სამი კვირის სალომე დედისთან ერთად

აბაზანაც მაშინვე მიშოვეს, ამ გოგონებმაც ოჯახიდან რა არ მომიტანეს?! უცებ ბავშვის ეტილიც გაჩნდა, „ლეუანკაც“ — მოკლედ, ყველაფერი მქონდა ჩემი ხუთი შეილისთვის. მხოლოდ ერთი დარდი მქონდა — არ ვიცოდი, ჩემი მეუღლე ცოცხალი იყო თუ მკვდარი. სალომე რომ დაიბადა, გორში გავუშვი, ბავშვის საბუთების მოსაწესრიგებლად. ამ

დროს ომიც დაიწყო. მხოლოდ ის მოახერხა, რომ ბიჭები სათითაოდ გამოუშვა თბილისში, თვითონ კი ვეღარ გამოვიდა. 6 დღე მისი არაფერი ვიცოდი. ერთხელ მეღაბარაკა ტელეფონით და მითხრა, სარდაფებში ვიმალებით, ისეთი სროლებია, ბინებს წვავენ; ამაღამ შეიძლება, ცოცხალიც ვერ გადავრჩეო. შევხვეწე, — ეგრე ნუ მეუბნები, გენაცვალე, ნუ მაშინებ, ხომ იცი, ვნერვიულობ-მეთქი. — რა ნუ გამინებ, სამინელი სიტუაციაა, ოღონდ სალომე აატირე და მისი ხმა მომასმენინე, შეიძლება, ვეღარასოდეს გავიგონო ჩემი შეილების ხმაო... არ შევიმჩნიე, რომ მეტირებოდა და შევუტყე: — კაცი არა ხარ?! რა გეშინია? მიიმაღ-მოიმაღე და როგორღაც ჩამოდი-მეთქი. — კარგი, რაც არის, არისო, — და ტელეფონი გამითიშა. იმის მერე ვეღარ დავეუკავშირდი. ტელეფონი ვისიც იყო, ის სხვაგან გაქცეულა, ჩემი ქმარი — ბაღებისკენ და ასე დაფანტულან. ისე გადაემწურა, ძვირფასო, იმედი, მეგონა, დაღუპული იყო (ცირას ცრემლები წამოსცივდა; დატუქსეს, — შენი ნერვიულობა არ შეიძლება, რძე არ გაგიშრესო)... ეს გოგონები რომ არ შემხვედროდნენ, არ ვიცი, რა მეშველებოდა?!

ირა:

— არაფერი დაგემართებოდა. ჩვენ არ ვიქნებოდით — სხვა შეგხვედებოდა.

ცირა:

— ხან მავლს ვურეკავდი, ხან ჩემს თანასოფელელებს ვხვედებოდი — ჩემი ქმრის არავინ არაფერი იცოდა. იმედი გადაწურული მქონდა, რომ გამომჩნდა... სოფელ-სოფელ, ბაღებსა და ყაზბეგში უფლია, კარალეთიდან იგოეთამდე ფეხით ჩამოსულა. მომიყვანა: „სიმინდის ყანიდან რომ გამოვდიოდი, მეგონა, სამშვიდობს ვიყავი, თავი გამოვყავი და ტანკზე რუსი ჯარისკაცები დავინახე; იმათაც შემამჩნიეს და დამიძახეს; ვიფიქრე, ახლა კი ვერ გადავრჩები-მეთქი; მივესალმე რუსულად და ხელი ამიქინეს, — ნადიო; ზურგი ვაქციე, გაცივებული ნაბიჯით წამოვედი და თან ვფიქრობდი, — ან ახლა დამახლიან ტყვიას, ან — ახლა-მეთქი; ღმერთს ვევედრებოდი, ოღონდ ცოცხალი გადამარჩინე, რომ შეილები ვნახო-მეთქი...“ არ

უსვრიათ, ღმერთმა გადაარჩინა, მერე ქართველებს შეხვედრია და მათ წამოუყვანიათ. გზიდან ჩემს დასთან დაურეკავს, — ცოცხალი ვარო... დაღამებულზე მოვიდა აქ, სკოლაში, კოჭლობით, ძლივს მოლასალადა... ახლა ერთად ვართ.

უკან დაბრუნებას აპირებთ?

— რა ვიცი, ჩემო კარგო, წასასვლელი თუ გვექნება, ალბათ წავალთ.

ღმერთმა იცის, როგორ აენცობა ჩვენი ცხოვრება. სოფლები განადგურებულია, სამუშაო არაფერი გვაქვს. ადრე ქმარი მუშაობდა შიგადაშიგ, უფროსმა ვაჟმა კომპიუტერი შეისწავლა, მაგრამ უკვე ჯარის ასაკი აქვს და ახლა ალბათ, წაიყვანენ. მთავრობის დახმარებას ვიღებდით, ბავშვზე — 12 ლარს... ჩემი დედამთილი ახლაც კარალეთშია. მოხუცები იქ დარჩნენ, მაგრამ ფაქტობრივად, მშვირები არიან თურმე და იმალებიან. ჩემი მავლი ელაპარაკა რამდენჯერმე... სახლები გადამწვარია. ალბათ, ყველაფერი გაზიდეს. საერთოდ, კაცის ჭაჭანება აღარ არის თურმე სოფელში. ჩემმა ქმარმაც მითხრა, ახალგაზრდებს სასტიკად უსწორდებოდნენ, მოხუცებს — ნაკლებადო. მთავარია, ინტერესი არ გამოემყდავნებინათ, ვთქვათ — რატომ გადაწვეს მეზობლის სახლი: ერთ მოხუცს, რომელიც გამოვიდა და დაინახა, მეზობლის სახლს როგორ წვავდნენ, იმწუთას ესროლეს და მოკლესო.

რუსებმა თუ ოსებმა?

— ოსებიც ყოფილან და რუსებიც. რუსები ოსებს ყველაფრის საშუალებას აძლევდნენ. სოფლის ბიჭები წაიყვანეს თურმე, მაგრამ სცემეს, მერე რუსები ვითომ „გამოექომაგნენ“ და გამოუშვეს ეს ბიჭები. მსხნელის როლს თამაშობდნენ... ჩვენი 40-კაციანი რაზმი ყოფილა თურმე, ძალიან მაგარი ბიჭები — ცხინვალის ტერიტორია მაგათ აუღიათ, მარტო ორი ბიჭი დაღუპვიათ. კაზაკები და ოსები ეძებდნენ თურმე იმ მებრძოლების ოჯახებს. ჩვენი სოფელი ოსები ჩასხდომიან მანქანაში, დაჰყვებოდნენ, მებრძოლების სახლებს უჩვენებდნენ, ისინი კი წვავდნენ. ყველაფერი გადაუბუგავთ.

იმ ოსებთან მანამდე როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— ჩვეულებრივი... არაფერს ვუშავებდით და ძალიან კარგად გრძნობდნენ თავს. ახლა მოლალატებდად სწორედ ესენი დაგვიდგნენ. ჩემი ქმრის დეიდაშვილის სამი ვაჟი „კომანდოს“ ბატალიონში მსახურობს, ამის გამო სულ გადაუბუგეს სახლი... აღარ ვიცი, როცა დავბრუნდებით, როგორ და სად ვიცხოვრებთ, ამბობენ, ბინებს ააშენებენო. ღმერთის იმედად ვართ.

როცა შემოვედი, ყური მოვკარი, სალომეს ნათლობაზე ლაპარაკობდით...

ირა:

— თუ ცირა მოისურვებს, აუცილებლად მოვინათლავთ.

ცირა:

— როგორ არ მაქვს სურვილი, რას ამბობ, გენაცვალე?! ჩემმა სალომემ იმდენი რამ გადაიტანა და გაუძლო, რომ მოინათლება, კიდეც უფრო გაძლიერდება.



პირველი მინისტრი რობერტი ჯაფარიძე და „ბარიკადებზე“ გასვლამდე ჩაწერილი ინტერვიუ

გარემოს დაცვის მინისტრი ირაკლი ღვალაძეს რუსეთთან ომის დაწყების წინააღმდეგ ვესტუმრეთ. ის პირველია მთავრობის წარმომადგენელთა აგან, ვინც მოუცვლონ მისი უხედავად „ერუდიტი“ სტუმრობაზე დამთანხმდა გარემოს პირველ დამცველს მანამდეც გაბუდებით უნდა რეგირებში სარული, მ აგვისტოდან კი მთლიანად ჩაება ბორჯომის ტყეებში აგრეთვე ბის მიერ გაჩაღებული ხანძრის კრების ლევიდაციაში.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, ეს ინტერვიუ სარდაქციო პორტალში გვედო, მაგრამ ახლა, ვფიქრობთ, უკვე შეიძლება, მკითხველის სამსჯავროზე მისი გამოქანა და იმედა, ამას არც ბატონი ირაკლი გვანცენს, მით უმეტეს — მან საკმოდ კარგად გართვა თავი „გამოცდას“.

თამუნა კვიციანი

პრეაგულის მავიარ

— ბატონო ირაკლი, „გზის“ მკითხველებთან ეს თქვენი პირველი შეხვედრაა. პროფესიით იურისტი ხართ. გვიამბეთ, რა გზა გაიარეთ, სანამ გარემოს დაცვის სამინისტროში მიხვიდოდით?

— უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ასპირანტურისა და დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ, ეკონომიკის სამინისტროში იურიდიულ დეპარტამენტში, შემდეგ — სოფლიო ბანკსა და თბილისის საკრებულოში ვმუშაობდი. 2005 წლიდან გარემოს დაცვის სამინისტროში ვარ. ჩემი აქ მოსვლა ერთმა შემთხვევამ განაპირობა: მსოფლიო ბანკში შევიმუშავეთ პროექტი, რომლის გამოც გარემოს დაცვის სამინისტროში მოსვლამ მომინია, სადაც ჩემი დიდი ხნის უნახავ მეგობარს დათო ჩანტლაძეს შევხვდი. იგი იმ დროს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი იყო. შემომთავაზა, რომ მის უწყებაში გადავსულიყავი. დავთანხმდი. თან ბუნება და ტყეში ხეტიალი ძალიან მიყვარს.

— მთელი საქართველო შემოვლილი გაქვთ. ამ ქვეყანაში ყველაზე მეტად რამ გაგაოცათ?

— მრავალფეროვნებამ. ამ პატარა ქვეყანაში ყველაფერი — ზღვა, უდაბნო, მყინვარი და უღრანი ტყე, რომ ალარაფერი ვიქვით ცხოველთა მრავალფეროვან სამყაროზე, მთების გეოლოგიურ აგებულებასა და კლიმატზე. ჯერ სხვა ქვეყნები უნდა ნახო და მერე საქართველო, ეს ყველაფერი რომ დააფასო.

— დღეს თქვენ „ერუდიტის“ სტუმარი ხართ.

— (მანყვეტიანებს) ვიცი, ბევრი კითხვა უნდა დამისვით (იციინის).

— სკოლასა და უნივერსიტეტში კარგად სწავლობდით?

— კარგ მოსწავლედ და სტუდენტად მივიჩნეოდი. ლექციები რომ გვიტარებოდა, გვიხაროდა. სტუდენტობის წლები თბილისის სამოქალაქო ომის პერიოდს დაემთხვა და ლექციები ზოგჯერ გვიცდებოდა. ჩემი კურსელები იყვნენ: გიორგი პაპუაშვილი, კობე კუბლაშვილი, გიორგი ცაგარეიშვილი და ა.შ. ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. სავალდებულო საგნების გარდა, მხატვრულ ლიტერატურასაც ვკითხულობდი. ჯერ დემეტრიძეებით, შემდეგ კი ისტორიული ნაწარმოებებით ვიყავი გატაცებული. ჩემი საყვარელი მწერალი კონსტანტინე გამსახურდიაა. ძალიან მომწონს ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონის პოეზია, მაგრამ ზეპირად ბევრი ლექსი არ ვიცი.

— სად დაარსდა მსოფლიოში პირველი ბოტანიკური ბაღი — ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთში თუ გერმანიაში?

— იტალიაში.

— ჭოროხი, მტკვარი, ენგური, თერგი — ჩამოთვლილთაგან რომელი მდინარე მიეძინება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე?

— ენგური.

— ამოუცნობ მოვლენათა მკვლევრების აზრით, რა აფროთხობს ვამპირებს?

— სავარაუდო პასუხები არ გაქვთ?

— მიგანიშნებთ, მათ ერთ-ერთი მცენარის სუნი აფროთხობს.

— არ ვიცი, როგორც ცნობილია, ვამპირები სახე მთავრებე გამოდიან.

— მათ ნივრის სუნი აფროთხობს. 1986 წლამდე, აფრიკის რომელი ქვეყანა ატარებდა სახელწოდებას „სპილოს ძელის ნაპირი“?

— კოტ დ'ივუარი.

— რომელი გვირაბი აკავშირებს სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს?

— როკის გვირაბი.

— რომელ ქვეყანას ეკუთვნის ყირიმის ნახევარკუნძული?

— უკრაინას, მაგრამ მასზე პრეტენზიას რუსეთიც აცხადებს.

— რომელ ზღვაზე აქვს გასასვლელი აზერბაიჯანს?

— კასპიის ზღვაზე, მაგრამ ეს ზღვა თუ ტბა, გასარკვევია.

— რომელი ვულკანის ამოფრქვევამ გაანადგურა ქალაქი პომპეი?

— ვეზუვის ამოფრქვევამ.

— რა ჰქვია სიცილიური მადის მიერ შემოღებულ დუმბილის კანონს?

— არ მახსოვს.

— ომერტა, რომელი დაბა მდებარეობს გუდამაყრის არაგვისა და მთიულეთის არაგვის შესართავთან?

— ფასანაური.

— რისი ერთობლიობაა არქიპელაგი?

— კუნძულების.

— რომელი სრულე აერთებს შავ და აზოვის ზღვებს?

— ქერჩის. შარშან იქ ნავთობი ჩაიდგარა.

— რომელია ყველაზე პატარა კონტინენტი?

— ავსტრალია.

— რა ჰქვია ძალს რომანში — „ოთხი ტანკისტი და ერთი ძალი“?

— (ფიქრობს) შარიკა, სწორად მახსოვს?

— დიას. რომელი ქართული ხალხური სიმღერა მიეძღვნა შალვა ახალციხელს?

— „შველგო“.

— გერმანია, დანია, ესპანეთი, საფრანგეთი — რომელი ქვეყნის ჰიმნს არ აქვს ტექსტი?

— მგონი, ესპანეთისას, არა?

— გამოიყვანეთ მოგესწინებათ, რომ კატელის ზედაპირი წერილი ეკლებით არის დაფარული რისი სახესხვაობაა ეკლები?

— ფოთლების. ბუნებრივი პირობების გამო ხდება.

— რუსეთის ფედერაციის რომელი პოლიტიკური ერთეული არ ესაზღვრება საქართველოს — დაღესტანი, კრასნოდარის მხარე, ინგუშეთი თუ სტავროპოლის მხარე?

- სტაგროპოლის მხარე.
- დღეისთვის დედამიწაზე სპილოს ორი სახეობა ბინადრობს — ინდური და აფრიკული. აფრიკული სპილო უფრო დიდი ზომის არის და გრძელი ეშვები აქვს. კიდევ რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?
- არ ვიცი.
- ყურების ზომით: აფრიკულ სპილოს უფრო დიდი ყურები აქვს. რა ეწოდება რომელიმე პოლიტიკური ფიგურის ან პარტიის მომხრე ამომრჩეველსა და მხარდამჭერს?
- ელექტორატი.
- თბილისში რომელ მოედანს ერქვა ადრე, ერევნის მოედანი?
- თავისუფლების მოედანს.
- რა ეწოდება სიცოცხლისთვის აუცილებელ, პერიოდულად განმეორებად ფუნქციურ მდგომარეობას, რომელშიც ადამიანი სიცოცხლის 1/3 ატარებს?
- ძილი.
- ვინ არის ტექსტის ავტორი სიმღერისა — „ტრიალებს“ — ფილმიდან „ვერის უბნის მელოდიები“?
- (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ, არადა, ძალიან ნაცნობია.
- მიგანიშნებთ. ამ პოეტის ერთი ქალიშვილი მხატვარია, მეორე — რეჟისორი.
- მორის ფოცხიშვილი.
- რამდენ სეროდ არის გადაღებული „დათა თუთაშხია“?
- 7 სერიად.
- რომელი მოთხრობაა „ტომ სოიერის თავგადასავლის“ გაგრძელება?
- „შეკლბერი ფინი“.
- დურუ ხუჭუბა, პიპინა, ელიბო — რომელ ფილმებში გვხვდებიან ეს პერსონაჟები?
- „რეკორდში“, „არაჩვეულებრივ გამოფენაში“, „ღვინის ქურდებში“.
- რა პქვია ლომის შვილს?
- ბოკვერი.
- რომელი მდინარე ასაზრდოებს თბილისის ზღვას?
- იორი.
- ჩერნენკო, ანდროპოვი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი: ქრონოლოგიურად ჩამოთვალეთ ყოფილი საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას გენერალური მდივნები.
- ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი, ჩერნენკო.
- ვინ არის ავტორი რომანისა — „თეთრი საყელი“?
- მიხეილ ჯავახიშვილი.
- ვინ ნიშნავს უშიშროების საბჭოს წევრებს?
- პრეზიდენტი.
- რომელი ჩანჩქერი მდებარეობს მდინარე ზამ-

ბეზიზე?

- (ფიქრობს) ვიქტორია. ეს ყველაზე ხმაურიანი ჩანჩქერია.
- რომელ ქართველ მეფეს ეკუთვნის ლექსი „გაბაასება რუსთაველთან“?
- თეიმურაზ II-ეს.
- რომელი კომპოზიტორის მიუზიკლია „არგონავტები“?
- ალექსანდრე ბასილაიას.
- რომელია მუსიკალური გამის მე-ნ საფეხური?
- დო, რე, მი, ფა, სოლ.
- რომელი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა დიდი სახელმწიფო ხურალი?
- მონღოლეთის.
- რომელი ქვეყანაა მიჩნეული გოტიკის სამშობლოდ?
- არ ვიცი.
- საფრანგეთი. „ვედრება“, „ფვარცმული კუნძული“, „ჩვენი ეზო“ — ამ ფილმებიდან რომელში არ მონაწილეობს თენგიზ არჩვაძე?
- „ჩვენი ეზო“.
- რიცხვის მერამდენე ნაწილს შეადგენს 1%?
- მესხედს.
- დაასახელეთ კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც უცნობი წარმოშობის ქვის სკულპტურებია აღმოჩენილი. ამ კუნძულს ქრისტიანული დღესასწაულის სახელი პქვია.
- ვერ გეტყვით.
- აღდგომის კუნძული. მსოფლიო ომის დროს რომელი ფირმა ამზადებდა კამიკაძეებისთვის განკუთვნილ თვითმფრინავებს?
- „მიცუბიში“.
- რომელ თევზს აქვს ორივე თვალი ცალ მხარეს?
- არ ვიცი.
- კამბალას. რა ერქვა ავაზაკს, რომელიც იესო ქრისტეს დასჯის სანაცვლოდ გაათავისუფლეს?
- ბარაბა.
- ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი ნაწარმოების მიხედვით, რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში იგდო კუკარაჩამ ხელთ მტრის ტანკი?
- ფინეთის.
- დაასრულეთ ვაუა-ფშაველას ცნობილი სტრიქონი. „ბუნება მზრძანებელია...“
- ვაიმე! ვეღარ ვიხსენებ.
- „იგივე მონაა თავისა...“
- (მანყვეტიანებს) „...ზოგჯერ სიკეთეს გვიქადის/ ზოგჯერ მქენლია ავისა“.
- ვინ არის კომპოზიტორი ილია ქავჭავაძის ლექსზე შექმნილი სიმღერისა — „ჩემო კარგო ქვეანავ“.
- (ფიქრობს) რევაზ ლალიძე.
- დაასრულეთ შორაციუსის ცნობილი გამონათქვამი „ვინც ბერს გაზრდება, იმას ნაკლებად...“
- „...ნაკლებად უნდა დაუჯერო“.
- „ნაკლებად უნდა მიენდო“.
- (იცინის) მხოლოდ ერთი სიტყვა შეემალა. ეს ბოლო კითხვა იყო?
- დიახ.
- საინტერესო რუბრიკაა. მგონი, მეც არ შევირცხვინე თავი... წარმატებებს გისურვებთ!
- გამადლობთ!

პრეზიდენტი +

1. დემილიტარიზაცია (ფრანგ. DEMILITARISEZ) — საერთაშორისო ხელშეკრულებით რომელიმე სახელმწიფოსთვის იმის აკრძალვა, რომ შექონდეს სამხედრო მრეწველობა და სიმაგრეები, ჰყავდეს დადგენილ რაოდენობაზე მეტი სამხედრო ძალები; განიარაღება.
2. დემილიტარიზაციული ზონა — ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი ტერიტორიის ზოლი, ორი სახელმწიფოს საზღვრის გასწვრივ. ამ ზონაში აკრძალულია სიმაგრეების აგება, სამხედრო ძალების ყოფნა და სხვ.
3. სიმულაცია (ლათ. SIMULATION) — რისამე მოგონება ვისიმე მოტყუების, შეცდომაში შეყვანის მიზნით.
4. კონცენტრაცია (ლათ. concentratio) — რისამე მოგროვება, თავმოყრა, ერთად დაჯგუფება.
5. ლოკალიზაცია (ლათ. localis — ადგილობრივი) — ადგილის შემოფარგვლა, გარკვეული ადგილიდან რისამე გაზრცელებისთვის.


ინფორმაციულ-სეპარაციონი კოლაჟი

ეორი დვალის უბის წიგნაკვან:

1. ხრუშჩოვს უმაღლესი განათლება არ ჰქონია.
2. ანდრეი სახაროვმა საქართველოს პატარა იმპერია უწოდა.
3. „ყველა ადამიანში ზის მონა“, — ამბობდა იოსებ სტალინი.
4. „პაპა ვ დეტსტვე ბილ გრუზინ“, — ამბობდა პატარაობისას სტალინის ქალიშვილი.
5. „მასტერ სლოვა ი კულაკა“, — ამბობენ რუსეთში ვლადიმერ ჟირინოვსკის შესახებ.
6. „მი დალჟინ დავესტი გასუდარსტვა დო ტაკოვო ურავნია, შტობი უპრავლიატ ეი მაგლა ბი ლიუბაია კუხარკა“, — ამბობდა ლენინი.
7. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (გიორგი საძაგლიშვილი) 1918 წელს მარტყოფში, მონასტრის სენაკში მოკლეს.
8. „რევოლუციონეროვ, კატორიმ ზა 50, ნადო ატპრავლიატ კ პროოტცამ, პოტომუ შტო ანი ტორმაზიატ ვსიო, ზა შტო ანი დო ეტავა ბაროლის“, — უყვარდა ტროცკის ლენინის ციტირება.
9. „ოტ ილიჩა დო ილიჩა, ბეზ ინფარქტა ი პარალიჩა“, — ასეთი ლექსი გამოუთქვა ხალხმა ანასტას მიქოიანს, რომლისთვისაც ლენინის ბელადობიდან მოყოლებული, ბრენევის გენერალურ მდივნობამდე ბუზი არავის აუფრენია.
10. „დაა, ველიკ ი მაგურ რუსკი იაზიკ, ნო პაჩეუტო ვ რიფმუ კ სლოვუ „ზეზუდა“ ნა უმ პრეხოდიტ ტოლკო ოდნო სლოვო...“ — ამბობენ რუსები.



11. მახერ კაგანოვიჩს წვერ-ულვაში ბუხარინის მსგავსად ჰქონდა დაყენებული, რაც ძალზე აღიზანებდა სტალინს. ერთხელ ბელადი დაემუქრა კიდევ, მაგ წვერს საკუთარი ხელით გაგვრეჭო. შემინებული კაგანოვიჩი მიხვდა, ეს ამბავი მხოლოდ წვერის ხელყოფით არ დამთავრდებოდა და სამართებელს მოჰკიდა ხელი. წინდახედულმა მახერ მოისევინა მხოლოდ ულვაში დიტიოვა სტალინის მსგავსად.
12. „ნეკატორიე რუსკიე პალიტიკი მეჩტაიუტ ა ტაკოი რასიი, გდე ვაშე ნაშე, ი ნაშე ნაშე“, — განაცხადა სვეტლანა ჩერვონაიაჰ საქართველოს ტელევიზიისთვის მიცემულ ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში.
13. მათ ძე დუნი საკმაოდ კარგი მოცურავე გახლდათ. ხრუშჩოვის ჩინეთში ვიზიტის დროს ერთ-ერთი მოლაპარაკება მან პირდაპირ საცურაო აუზში გამართა.



32000 ჯილომეტრი ველოსიპედით, ომის გამო შედერხებული მოგზაურობა და ქართულ-სლოვაკური სტუმარმასპინძლობის ჯიდეუ ერთი ამბავი

„ახლა, 2008 წლის აგვისტოა, საქართველოში, თბილისში ვარ — ქვეყანაში, სადაც უკანასკნელმა 24-მა საათმა უამრავი ადამიანის ბედი შეცვალა...“ — ეს ჩანაწერი, სლოვაკი ველომოგზაურის, მარიამ პოზინის დღიურიდანაა. მარიამ მარშრუტში, საქართველო აზერბაიჯანის შემდეგ იყო მონაწილე. აქედან კი მოგზაური, შავი ზღვის კურორტების გავლით, თურქეთში აპირებდა გადასვლას. ომმა მისი გეგმები შეცვალა. მარამ საქართველოში იმაზე მეტხანს დარჩა, ვიდრე ვარაუდობდა. რამდენიმე დღის წინ კი — თბილისი მანგლისის გავლით, ხოლო საქართველო ახალციხიდან დატოვა.

შეა გუხიაშვილი

— ველოსიპედს ბავშვობიდან ვმართავ. როდესაც ჩემმა თანატოლებმა ფეხი ზიდგეს და სიარულს, სწავლობდნენ, მე ველოსიპედს დავაქროლებდი. შემდეგ უკვე სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში და სამსახურშიც ველოსიპედით დავდიოდი. სკოლის დამთავრების შემდეგ, სასტუმროს მენეჯმენტის ფაკულტეტი დავამთავრე. სამსახური მალე ვიშოვე, ხელფასის ხარჯზე დანაზოგი მოვაგროვე და ამ თანხით სამოგზაუროდ გავემგზავრე. სამწუხაროდ, ვერც კერძო და ვერც სახელმწიფო სექტორი ვერ დავინტერესე, რომ ჩემთვის სპონსორობა გაენიათ. ჩემი ველომოგზაურობა 2008 წლიდან დღემდე სულ 8 ათასი დოლარი დაჯდა. მეტწილად კარავში ვათევ ღამეს, მაგრამ პროდუქტებისა და პირადი ჰიგიენის საგნების ყიდვა ხომ მაინც მჭირდება. რომ არა კეთილი ადამიანების დახმარება, რომ-

ლებსაც მოგზაურობისას ვხვდებოდი, ჩემი დანაზოგი მოგზაურობის ხარჯებს ვერ გასწვდებოდა.

— მარამ, რაღაც ძალიან უცნაური ველოსიპედი გყავს.

— ეს არის ველოსიპედი, რომელსაც დანოლილი მართავ. გაცილებით იოლია სამართავად, ვიდრე ჩვეულებრივი ორთვალა. რაც მთავარია, მართვისას ზურგი არ გელდება. ასეთი კონსტრუქციის ველოსიპედი მთავარიან ადგილებშიც იოლად გადაადგილდება, აღჭურვილია სპიდომეტრით და კომპასით. ჩემი ველოსიპედით თითქმის მთელი ჩინეთი შემოვიარე. ორთვალა ტრანსპორტს იქ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, მაგრამ ჩემნაირი ველოსიპედი იქაც კი არ მინახავს.

— საინტერესოა, შენმა მშობლებმა როგორ გამოგიშვეს ასე შორს, მართო და თანაც ველოსიპედით?

— სლოვაკეთის ქალაქ შკუფოლოკაში, რომელიც ერთი საათის სავალზეა

ინფორმაციულ-პედაგოგიური კოლაჟი

ეჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:

ხრუშჩოვს სამშველო რგოლი ეკეთა. მალე დაიქანცა. წყლიდან ძლივს ამოთრია. ამის შემყურე მამომ თავის ექიმს გადაულაპარაკა, ხომ მივართვი მახათი საჯდომშიო. ამგვარ საქციელს მამო სტალინს ვერასდროს გაუბედავდა.

14. „ვსე კავკაზცი კაკიეტა უპიორტიე!.. ზნაიუ ია ვამუ სტრანუ: მარნეული, გარდაბანი, კაბულეტი, მამულეტი... გდე გორი, ტამ ი პრახლეში. და რასსელიტ ნადო ვას პო რუსკომ სტეპიამ ი დელა ს კანცომ. შტო, პლოხა ვამ უ ნას ბუდეტ?!“ — ეს სიტყვები ვლადიმირ ჟირინოვსკიმ საქართველოს ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში წარმოთქვა. P.S. „WHO ევო ზნაეტ?!“ — მხრებს იჩენჯას კოტე ყუბანეიშვილი.

15. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სტალინისთვის მიურთმევიათ სასკოლო რუკა ახალი საზღვრებით. დიდ ბეულადს კმაყოფილებით დაუთვალეობია ქვეყნის დასავლეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი საზღვრები, შემდეგ საქართველოსა და თურქეთის საზღვართან გადაუტარებია ჩიბუხი და თავისთვის ჩაუბუზღუნებია: „აქ კი არ მომწონს ჩვენი საზღვრები“.



16. „შაპს-აბასი იყო ტირანი. არც მტერს ინდობდა, არც მოყვარეს. მას მარტო ქრისტიანობის საკითხი არ ალელვებდა, უნდოდა ქართველების სრული მოსპობა და მდიდარი ქვეყნის ხელში ჩაგდება... შაპს განსაკუთრებით ეშინოდა ქართველებისა, რადგან იცოდა, მათი საბოლოოდ დამორჩილება შეუძლებელი იყო“, — წერდა 1628 წელს პეტრო დე ლა ვალე თავის ნაშრომში „სპარსეთის მეფის აბასის მდგომარეობა“.

17. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა თავისი ფეხსაცმლის ბრახუნით მთელ საბჭოთა კავშირს მოსჭრა თავი. მოგვიანებით აჯუბები ცდილობდა, ეს ამბავი ბრძნულ, გამიზნულ პოლიტიკურ აქტად გაესაღებინა და ამტკიცებდა, ხრუშჩოვს ფეხსაცმელი ისე ეჭირა, რომ მისი ქუსლი მექსიკის დელეგაციისკენ იყო მიმართული და წვერი — აშშ-ის დელეგაციისკენო.


18. როდესაც საინგილო აზერბაიჯანს მიაკუთვნეს, ქართველებმა სერგო ორჯონიკიძეს მიმართეს თხოვნით, ამ ძირძველ ქართულ კუთხეს ნუ გაასხვისებთო. ამიერკავკასიის გამგებულს ფრიად გააკვირვებია: რა მნიშვნელობა აქვს, ინგილოები მარქსს ქართულად წაიკითხავენ თუ თათრულადო? როდესაც შეეცადნენ აუხსნათ, რომ ეს ისტორიული საქართველო იყო, გაბრაზებულმა წამოიყვირა: „თუ არ გაჩერდებით, მაგ თქვენი ისტორიული საქართველოს საზღვარს შეიტან ბაზარში გადმოგიტანთო!“



სიბედის მართვა კვლავ შეეძელი, ახალი სამოგზაურო მარშრუტი შევადგინე. ჩინეთიდან — ყაზახეთში, იქიდან კი უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში ვიმოგზაურე. შემდეგ მოვინახულე აზერბაიჯანი, საიდანაც საქართველოში ჩამოვდი. ამ მოგზაურობისას, ველოსიპედით კიდე 2900 კილომეტრი გავიარე. აქედან თურქეთში მივემგზავრები, შემდეგ — ბულგარეთში, რუმინეთში, სერბეთში, და ხორვატიის გავლით, სლოვაკეთში დაბერუნ-



სლოვენის დედაქალაქ ლუბლიანიდან, დედა, მამა და უფროსი ძმა მელოდებიან. ძალიან შეშინდნენ, როდესაც საქართველოში სამომარი მოქმედებების შესახებ შეიტყვეს. ოჯახის წევრებს ინტერნეტით თითქმის ყოველდღე ველაპარაკები. ნახევარი წლით ადრე გავაფრთხილე ჩემი ოჯახი, რომ მსოფლიოს გარშემო, ველოსიპედით ვაპირებდი სამოგზაუროდ წასვლას. დედა და ძმა ჩემს გადაწყვეტილებას გაგებით შეხედნენ, მამაჩემის დარწმუნება კი ძალიან გამიჭირდა. ჩემი პირველი მოგზაურობის მარშრუტს რომ შევუდექი, 26 წლის ვიყავი. სლოვენიიდან 2006 წლის 5 მარტს გავემგზავრე. მოვიარე ხორვატია, ბოსნია, მაკედონია, ალბანეთი, საბერძნეთი, თურქეთი, ირანი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ჩინეთი და ტიბეტშიც გახლდით. ტიბეტში როცა ჩავედი, ზამთარი იყო. ამის მიუხედავად, ჩემი ველოსიპედით ავედი ზღვის დონიდან 5600 მეტრზე, სადაც შაერის ტემპერატურა -20 გრადუსს აღწევდა. ძალიან რთულია, კარავში გაუძლო ასეთ ყინვას, მაგრამ კმაყოფილი ვარ, ეს ყველაფერი ჩემი თვლით რომ ვნახე. ხალხი ხშირად მეკითხება: რატომ მოგზაურობ მაინცდამაინც ველოსიპედითო? ეს ორთვალა ტრანსპორტი, თითქოს ჩემი სხეულის ნაწილია. საკუთარი თვლით ხედავ ბუნების მშვენიერებას; თუ როგორ



ცხოვრობს ხალხი... პირველი მოგზაურობისას, ჩემი ველოსიპედით 17389 კილომეტრი გავიარე. მერე ცოტა ხნით სახლში დავბრუნდი, რუსული ენის ცოდნა გავიღრმავე და 2007 წლის 1-ელ მარტს გზი პეკინისკენ ავიღე. მოვიარე ვიეტნამი, ლაოსი და თავად ჩინეთის რესპუბლიკა, სულ — 8950 კილომეტრი. მოგზაურობა მალე შეეწყვიტე, რადგან მუხლი დავიზიანე და იქაური ექიმების დასკვნით, ქირურგიული ჩარევა მჭირდებოდა. სლოვაკეთში მარცხენა მუხლის ოპერაცია გამიკეთეს და როგორც კი ოპერაციის შემდეგ ველო-

დები. ასე რომ, 32000 კილომეტრი უკვე გავიარე. ნინ კიდე გრძელი გზა მელის.

— ახალგაზრდა ქალისთვის რთული არ არის მარტო, თანაც ველოსიპედით მოგზაურობა?

— ამ ორი წლის განმავლობაში, მქონდა როგორც ლამაზი და დაუფიქარი დღეები, ასევე მძიმე და რთული პერიოდებიც. მოგზაურობისას ბევრი ისეთი ადამიანიც შემხვედრია, რომელსაც არათუ რაიმე დახმარების განევა, ჩემთან საუბარიც კი არ სურდა. ბევრს უკითხავს: ქალი ხარ და არ გეშინიაო? შიშით

ნამდვილად არ შემინებია, მაგრამ სირთულეები გადამიტანია. მაგალითად, ტაჯიკეთში უცრად ქინქლების გუნდს გადავეყარე: საზარელი სანახავია, შავ ღრუბელს ჰგავს და თავს გესხმის. იქაურები ამის გამო ხშირად სპეციალური, ბადისებური თავსაბურავებით დადიან. ერთხელ, ყაზახეთში, ღამით, როდესაც კარავში მეძინა, მგელმა ჩემი საგზალი გაიტაცა. ზურგჩანთა დილით ვიპოვე, მხეცს მხოლოდ პური შეეჭამა, სხვა ყველაფერი ხელუხლებლად დაშვდა.

— **კარგია, შენც რომ არ შეგჭამა.**

— ჩემს კარავს ვერაფერს დააკლებდა. სამაგიეროდ, ჩინეთში ყოფნისას გველმა ორჯერ დამგესლა. კიდევ კარგი, თან რეზინის არტაშანი მქონდა, სასწრაფოდ გადავიჭირე და უახლოეს მედპუნქტს მივაკითხე. მადლობა ღმერთს, ცოცხალი გადავრჩი.

— **იცი, შენამდე კიდევ ერთი ველომოგზაური გოგონა გავიცანი, პოლანდიიდან იყო. უცხო ქვეყნებში ველოსიპედით მოგზაურობა მოდური ტენდენციაა?**

— გზად მართლაც ბევრი ველომოგზაური მხვდებოდა. უმეტესობა მეგობრებთან ერთად იყო. რა თქმა უნდა, ასე სიარული უფრო საიმედო და უსაფრთხოა. მე კი მარტო მოგზაურობა მსიბლავს. თანაც, ბევრია ისეთი, ვინც მოგზაურობისას სხვა ტრანსპორტსაც იყენებს — მაგალითად, გარკვეულ მანძილს მატარებლით ან ავტომობილით გადის. მე კი მოგზაურობის მარშრუტს მხოლოდ ველოსიპედით გავდივარ. ბაქოდან თბილისში ნ დღეში ჩამოვდი. ცხელი დღეები დამემთხვა და პაპანაქება მზეზე კანის დამწვრობა მივიღე. ხუთი კვირა დამჭირდა, ყაზახეთის უდაბნოებიდან რომ გამომელწია. მოგესხენებათ, ასეთ ნიადაგზე ველოსიპედი სიჩქარეს ვერ ავითარებს.

— **ვიდრე ჩამოხვიდოდი, საქართველოს შესახებ რაიმე იცოდი?**

— მხოლოდ ის ვიცოდი, სად მდებარეობს თქვენი ქვეყანა მსოფლიო რუკაზე. არ ვიცოდი, ქვეყნის შიგნით კონფლიქტური რეგიონები თუ გქონდათ.

ყოველდღე ვყურებ უცხოური ტელევიზიებით საინფორმაციო გადაცემებს და ვლოდები ვითარების დამშვიდებას, რომ ჩემი მოგზაურობა გავაგრძელო.


— **დავიფერო, არაფერი გსმენია ქართველებისა და სლოვაკების მეგობრობაზე? არც რაჭის შესახებ გაგიგონია რაზე?**

— ჩემმა მასპინძელმა, ქალბატონმა ლიამ მიაბო, რომ სლოვაკეთის მსგავსად, საქართველოს ერთ-ერთ კუთხესაც რაჭა ჰქვია. მხატვრული ფილმიც მიჩვენეს, სადაც სლოვაკებისა და ქართველების მეგობრობისა და სიყვარულის ლამაზი ამბავია აღწერილი. მინდოდა, ჩემი თვალთ მენახა თქვენი რაჭა, მაგრამ ომმა გემები შემიცვალა.

— **ლია აზრასიძე, მარიას ქართველი მასპინძელი:**

— მარია ბაქოში იყო, როდესაც მეგობარმა დამირეკა და მთხოვა, ველომოგზაურს, საქართველოში იაფფასიანი სასტუმროს მოძიებაში დავხმარებოდი.

ქართველების სტუმარმასპინძლობის ამბავი მოგესხენებათ და, მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ, მარიასთვის თავად გვემასპინძლა. რალა დაგიმალოთ და, ყოველთვის მაკვირვებდნენ ის აღამიანები, რომლებიც მარტო, თანაც ველოსიპედით მოგზაურობდნენ მსოფლიოს გარშემო. აღმოჩნდა, რომ მარია ჩვეულებრივი, მოკრძალებული გოგონაა, მაგრამ საოცარი ნებისყოფის პატრონი. ომის პირობებში რისი შესაძლებლობაც მოგვეცა, ყველა ქართული ღირსშესანიშნაობა დავათვალიერებინეთ. საოცარი რამ მითხრა, რაც ჩემთვის ყველა საქებაზე მეტია: ეს ისეთი ქვეყანა ყოფილა, მისი ყოველი კუთხე-კუთხული ველოსიპედით კი არა, ფეხით უნდა შემოიაროო. ქართული კერძიც




მრავლად დააგემოვნა და ყველაზე მეტად ხაჭაპური, ლომი და საცივი მოეწონა.

— **მარია:**

— ყაზახეთში საოცრად გემრიელი ხილი მივირთვი, ჩინეთშიც მშვენიერი სამზარეულო აქვთ, მაგრამ ქართულმა კერძებმა გამოიკა. მომეწონა სუნელები, რითაც კერძებს კაზმავეთ, მინდა, თან წავიღო, მაგრამ ველომოგზაურს მხოლოდ მცირე და აუცილებელი საგნის ტარება შეუძლია. სლოვენიაში არ გვაქვს გამორჩეული, ნაციონალური კერძები. მაგალითად, ქვეყნის იმ მხარეში, რომელიც იტალიას ესაზღვრება, ლაზანია, ტორტილი და სპაგეტი უყვართ. იქ, სადაც ავსტრია გვესაზღვრება, კარტოფილს და ბევრ ხორცს ჭამენ.

— **მარია, შინ როდის ბრუნდები?**

— საქართველოდან თურქეთში წავალ, იქიდან — ბულგარეთში, სერბიაში, ხორვატიაში და შემდეგ სლოვაკეთში, სამშობლოში დავბრუნდები. ჩემს ველოსიპედს შევაკეთებ, კარავიც გაცვდა და ასლით არის შესაცვლელი. ჯანმრთელობასაც მივხედავ, ცოტა არ იყოს და, ექსტრემალურ პირობებში ყოფნა ჩემს ფიზიკურ, მდგომარეობაზეც აისახა. მეგრე კი ცოტა ფულს კიდევ მოვაგროვებ და ჩემს ველომოგზაურობას აფრიკის ქვეყნებში გავაგრძელებ. ■



„თურგა ორსულ ქალსას ზეიძლება ზეუყვარღეს“...

სიყვარული თყიმე ყველაზე ყრვეყლო დღოსა და კითაიებაშიც ზეიძლება გეზვიოს: ზეგიყვარღეს მამინ, ჰოდესაც ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელიკანი და საბასყხისმგებლო მისიისთვის – დედობისთვის ეზზაღები ან მამაკაცს ზეყვარღეს ქარი, ჰომელიც მყციღ სხვის ზვიღს ატაიებს... რკენი ჰესტონდენტებიც სზოხედ ამ ნიშნით ზეკაიჩრით: მათი ყრვეყლო თავგადესაცვების კომენტაიება კი ფსიქოლოგ სოფიო კეიყდამვიღს კთხოკეთ.



ზეა ტუხიამვილი

ორბა, 34 წლის:

— უფროსი ზვილი, დათუნა 3 წლისაც არ იქნებოდა, როდესაც ჩემი მეუღლე მოულოდნელად გაათავისუფლეს სამსახურიდან. მერაბს მშობლები გარდაცვლილი ჰყავს, ჩემი დედ-მამა კი რაიონში ცხოვრობს და მოსავლიდან მოსავლამდე ძლივს გააქეთ თავი. ამიტომ ფაქტობრივად, ღვთის ანაბარა და ჩემი მცირე ხელფასის იმედად დავრჩით. პროფსიით მედდა გახლავართ, წლების განმავლობაში იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში ექთანად ვმუშაობდი. ჩემი ყოფილი თანამშრომლები ახლაც მიზერულ ჯამაგირს უჩივიან და მაშინ ხომ ჩვენი ხელფასი სასაცილოდაც არ გეყოფნიდა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჯამაგირს სამი-ოთხი თვის დაგვიანებით გვაძლევდნენ. პაციენტის პატრონი თუ რამეს გვაჩუქებდა, ეგ იყო ჩვენი შემოსავალი. მორიგეობაზე ნ ღარს თუ ვიშოვიდი, ბედნიერი ვიყავი და მომავალ მორიგეობამდე პურის ფულად ვიზოგავდი. მერაბმა რა არ სცადა, მაგრამ სამსახური ვერსად იშოვა. ბოლოს, მეგობრების რჩევით, უცხოეთში წასვლა გადამწყვიტა: მშენებლობაზე მანც ვიმუშავებ, ცოტა ფულს ჩამოვიტანო. ძალიან მიჭირდა მეუღლესთან განშორება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა. საბუთების მოსაწესრიგებლად მერაბს თვეზე ცოტა მეტი დასჭირდა, ამასობაში კი გაირკვა, რომ თურმე ფეხშიმედ ვიყავი. წესით, ამ ამბავს ორივე უნდა გავესარებინეთ, მაგრამ საგონებელში ჩავგავადო. ერთხანს მერაბი ყოყმანობდა კიდევ: ორსული ქალი, მცირეწლოვანი ბავშვით ხელში როგორ მიგატოვო, მაგრამ ბოლოს გამგზავრება მანც გადამწყვიტა. თავდაპირველად მის გარეშე ძალიან გამიჭირდა. სხვა ორსულებივით მეც მზრუნველობა, მოფერება და ყურადღება მიჭირდებოდა, მაგრამ ჩემი პატარა დათუნას

გარდა, ხმის გამცემიც კი არავინ მყავდა. სამსახურში ღამის თევაც მიჭირდა, ვფიქრობდი, როგორც კი მერაბი პირველ ჯამაგირს გამოგზავნიდა, სამსახურს თავს დავანებებდი, მაგრამ თითქოს ჯობრზე, ჩემმა მეუღლემ მუშაობა რამდენიმე თვის დაგვიანებით დაიწყო. სწორედ ეს რამდენიმე თვე აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში გადამწყვეტი... სახლში დათუნას რომ ვერავის ვუტოვებდი, თან მიმყავდა სამსახურში და ვიდრე მე პაციენტებს ვუვლიდი, ჩემი ზვილი საორდინატოროში, შესვენებაზე შეკრებილ ექიმებთან ერთობოდა. დათუნას ისე მოსწონდა ფონენდოსკოპით ექიმობანას თამაში, რომ მთხოვდა, საცხოვრებლად საავადმყოფოში გადასულიყავით. ვიდრე მე მთელი ღამის განმავლობაში პალატებში შემოვლას ვანარმოებდი, დათუნას ექთანების სამორიგეო ოთახში, ფეხბომბტრეულ, უხეშ ტატბზე ეძინა ხოლმე და მეც ყველა თანამშრომლის მზერაში ჩემდამი სინანულს ვგრძნობდი. ერთხელაც, ღამის მორიგეობისას, მინდოდა დათუნასთვის დამეხედა და დავრწმუნებულიყავი, რომ მშვიდად ეძინა. შევფოთდი, როდესაც ბავშვი ექთანების ოთახში არ დამხედა და ის-ის იყო ვაპირებდი, მეყვირა: ბავშვი დაკვარგე-მეთქი, რომ საორდინატოროდან პრაქტიკანტმა გოგონებმა გამოიხედეს და მორიგე ექიმის კაბინეტზე მიმოითეთს. კარზე დაკაკუნება არც მიფიქრია, სახელური ჩამოვნიე და კარი ხმაურით შევადე. ვაჟა ექიმი სკამზე იჯდა, ჩემი დათუნა კი თავის სანოლზე დაეწვინა და საჩვენებელი თითის ტუჩებზე მიტანით მანიშნებდა: ჩუმად იყავიო. ნანახმა ისე დამაბნია, რომ ვაჟას თავის დაკვრით მოვებოდიშე და კარი უხმაუროდ გავიხურე. რამდენიმე წამი დახურულ კართან გაშეშებული ვიდექი და ვერც ოთახში შესულას ვებდავდი და ვერც იქიდან წამოსვლას, რადგან იქ ჩემს ზვილს ეძინა. არ ვიცი, ეს მდგომარეობა რამდენ ხანს გაგრძელდებო-

და, ვაჟა თავად რომ არ გამოსულიყო. მზარზე ხელი მომხვია და ისეთი მზრუნველი ხმით მითხრა: ვიდრე ყველაფერი მოგვარდება, შეგიძლია, შენც ჩემს ოთახში მოისვენოო. მივხვდი, ჩემი მდგომარეობის შესახებ იცოდა და გულაჩუყებული ავტირდი. ვაჟამ თავისი დიდი მკლავები შემომხვია და გულში ჩამიკრა. სწორედ მაშინ მივხვდი, თურმე როგორ მიჭირდებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში ვინმეს გულში ჩავეკარი და თანადგომა გამოეხატა. სწორედ თანადგომა და მზრუნველობა გახდა ჩვენი სიყვარულის დასაბამი. თავად ორი ზვილის მამა, ვაჟა ისე ზრუნავდა ჩემს დათუნასა და მუცლადმყოფ მარიამზე, რომ იფიქრებდი, ზვილს მონატრებული მამააო. მშობიარობის დროსაც ჩემ გვერდით იყო და ზვილის დაბადებით გამონეული სიხარული, პირველად სწორედ მან გაიზიარა.

— თქვენი მეუღლისთვის როდის გახდა ცნობილი თქვენი და ვაჟას ურთიერთობის შესახებ? როგორც მივხვდი, ცოლ-ზვილი ვაჟა ექმადაც ჰყოლია, ასე არ არის?

— მერაბმა მხოლოდ მაშინ გაიგო, მას რომ აღარ ვეკუთვნოდი, როდესაც საქართველოში დაბრუნდა. მისი კარგად მესმის, საშინლად განრისხდა, ზვილებთან ერთად სახლიდან გამომაგდო... ერთადერთი, რასაც ვერ ვაპატიებ, ის არის, რომ ცილი დამნამა: მარიამი ჩემი ზვილი არ არის, ვაჟასი იქნებაო. არადა, მე და ვაჟას ფიზიკური სიასლოვე მარიამის დაბადებამდე არც გვექონია. ორსულობის პერიოდში ვაჟა ისე მეპყრობოდა, როგორც მცირეწლოვან ბავშვს, ხელში აყვანილი დაყვავდი. სულ მიკვირდა, მუცლით მისი ზვილი რომ მეტარებინა, მაშინ როგორ მომეცეოდა მეც ამ თვისებების გამო შემეყვარდა ვაჟა, გულის სიღრმეში ხომ ყველა ქალი ძლიერ, მზრუნველ და აღერსიან მამაკაცზე ოცნებობს. ყველა ქალს სიამოვნებს, როდესაც მამაკაცის გვერ-



დით თავს უზრუნველად გრძნობს, არა მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით, არამედ როდესაც მამაკაცისგან მორალური მხარდაჭერაც აქვს. მე კი ამის დეფიციტს ყოველთვის განვიცდიდი. თანაც არასდროს იცი, როდის გენვევა ნამდვილი სიყვარული. მე ეს გრძნობა ორსულობისას მეწვია და ორჯერ უფრო ბედნიერი ვიყავი, რადგან ერთ საყვარელ არსებას გულის ქვეშ ვატარებდი, მეორის სიყვარულს კი — გულის სიღრმეში. სხვათა შორის, უამრავი მითქმა-მოთქმის მიუხედავად, ამ ამბავს ჩემი მშობლები გაგებით შეხვდნენ და ვაჟა ოჯახში შეილივით მიიღეს.

— **მე ვაჟს ცოლ-შვილზე გკითხვთ, პასუხს განგებ ხომ არ გაურბიხართ?**


— უბრალოდ ამაზე საუბარი არ მსია-

მე და ბადრი დავკორწინდებოდით, ამიტომ წინასწარ გეგმავდნენ, როგორ მოილხენდნენ ჯერ ჩვენს ქორწილში, შემდეგ კი ჩვენი ვაჟის ძეობაში. მომავლის გეგმებს მე და ბადრიც ვაწყობდით, რაც შეიძლება მეტი შვილი გვიჩნდოდა გვეოლოდა და ხშირად სახელის შერჩევის გამოც კი გვიკამათია. მაშინ რა ვიცოდი, რომ მთელი ჩემი გეგმები თავდაყირა დადგებოდა. ვისაც ცეკვაზე უვლია, იცის, რომ შედაგოგები ზაფხულობით ენ. „სბორებს“ აწყობენ. აკადემიური პროცესის მსგავსად, არ შეიძლება, რომ შეცადინებები ქორეოგრაფიაში მთელი სამი თვით შეწყდეს. მოცეკვავე ყოველთვის ფორმაში უნდა იყოს. ამიტომ ინტენსიური ვარჯიში აუცილებელია. ამის გამო, ანსამბლები ერთი-ორი თვით თბილისიდან გადიან და შეცადინე-

არანაირი ფიზიკური ტკივილი არ შეეძლება თურმე სულიერ ტრავმას. სურდო მოვიმიზნებ და მთელი ორი კვირით სანოლში ჩაენეჭი. ამ ხნის განმავლობაში ბადრის ერთხელაც არ დაურეკავს. მისი საქციელი კიდევ ერთხელ მარწმუნებდა მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში. ვფიქრობდი, რომ არც ჩემი და არც ჩემი შვილის სიცოცხლე გრომადაც არ ღირდა. ალბათ საშინელ განზრახვას სისრულეში მოვიყვანდი, რომ არა სატელეფონო ხარი, რომელიც ჩემს ცხოვრებაში საბედისწერო აღმოჩნდა. ჩემი და ბადრის საერთო მეგობარი, ჩვენი ანსამბლის წევრი და ჩემი პარტნიორი ზურა რეკავდა, რათა ვკითხა, როდის შევძლებდი რეპეტიციებზე სიარულს. ზურას ხმა რომ გავიგონე, თავი ვეღარ შევიკავე და ავტირდი. ყურმილი გამითიშა და რამდენიმე წუთში ჩემს სანოლთან იჯდა. დამალვას აზრი არ ჰქონდა, ყველაფერი მოუწყვეი, ვედავდი ბიჭს სახეზე, შავი ფერი ედებოდა. კბილებში გამოცრა რალაც და გველნაკბენივით გავარდა ჩემი ოთახიდან. ზურას მოსვლამ რალაცის იმედი გამიჩინა. ვფიქრობდი, რომ მივიდოდა ბადრისთან, დაელაპარაკებოდა, ისიც მიხვდებოდა თავის შეცდომას და ჩემი სანოლის სასთუმალთან ცრემლმორეულს ვნახავდი. ამ მოლოდინში მთელი კვირა გავიდა, მაგრამ არც ბადრი ჩანდა და აღარც ზურა. შემდეგ, როგორც იქნა, კარზე ვილაცამ დარეკა და დედა ოთახში ზურას შემოუძღვა. მახსოვს, ზურას სიტყვების მოლოდინში ყურები ამენვა და რალაც არაამქვეყნიური გუგუნი ჩამესმოდა. მეგონა, ისევე იმას მეტყუოდა, რაც ბადრიმ ჩვენი ბოლო შეხვედრისას მომახალა. მაგრამ ის, რაც მაშინ ზურამ მითხრა, სრულიად მოულოდნელი და განსხვავებული იყო. დღეიდან მაგ ბავშვის მამა მე ვარ, მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებო, — ამ სიტყვების წყალობით ვართ მე და ჩემი შვილი დღეს ცოცხლები. შესაძლოა, უსინდისოდ მოვიქეცი, როდესაც ზურას შემოთავაზებას დავთანხმდი და სრულიად უდანაშაულო ბიჭი ამ საქმეში გავრიე, მაგრამ ეს თვითგადარჩენის ერთადერთი შესაძლებლობა იყო. მშობლებს დღემდე ვერ უპატიებიათ, მანგლისში მათი ნდობით ბოროტად რომ ვისარგებლე და ზურა რომ არა, ხომ ცოცხალსაც არ დამტოვებდნენ.

— **როგორც ვიცო, შენ და ზურა ახლაც ცოლ-ქმარი ხართ. არადა, მაშინ ის შენი შეყვარებულის მეგობარი იყო.**

— ჰო, დამავინწყდა მეთქვა, რომ მე და ზურამ პირობა დავდეთ, ბავშვის დაბადების შემდეგ, რაიმე საბაბით დავცილდებოდით ერთმანეთს, რადგან უსიყვარულოდ ერთად ცხოვრებას რა აზრი ჰქონდა. მაგრამ, ცხრა თვის განმავლობაში, ისე შევწყვიტეთ ერთმანეთს, რომ ნუციკოს დაბადების შემდეგ განქორწინების პირობა არც ერთს არ გაგვხსენებია. ნუციკოს გარდა, მე და ზურას ვაჟი გვეზრდება. მხოლოდ ერთს ვთხოვ ღმერთს, რომ მამამისის მსგავსი ვაჟა-



მოვინებს. ვერ წარმოიდგენთ, ჩვენი სიყვარულის შესანარჩუნებლად რამდენი რამ გადავიტანეთ. დიახ, ვაჟას ჰყავს მეუღლე (ოფიციალურად ჯერ კიდევ ცოლ-ქმარი არიან) და ორი ზრდასრული ვაჟი. დედი-სგან განსხვავებით, ბიჭები ხშირად მოდიან ძმის სანახავად.

— ?

— ერთი წლის წინ, ამ ქვეყანას, ჩემი და ვაჟას სიყვარულის ნაყოფი, პატარა ნიკოლოზი მოველინა. ნიკოლოზი ჩემთვის მესამე შვილია, ასევე მესამეა ის ვაჟასთვის, მაგრამ ის ჩემს შვილებსაც თავისად მიიჩნევს, ისევე როგორც მე მივიჩნეე მის ვაჟებს ჩემად. ასე რომ, ბედნიერი, მოსწრებული მშობლები ვართ, რადგან ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, უკვე ხუთი შვილი გვყავს.

სოფიო, 24 წლის:

— მე და ბადრი ერთად ქორეოგრაფიულ ანსამბლში ვცეკვავდით. რეპეტიციები კვირაში სამჯერ გვექონდა და ჩვენი ნება რომ ყოფილიყო, ალბათ ყოველდღე ვივლიდით ცეკვაზე, ოღონდ ერთმანეთი გვენახა. ვის რას გამოაპარებ და ჩვენი სიყვარულის შესახებაც ყველამ ყველაფერი იცოდა. ანსამბლის სხვა წევრები და ქორეოგრაფები ხუმრობით ნეფე-დედოფალსაც კი გვეძახდნენ. ყველა დარწმუნებული იყო, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ

მე და ბადრი დავკორწინდებოდით, ამიტომ წინასწარ გეგმავდნენ, როგორ მოილხენდნენ ჯერ ჩვენს ქორწილში, შემდეგ კი ჩვენი ვაჟის ძეობაში. მომავლის გეგმებს მე და ბადრიც ვაწყობდით, რაც შეიძლება მეტი შვილი გვიჩნდოდა გვეოლოდა და ხშირად სახელის შერჩევის გამოც კი გვიკამათია. მაშინ რა ვიცოდი, რომ მთელი ჩემი გეგმები თავდაყირა დადგებოდა. ვისაც ცეკვაზე უვლია, იცის, რომ შედაგოგები ზაფხულობით ენ. „სბორებს“ აწყობენ. აკადემიური პროცესის მსგავსად, არ შეიძლება, რომ შეცადინებები ქორეოგრაფიაში მთელი სამი თვით შეწყდეს. მოცეკვავე ყოველთვის ფორმაში უნდა იყოს. ამიტომ ინტენსიური ვარჯიში აუცილებელია. ამის გამო, ანსამბლები ერთი-ორი თვით თბილისიდან გადიან და შეცადინე-

ლობას სიმინდის ტაროს ვპარავდით, მერე ცეცხლის ნაკვერჩხალზე ვწვავდით. როცა წამოვიზარდეთ, ჩვენ მიერ მოწყობილ პიკნიკებზე ალკოჰოლური სასმელიც გაჩნდა. როგორც გავიგეთ, ბიჭები არაყს ასევე ადგილობრივი მოსახლეობისგან ჩუმიად ყიდულობდნენ. ამის შესახებ ქორეოგრაფებს რომ გაეგოთ, შესაძლოა, ანსამბლიდანაც გავერიცხეთ. მოხდა ისე, რომ ერთხელ არაყი გოგონებსაც გაგვასინჯეს. მხოლოდ რამდენიმე ყლუპი მოვსვი და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბადრისთან ერთად, სიყვარულის მორევში გადავშვებულყავი. თბილისში ჩამოსულმა კი აღმოვაჩინე, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები მქონდა და ეს პრობლემები არც მეტი, არც ნაკლები ჩემს მუცელში ჩასახული ბავშვი აღმოჩნდა. ძალიან შევმინდი, ჯერ მხოლოდ 15 წლის ვიყავი, მშობლებს ამის თქმას როგორ გავუბედავდი, მაგრამ მშველელად ბადრი მეგულებოდა. ამიტომ შეიღს რომ ველოდებოდი, პირველად სწორედ მას ვუამბე. ჩემთვის მოულოდნელი და თავზარდამცემი რეაქცია ჰქონდა: გიჟი ხომ არ ხარო! — მიყვირა, შემდეგ კი ურცხვად მომახალა: მოიშორე ეგ ბავშვი და საერთოდაც, მანგლისში რა მოხდა, არაფერი მახსოვსო. მეგონა, დარდისგან მოკვდებოდი.

ცი გამიზარდოს. ის, რაც ჩემმა მუხლზე 16 წლის ასაკში გააკეთა, ზრდასრულ კაცსაც კი გაუჭირდებოდა.

— ნუციკოს ნამდვილ მამაზე მინდა გკითხო, ბადრის არასდროს უნახავს შვილი?

— ჯერ ერთი, რომ ნუციკოს ნამდვილი მამა ზურაა! შენ ალბათ ბიოლოგიურ მამას გულისხმობდი? ბადრი წლების განმავლობაში უცხოეთში ცხოვრობდა... არ ვყო გამბედაობა, რომ შვილისთვის, რომელზეც უარი თქვა, თვალბუნი ჩაეხედა. სანყალი, იმდენად ლაჩარი აღმოჩნდა, რომ სიტყვაც კი არავესთან დასცდენია, რომ ზურამ მამობა მის მაგივრად იტვირთა. ჯერ წელიწადიც არ არის გასული, რაც ბადრი გერმანიიდან ჩამოსავს და აქაურ მინას მიაბარეს. ზურა მინც მივიდა მის დაკრძალვაზე მე და ნუციკო კი საფლავზეც არ ვყოფილვართ.

საზი, 56 წლის:

— დღესაც რომ ვხედავ ორსულ ქალს ქუჩაში, გული რაღაც განსაკუთრებული, თბილი გრძობით მეცხება. ჩემს თვალში ყველა ფეხმძიმე განსაკუთრებულად ლამაზი, სათუთი და ახლობელია. ვიცი, რომ ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი ახალგაზრდობაში განცდილი სიყვარულია. სხვათა შორის, ეს ჩემთვის პირველი სიყვარული იყო და რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ორსული ქალი შემიყვარდა.


რაიონში დავიბადე, გავიზარდე და სკოლაც ტყიბულში დავეთავრე. სკოლის დამთავრებისთანავე ვცადე უმაღლესში ჩაბარება, მაგრამ პირველსავე გამოცდაზე ჩავიჭერი. შინაბერა მამიდა მყავდა, ჩემზე მეურვეობა მას ჰქონდა ალებული და გადანყვიტა, თბილისში, ჩვენს შორეულ ნათესავეებთან ჩამოვეყვანე და მათი დახმარებით მოვეწყვე უმაღლესში. ჩვენი ინტელიგენტი ნათესავეები დროდადრო ტყიბულში დასასვენებლად ჩამოდიოდნენ ხოლმე, ჩვენგან დავალებული იყვნენ. ამიტომ, მამიდა არ გაუნბილებიათ და უთხრეს: ეს ყმანვილი აქ დაგვიტოვებ, ვასწავლით, ვუპატრონებთ და დიპლომით ხელში დაგიბრუნებთ უკანო. ასე დავინწყე თბილისში, ვერაზე ცხოვრება. ნათესავეებმა ნიგნები მომყარეს, მთელი დღე სახლში ვიჯექი და სახელმძღვანელოებს ჩაკვირ-კიტებდი. ოჯახის ყველა წევრი დილიდან საღამომდე სამსახურში იყო დაკავებული, სახლში მხოლოდ მე და ჩემი ნათესავეების ახალგაზრდა რძალი ვიყავით, რომელიც რთული ფეხმძიმობის გამო ბევრ დროს სანოლში ატარებდა. ნათესავეებმა მისი თავი მე ჩამაბარეს და მეც ისე შევიფერე ნათელას მოვლა-პატრონობა, თითქოს ჩემი ცოლი ყოფილიყო. დამიძახებდა ხოლმე: გოგი, გენაცვალე, თუ არ შენუხდები, წყალი მომიტანეო და მეც სიამოვნებით მიკუცუნებდი ხოლმე წყალს. თუ არაფერზე მანუხებდა, მიზეზს ვძებდი, რომ მის ოთახში შესულიყავი და ერთხელ მინც მომეკრა თვალი საყვარელი ქალისთვის. საქმე იქამდე მივიდა, რომ მის ქმარზეც კი დავინწყე ეჭვიანობა. ბრაზი მომიდოდა, როდესაც მესმოდა, როგორ ეფერებოდა ცოლს მუცელზე და მუცლადმყოფ შვილს

ელაპარაკებოდა. სიყვარულმა ისე დამრია ხელი, რომ ნაკითხულიდან არაფერი მახსოვდა და სწავლასაც დიდად გულს ვეღარ ვუდებდი. ერთი სული მქონდა, როდის წავიდოდა ყველა სამსახურში, რომ მე და ნათელა ისევ მარტო დაფრინილიყავით და მასზე მეზრუნა. ასე გაილია მთელი ცხრა თვე, მისი ბავშვის დაბადებამ ისე ველოდი, თითქოს მამა მე ვხდებოდი. გაგეცინებოდა, მაგრამ ზოგჯერ ფიქრებში წასული, ბავშვისთვის სახელებსაც კი ვარჩევდი. რამდენ სისულელეს წარმოვიდგენდი ხოლმე, ოღონდ კი ჩემი სიყვარულის არსებობა გამემართლებინა. მაგალითად, ნათელა რომ მოულოდნელად დაქვრივებულიყო, ან ქმარს გაეჩინა სხვა ქალი... ჩემი ილუზიებიდან პირველად მაშინ გამომაფხიზლეს, როდესაც ნათელას მუცელი ასტიკვდა და სამშობიაროში წაიყვანეს, მე კი „ბავშვის მამა და მზრუნველი ქმარი“ სახლის დარაჯად დამტოვეს. კიდევ უფრო გამოვფხიზლდი, როდესაც ბავშვს ჩემი შერჩეული სახელი არ დაარქვეს. ხოლო, როდესაც ნათელა სახლში მრგვალი, გამოზნექილი, საყვარელი მუცლის მაგიერ აჩხალებული ბავშვით ხელში დაბრუნდა, მივხვდი, რომ საყვარელი ქალი სამუდამოდ დავკარგე. ასეთი ხანმოკლე აღმოჩნდა ჩემი პირველი სიყვარული, მაგრამ სათუთი დამოკიდებულება ორსულების მიმართ მთელი ცხოვრება გამყვა.

სოფიო ვერულაშვილი:

— მოსაზრება, რომ თითქოს ორსული ქალი მთლიანად მუცლადმყოფ შვილზეა გადართული, მცდარია. ხშირ შემთხვევაში, ფეხმძიმობისას ქალები ყველაზე მეტ დროს თავის თავზე ზრუნვას უთმობენ, მაგრამ ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, მისი მდგომარეობაა. ორსულობის პერიოდში უფრო ფაქიზი და გამძაფრებულია გრძნობები, შეგრძნებები, დამოკიდებულება საკუთარი თავის, სხვების მიმართ. ორსულობისას ქალი უფრო ნაზი, ჩვილი ბუნების ხდება. ეს ერთგვარი ფსიქოფიზიოლოგიური პროცესია. მუცლადმყოფ შვილს ის ჯერ კიდევ ვერ აღიქვამს სხვა, დამოუკიდებელ არსებად. სიყვარული ილუზია, განცდა და გრძნობებია. ამიტომ სულ არ არის გასაკვირი, რომ ეს გრძნობა ქალს სწორედ რომ ორსულობის უამს ენიჭოს. განსაკუთრებით ორსულობის პირველ ტრიმესტრში ისე აქვს ქალს გამძაფრებული შეგრძნებები, რომ შესაძლოა, მამაკაცის სქესის სურნელის მიმართაც კი ჰქონდეს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი რეაქცია რაც შეეხება თქვენი რესპონდენტის, ბატონი გოგის შემთხვევას, აქ საქმე მოზარდ ბიჭთან გვაქვს,

რომელიც არ არის გათამამებული ქალთან ურთიერთობით და როდესაც მარტო ტოვებენ თითქმის მისი ასაკის ქალბატონთან, რომელიც ისე არის განაზრებული, რომ თავის ქალობას აფრქვევს, ბუნებრივია, ყმანვილკაცს ის თავდავინყვებით უყვარდება. კარგია, რომ მან დროულად მოახერხა თავი დაეღწია ამ ილუზიური მდგომარეობისთვის და გააცნობიერა, რომ ქალი, რომელიც უყვარდა, სხვას ეკუთვნოდა. პირველი რესპონდენტის შემთხვევაში კი ქალბატონი ისე დეტალურად აღწერს თავის მატერიალურ მდგომარეობას, რომ ცოტა ეჭვიც კი მიჩნდება, მის შემთხვევაში პირველ ადგილზე გრძნობა იდგა თუ მატერიალური კეთილდღეობის სურვილი. ირმას და ვაჟას ურთიერთობაში გადამწყვეტი მამაკაცის მზრუნველი ხასიათი აღმოჩნდა. პრობლემების მოგვარება შვილისადმი გამონახული რბილი ტახტით დაიწყო. ქალს კი მამაკაცის მიმართ მაღლიერების განცდა გაუჩნდა. მაგრამ ნუ დაგვაინყვდება, რომ ამ ამბავს მსხვერპლიც ჰყავს და ის ამ ქალბატონის ქმარია, რომელიც სხვა ქვეყანაში ოჯახის კეთილდღეობის გამო წავიდა და გარკვეული პერიოდის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა თავის ცოლ-შვილს. თავისებურად საინტერესოა მესამე რესპონდენტის ამბავიც და აქაც, წყვილის ურთიერთობაში გადამწყვეტი, მამაკაცის მხრიდან ორსულ ქალზე ზრუნვა და ერთმანეთთან შეჩვევა აღმოჩნდა. ერთ-ერთი პოეტის სიტყვები მახსენდება: „შეჩვევა თურმე ყველაზე სანდო, ყველაზე დიდი სიყვარულია...“ დასასრულს მინდა გითხრათ, რომ თქვენი რესპონდენტების ნაამბობში უცნაური და გასაკვირი არაფერია. სამივე რესპონდენტი ურთიერთობებში გარკვეულ დეფიციტს განიცდიდა და როგორც კი მისი შევსების შესაძლებლობა გაჩნდა, სიყვარულმაც თავი იჩინა. ორსულ ქალს კი დამიჯერეთ, სხვაზე უფრო ხშირად შეიძლება შეუყვარდეს.



გენიტალური ჰერპესული ინფექცია

„გზის“ რედაქციაში შემოვიდა წერილი, სადაც მკითხველი გვთხოვს, ვესაუბროთ გენიტალური ჰერპესული ინფექციის შესახებ. ჩვენ ვწვებით ამ სფეროს წამყვან სპეციალისტს, ერთ-ერთი სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელს ვახტანგ კვიციანიას და ვთხოვეთ ამ საკითხის ირგვლივ საუბარი.



— ბატონო ვახტანგ, პოპულარულ ენაზე აგვისტონო რას ნიშნავს გენიტალური ჰერპესი?

— გენიტალური ანუ სასქესო ორგანოების ჰერპესი არის უპირატესად სქესობრივი გზით გადადები ქრონიკულად მიმდინარე, მორეციდივე ვირუსული დაავადება. მას ახასიათებს შარდ-სასქესო სისტემის, კანისა და ლორწოვანი გარსების დაზიანება.

გენიტალური ჰერპესის გამომწვევი არის მარტივი ჰერპესის ვირუსის მე-2 ტიპი, იშვიათად 1-ელი ტიპი. იგი იჭრება ორგანიზმში ლორწოვანის ან კანის საფარვლიდან და შთაინთქმება სენსორულ (გრძნობის ორგანოებთან დაკავშირებული) ნერვულ დაბოლოებებზე არსებული სპეციალური ვირუსული რეცეპტორების მიერ. ჩაინერგება ნერვულ აქსონებში, საიდანაც ხვდება ნერვულ განგლიებში (ნერვული უჯრედების გროვა) და რჩება ლატენტურ (გამოუმუდავებელ) მდგომარეობაში მთელი სიცოცხლის მანძილზე. ახასიათებს რეაქტივაციას, რაც რეციდივების განვითარების მიზეზი ხდება.

— რამდენად ხშირად გვხვდება და რამდენად საშიშია ეს დაავადება?

— საქართველოში ჰერპესით დაავადებულთა აღრიცხვა არ ხდება და ამიტომ რეალური სურათი არ გვაქვს. მოსახლეობას წარმოდგენა რომ შეუქმნათ ამ ინფექციის სისშირეზე, გეტყვი, რომ აშშ-ში 45 მლნ ადამიანზე მეტია დაავადებული და ყოველწლიურად რეგისტრირდება 1 მლნ-ზე მეტი ახალი შემთხვევა. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ინფიცირებულია მოსახლეობის 65-70% — ეს უაღრესად დიდი ციფრია. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 20-25%-ს აქვს კლინიკური გამოვლინება.

რაც შეეხება საშიშროებას, გეტყვი, რომ გენიტალური ჰერპესის ყველაზე მძიმე შედეგი არის ახალშობილთა ჰერპესი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ჩვილის სიკვდილი ან მყარ ნერვოლოგიური ცვლილებები.

— დაავადება სქესობრივი გზით გადადის?

— ინფიცირება უპირატესად ხდება უსიმპტომო ფორმით დაავადებულთან

სქესობრივი კონტაქტის დროს. შესაძლებელია ახალშობლის ინფიცირება მშობიარობისას. შედარებით იშვიათია აუტონიკულაცია (დაავადების გადატანა ორგანიზმის ერთი ადგილიდან მეორეზე).

— რა სიმპტომებით ვლინდება სასქესო ორგანოების ჰერპესული ინფექცია?

— სანამ სიმპტომებზე დაიწყოთ ლაპარაკი გეტყვი, რომ ამ დაავადებას ახასიათებს რამდენიმე კლინიკური ფორმა. ესენია:

- პირველადი გენიტალური ჰერპესი;
- გენიტალური ჰერპესის რეციდივი;
- უსიმპტომო ინფექცია.

პირველადი გენიტალური ჰერპესისთვის დამახასიათებელია მონიტალო ფერის პაპულები (მშრალი ხორკლი), ვეზიკულები (სითხიანი ბუშტუკი), ფისტულა (ჩირქოვანი ბუშტუკი), წყლულები და ქერქები. გამოწყარო მცირე ზომისაა, ხშირად ჯგუფ-ჯგუფად არის განლაგებული სასქესო ორგანოებზე ან პერიანალურ მიდამოებში. წყლულები მტკივნეულია, ახლავს ორმხრივი ლიმფადენოპათია. გამოწყარო 7-15 დღის განმავლობაში განიცდის გარდაქმნას: პაპულა-ვეზიკულა-ფისტულა-წყლული-ქერქი. პირველადი გენიტალური ჰერპესის დროს ხშირია ეროზიული ცერვიციტი (საშვილოსნოს ყელის ანთება) ან ურეთრიტი (შარდსადენის ლორწოვანი გარსის ანთება). კუდუსუნის ნერვების დაზიანებამ შეიძლება განაპირობოს ნევროლოგიური სიმპტომი, ტემპერატურის მატება, საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, სინათლის შიში და კუნთების რიგიდობა (დაჭიმულობა).

გენიტალური ჰერპესის რეციდივის დროს გვხვდება პოლიმორფული ექსუდაციური ერითემა. საზარდულის ლიმფადენიტი (ლიმფური ჯირკვლის ანთება) და ნევროლოგიური სიმპტომები იშვიათია.

— რა გამოვლენების ჩატარება აუცილებელია დიაგნოზის დასაზუსტებლად?

— უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავ, რომ ტიპური გამოწყაროს არსებობის

შემთხვევაში, დიაგნოზის დასა შეიძლება კლინიკური სურათის მიხედვით.

გაურკვეველ შემთხვევაში ვირუსის გამოვლენის მიზნით საჭიროა ლაბორატორიული გამოკვლევა, ვირუსოლოგიური და მოლეკულურ-გენეტიკური (პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია; დნმ ჰიბრიდიზაცია) მეთოდებით, ასევე ვირუსის ანტიგენის გამოვლენა რადიოიმუნური ანალიზით ან იმუნოფერმენტული მეთოდით და იმუნური პასუხის განსაზღვრა პასიური ჰემაგლუტინაციით, კომპლიმენტური შებოჭვის რეაქციით ან იმუნოფერმენტული ანალიზით. რა თქმა უნდა, ექიმი ირჩევს რომელიმე ერთ მეთოდს კონკრეტულ შემთხვევაში. გარდა ამისა, პაციენტმა უნდა ჩაიტაროს გამოკვლევა სხვა სქესობრივი გზით გადადებ დაავადებებზე.

— ალბათ დამეთანხმებით, რომ პაციენტმა უნდა იცოდეს, თუ რატომ იკეთებს ამა თუ იმ გამოკვლევას და რამდენად ინფორმატიულია იგი. სწორედ ამიტომ გთხოვთ, გვესაუბროთ ზემოთ ხსენებულ მეთოდებზე.

— რასაკვირველია გეთანხმებით და იმასაც დავამატებ, რომ ავადმყოფმა უნდა იცოდეს თუ რაში მდგომარეობს მისი დაავადება, რატომაა საჭირო გამოკვლევების ჩატარება, რა ინვესტს მას, როგორ ვრცელდება, რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს და სხვ. მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება სქესობრივი გზით გადადებ დაავადებებს.

ვირუსოლოგიური მეთოდი ანუ ჰერპესის ვირუსის გამოყოფა უჯრედული კულტურით მიეკუთვნება ყველაზე ძველ და კლასიკურ მეთოდს. დიდი მნიშვნელობა აქვს მასალის სწორად შეგროვებას და მის დროულ ტრანსპორტირებას მაღალკვალიფიციურ ლაბორატორიაში. გამოკვლევის ხანგრძლივობა 3-14 დღეა. უაწყობითი შედეგი არ გამოიციტება ვირუსის არსებობას და საჭიროებს განმეორებით კვლევას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი გამოირჩევა კარგი მგრძობელობითა და მაღალი სპეციფიკურობით, იშვიათად იხმარება კლინიკურ პრაქტიკაში.

პოლიმერაზული უჯრედული რეაქცია ყველაზე მგრძობიარეა ჰერპესის ვირუსის დნმ-ის გამოსავლენად. თუმცა საჭიროებს სპეციალურ აპარატურა-მონოკლინობებს და საკმაოდ ძვირად ღირებულება.

პირდაპირი იმუნოფლოუორესენციულმა მეთოდმა პოვა დიდი პრაქტიკული გამოყენება, რადგან ახასიათებს მაღალი სპეციფიკურობა და სრულდება მინიმალურ დროში (30-60 წთ).

დღეისათვის ყველაზე ფართო გამოყენება პოვა იმუნოფერმენტული მეთოდით ვირუსის სპეციფიკური ანტისხეულების A, G, M განსაზღვრამ. იგი გამოირჩევა მაღალი მგრძობელობით, სპეციფიკურობითა და სწრაფი შედეგებით.



ალსანიშნავია, რომ ექიმმა დიფერენციული დიაგნოზი უნდა გაატაროს სიფილისთან, სნეკროიდთან, ემპტიონ-ბარის ვირუსთან, ციტომეგალოვირუსთან, მედიკამენტოზურ ცერვიკიტთან. სწორედ გამოკვლევის ეს მეთოდები დაეხმარება ვენეროლოგს ამ დაავადებების გამორიცხვასა და ზუსტი დიაგნოზის დასამაში.

— მკურნალობა როგორ ხდება?

— გენიტალური ვირუსული პერპეუსის მკურნალობის მიზნით ინიშნება ანტივირუსული პრეპარატები (ფამციკლოვირი, ვალაცკლოვირი, აციკლოვირი). ეს საშუალებები აჩქარებს გამონაყარის ელემენტების ალაგვას, ამცირებს რეციდივის რისკს და გამოწვევის გამოყოფას, მაგრამ ვერ ანადგურებს ვირუსს.

ანტივირუსული პრეპარატების შერჩევა, მათი დოზის დადგენა და მიღების ხანგრძლივობის განსაზღვრა მხოლოდ ექიმს შეუძლია.

გარდა პრეპარატებისა, აუცილებელია ადგილობრივი მკურნალობაც: ამისათვის საჭიროა გამოწყარის დღეში 2-3-ჯერ დაბანა წყლით, სასურველია თავისუფალი, ბაშის თეთრულის ხმარება. თუ გამოწყარი მტკივნეულია, მაშინ შეიძლება ტკივილგამაყუჩებელი მალამოს გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ანტივირუსური ადგილობრივი პრეპარატები პეროპალურთან შედარებით გაცილებით ნაკლებეფექტურია.

— გენიტალური ვირუსული ინფექციის შემთხვევაში ორსულებსაც ენიშნებათ ანტივირუსული პრეპარატები?

— არც ერთი ანტივირუსული პრეპარატი არ არის ლიცენზირებული ორსულობის დროს გამოყენებისათვის. ყველაზე მეტი გამოცდილება დაგროვილია აციკლოვირის გამოყენების შესახებ, ამიტომ მას ეძლევა უპირატესობა ფამციკლოვირთან და ვალაცკლოვირთან შედარებით.

ორსულობის ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აციკლოვირის მუდმივი მიღება არ დაუშვებს რეციდივის განვითარებას მშობიარობის დროისთვის და შესაბამისად ავიცილებთ საკეისრო კვეთის აუცილებლობას.

— ბატონო ვახტანგ კიდეც რამეს ხომ არ დაამატებდით?

— რამდენიმე სიტყვით გენიტალურ ვირუსულ ინფექციასთან დაკავშირებით არსებულ ეთიკურ-სამართლებრივ რეკომენდაციებზე მოგახსენებთ. ავადმყოფს უნდა ეცნობოს რეციდივის განვითარების შესაძლებლობაზე და მის მიერ სქესობრივი პარტნიორების ინფიცირებაზე, დაავადების კლინიკური ნიშნების არარსებობის დროსაც კი (განსაკუთრებით პირველ 6-12 თვეში). მას უნდა მიეცეს პრევენტივის გამოყენების რეკომენდაცია.

აუცილებელი სქესობრივი პარტნიორებისათვის დაავადების კლინიკური ნიშნების ახსნა, რომლის წარმომართობისთანავე საჭიროა მკურნალობის დაწყება.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ საინტერესო საუბრისათვის.

გულით ავადმყოფები დასასვენებლად მიამზავრებინან

თუ გულით ავადმყოფები დამორჩილებიან ჩვენს შემოთავაზებულ 8 წესს, მაშინ დასვენების მშვიდობიანი გატარება გარანტირებული ექნებათ.

წესი პირველი. დასასვენებელი ადგილის შერჩევას უპირატესობა მიანიჭეთ თქვენი საცხოვრებლის ადგილმდებარეობის მსგავსი კლიმატური პირობების მქონე კურორტს, ქალაქსა და სოფელს. თუ ზღვაზე დასვენებას გადაწყვეტთ, ნუ დაინწყებთ ძებნას შორეულ ქვეყნებში, ზღვა საქართველოშიც გვაქვს. ასე გულსაც გაუფრთხილებით და ჯიბესაც.

წესი მეორე. თუ გული განუხებთ, თავი შეიკავეთ შორეული მოგზაურობისგან და შეეცადეთ, არ შეიცვალოთ საათობრივი სარტყელი 2-3 სთ-ზე მეტი განსხვავებით.

წესი მესამე. მოგზაურობის წინ აუცილებლად ეწვიეთ მკურნალ ექიმს და თქვენი გეგმები გააცანით. შეუთანხმეთ მას დასვენების პერიოდში სითხისა და შარდმდენების მიღების რეჟიმის შესახებ. მოიმარაგეთ შესატყვისი მედიკამენტები ანუ ნაწლები, რომლითაც მკურნალობით და ნაწლები, რომელთა მიღებაც შეიძლება დაგჭირდეთ ექსტრემალურ სიტუაციაში.

წესი მეოთხე. დაიმასხოვრეთ იმ პრეპარატების დასახელება და დოზა, რომლებსაც იღებთ. ხომ შეიძლება, სადღაც გაგებნეთ და მათი ყიდვა დაგჭირდეთ? არ შეცვალოთ თვითნებურად (აფთიაქის თანამშრომლის რჩევითაც კი) მკურნალი ექიმის მიერ დანიშნული პრეპარატი, მისი დოზა და მიღების წესი.

წესი მესამე. დასვენების პერიოდში თვალყურს ადევნეთ თქვენს წონას. სხეულის მასის დაკლება არა მარტო გაგიუფჯობს სუბიექტურ შეგრძნებებს, არამედ გულსაც შეუმცირებს დატვირთვას. თუ წონაში მოიმატეთ, მაშინ დროა, გადახედოთ კვების რაციონს და მსუბუქ დიეტაზე გადახვიდეთ.

წესი მათხმე. ექიმთან შეთანხმეთ შესაძლო ფიზიკური დატვირთვის ნორმები. დღის რეჟიმი დამოკიდებულია თქვენი ჯანმრთელო-

ბის მდგომარეობაზე. — თუ როგორ გრძობთ თავს და რასაკვირველია, ასაკზე. შეიძლება, ერთისთვის საჭირო იყოს მხოლოდ ფეხით სეირნობა ან ცურვა, სხვამ კი უფრო აქტიური ქმედებების ნებართვა მიიღოს. მაგალითად, ზღვაზე „ბანაებით“ გასეირნება, ბადმინტონის ან ხელბურთის თამაში და ა.შ.

წესი მათხმე. დანერჩილებით განიხილეთ ექიმთან, თუ როგორ უნდა იკვებოთ დასვენების დროს — აუცილებლად უნდა დაიცვათ დანიშნული დიეტა თუ შეგიძლიათ პატარა-პატარა გადახვევა. გულით ავადმყოფებს დაახლოებით ერთნაირი კვების რეჟიმი აქვთ: ცხიმოვანი და შემწვარ-მოსხრავული კვების შეზღუდვა, ღორისა და საქონლის ხორცის ჩანაცვლება ფრინველის ხორცით ან თევზით, ცხიმგამოცლილი რძის პროდუქტებით კვება და ა.შ. ნუ გაგიტაცებთ ტკბილეული, მიიღეთ მეტი ხილი, მაქსიმალურად შეზღუ-



დეთ მარილი და ცხარე კვრძები. ზომიერება დაიცავით ალკოჰოლური სასმელების მიღებისას. უკეთესია, თუ ალკოჰოლს ჩანაცვლებთ გაზგასული მინერალური წყლით.

წესი მათხმე. ადგილზე ჩასვლისთანავე გაარკვიეთ, ვის უნდა მიმართოთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა და არ დაივწყით მკურნალი ექიმის ტელეფონის ნომრის წაღება.

გისურვებთ ბედნიერ დასვენებას!!!

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტ მაღაზია www.elva.ge წიგნები და უურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ფვ. ფაჩი	6 თვე
1. ოჯახის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3



პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასპალიტრა“

ქ. თბილისი ოსტეპიძის ქ. № 49 ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74. ფაქსი: 38-26-74

E-mail: elva@kvispalitra.com

ავრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების უურნალ-გაზეთები

**აქტიური
სიასლა**

მეხნეობა სინესთეზიის ახალი სახეობა აღმოაჩინეს

კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა სინესთეზიის ახალი სახეობა აღწერეს. მათ მიერ შემთხვევით აღმოჩენილ სინესთეტიკური უნარის მქონე პირებს ესმით ხმები მოძრავი ობიექტისა და გამოსახულების მზერისას.

სინესთეზია ალქმის უნარის თავისებურებაა, რომლის დროსაც ერთ-ერთი გრძობის ორგანოს გაღიზიანება ავტომატურად იწვევს სხვა გრძობის ორგანოსთვის შესატყვის შეგრძნებებს. სინესთეზიის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს „ფერადოვანი სმენა“ — როდესაც ხმები ალიქმება ფერებში. სინესთეზიის სხვა ცნობილი ნაირსახეობის დროს ფერს, ხმებს, გემოს და ტაქტილურ (შეხებით) შეგრძნებებს უკავშირებენ ნიშნებს, გეომეტრიულ ფიგურებსა და სიტყვებს.

სინესთეზიის ახალი სახეობა შემთხვევით აღმოაჩინეს კალიფორნიის მელისა სენცის (elissa Saenz) სახელობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ნეიროინფორმატიკის სპეციალისტებმა. ერთერთმა სტუდენტმა კომპიუტერის სკრინსეივერზე დაინახა სწრაფად ცვალებადი ზომის წერტილი და გარშემო მყოფთ ჰკითხა, ესმით თუ მათ იგივე ხმები, რაც მას.

როგორც გაირკვა, სტუდენტისთვის მონიტორზე წერტილის მოძრაობას თან ახლდა დამახასიათებელი ხმები. მოგვიანებით ახალგაზრდამ ისიც აღნიშნა, რომ დაბადებიდანვე ესმის ხმები მოძრავი ობიექტების დანახვისას და ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს.

სენცმა და მისმა კოლეგებმა სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ აღმოაჩინეს სინესთეზიის ამგვარი ფორმის ვერც ერთი შემთხვევა.



ვევა. მათ იმავე სკრინსეივერზე ჩაუტარეს ტესტირება რამდენიმე ასულ მოხალისეს და ანალოგიური სინესთეზიური უნარის მქონე კიდევ სამი ადამიანი აღმოაჩინეს. სამივე საკმაოდ გააკვირვა იმის გაგებამ, რომ ადამიანების უმარავლესობა სამყაროს სხვანაირად აღიქვამდა.

როგორც გაირკვა, სინესთეზიის ეს ახალი ნაირსახეობა მნიშვნელოვნად არ მოქმედებს ცხოვრების ხარისხზე. მეცნიერების აზრით, სმენითი სინესთეზია საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა: არ არის გამორიცხული, რომ ასი ადამიანიდან ერთს შექონდეს ეს უნარი.

ზოგ შემთხვევაში სმენითი სინესთეზიური უნარი შეიძლება სასარგებლოც კი აღმოჩნდეს. ამ უნარის მქონე პირები ჩვეულებრივ ადამიანებთან შედარებით უკეთ უმკლავდებიან ყურადღებაზე ჩატარებულ ტესტებს, რომლის დროსაც მათ სთავაზობენ, განსაზღვრონ ეკრანზე წერტილების მორზე ანბანური პრინციპით განსხვავებული, მაგრამ ბგერითი სიგნალების არმქონე თანამიმდევრობა.

სინესთეზიის ახალი ფორმის შესახებ ანგარიში გამოქვეყნდა ჟურნალ Current Biology -ში.

სიასლა! ჩანართი გათოვის, ვისაც

პედაგოგიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

სასლუი პაპარა ჰყავს



ოჯახის პედაგოგი

-  შეკითხვები პედაგოგს
-  0-დან 1-მდე
-  ბავშვის ფსიქოლოგია
-  როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა


შეაგროვა და აკინძა



სიბნელის გავრცელება სისრულში ვერსოვსკის განაჩენი

სიბნელის გავრცელება

„დედაცს ცრემლი თვადებზე მოსდის, ვაჟაცს კი გუდში ეღვრება“, — ეს მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებია და ვფიქრობ, ამბავს, რომელიც ახლა უნდა მოგიყვით, სრულიად შეუფერება ერთი ოჯახის 2 ტრაგედია; ერთი მედიის 2 მხარე...



მარი ჯაფარიძე

წლების წინ, აფხაზეთის ომის შემდეგ, ერთ-ერთი სახლის ეზოში მდგარ გარაჟში მარტოხელა კაცი შესაწლდა. ხმა გაეარდა, ლტოლვილიაო. მთელი უბანი ფეხზე დადგა. ზოგმა საწოლი მიუტანა, ზოგმა ჭურჭელი, ლოგინი, გაბჭურა, მერე ერთ კუთხეში სამზარეულო მოაწყო, წყალიც შეიყვანა, უკანა კედელზე კარი გამოამტვრია და ტუალეტი მიაშენა. დღემდე იქ ცხოვრობს, ავტოფარების წინა კუთხეში სახელოსნო მოაწყო და თავს ფეხსაცმელების შეკეთებით ირჩენს. ბევრი არც არაფერი უნდა, დღის განმავლობაში გამოიმუშავებული „კაპიკებით“ საღამოს 1 ბოთლი არაყი, 1 პური და ცოტაოდენი მისაყოლებელიც მოსდის და ისიც კმაყოფილია.

მასთან სრულიად შემთხვევით, ახლანდელი ომის დროს მოვხვდი. ფეხსაცმელზე ქუსლი

მომტყდა და იძულებული გავხდი, ყველაზე უახლოეს მენალეს მივდგომოდი. საღამო ხანი იყო, მასთან უბნის რამდენიმე მამაკაცს მოეყარა თავი, პატარა მაგიდაზე ღარიბული სუფრა გაეშალათ, სვამდნენ და თან კონფლიქტის ზონაში შექმნილ სიტუაციაზე ლაპარაკობდნენ. გენადი (ასე ჰქვია მენალეს) ჩემს დანახვაზე ფეხზე წამოდგა. ფეხსაცმელი გავიხადე და შესაკეთებლად მივანოდე. შიშველი ფეხი მეორე ფეხზე დავიდგი და კედელს მივეყრდენი. სტუმრებმა არ მომასვენეს, იქვე მდგარი დაბალი სკამიც მომანოდეს და არყით სავსე ჭიქაც, — საქართველოს სადღეგრძელოს ვსვამთ

და ერთი ჭიქა შენც დაგვილიეო. მერე ყველანი დაიშალნენ და მენალესთან პირისპირ დავრჩი. კარგა ხანს მდუმარედ, თავჩაქინდრული აკეთებდა საქმეს, შემდეგ მითხრა — რას აკეთებენ ეს მამაძაღლები, თურმე სოფლებს აწიოკებენ და მშვიდობიან მოსახლეობას ერჩიან, ქალებს შეურაცხყოფას აყენებენ, ზოგს კი იტაცებენ და ღმერთმა იცის, სად მიჰყავთო.


— ჰო, საშინელებებს სჩდიან, ამაზე ფიქრიც კი აღარ მინდამეთქი, უხალისოდ ვუპასუხე.

— ვისაც საკუთარ თავზე არ აქვს გადატანილი, ის ვერ გაიგებს, რა რთულია ომი და რა საშინელება შეიძლება

დატრიალდეს მათ თავზე, ვინც უშუალოდ კონფლიქტის ზონაში ცხოვრობს. მე აფხაზეთიდან ვარ გამოქცეული, მთელი ეს წლები კომმარები მანუხებს იმის გამო, რაც ჩემი თვალთ ვნახე და გადავიტანე. მას შემდეგ აქ ვცხოვრობ, ამ გარაუში და ვაჟკაცობა არ მყოფნის, რომ თავი მოვიკლა. თუმცა ყოველ დღით, როცა ვიღვიძებ, მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რომ სალამოს აუცილებლად აქ ჩამოვეკიდები, — ხელი ავტოფარების ქერზე დამაგრებული კაუჭისკენ გაიშვირა. — თოკიც

არიან და ყოველ სალამოს სტუმრად მოდიან. მათ რომ ჩემი ამბავი მოვუყვე, მიმატოვებენ და კაცობაზეც ხელს ამალებინებენ. — კი, მაგრამ ასეთი რა მოხდა? — მივხვდი, რომ გულახდილობის გუნებაზე იყო და ერთი სული ჰქონდა, გულს როდის გადამიშლიდა. სულ პატარა ბიძგი სჭირდებოდა, რომ დაგროვილი ბოღმა გულიდან ამოეღო. — აფხაზებმა ცოლი ჩემ თვალწინ გააუპატიურეს, მე კი ვერაფერი ვიღონე. ამაზე მეტი რა უნდა მომხდარიყო? სოფლი-

გუდა-ნაბადი აგვეკრა. ერთი სიტყვით, კარი საგულდაგულოდ ჩაკვეთეთ და დაღამებას დაველოდეთ. შებინდდა თუ არა, ეზოში 5 კაცი შემოვიდა. ეზო მოიარეს და სახლს მოადგნენ. ფანჯრიდან ჩანდა, რომ სახლი გაძარცვული არ იყო. ჰოდა, გადანყვიტეს, კარი შემოემტვრიათ და ნადავლი გაეტანათ. კარი ავტომატის კონდახით იოლად გატეხეს და სახლიდან ნივთების გატანა დაიწყეს. ჩვენ ერთ-ერთ საძინებელში, საწოლის ქვეშ ვიყავით შემძვრალი და გასუსულები ველოდით, როდის ნავიდოდნენ. თან ღმერთს ვევედრებოდით, რომ გადავერჩინეთ. ბოლოს, იმ ოთახშიც შემოვიდნენ და შეკრული ფუთები რომ დაინახეს, მიხვდნენ, იქვე, ახლოს ვიქნებოდით. ან შესაძლოა, ინფორმაცია ჰქონდათ, რომ ნასულები არ ვიყავით და ძებნა დაგვიწყეს. იოლად მოგვაგნეს და საწოლის ქვემოდან კნუტებივით გამოგვათრიეს. შიშისგან ერთიანად ვცახცახებდი, თავს ვერ ვერეოდი და ციებინივით მაკანკალებდა. მამაკაცებმა ჩემი ცოლი შეათვალაიერეს. მერე ერთი მივიდა და გულისპირი გამოუწია. მკერდში ჩახედა და ტუჩები მოილოკა. დანარჩენებმა წრეში მოაქციეს და მსუნაგი მზერით ხვრეტდნენ. მზია მიყურებდა და თვალებით შველას მთხოვდა. მერე ერთმა მაისური ტანზე შემოახია და მკერდი მოუშიშვლა. თვალებიდან ცრემლი მდიოდა, მაგრამ უძლური ვიყავი. ერთმანეთში მოილაპარაკეს, ვინ გააუპატიურებდა პირველი. ინიციატივა ყველაზე ახმახმა აიღო. როგორც ჩანს, მეთაური იყო. მანამდე ჩემთან მოვიდა და რუსულად მითხრა: — გინდა, უყურო, როგორ ვიხმარ შენს ცოლს? — პასუხი ვერ გავეცი. — ახლა ხუთივე გადაუვვლით, ვიხმართ და შენც „დაგატკბობთ“. თუ ამის ყურება არ გინდა, შეგიძლია, თავს უშველო, — თქვა და პისტოლეტი გამომიწოდა. მეორემ ამ დროს იარაღი კეფაზე მომადო, რომ სისულელე არ ჩამედინა და მათივე მიწოდებული იარაღით რომელიმე არ მომეკლა. — თუ გინდა, ის წოკალი და გადაარჩინე, — მიმითითა ცოლზე. თავი ჩავქინდრე და გამონვდილი იარაღისკენ ხელიც ვერ გავიწოდე. — თფუ, — სახეში შემაფურთხა აფხაზმა და შარვლის შესსნა დაიწყო.



ნაყიდი მაქვს, მაგრამ საკუთარი თავისთვის გამოტანილი განაჩენი სისრულეში ვერ მომყავს. მხდალი ვარ და იმიტომ. სწორედ სიმხდალის გამო ჩავვარდი ასეთ დღეში და ისევ სიმხდალე მიშლის ხელს, რომ ვაჟკაცურად მოვიქცე და ერთხელ და სამუდამოდ დავისვენო. — ასე არ შეიძლება, ცოცხალი ადამიანი უკიდურეს გასაჭირშიც იპოვის საშველს. თვითმკვლედი კი ჯოჯოხეთში მოხვდება და სიმშვიდეს ვერც იმ ქვეყნად პოვებთ, — მისი დამშვიდება ვცაადე. — ამაზე მეტი ჯოჯოხეთი სხვაგან არ იქნება. ჩემი ამბავი ვერავისთვის გამიმხელია. ის ბიჭები, რომლებიც წელან აქ იყვნენ, უბნის „ბირჟავიკები“

დან გამოსვლა ვერ მოვასწარი. ბარგი შევკარით და დაღამებას დაველოდეთ, რომ შეუმჩნეველად გამოვსულიყავით სამშვიდობოს. სოფელი უკვე დაცლილი იყო, ჩვენ კი ჩემი სიჯიუტის გამო ისევ იქ ვიყავით. — ჩემი ხელით აშენებულ სახლს არ მივატოვებ, აფხაზებს არ დაუტოვებ-მეთქი. 2 შვილი გვყავდა და ისინი ომის დაწყებისთანავე იმერეთში, სიდედრთან წავიყვანე. ცოლსაც იქვე ვტოვებდი, მაგრამ ვერ დავითანხმე. — მარტო ვერ დატოვებო, მითხრა და შინ გამომყვა. ვიდრე აფხაზი მეზობელი გვმფარველობდა, ჩვენთვის ხელი არავის უხლია, მაგრამ მერე ის კაცი სადღაც დაიკარგა. შესაძლოა, მოკლეს კიდეც და იძულებული გავხდით,

მზიამ მხოლოდ ამის შემდეგ ამოიღო ხმა. ეხვეწებოდა, თავი დამანებეთ, ნუ გამაუბატიურებთო, მაგრამ მოძალადემ უთხრა: — შენმა ქმარმა ვერ დაგიცვა. მაგას რომ ვაუჯაცობა გამოეჩინა, არაფერი მოგივიდოდა, მაგრამ ახლა ვერ გადარჩები, ყველანი გიხმართ, მაგრამ ცოცხალს გაგიშვებთო.

თვალეებიც ვერ დავხუჭე. ერთმანეთს დაენახლევნენ, ვინ უფრო დიდხანს გააგრძელებდა სექსუალურ აქტს. თვალდაუხამხამებლად ვუყურებდი, როგორ ჯიჯგნიდნენ ჩემს ცოლს, ერთმანეთის მიყოლებით აუბატიურებდნენ, თან დასცინოდნენ და თან ერთმანეთს შეძახილებით ამხნევებდნენ — მიდი, ბიჭო, არ შეგვარცხვინო, გვაჩვენე, რა შეგიძლიათ.

როგორც იქნა, ყველაფერი დამთავრდა და წავიდნენ. ჩვენც წამოვედით, მაგრამ შინიდან არაფერი წამოგვიღია. ასე, ხელცარიელები, ტყე-ტყე გაუუდექით გზას. მზია მთელი 3 დღე ხმას არ იღებდა. როგორც იქნა, სამშვიდობოს გამოვედით და თბილისისკენ მომავალ ტრანსპორტში ავედით. დედაქალაქში რომ ჩამოვედით, მზიამ სულ რამდენიმე სიტყვა მითხრა — მორჩა, ჩვენი გზები აქ იყრება და ჩემი მოძებნა არც გაბედო, ისეთი კაცი არ მჭირდება, რომელსაც არც ცოლის დაცვა შეუძლია და არც ვაუკაცურად სიკვდილიო.

ამის შემდეგ კარგა ხანს ვიხეტივალე ქუჩაში, მერე ერთმა ღვთისწიერმა კაცმა ეს გარაჟი მაჩუქა და აქ დავსახლდი.

— მზია აღარ გინახავთ?

— 4 წლის განმავლობაში მისი მოძებნა არც მიფიქრია. მერე გადავწყვიტე, რომ მომეძებნა და თავი მის თვალწინ მომეკლა. იმერეთში, ჩემს ყოფილ სიდედრთან ჩავედი და მზიას ადგილსამყოფელი მისგან გავიგე. მივხვდი, რომ მზიას მისთვის არაფერი მოუყოლია. ორივე შვილი იქ დამხვდა. ბავშვებს მივეფერე და უკან იმავე საღამოს გამოვბრუნდი. რამდენიმე დღის შემდეგ, გვიან საღამოს მითითებულ მისამართზე მივედი. კერძო სახლი იყო, სადაც მზიას ერთი ოთახი ჰქონდა ნაქირავები. შინ არ დამხვდა და დიასახლისს ვკითხე, როდის დაბრუნდებოდა.

— რა იყო, ველარ ითმენ? არ იცი, რომ შინ გვიან ბრუნდება? ამ დროს მზიას შინ რა უნდა, ახლა ტრასაზე ნახავ, შინ კლი-

ენტებს დღისით იღებო.

ამ ქალის ნათქვამიდან ვერაფერი გავიგე. გადავწყვიტე, იქვე, ჭიშკართან დავლოდებოდი. მზია შინ შუალამისას დაბრუნდა. სიბნელეში ვერ მიცნო და დამაკვირდა.

— მე ვარ, — ჩავიბურტყუნე გაურკვეველად.

— შემოდი, — ერთი სიტყვა მითხრა, მხოლოდ.

მერე არ დაუმაღავს, რომ თავს მეძაობით ირჩენდა და შვილებსაც ასე ინახავდა. ვთხოვე, — შემირიგდი, ყველაფერი დავივიწყოთ და ერთად ვიცხოვროთ-მეთქი, მაგრამ სასტიკი უარი მივიღე. — ჯერ ისე არ დავცემულვარ, რომ შენნაირი კაცის გვერდით ვიცხოვროო, — მითხრა. ნაცემი ძალღივით წამოვედი და გადავწყვიტე, რომ იმ ღამითვე თავს მოვიკლავდი, მაგრამ როგორც ხედავთ, ცოცხალი ვარ.

— შეგიძლიათ, მზიას შემახვედროთ? — ჩემში ჟურნალისტის ინსტინქტმა იმძლავრა და სულ დამავინყდა, რომ ამ კაცს წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ ვიყავი.

— რაში გაინტერესებთ მისი ნახვა, გგონიათ, რომ საამქვეყნოდ მოაბრუნებთ?

— მინდა, თქვენი ტრაგედიის შესახებ დავწერო, ჟურნალისტი ვარ, — დამნაშავესავით ვთქვი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, უარს მივიღებდი. თუმცა შევცდი.

— კარგი, მე თვითონ მიგიყვანთ მზიასთან, იქნებ, მართლაც უშველოთ რამე. ოღონდ, დილით უნდა მოხვიდეთ, ახლა შინ არ იქნება.

მეორე დილით გენადის ისევ მივაკითხე და მზიასთან წავედით.

ქალს ჩვენი დანახვა გაუკვირდა, მაგრამ როდესაც ჩემი მისვლის მიზეზი და მიზანი ავუხსენი, ჩაიცინა.

— რაც გინდათ, ის დანერეთ, გენადიმ ხომ უკვე ყველაფერი გიამბოთ, ჩემს ნათქვამს რაღა აზრი აქვს?

— უბრალოდ, ის მაინტერესებს, რატომ გადაწყვიტეთ, რომ თავი მეძაობით გერჩინათ? უამრავი ლტოლვილია თბილისში, მაგრამ არსებობის სხვა წყარო მოძებნეს — უფრო ღირსეული.

— ღირსეული? რომელ ღირსებაზე მელაპარაკებთ? რომელიც ამ კაცმა ვერ შემიწარჩუნა? — თითი გენადისკენ გაიშვირა, — რომელიც აფხაზებმა გათელეს? იცით, რომ ამას იარაღი მიანოდეს ან თავი მოიკალი, ან ცოლი მოკალი და სირცხვილს გადაარჩინეო, ამან კი ვერც ერთი ვერ გაბედა?


— ვიცი.

— ჰოდა, სად არის ღირსება?

— ვფიქრობ, თქვენ მიმართ ჩადენილი ძალადობის შემდეგ, მამაკაცების მიმართ ზიზღის გრძნობაც კი უნდა გაგრწოდათ.

— არავითარი აზრი არ აქვს თქვენს ნათქვამს და ჩემს შეგრძნებებს. არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი და მორჩა!

მზიას დავემშვიდობე, იქიდან გამოსული — გენადისაც და დღემდე ვფიქრობ, ვინ არის დამნაშავე ამ ყველაფერში? უფრო სწორად, ვინ უფრო მეტადაა დამნაშავე? თუმცა, არ მინდა, სხვის ომში ბრძენი გამოვჩნდე და ჯობს, დასკვნის გამოტანა თქვენ მოგანდოთ.



ოსუნ-მანთუნი ოჭახის ჰეოგლეა

დღეს ომია საქართველოში...

მარინა ბაბუნაშვილი

მართალია, ოკუპანტები დაბეჯითებით გვიმტკიცებენ, თქვენ რომ მშვიდობიანად და კარგად იცხოვროთ, იმისათვის ვართ მოსულებიო, მაგრამ ახლა უკვე თითისტოლა ბავშვმაც იცის — რუსის ნდობა არ შეიძლება! მას ორ საუკუნეზე მეტია ტორი აქვს დადებული საქართველოზე და ვერაფრით ვერ გვთმობს. ცრემლი და გოდებაა საქართველოში და მაინც, არც ერთი ქართველი უიმედოდ არაა! „ამაზე უარესიც გამოგვივლია და გადაგვიტანია! ამასაც გადავიტანთ!“ — გაიგონებთ ყველგან, სადაც არ უნდა მიხვიდეთ და მიუხედავად მწუხარებისა, სიამაყით იტყები. თითქოს ხელახლა დაიბადა ქართველი ერი, აბაღდა ქართული სული, რომელიც ვერ ჩაკლა ვერც რუსულმა ბომბებმა და ტანკებმა, ვერც დაქირავებულმა ბანდფორმირებებმა და ვაი-მშვიდობისმყოფლებმა.

აღბათ, ყველა ერს თავისი ბედისწერა აქვს... ქართველთა ბედისწერა ეს გახლავთ — მუდამ პირველები შევეჯახებით დიდ ქარტხილესს, რათა სხვებს სავალი გზა გავუადვილოთ. კარგა ხანია, ამას შევეგუეთ და ვიცით... უწმიდესიც ხომ ამას გვეუბნება — უფალმა განსაცდელი იმიტომ მოგვივლინა, რომ მერე უდიდესი სიხარული განგვაცდევინოსო.

ჩვენი ცხოვრების დღევანდელი დღე ცრემლითა და ტკივილით აღსავსეა, ამიტომ, „ცხოვრების“ ტრადიციას დავარდევ და რუბრიკაში ძველ ამბავსა და მის გაგრძელებას ვი არ ველოვართ. არამედ ყველასაოვის ახლობელ, ნუხილიან და დარდიან რღვევანდებლობაზე გიაბობთ.

ეს ამბები მაშინ მოვისმინე, როცა ტელევიზიით გამოაცხადეს, ლტოლვილებისთვის ტანსაცმელი, სურსათი და პირველადი მოხმარების ნივთებია საჭირო და ვისაც დახმარება შეგიძლიათ, მიცკვეიჩის 29 ნომერში მობრძანდითო. შინ რაღა გამაჩერებდა? დაუფიქრებლად გავავსე 4 დიდი პარკი ტანსაცმლით და მიცკვეიჩზე გავეშურე. იქ უკვე ძალიან ბევრი ლტოლვილი და თბილისელი მოგროვილიყო. ზოგი ახლობელს ეძებდა, — გზაში

დავკარგეთ ერთმანეთიო, ზოგიც თავშესაფარს ელოდა — ჯერ არ ვიცით, სად უნდა წავიდეთო. მათ შემყურეს გული დამეწვა, ლამის იყო, ხმამაღლა ავტირებულყავი, კითხვის დასმასაც ვერ ვახერხებდი, წინ და უკან დავდიოდი (20-22 წლის დედაქალაქელ ბიჭებს თავიანთი სურვილით შეედგინათ მოხალისეთა ჯგუფები და იქ მიტანილ ფუთებს ერთად აგროვებდნენ. მეც მათ გადავეცი ლტოლვილთათვის განკუთვნილი ტანსაცმელი). ერთმა ხანში შესულმა ქალმა შეამჩნია, რომ ადგილზე ვწრიალებდი, ბორდიურზე იჯდა, ჩაიჩოჩა და დამიძახა: მოდი, შვილო, ჩამოჯექიო. მივუახლოვდი თუ არა, ცრემლები ვერ შევიკავე. აქეთ დამამშვიდა, რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი. რაც დღეს გვჭირს, ადრე თუ გვიან, მაინც მოხდებოდაო. ქალბატონი თამარაშენიდან აღმოჩნდა, ეთერ კახიაშვილი, — სიარულის თავი აღარ მაქვს, შვილი და შვილიშვილი რომელიღაც სკოლაში გაუშვეს, მოძებნიან, დაბინავდებიან და მერე მე წამიყვანენო.

ეთერ კახიაშვილი: ჩვენებმა ცხინვალი რომ აიღეს, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დავილაღეთ, შვილო! აღარ შეგვძლო მეტის ატანა... მეთვრამეტე წელიწადია, ნერვები დაგვანყდა. მშვიდი ძილი ჩვენ არ გვექონდა და მოსვენება. ყოველ კვირას 3-4-ჯერ ისე დაგვიშენდნენ ცხინვალიდან ან ოსური სოფლებიდან, თითქოს თავს გვახსენებდნენ, აქა ვართ, არსად წაუსულვართო. ოსებს მანდედან რა

წაიყვანდათ? ან როდის გაგვანებებდნენ თავს, ეგ ვინ იცის? ისეთი უმადურები არიან, მსგავსი წიგნშიც არ წამიკითხავს. პატიოსნები ოსებშიც არიან (რუსებში ეჭვი მეპარება!), მაგრამ აქამდე თუ ხმამაღლა არ ვამბობდი, ახლა შენთან ვაცხადებ და თუ გინდა, დანერე — ძალიან მცირერიცხოვანია იმ ოსების რაოდენობა, რომელსაც ქართველთა სიკეთე და ამაგი ახსოვს. ჩემი და ცხინვალში ცხოვრობდა. მისი მული ოსზე იყო გათხოვილი. წლების წინ ცხინვალი რომ დაატოვებინეს, სწორედ მისი სიძე დაჰყვებოდა რუსებს და მათთან ერთად ძარცვავდა შეძლებული ქართველების ოჯახებს. ჩვენ მსგავსად ხომ მათაც ვერ მოასწრეს ვერაფრის გამოტანა — რაც ეცვათ, იმით წამოვიდნენ. მოგვიანებით, როცა ჩემმა დამ თავის მულს სთხოვა, იქნებ, რაიმე გამომიგზავნო (ნივთი ან ტანსაცმელი) რაც სახლში გადარჩაო, სიძემ შემოუთვალა: ქართველ ბანდიტებს არაფრით დავეხმარები, ჩემი ცოლი ამას თუ შეეცდება, იმას გამოგიგზავნით, შვილი კი ჩემთან დარჩება. მოდი და ელაპარაკე ამისთანა თავებდას და დაუნახავს. ჩემი და რომ გათხოვდა, მისი მული 6 წლის იყო. ისე გაზარდა, როგორც თავისი შვილი. მერე, როცა გაიგეს, რომ ოსი ბიჭი უყვარდა, არც ერთს არ ესაიბოვნა, მაგრამ რა ექნათ? მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ასეთი დაძაბულობა და ბევრი შერეული ოჯახი ცხოვრობდა სიამტკბილობით. სიძე მორიდებული ბიჭი ჩანდა. ჩემმა დამ და სიძემ დიდი ქორწილი





გადაუხადეს, მერეც არაფერი დაუკლიათ მათთვის, სამსახურიც ამათ უშოვეს და ამ ყველაფრის მერე, სიძმე შემოგვიტვალა — ბანდიტები ხართო. ახლა ისინი ვლადიკავკაზში ცხოვრობენ... პირადად მე, ოსი ეროვნების ბევრი მეგობარი მყავდა, მაგრამ ერთის გარდა, ყველა მათგანი დავკარგე. ისიც ქართველზე იყო გათხოვილი და იმიტომ. ერთი წუთითაც არ ვამტყუნებ ხელისუფლებას იმაში, რაც ახლა მოხდა. ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაჭრილიყო... იმედი მაქვს, რომ მიუხედავად დღევანდელი დაძაბული ვითარებისა, მალე დაზბრუნდებით ჩვენს სოფლებში და მაგათ ჯიბრზე, უკეთეს სახლებს ავიშენებთ.

ლელა მაისურაძე, კეხვიდან:
წარმოშობით რაჭველები ვართ, მაგრამ ჩვენი გვარი კარგა ხანია სამაჩაბლოში ცხოვრობს. ჩემი მამა-პაპა და იმის პაპა აქ არიან დაბადებულ-გაზრდილები. ცხინვალშიც გვექონდა ბინა, მაგრამ იქიდან რომ გამოგვყარეს, თბილისის საერთო საცხოვრებელში ყოფნას კეხვში ყოფნა ვარჩიეთ. სახლი ძველი იყო, მაგრამ შევაკეთეთ, გავარემონტეთ და დავინყეთ ცხოვრება. რაც 18 წლის მანძილზე ჩვენი დაძაბული ცხოვრებით შევინარჩუნეთ, რუსის ბომბდამშენებმა ერთ დღეში გაგვინადგურეს. სოფელს არ ვტოვებდით, მიუხედავად იმისა, რომ განუწყვეტლივ გვესროდნენ, მაგრამ მერე, პანიკა ატყდა. ყველა სოფელი იცლებოდა, რადგან გავრცელდა ინფორმაცია, ამაღამ დაბომბავენ ყველა ქართულ სოფელსო. ერთ პატარა მანქანაში ჩავსხედით მე, ჩემი ქმარი, დედამთილ-მამამთილი, ჩემი ორი შვილი, მული და მისი შვილები. ამდენი ბუნებრივია, ვერ ჩავეტყუდით, ამიტომ, ჩემმა ქმარმა მოიფიქრა: ბავშვები საბარგულში ჩავსვით და ახილი დავტოვოთო... ასეც მოვიქცით, მაგრამ გზაზე რომ კვლავ სროლაში მოვყვით, ბავშვები კინალამ გაგვიგიჟდნენ... აღარ მინდა იმ წუთების გახსენება, ცუდად ვბეძები. მეც და დანარჩენებსაც ფსიქოლოგი გვჭირდება, რომ ცოტა დავმშვიდდეთ. XXI საუკუნეში ასეთი რამ თუ მოხდებოდა, რას წარმოვიდგენდი?... მაგრამ როცა რუსთან გაქვს საქმე, წარმოუდგენელიც უნდა წარმოიდგინო თურმე.

PS. მიუხედავად მათი ემოციებისა და მძიმე წუთებისა, ვერც ერთ მათგანს უიმედობა ვერ შევამჩნიე. ეს კი დღეს ყველაზე მთავარია!

ბუღალტრის ბევრი დამიყავშირდა და... თატლით, მაგრამ თქვენი უსახტროდ მადლობელი ვარ

ნინო მარდაღიშვილი
ორი წლის წინ გავიცანი. იგი ინვალდი გახლავთ. ჯანმრთელ ადამიანს შეუზრდება მისი ენერჯია და პრობლემებთან შეჭიდების უნარი; გამაოცა მისმა თვისებებმა. ნინოს დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია, მიუხედავად ამისა, სიკეთისთვისაა მოწოდებული და როცა სხვას მადლს უკეთებს, როცა სხვას უხარია, მაშინ არის ბედნიერი.

ნინოზე წერილი 2006 წლის 3 ივლისს დაიბეჭდა „კვირის პალიტრაში“ („ორმოცდაათი წელია, სიცოცხლეს ვებლაუჭები“). მას უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. ტელეფონით ურეკავდნენ, აზნეუბდნენ, ანუგეშებდნენ. სწორედ, ამ პუბლიკაციის მერე ნინოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რამ მოხდა — გამოეხმაურა უცხოელი, შვეიცარიაში მცხოვრები ქველმოქმედი, რომელმაც მისი დახმარების სურვილი გამოთქვა. თუმცა ამაზე მოგვიანებით ვიამბობთ. ჯერ ნინოს ცხოვრების ძნელ, ტკივილითა და ტრემლით აღსავსე პერიოდზე მოგიყვებით.



აზავი პირველი გადაწყვეტი, თავის გაგანიჩინისთვის შეზნობა

ბავშვობისას სულ იმას ოცნებობდა, თავის თანატოლებთან ერთად ერბინა და ეთამაშა. ეტყობა, ნინოს დედას აღიზიანებდა ჯანმრთელი ბავშვების ცქერა, ამიტომაც მეზობლის გოგო-ბიჭებს ოთახში „გამომწყვდეულ“ შვილთან შესვლას და დაკონტაქტებას უშლიდა. აკრძალვის მიუხედავად, ბავშვები ფანჯარასთან მიდიოდნენ და იქიდან ათას რამეზე ელაპარაკებოდნენ ნინოს. თავიდანვე დარდი დაჰყვა გოგონას... მშობლები ვერ შეეწყენენ ერთმანეთს და მალევე გაშორდნენ. მაშინ ნინო 3 წლის იყო. მამა ხშირად მიდიოდა მის სანახავად, ზოგჯერ თავისთან 2-3 დღითაც მიჰყავდა. აი, დედასთან კი დაძაბული იყო — ქალს შვილის მდგომარეობის გამო წერვები არ ჰყოფნიდა, მოვლენებისა და ყოველდღიური პრობლემებისთვის მშვიდად შეეხედა. ვერც იმას აცნობიერებდა, რომ ნინოს ყველაზე მეტად სითბო და სიყვარული ესაჭიროებოდა.

ექიმებმა, 2 წლის ნინოს პოლიო-

მიელიტის დიაგნოზი რომ დაუსვეს, დედამ იგი ანაპში, ბავშვთა სანატორიუმში წაიყვანა. იქ ექიმებმა საბოლოოდ დაასკვნეს: კუნთების დისტროფია სჭირს და დიდი-დიდი, 3-4 წელი იცოცხლოსო. როცა 3-4 წელი გავიდა და გაიგეს, რომ მათი პატარა პაციენტი ჯერ ისევე ცოცხალი იყო, გაკვირვება ვერ დაფარეს.

რალა თქმა უნდა, ნინოს სკოლაში არ უვლია. თავისით ისწავლა წერა-კითხვა, მერე ინგლისური და იმდენი მოახერხა, რომ დაუსწრებლად კიევის უნივერსიტეტიც კი დაასრულა.

ამონარიდი წერილიდან: „...გვიან გავიგე, რომ სალ-სალამათი დავაბეზულვარ... სიარული რომ უნდა დამეწყო, მაშინ შეამჩნიეს, რომ სუსტი ფეხები მქონდა. პოლიომიელიტის დიაგნოზი დამისვეს და ყველამ ხელი ჩაიქნია ჩემზე, მაგრამ ღმერთს სასიკვდილოდ არ ვეშვებოდი. წერტილოვანი მასაჟის ჩასატარებლად რუსი ექიმი მომიყვანეს, რომელმაც თქვა: თავის დროზე რომ სწორად დასაბუღო დიაგნოზი, ნინო დღეს ინვალდი არ იქნებოდაო. თურმე ხერხემლის დაზიანება მქონია, რომელმაც ქვედა კიდურების დაზიანება გამოიწვია. მაშინ ვიფიქვე (როცა ექიმმაც ეს მკითხა), დედას ან სხვას

ხელიდან ხომ არ გავუვარდი-მეთქი. ამის მერე ყველანაირი ოპერაცია დაგვიანებული აღმოჩნდა. დებრესია დამეფულა, თავის მოკვლაზეც ვფიქრობდი, მაგრამ ღვთის შიში და სიყვარული მქონდა და ამან გადაამარჩინა. გადაწყვიტე, თავის გადარჩენისთვის მებრძოლა. პირველი, რაც გავაკეთე, გახლდათ ის, რომ კიევის უნივერსიტეტის განცხადებას (დაუსწრებელ განყოფილებაზე მიღების შესახებ) გამოვხმებო. მანამდე, გაცილებით ადრე, ჩემით შევისწავლე ინგლისური ენა. კიევის უნივერსიტეტს ისიც მივწერე, რომ ინვალისტი ვიყავი და მოძრაობა არ შემიძლო. მათ გამოინაკლისი დაუშვეს და წინასაგამოცდო პერიოდში წერილობით მიგზავნიდნენ საკითხებს, მერე კი სახელმძღვანელოებს. ბუჯითი მეცადინეობისა და შრომის წყალობით დაუსწრებლად დავამთავრე კიევის უნივერსიტეტი. ახლა ჩემი ერთ-ერთი საარსებო წყარო სწორედ ინგლისური ენაა. დავეფულე იოგასაც და მისი წყალობით ამ ქვეყნისკენ გამოვიხედე“...

თუმცა მხოლოდ ეს არ იქმნა წინომ — გადაწყვიტა, რეპეტიტორობასთან ერთად სხვა საქმეც ეკეთებინა. „კვირის პალიტრა“ მუდმივად კითხულობდა. იქიდან უფასო განცხადების ქვითარი ამოჭრა და დაწერა ამ შინაარსის განცხადება: „გაცნობის კლუბი „ოქროს სანძისი“ გთავაზობთ დახმარებას მეგობრის, მეუღლის, თანამოაზრის, საქმიანი პარტნიორის მოძებნაში“; მიანერა სახლის ტელეფონის ნომერი და ნაცნობს გამოაქვეყნებინა. მეორე დღიდანვე აწვრილდა მისი ტელეფონი, რომელიც გარე სამყაროსთან მისი დამაკავშირებელი იყო. როგორც უნდა გავიკვირდეთ, წინომ მის მიერ დაარსებული „კლუბის“ დახმარებით, წელიწად-ნახევარში 4 ოჯახის შექმნა მოახერხა. ეს პატარა საქმე არ იყო და წინომ ამით ამაყოფა. შემდეგ „საქართველოს ინვალისტი და ალიანსი“ დააფუძნა, მეგობრების დახმარებით იურიდიულად გააფორმა და გადაწყვიტა, უიმედო ადამიანებისთვის ყველაზე მთავარი — იმედი და რწმენა დაებრუნებინა.

**აზაზი ბორა
სიცოცხლე შინც
შევიჩივია**

როგორც გითხარით, „კვირის პალიტრაში“ წინოზე გამოქვეყნებულ წერილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ერთ-ერთმა გერმანელმა ნაცნობმა „საქართველოს ინვალისტი ალიანსის“ ინტერნეტში საიტი გაუკეთა და სწორედ ამ საიტზე განთავსდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი „ორმოცდაათი წელი



სიცოცხლეს ვებლაუჭები“ (რა თქმა უნდა, ქართულ-ინგლისურ ენაზე). ქველმოქმედები ყველგან არიან, მაღლის კეთებაც ბევრს უყვარს... ერთი თვეც არ იყო გასული, რომ წინოს აცნობეს, შენი დაფინანსება შვეიცარიის ერთ მდიდარ ქველმოქმედ მოქალაქეს სურსო. წინოსთვის ეს მართლაც სასწაულის ტოლფასი იყო. ქველმოქმედი, რომელმაც ქართველი ინვალისტის დახმარება გადაწყვიტა, მწერალი და კომპოზიტორი, ჟორჟ რაილანდი აღმოჩნდა. ის ინტერნეტით ესაუბრა წინოს. თავის შესახებაც უამბო და მისგანაც მოისმინა მთავარი პრობლემები. თურმე ბატონ ჟორჟს ბავშვობაში მთლად დაღვინილი ცხოვრება არ ჰქონია. მან კარგად იცოდა გაჭირვების, მერე კი განუელი დახმარების ფასიც. ჭაბუკობის პერიოდში, სრულიად მოულოდნელად, ერთმა მისმა უმდიდრესმა ნათესავმა დიდძალი ქონება უანდერძა. ჟორჟმა ანდერძით მიღებული ქონების ნაწილი საკუთარ განათლებას მოახმარა. სანადელს თავდაუზოგავი შრომით მიაღწია და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გამდიდრდა. მაშინ გადაწყვიტა ჟორჟმა, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე, ინვალისტი ადამიანები დაეფინანსებინა. იგი წინოს დღემდე აფინანსებს. წინო აღფრთოვანებულია სრულიად უცნობი ადამიანის ქველმოქმედებითა და სიკეთის უნარით.

წინო მარდალეიშვილი ძველი ბინა გაცივდა. დედას თავისი წილი მივეცი, მე ჩემი წილით მხოლოდ დაგირაჯება მოვახერხე არა უშავს, ამითაც კმაყოფილი ვარ. რაც მთავარია, ამიერიდან ჩემი კუთხე მექნება, მშვიდი და წყნარი, სადაც ჩემს საქმეს გავაკეთებ, ნაცნობ-მეგობრებიც მოვლენ და მონაფეხებიც, რომელთაც ინგლისურში მოვამზადებ. იმის შიშით აღარ მექნება, რომ დედაჩემი მათ კარს მიუხურავს (სამწუხაროდ, ასეთი რამ, ხშირად ხდებოდა ადრე). თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, რომ როცა ჩემს წერილთან ერთად ტელეფონის ნომერიც გამოაქვეყნეთ, ბევრ კეთილ და გულისხმიერ ადამიანთან ერთად, ხარბი და გამოძალაველიც მრავლად შემეხმინა. როგორც კი

უცხოელი სპონსორი გამოიჩინდა, გადაწყვიტე, ცალკე გავსულიყავი, რომ მეშუავე და ჩემს საქმეში ხელი არ შემშლოდა. მარტო ვერ ვიტყვოვრები, რადგან მომვლელი მჭირდებოდა, რომელისთვისაც გასამრჯელო უნდა გადამეხადა. რომ „იყნოსეს“, ამ ინვალისტს ფულს უგზავნიან ყოველთვეო, ვინ აღარ მთავაზობდა „დახმარებას“. ორი წლის მანძილზე სამი ბინა და 4 მომვლელი გამოვიცვალე, ერთის გარდა, ყველა თაღლითი აღმოჩნდა. ბოლოს, ოჯახთან ერთად გლდანში ვცხოვრობდი. მათ თავიანთ ბინაში ერთი ოთახი დამითმეს; თან ყურადღებას არ მაკლებდნენ, მივილიდნენ. მათთან სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ შვილიშვილი შეეძინათ, ეს ოთახი დასჭირდათ და მეც გადაწყვიტე, ბინა დამეგირავებინა. ალბათ, ეს წერილი რომ გამოქვეყნდება, მე უკვე ნაძალადევი ვიქნები გადასული. ჩემმა სპონსორმა მითხრა, არაფერზე ინერვიულო, საქმელ-სასმლისა და მომვლელის ფულს ყოველთვის გამოგიგზავნიო. საოცარია პირდაპირ... რამდენ ქართველს შეეხმანებივარ და მცირეოდენი დახმარება მითხოვია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, უარი მიმიღია, ეს ვილაც გადამთიელი კაცი კი შორეული ქვეყნიდან ასე შეხმარება! ნათქვამია, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო. ჟორჟს ეს სიკეთე მომავალში ორმაგად დაუბრუნდება... მისი სახით კი ღმერთმა იმ ჩემი ადრინდელი სიკეთისთვის დამაჯილდოვა, რაც სხვებისთვის სახლიდან გაუსვლელად გამიკეთებია. ალბათ, მკითხავთ, ეგ როგორ შეძელიო. როგორ და ჩემივე დაარსებული გაცნობის კლუბით და ორგანიზაციით. დღეს უკვე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ხშირად მიკავშირდებიან და მე, როგორც „საქართველოს ინვალისტი ალიანსის“ დამფუძნებელს მატყობინებენ, რომ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ჩვენთვის დახმარება მიღებული. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ ხოლმე ასეთ დროს, როცა ჩემსავით ინვალისტებს, მათ ოჯახებს, უმწეოებს ან მარტოხელა დედებს ხან საყოფაცხოვრებო ნივთებით, ხან მშრალი საკვებით, ხანაც ტანსაცმლით ვსაჩუქრებ. აი, სულ ახლახან მივიღე საკანცელარიო საქონელი. ნახევარზე მეტი უკვე დაფურთგე ალიანსის წევრებს, კიდევ ბევრი მაქვს გასაცემი. ჩემი ყოველდღიურობა აღარაა ისეთი უფერული, როგორც ადრე. ახლა მე ვმუშაობ და როცა სხვების თვალში სიხარულის ნაპერწკალს დავინახავ, როცა სამადლობელ სიტყვებს მეუბნებიან, ვრწმუნდები, რომ სიცოცხლე მაინც მშვენიერია, თუნდაც ჩემნაირი ინვალისტისთვის. ●

„ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიჩივებით, როცა საქართველოს დროშას ვესამზატებთ“

ომმა და საქართველოში შემოჭრილმა ოკუპანტებმა ჩვენი მკითხველის გამომხატურებებისა და წერილების შინაარსი ერთიანად შეცვალა. წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე — „უარი საკუთარ ბედნიერებაზე“ — მივიღეთ რამდენიმე გამომხატურება, მაგრამ ომის თემამ ისინი დაჩრდილა...

„წინა ნომერში „ცხოვრება“ რომ ვერ აღმოვაჩინეთ, გული დაგვწყდა, გვეგონა, ომის გამო აღარც გაგრძელდებოდა, მაგრამ ეს მოვლენები ხომ ქართველთა ცხოვრებაა?! ცრემლიანი, ტკივილიანი, დარდით სავსე, ბრძოლაგადატანილი და კიდევ, ვინ იცის, რამდენია გადასატანი... იმედს ნუ დაკარგავთ! ომი მსხვერპლის გარეშე არ იქნება. სამწუხაროდ, ჩვენ არც არასოდეს მიგვიღია რაიმე ლანგარზე დადებული და გამზადებული, ყველაფრისთვის ბრძოლა გვინევს და ამას უკვე შევეჩვიეთ... რუსებმა საბოლოოდ აჩვენეს თავისი ნამდვილი სახე მთელ მსოფლიოს, მაგრამ რა?.. მათ მაინც არაფრის რცხვენიათ... კიდევ უნდა გაუძლოთ და საბოლოოდ, მაინც გავიმარჯვებთ. ჩვენი გატეხა და დაჩოქება შეუძლებელია.

მაკა ზამზახიძე და თეა გვილავა, თბილისი“.

„...რუს ოკუპანტებს სენაკის

სამხედრო ბაზაზე ერთი ასეთი წარწერა გაუკეთებიათ კედელზე: „ჩვენ დავბრუნდებით და მთელ საქართველოს დავაჩოქებთ, ეს დაიმახსოვრეთ!“ მინდა, მათ გასაგონად ვთქვა: ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიჩივებთ, როცა ვლოცულობთ ან ქართულ დროშას ვეამბორებთ! მათ ეს კარგად დაიმახსოვრონ! **გიო, 20 წლის, თბილისი“.**


„...ამ მძიმე დღეებში, სხვა რამეზე ფიქრი თითქმის წარმოუდგენელია, მაგრამ რამდენიმე სიტყვით მაინც მინდა თქვენი წერილის გმირს, ნანას ვურჩიო. იოლად დანებდა ბედს. ხელი არ უნდა ჩაექნია, არ უნდა შეშინებულიყო. უნდა ებრძოლა თავისი ბედნიერებისთვის. განა, ახლა კმაყოფილია შედეგით? შეიძლება, ცოტა უხეში და შეუფერებელი შედარებაა, მაგრამ შიშისა და ქვეყნის გადარჩენის გამო რომ რუსული დროშები ავაფრიალოთ, სწორი იქნება? ეს ხომ ღალატის ტოლფასია?! ასე რომ, უკეთესი ცხოვრებისთვის (თუნდ პირადი და თუნდ — საქვეყნო) და თავისუფლებისთვის ბრძოლას ადრე თუ გვიან სასურველი შედეგი მაინც მოაქვს! **ლელა“.**

„ეს რა დღეში ჩაგვყარეს რუსებმა? ეს რა გააკეთეს? გაოგნებული ვარ, მაგრამ ჩემი უფროსი მეგობრები მეუბნებიან, რა გიკვირს, მათგან ეს ყოველთვის


მოსალოდნელი იყო... გამოდის, რომ ისინი ფიქციურად არიან მართლმადიდებლები, თორემ აბა, როგორ შეიძლება, ერთი მართლმადიდებელი ქვეყანა მეორეს თავს ესხმოდეს?! რუსებს ჰყავთ ერთი გამორჩეული წმინდანი, მამა სერაფიმე საროველი, რომელმაც არაერთხელ თქვა: ნუ შეეხებით მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, თორემ დაისჯებითო... მეც მჯერა, რომ რუსეთი განწირულია! **ელენიკო, 19 წლის“.**

„...ამბობენ, ამ ომში დაღუპულ მეომართა ზუსტი რაოდენობა დადგენილი ჯერ არ არისო! რამდენიც უნდა დაღუპულიყო, თითოეული მათგანი გმირია და ისინი ზეციურ სასუფეველში იმ გმირებს შეურთდებიან, რომლებიც მუდამ საქართველოსთვის იბრძოდნენ. სამწუხაროა, რომ გოგო ვარ და თანაც სულ სხვა სპეციალობას ვუფლები, თორემ მეც იმ ბიჭების გვერდით დავდგებოდი და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებდი... თუმცა, თუ გამოცხადდა საყოველთაო განკვეთა, აუცილებლად გადავიცვამ ჯარისკაცის ფორმას და მოხალისედ წავალ... სამწუხაროდ, ბევრი არასასურველი რამ მოვისმინე ამ დღეებში: ოღონდ მშვიდობა იყოს და ვინც უნდა მოვიდეს, მივიღებთო... განა, რუსებთან ერთად რომ ვიყავით, ცუდად ვგრძნობდით თავსო?.. და ა.შ. საშინელებაა ამის მოსმენა. ასეთები, გადაგვარებული ქართველები მგონია. ოღონდ, მშვიდად და მძლრად გრძნობდნენ თავს და აღარ დაეძებნენ სამშობლოსა და ერის კეთილდღეობას. ბევრი ჩემი მეგობრის სახელით გეუბნებით: ჩვენ, მონობას ვერ შევეურიგდებით! მე მჯერა, რომ მარიამობის დღესასწაულამდე ოკუპანტები გაეთრევიან საქართველოდან და მათი წმინდანის, საროველის გაფრთხილებაც წინ დახვდებათ რუსებს! **ხატია, 21 წლის, ქუთაისიდან“.**

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით: mbabunashvili@posta.ge



ფ მ ბ მ , რომანოვს წაწაწაწა დაქაწაწა



მინა რომანოვი ამ ფოტოსთვის
წარწერის მოწოდება შემოგთავაზეთ.
აი, თქვენიველი ვერსიებიც.

„ნუ გეშინია, არაფერს გერჩი, შენ ის მითხარი, აქ რუსეთის ჯარი ხომ არ გინახავს, ერთიანად უნდა ამოვწყვიტო“...

„რომელ ქეჩაზე ვარ, ვერ მეტყვი?“

„რუსეთმა თავად სიკვდილიც კი დაიქირავა, ქართველთა გასანადგურებლად. ashley pcd“.

„რუსეთისაგან მოგზავნილი სიკვდილი ქალაქში დაძრწის. აი, მსხვერპლი იიც! ashley pcd“.

„პატარა ბიჭი დამეჯარგა, გვარად პუტინაა, ამავალი, ჩამავალი, ხომ არ გინახაავთ... სანი“.


„მე მგლოვიარე საქართველოს სული ვარ“...

„აი, სად დაგერხა! ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰაააა!“

„ყველაფერი დალაგდება, არ ინერვიულო და ჩემი ნუ გეშინია. ახლა მე პუტინის წასაყვანად მივდივარ ყრემლში. იქნებ მეღველევიც წავიყვანო, რას მირჩევ? გრუზინჯა“.

„ე, სიკვდილო, მარი კი მოატყუე, მაგრამ მე ვერ მომატყუებ, ჯარგად გიცანი, შენ თვითონ ხარ პუტინი! ანტიპუტინი“.

სექსზე უახის თქმის სწორი ჩუქუბები



„გამარჯობა, გრაფო. ძალზე დელიკატურ საკითხზე მინდა, რაღაც გკითხოთ. საქმე ის გახლავთ, რომ უკვე 2 წელია, ქმარს გავშორდი და როგორც კი თავისუფალ ქალად დამიგულეს, მაშინვე უამრავი თავყვანისმცემელი გამო-
მიჩნდა. მათი უმეტესობა ცოლიანია ერთ-ერთი ჩემი შეფია და ვგრძნობ, რომ აშკარად მაბაზს. მასთან ურთიერთობას განგებ ვარდებ თავს, რადგან არ მინდა, რომ გადაჭრით დამისვას საკითხი, გინდა თუ არა, ჩემი საყვარელი უნდა გახდეთ. მერე რა ვქნა? თუ უარს ვეტყვი, შესაძლოა, სამსახური დაგვარგო, არადა, არ მინდა მასთან ურთიერ-
თობა. ერთი მამაკაცი მომწონს, მაგრამ მასთან ფიზიკური ურთიერთობისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებ. იქნებ მას-
წავლოთ, როგორ ვუთხრა მამაკაცს უარი სექსზე ისე, რომ არ გავანანყენო? პატივისცემით, განდეგილი“.

ბრაჰმი თარხანი

ეს მესიჯი კარგა ხნის წინ მივიღე, მაგრამ საშუალება არ მომეცა, რომ მასზე მეპასუხა. კითხვა, რომელსაც ჩვენი მკითხველი სვამს, ალბათ ბევრი ქალისთვისაა აქტუალური და ვუცდები, სწორი რჩევა მოგცეთ.

თუ შენი ამოცანაა, რომ კავალერს სექსზე სწორად უთხრა უარი, მაშინ შევთანხმდეთ ერთ საკითხში. კერძოდ — „სწორი უარი“ იმას ნიშნავს, რომ ერთი მხრივ, არ გაანანყენო ადამიანი, რომლის დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ მას შენ მიმართ ვნება ამოძრავებს, შენ კი ამის სურვილი არ გაქვს; მეორე მხრივ — მისი აგრესიის პროვოცირება არ უნდა მოახდინო და ძალადობამდე არ უნდა მიიყვანო. მოკლედ რომ ვთქვათ, „სწორი უარი“ მტკიცეც უნდა იყოს და რბილიც.

თუ უარყოფილი თავყვანისმცემლის გრძნობები არ გალელვებს და ძალადობაზე ფიქრიც კი გზარავს, მაშინ შეგიძლია, კითხვა აღარ გააგრძელო. ხოლო თუ ადამიანების განანყენება არ გიყვარს, მაშინ ერთად ვიმსჯელოთ.

ნზილი უანი

ამ შემთხვევაში სომერსეტ მოემის ნაწარმოებიდან — „რატომ“ — ერთი ციტატა გამოგვადგება „არსებობენ მამაკაცები, რომლებსაც ჯობს დანებდე, ვიდრე აუხსნა, რატომ არ გსურს ეს“. სურვილი და „უსურვილობა“ არავითარ ახსნა-განმარტებასა და თავის მართლებას არ მოითხოვს. ნებისმიერი „მინდა“ და „არ მინდა“ თავისთავად საკმარისი პირობაა და არგუმენტებს არ საჭიროებს. და თუ თავის მართლებას მაინც შეეცდები, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ხაფანგში გაებმები. განსაკუთრებით მაშინ, თუ კავალერი ძალზე ჯიუტია და წამდაუნუმ ჩაგჩურჩულებს — „რატომ არ გინდა ჩემთან სექსი?“ ამ შემთხვევაში, იძულებული გახდები, უარის გასამართლებლად ათასი მიზეზი შეთხზა, მოატყუო და უთხრა, რომ ის, შენ ან გარემოა „დამნაშავე“.

მაგალითად, რას ნიშნავს შენი ნათქვამი: „წვერი არ გაქვს გაპარსული“. ეს ნიშნავს — „ჩემი შესაფერისი არ ხარ“ ან სხვანაირად რომ ვთქვათ — „შენ მე არ მინდისხარ“ და მიზეზი ისაა, რომ არ მოგწონს. ამით კავალერს ნამდვილად გაანანყენებ. არსებობს მეორე ვარიანტი — „დავიღალე“ ან „თავი მტკივა“. ამ შემთხვევაში, თქვე-

ნი ჯიუტი კავალერი მოიცდის, ვიდრე დალილობა ან თავის ტკივილი გაგივლის და მერე მიხვდება, რომ მოატყუე. მაშასადამე, დაუმსახურებლად ცუდად მოექცევი.

ასე რომ, დაანებე „კატათაგობანას“ თამაშს თავი და უთხარი: „კარგი ადამიანი ხარ, მაგრამ არ მინდა შენი საყვარელი გავხდე. ჯობს, მეგობრებად დავრჩეთ“.

უნდა ითქვას, რომ უარის თქმის ტყუილ არგუმენტებს მამაკაცი ვაჭრობად აღიქვამს და ფიქრობს, რომ ამით შენთვის სასურველი პირობების მოპოვებასა და საკუთარი თავის უფრო „ძვირად გაყიდვას“ ცდილობ. ეს კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც ასეთი თამაშის ნამონყება არ ღირს.

რალა თქმა უნდა, არავინ გეუბნება, რომ ტაქტი, დელიკატურობა და ზრდილობა უნდა დაივიწყო. ბოლოს და ბოლოს, მამაკაცში სურვილი ხომ თავად აღძარი? ეს მისი დანაშაული კი არა, შენდამი ყველაზე გულწრფელი კომპლიმენტი. სწორედ ამიტომ იმსახურებს ზრდილობიან და მოპყრობას.

თავის მართლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაშია შესაძლებელი — ქმართან ან მუდმივ საყვარელთან. ამ კატეგორიის მამაკაცებს აუცილებლად უნდა აუხსნა, რატომ არ გსურს სექსი „ახლა და აქ“. უფრო ზუსტად — უნდა მიახვედრო, რომ ყველაფერი კარგადაა, ძველებურად გიყვარს და მიიჩნევ, რომ ის ყველაზე სექსუალური მამაკაცია, მაგრამ არსებობს მიზეზი, რის გამოც სექსი არ გსურს.



კატეგორიული უანი

სიტყვა „გაუპატიურებაზე“ ქალების უმეტესობას მარტოხელა, დაუცველი ქალი წარმოუდგება, რომელსაც სიბნელეში იარაღმომარჯვებული მოძალადე დააცხრება და გააუპატიურებს. საბედნიეროდ, სტატისტიკის მიხედვით, ეს სტერეოტიპული სურათი რეალობასთან ახლოს არ არის. უმეტეს შემთხვევაში მსხვერპლი მოძალადეს იცნობს. „საბედნიეროდ“ იმიტომ, რომ

მოფერების უფლებას, ხოლო კაბის ქვეშ ხელის შეცურებას უკრძალავ. ასევე გაავლეს „დროის“ საზღვარიც: ნუ დარჩები მასთან დიდხანს, სადაც უნდა იყო. არ მისცე მამაკაცს იმის გაფიქრების საშუალება, რომ მისგან უხამს წინადადებას ელოდები. ასეთ შემთხვევაში ის გააქტიურდება და ხელეხს გაცილებით მეტ უფლებას მისცემს. ამის შემდეგ კი მოგიწევს მისი მოშორება მუშტებითა და ქუსლებით. მოძალადეს არავითარი გამართლება არ აქვს, მაგრამ თავად არ უნდა შეუნყო ხელი, რომ უხერხულ სიტუაციაში ჩაგაყენოს.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი: ნუ დაიჭერ საქმეს სულელებთან. მათ არანაირი ადამიანური ახსნა-განმარტება და უარი არ ესმით. არა, საქმე საფრთხეში როდია, არ არის აუცილებელი, რომ სულელი აგრესიული იყოს. სულელისთვის სექსზე უარის თქმა ისე, რომ შემდგომში ამან მასში მიზანთროპია არ გამოიწვიოს, ძალიან რთულია და თითქმის შეუძლებელი.

იცხავდა. გოგონა, რომელიც გათხოვებისას ქალწული არ აღმოჩნდებოდა, ოჯახის სირცხვილად მიიჩნეოდა და ქმარს უფლება ჰქონდა, მასზე უარი ეთქვა და მშობლების ოჯახში დაებრუნებინა.

თანამედროვე მედიცინა ქალებს საქალწულე აპკის სიმულაციას ახდენს. ამას ჰიმენოპლასტიკა ჰქვია.

ამ ოპერაციის ჩასატარებლად პაციენტის სურვილი საკმარისი პირობაა. ქალწულობის აღდგენის 2 ვარიანტი არსებობს: დროებითი და ხანგრძლივი. დროებითი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა გოგონას გათხოვების თარიღი ცნობილია და ეს არა უგვიანეს 3 დღის ვადაში მოხდება. ასეთ შემთხვევაში საქალწულე აპკის ნაპირები უბრალოდ, ერთმანეთს ეკვრება და სრულყოფილი შეხორცება არ ხდება.


ქალწულობის ხანგრძლივი აღდგენა თავისი მეთოდით გაცილებით რთულია და აპკის აღდგენა განუსაზღვრელი ვადით, პირველ სექსუალურ აქტამდე ხდება.

ქალწულობის აღდგენა პოპულარობით სარგებლობს იმ გოგონებში, რომლებსაც ქმრის მოტყუება, თავის უბინოდ მოჩვენება სურთ.

ჰიმენოპლასტიკა ხშირად სკანდალის საფუძველიც გამხდარა. რამდენიმე თვის წინ საქართველოში განქორწინების პროცესი შედგა. მოსამართლემ განქორწინების განაჩენი ქმრის მოტყუების მცდელობის საფუძველზე გამოიტანა. პატარძალმა სცადა, მისთვის თავი უბინოდ მოეჩვენებინა და საქალწულე აპკის აღდგენის ოპერაცია ჩაიტარა. თუმცა, ქმარი ჩანაფიქრს მიუხვდა და ცოლი ექსპერტიზაზე წაიყვანა. ექსპერტმა ქმრის ეჭვი დაადასტურა, რის შემდეგაც ქმარმა თავის და ცოლის ნათესავებს მომხდარის შესახებ შეატყობინა და განქორწინება მოითხოვა.

ბოლო დროს მომრავლებული მსგავსი ოპერაციები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ქალწულობის ინსტიტუტი ჯერ კიდევ მოქმედებს.

შენი თხოვნა შევასრულე და ინფორმაცია მოგანოდე. ჩემი რჩევა კი ის იქნება, რომ მომავალ მეუღლეს ნუ მოატყუებ. ჯობს, სიმართლე უთხრა, ვიდრე მთელი ცხოვრება ტყუილში იცხოვრო. წარმატებებს გისურვებ.



ქალწულობის აღდგენა

ამ შემთხვევაში ქალს საშუალება აქვს თავი მხოლოდ კბილებით, მუშტებით, ქუსლებითა და ყვირილით კი არა, სიტყვებითა და მოქმედებით დაიცვას.

სიყვარულში ინიციატივის გამოჩენა ქალს ოდითგანვე ეკრძალებოდა. მით უმეტეს — მამაკაცის საწოლში „დაპატიუება“. ფლირტი კი სწორედ ამ უსამართლობის კომპენსაციას წარმოადგენს. თუმცა, ქალები ხშირად იმის გამო კვკლუცობენ, რომ უბრალოდ იკვლუცონ და ამის უკან არავითარი სხვა გეგმა არ იმალება. ჰოდა, „საწყალი“ მამაკაცი როგორ მიხვდეს, შესთავაზოს ქალს სექსი თუ არა?

თუ უბრალოდ ფლირტობ და არ გსურს, შენი ქალური ეშმაკობების მსხვერპლი გახდე, მაშინ ვალდებული ხარ, ნეიტრალურ ტერიტორიაზე „გეოგრაფიული“ საზღვარი გაავლო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მამაკაცს შინ არ უნდა ესტუმრო, არც სასტუმროს ნომერში გაჰყვე, არც კაბინეტში, თუ დანარჩენი თანამშრომლები უკვე შინ წავიდნენ და არც შენთან უნდა დაპატიჟო. ასევე უნდა დაიცვა „ფიზიკური“ საზღვარიც. კავალერს არ გაუჭირდება გამოცნობა, რატომ აძლევ ხელზე

„გრაფო, თუ შეიძლება, ორიოდ სიტყვით მითხარით, ქალწულობის აღდგენის შესახებ. მე 18 წლის ვარ და შეყვარებულთან ფიზიკური კონტაქტი მქონდა. აღარ მიყვარს ის ბიჭი, მინდა, დავშორდე და თუ ვინმე შემეყვარდება, გავთხოვდები. ხომ შეიძლება, იმან ვერ გამიგოს და ქალწულობის აღდგენამ მომიწიოს“.

ქალწულობა ოდითგანვე სინმინდის სიმბოლოდ მიიჩნევა. გადმოცემის თანახმად, ქალწულები მაგიურ ძალას ფლობდნენ და როგორც ამბობენ, მათთან იმქვეყნიური, წმინდა ძალებიც კი კონტაქტობენ და ქალწულობის დაკარგვის შემდეგ, გოგონა მაგიურ ძალას კარგავს. ამასთან, ქალწულობა გასათხოვარი გოგონას აუცილებელ ატრიბუტად მიიჩნევა.

ბევრ კულტურაში გათხოვებამდე ქალწულობის შენარჩუნება აუცილებლობად მიიჩნეოდა. თუმცა, ეს სხვა ფორმით სექსუალურ კონტაქტს არ გამორ-

ქვეშის ციხე

ომი ომია, მაგრამ ქვეშის ნაში კარგი ამბებიც ხდება. ამას წინათ ბოლნისის რაიონში გახლდით. რაიონულ ცენტრს გასცდები თუ არა, სოფელ ქვეშის მოხვდები. შესასვლელიდანვე მოჩანს უზარმაზარი კლდე, რომლის თავზეც ტაძარია აგებული. როდესაც ტაძარს ქვევიდან უყურებ, თითქმის არც კი მოჩანს. ტაძართან ციცაბო ბილიკი მიდის, რომელიც კლდეში გამოკვეთილ გვირაბთან მთავრდება. შემდეგ გრძელ კიბეს აივლი და ტაძრის ძირში მოხვდები. ქვეში ქართული სოფელია, რომელსაც გარს ახერბაიჯანული სოფლები აკრავს. პატარა სოფელს 5 სალოცავი ჰქონია, მაგრამ არც ერთი — მოქმედი. რამდენიმე ხნის წინ მარიაშის სახელობის ტაძრის რესტავრაციაც ჩაუტარებიათ და ახლა, მარიაშობისთვის მის გახსნასა და ამოქმედებას აპირებენ. რაც შეეხება კლდეზე აღმართულ წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარს, მას რესტავრაცია უტარდება. კლდიდან ლამის მთელი საქართველო მოჩანს. თვალსაწიერზე 200 კილომეტრი მაინც გაქვს გადაშლილი. როდესაც ტაძართან მოხვდები, რაღაცნაირი, განსაკუთრებული შეგრძნება დამეფულა. თითქოს XII საუკუნის საქართველო გაცოცხლდა და ნათლად დავინახე, ჩოხაში გამოჩნობილი ჩვენი წინაპრები როგორ იდგნენ სათოფურებთან და არწივის მზერით ზვერაგდნენ მიდამოს, რომ მტერი შეუმჩნევლად არ წამოჰპარვოდათ. იქვე ბავშვები და ქალები იყვნენ თავმოყრილი და ეზოში დანთებულ ცეცხლთან ფუსფუსებდნენ. ტაძრის გარშემო 3 ღრმა და ფართო ქვა, სადაც, როგორც ირკვევა, ჩვენი წინაპრები საკვების მარაგს ინახავდნენ. თითქმის ყველა კუნჭული მოვიარე და რესტავრატორებს გავესაუბრე.

ლევან გოგოლაური, რესტავრატორი:

— ეს ტაძარი წმინდა ნიკოლოზის სახელობის გახლავთ და XII საუკუნეს, თამარ მეფის დროს განეკუთვნება. როგორც ჩანს, რამდენჯერმე ჩაუტარდა რესტავრაცია. ზოგან ჩუქურთმისანი ქვებია და ეტყობა, რომ თავის ადგილზე არ დევს. ერთი თვე ხდება, რაც სოფელ ქვეშის ვართ და საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის ერთობლივ პროექტს ვახორციელებთ. ტაძარი შედის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯგუფში და ჩართულია რაიონში ტურიზმის განვითარების მარშრუტში.

მის რესტავრაციაზე 3 ადამიანი ვმუშაობთ. მე, გოჩა ჭუნაშვილი, რომელიც პროფესიით მშენებელია და ჩემი ძმა, კობა გოგოლაური. თუმცა, ჩვენ სამნი ვერაფერს გავხდებოდით, რომ არა — ადგილობრივი მოსახლეობა. ახლა აქ მეოთხე ადამიანსაც ხედავთ, ეს აკაკი ურუმაშვილი გახლავთ, რომელიც ადგილობრივი მკვიდრია და პირველივე დღიდან ჩვენთანაა. ადგილობრივ მოსახლეობას გაუხარდა, რესტავრატორები რომ დაგვინახეს და პირველივე დღიდან გვეხმარებიან. მათ შორის, არაქართველებიც. მანამდე კიდევ ერთ ტაძარს


ჩაუტარეთ რესტავრაცია ამავე რაიონში, სოფელ ცურტავთან, ნახიდურის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი გავამაგრეთ და გადავხურეთ. ნახიდურში ძირითადად ახერბაიჯანელები ცხოვრობენ და მთელი მონდომებით გვეხმარებოდნენ. ძალზე დიდი ყურადღება გამოიჩინა სოფლის მამასახლისმა, დოდო ურუმაშვილმა, რომელმაც ბინა გამოგვიყო გამგეობის შენობაში. ხომ ხედავთ, რომ ტაძარი ძალიან მალა და გზიდან მოშორებითაა აღმართული. ამიტომ, მასალის ამოზიდვაც კი უდიდეს სირთულესთანაა დაკავშირებული. რომ არა სოფლის მოსახლეობა, ჩვენ ვერაფერს გავხდებოდით. ენერგოკომპანიამ გენერატორი გვათხოვა, ბოლნისის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნოდარ საბიაშვილმა და მისმა მოადგილემ, ჯანო ურუმაშვილმა გვითხრეს — თუ რაიმე პრობლემას შეეჩხეთ, არ მოგერიდოთ, თქვენ გვერდით გვიგულეთო. წყლის ამოტანა დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ცისტერნა გვათხოვეს და ტრაქტორით ამოგვატანინეს კიდევ. სასიხარულოა, როცა ასეთ საქმეს ყველა გვერდით უდგას. სოფელში ურუმაშვილები, ბესალაშვილები, საბიაშვილები, სარაჯიშვილები, ალაგარდაშვილები ცხოვრობენ. ეს უძველესი გვარებია და ტრადიციების მქონე ადამიანები.

ნახიდურში გაცილებით მძიმე სამუშაო ჩავატარეთ.

— როგორც ვიცი, ბოლნისის ეპარქიაში დიდი ხანი არაა, რაც ახალი მეუფე აკურთხეს.

— დიას, სწორედ ასეა და რაც მეუფე ეფრემი მოვიდა, ბოლნისის ეპარქიაში ეკლესიური ცხოვრება გამოცოცხლდა. მეუფე მოდის, გვაკითხავს, გვკითხულობს.

— ამ სამუშაოებს რომ დაასრულებთ, კიდევ აპირებთ



შესასვლელი გვირაბი

სხვა ტაძრის რესტავრირებას?

— სამწუხაროდ, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო ალბათ გავეჩრდებით. ისე, იყო დაგეგმილი სხვა ტაძრების რესტავრაციაც. ომის დროს არ გავეჩრებულვართ. მხოლოდ ერთი დღით, როდესაც სიტუაცია ყველაზე მეტად დაიძაბა, შინ წავედით და ოჯახებს მივხედეთ. ამ ომმა ძალზე იმოქმედა, მორალური დატრყმა მივიღეთ და შოკირებული ვიყავით. აქ რადიო გვაქვს და ინფორმაციას იქიდან ვიღებდით. თუმცა, მუშაობა განვაგრძეთ, რადგან ეს ჩვენი საქმეა და ამაზე კარგი საქმე დღეს საქართველოში არ კეთდება. ჩვენ ხომ ღვთის სახლს ვაშენებთ... გადავწყვიტეთ, რომ ფარ-ხმალი არ უნდა დაგვეყარა, ჩვენი ბრძოლის ველი აქ გადიოდა და ტაძარი აუცილებლად უნდა დასრულებულიყო.

ოვებული ქვებით ამოვაშენეთ. სახურავს კრამიტით ვხურავთ, გასამაგრებლად ქვიშას და კირს ვიყენებთ. პროექტის მოთხოვნაა, რომ ძველი მასალები გამოვიყენოთ, რითაც ჩვენი წინაპრები აგებდნენ ეკლესიებს.

— მშენებელი ყოფილბართ და ალბათ ჩვეულებრივი სახლებიც აგიგიათ. თუ არსებობს განსხვავება?

— კი, რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს გაცილებით მძიმე სამუშაოა, უფრო სასიამოვნოცაა. მორწმუნე ადამიანი ვარ, მხოლოდ მე კი არა, აქ ვინც ვართ, ყველანი ვმარხულობთ და



ობას კი აშკარად ვგრძნობთ. ხშირად ისეთი პრობლემიდან გამოვსულვართ, რომ არც კი გვეგონა, საერთოდ თუ მოვაგვარებდით.

აბაჟი ურუაშვილი, ადგილობრივი მცხოვრები:

— მე ამ სოფლის მკვიდრი ვარ. ამ ტაძრის რესტავრაცია ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს დაიწყო, მაგრამ „თბილისის ომის“ შემდეგ შეჩერდა. ჩვენ, სოფლის მცხოვრებნი მუდმივად დავდივართ ტაძარში. მართალია, ტაძარი უმოქმედო იყო, მაგრამ ჩვენ თვითონ ამოვიტანეთ ხატები და კედელზე მივამაგრეთ. ნიკოლოზობას ამოვდივართ ხოლმე და საკლავს ვკლავთ. სოფელმა 13-მეტრიანი ჯვარიც დადგა, მეუფე ეფრემის წინამძღოლობით. ჯვრის ამოტანაში აწნემ 300 ლარი მოგვთხოვა. ეს ძალიან გვეძვირა. სოფლის ბიჭები შევესიეთ და ამოვიტანეთ. მეუფეს დავურეკეთ და ვაცნობეთ, რომ ჯვარი დავდგით. სიხარულით გადაირია, მაშინვე მოვიდა. ეს 20 მაისი იყო და მეუფემ ეს დღე ამ ეკლესიის დღესასწაულად გამოაცხადა. მეუფეს ძალით ჩვენს რაიონში ეკლესიური ცხოვრება გამოცოცხლდა და მოსახლეობა მადლიერია, რომ ახალგაზრდობა ღვთის ჭეშმარიტ გზას დაადგა.



ჩვენ თვითონ ამოვიტანეთ ხატები და კედელზე მივამაგრეთ

— უცხოელები ხომ მოდიან ტაძრის სანახავად?

— უცხოელები ამოდიან და როგორც ყოველთვის, დიდი შთაბეჭდილებით მიდიან. მარტო ევროპელები კი არა, რუსებიც იყვნენ. გაოცებულები რჩებიან, აქედან ასეთი დიდი ტერიტორია რომ ჩანს. როცა ვუბნებით, რომ ამ გზით თურქი დამპყრობლები შემოდიოდნენ და აქაურები გზას უკეტავდნენ, თვალები უფრო უფართოვდებოდა.


— რესტავრაციის შემდეგ ეკლესია ამოქმედდება?

— ჩვენ ასეთი ინფორმაცია გვაქვს, რომ აუცილებლად ამოქმედდება.

გოჩა ჭუნაშვილი, რესტავრატორი:


— პროფესიით მშენებელი ვარ, ესენი კი ხუროს მეძახიან. ეკლესიის ჭერი გავასუფთავეთ, სარტყელი გავამაგრეთ, აქვე მოპ-

საკუთარ სულზეც ვზრუნავთ. სხვაგვარად არ შეიძლება. როცა ღვთის სახლს აშენებ, უნდა გწამდეს კიდევ... ოჯახს მოშორებული ვართ, მაგრამ კომპენსაციას იმით ვახდენთ, რომ წმინდა საქმეს ვაკეთებთ. ღვთის შემწე-



მარცხნიდან: ლევან გოგოლაური, კობა გოგოლაური, აკაკი ურუაშვილი, გოჩა ჭუნაშვილი

მარია დე მარკიზა — შალი, რომელმაც საზრუნველს ისტორიკოსი დიდი რული ითავაშა



„არავის შეუძლია ზუსტად შეაფასოს, რა გააკეთეს ქალებმა საფრანგეთისთვის“, — ამბობს მწერალი და ფილოსოფოსი, ბერნარლე ბოვიე დე ფონტენელი. არ შეიძლება, არ დაფუჯეროთ კაცს, რომელმაც 100 წელი იცოცხლა და ევროპაში საფრანგეთის ავტორიტეტულ სახელმწიფოდ გადაქცევას შეესწრო.

ექვთარეშეა ისიც, რომ როდესაც ფონტენელი სუსტი არსებების მწივნელოვან როლზე ლაპარაკობს, ცნობილ მარკიზასაც გულისხმობს, რომელმაც პოლიტიკოსები აიძულა, პომპადურის ეპოქაზე სერიოზულად ემსჯელათ.


ლუდოვიკო XV-ის ფავორიტი, გავლენიანი ქალბატონის ხელში მოხვედრილმა ძალაუფლებამ ბევრი მოწინააღმდეგე აიძულა, მის წარსულში ქექვისთვის თავი დაენებებინა და მისი წარმოშობის შესახებ წერილმანი ინფორმაციის მოძიება შეეწყვიტა. ეს საშინლად აღიზიანებდა პომპადურს, რომელიც ყველა სფეროში სრულყოფილებისკენ ილტვოდა.

თუმცა ჩვენამდე მაინც მოაღწია ინფორმაციამ, რომ ჟანანტუანეტა პუასონის მამა მეფის ლაქია იყო, რომელმაც ოჯახი მიატოვა და ერთი ხანობა ქურდობდა კიდევც.

თავმოყვარე მარკიზას იოლად შეეძლო, ასეთ მშობელზე უარი ეთქვა, მაგრამ მას იმის აღიარებაც მოუწევდა, რომ უკანონოდ შობილი იყო.

საქმე ის გახლავთ, რომ მარკიზა მამად სასახლის ფინანსისტს, ნორმან დე ტურნემს მიიჩნევდა, რადგან 1721 წელს დაბადებულ გოგონას შესანიშნავი განათლება მისცა და მის ბედსაც წარმართავდა.

ჟანა ნიჭიერებით გამოირჩეოდა. ის კარგად ხატავდა, უკრავდა სხვადასხვა ინსტრუმენტზე,



მარკიზა მამპადური

ჰქონდა დაბალი, სუფთა ხმა და კარგად მღეროდა, მშვენივრად კითხულობდა ლექსებს. მისი მოსმენისას ყველანი აღფრთოვანებას გამოხატავდნენ, რაც მადმუაზელ პუასონს თავდაჯერებას მატებდა.

მკითხავმა მეფესთან სასიყვარულო ურთიერთობა ჯერ კიდევ 9 წლის ასაკში უწინასწარმეტყველა. ამ კეთილ ქალბატონს მარკიზამ სიცოცხლის ბოლომდე პენსია დაუნიშნა.

19 წლის ასაკში ჟანა თავისი მფარველის ძმისშვილს გაჰყვა ცოლად. საქმრო დაბალი ტანის, შეუხედავი მამაკაცი იყო, მაგრამ ძალზე მდიდარი გახლდათ. რაც ყველაზე მთავარია, საცოლეზე უგონოდ იყო შეყვარებული.

ასე გამოეთხოვა ქალწული პუასონი თავის გვარს და მამამ დე ეტიოლი გახდა. მისი ოჯახური ცხოვრება მდორედ მიედინებოდა. 2 წლის შემდეგ, გოგონა — ალექსანდრა გააჩინა, მაგრამ მეფეზე ოცნება ვერც შვილმა დაავინცა.

მრავალრიცხოვანი მეგობრების წრესა და მაღალ საზოგადოებასთან ურთიერთობას (სადაც ქმრის სიმდიდრის წყალობით მოხვდა) ჟანა თავის სასარგებლოდ იყენებდა. ყველაჭორი და ხანდახან სიმართლესთან მიახლოებული ამბები მეფის შესახებ მისი მეხსიერების „ყულაბაში“ ილექებოდა და მეფის ცხოვრებაზე წარმოდგენას უქმნიდა.

ამგვარად, მან იცოდა, რომ მეფე ჰერცოგინია დე შატორუთი იყო გატაცებული. მისი ხასიათის ძირითადმა თვისებებმა — მიზანდასახულობამ და სიჯიუტემ სწორედ აქ იჩინა თავი. მან სენარის ტყეში სიარულს მოუხშირა, სადაც მეფე სანადიროდ დადიოდა ხოლმე. თუმცა, მეფის კი არა, ამბიციური ჰერცოგინიას, დე შატორუს თვალთახედვის არეში მოხვდა, რომელიც უცებ მიხვდა მისი ტყეში სეირნობის მიზეზს და ჟანას ამ ადგილებში გამოჩენა აუკრძალეს. ცხვირში



ლუღოვიკო XV

მოხვედრილმა ასეთმა წიკპურტმა ჟანა გამოაფხიზლა და დროებით უკან დაიხია, მაგრამ სულ მალე, 27 წლის მადამ დე შატორუ პნეემონიით გარდაიცვალა და ეტიოლმა ეს ღვთის განგებად მიიჩნია.

1745 წლის 28 თებერვალს, პარიზის რატუშაში (რომელიც დღემდე დგას) ბალ-მასკარადის დროს ჟანა პირველად შეხვდა მეფეს პირისპირ. მადამ ეტიოლს სახეზე ნილაბი ეკეთა, მაგრამ მონარქი უცნობი ქალის ქცევამ დააინტრიგა და სახის გამოჩენა სთხოვა. მან მეფეზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ლუდოვიკო XV-ს რთული ბუნების, იდუმალებით მოცულ ადამიანად მიიჩნევდნენ და „ნაადრევად დაღლილ“ მეფეს უწოდებდნენ. მის მოკრძალებულ ხასიათს ნაკლად მიიჩნევდნენ და ვინაიდან ის თავს ყველაზე უკეთ ქალების გარემოცვაში გრძნობდა, „ცელქი ცოდვილის“ მეტსახელითაც მოიხსენიებდნენ.

ლუდოვიკო XV 1710 წელს დაიბადა და ტახტზე დიდი ბაბუის, ლუდოვიკო XIV-ის სიკვდილის შემდეგ, 5 წლის ასაკში ავიდა. როდესაც ის 9 წლის იყო, პარიზში რუსეთის იმპერატორი, პეტრე I ჩავიდა. მას ლუდოვიკო XV-ზე თავისი შუათანა ქალიშვილის, ელიზა-

ვეტას დანიშვნა სურდა.

ვერსალში ამ წინადადებით არ აღფრთოვანებულან, რადგან რუსი იმპერატორის ცოლის, ეკატერინას წარმოშობა ყველასთვის ცნობილი გახლდათ. ამის გამო ნიშნობა არ შედგა. ლამაზი ელიზავეტა შინ დარჩა და არც წაუგია. ის რუსეთის იმპერატრიცა გახდა.

11 წლის ლუდოვიკოს შესაფერისი მეუღლე, პოლონეთის მეფის, სტანისლავის ქალიშვილი, მარია ლეშინსკაია მოუძებნეს. როდესაც მეფეს 15 წელი შეუსრულდა, ისინი დაქორწინდნენ. დედოფალი მეფეზე 7 წლით უფროსი, უზომოდ მორწმუნე, მოსაწყენი და ულამაზო იყო. ზოგიერთი ცნობის თანახმად, მან გათხოვებიდან 12 წლის განმავლობაში 10 შვილი გააჩინა. მეფეს, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში სანიმუშო ქმრად და მამად მიიჩნეოდა, მოჰბებურდა ოჯახური ცხოვრებაც, პოლიტიკაც, ეკონომიკაც და გადაწყვიტა, თავი ნატიფი ხელოვნებითა და არანაკლებ ნატიფი ქალებით შეეცცია.

ჟანა დე ეტიოლთან შეხვედრის მომენტში, სამეფოში ყველაზე ლამაზ მამაკაცად აღიარებული ლუდოვიკო 35 წლის გახლდათ.

ვერსალის ტყეებისა და ბაღების ობერ-ეგერმეისტერი, მუსიე ლერუა მომავალი მადამ

პომპადურის გარეგნობას ასე აღწერდა: „მშვენიერი სახის ფერი, ხშირი, ხვეული, ნაბლიფერი თმა, სრულყოფილი ფორმის ცხვირი, ლამაზი, მხურვალე კოცნისთვის შექმნილი ტუჩები, დიდი, გაურკვეველი ფერის თვალები“. ეს აღწერილობა სრულიად შეესატყვისება ფრანსუა ბუშეს მიერ შექმნილ პორტრეტებს. ბუშეს მარკიზა მფარველობდა და შესაძლოა, სწორედ ეს მფარველობა გახლდათ იმის მიზეზი, რომ მხატვრის მიერ შექმნილ ტილოებზე მარკიზა მართლაც უზადოდ გამოიყურება და სილამაზის ქაღალმერთადაა წარმოჩენილი. ისტორიამ შემოინახა ინფორმაცია, რომ პომპადურს სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა, რის გამოც, გარეგნული სილამაზის შენარჩუნება მარკიზას დიდი ძალისხმევის შედეგად უზღებოდა.

ასე იყო თუ ისე, მისი „გაურკვეველი ფერის თვალები“ მეფის თვალებს შეეჩვენნენ. მეფემ ის ბალ-მასკარადის დამთავრების შემდეგ წარმოდგენილ, იტალიურ კომედიანზე, შემდეგ კი ვახშმად მიიწვია; ეს შეხვედრა მათი ურთიერთობის დასაწყისად იქცა.

პაემნის შემდეგ მეფემ ნდობით აღჭურვილ პირს, რომელიც წინდახედულმა ჟანამ მოიხსიდა, უთხრა: „რა თქმა უნდა, მადამ დე ეტიოლი ძალზე მომხიბვლელია, მაგრამ მომეჩვენა, რომ გულახდილი არ არის და ანგარება ამოძრავებს. ჩემმა უფროსმა ვაჟმა კი მითხრა, რომ ის ვულგარულია“.

მეფის ამ სიტყვებიდან ჩანდა, რომ ჟანასთვის სასურველი მიზნის მიღწევა იოლი არ იქნებოდა. შემდეგ პაემანს ქალმა დიდი ძალისხმევით შედეგად მიაღწია. ამ პაემანზე თავისი როლი მშვენივრად შეასრულა. მეფეს მელოდრამატული სიუჟეტი შესთავაზა: საწყალმა, ძლივს შეაღწია სასახლეში იმის შიშით, რომ ეჭვიან ქმარს თვალში არ მოხვედროდა. ამ რისკზე კი იმიტომ წავიდა, რომ სათაყვანებელი ადამიანისთვის თვალი შეეველო.

მეფეს არ დაუძახია „ბრავო“, მაგრამ ჟანას შეჰპირდა, რომ ფლანდრიის ომიდან დაბრუნების შემდეგ, „ეჭვიანობის მსხვერპლს“ ოფიციალურ ფავორიტად აქცევდა.

მადამ დე ეტიოლი მეფის გზავნილებს ხშირად იღებდა, ერთ მშვენიერ დღეს კი მან წერილი მიიღო, რომელიც მარკიზა დე პომპადურისთვის იყო გამოგზავნილი. ჟანამ როგორც იქნა, საოცნებო ტიტული მიიღო.

1745 წლის შემოდგომაზე, მეფემ ახალგაშობილი მარკიზა ახლობლებს მეგობრად წარუდგინა. მარკიზა გაოცებული დარჩა მეფის ცოლის ლოიალობით, რომელიც ამ დროისთვის უკვე ყველაფერს შეგუებული იყო. სასახლეში მარკიზას აგრძნობინეს, რომ არაფრით იყო იმ ქალებზე უკეთესი, ვინც თავს მკერაობითა და ფუნთუშების ცხობით ირჩენდა. ჟანამ იცოდა, რომ ვიდრე მეფე მთლიანად მისი გავლენის ქვეშ არ მოექცეოდა, მანამდე ფავორიტის ტიტულს დიდი ხნით ვერ შეინარჩუნებდა. ამიტომ, ის მეფისთვის შეუცვლელი უნდა გამხდარიყო. ამის მიღწევა კი მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა მეფეს ცხოვრების სტილს შეაცვლევინებდა, მელანქოლიასა და მოწყვნილობას გაუქრობდა, თავად კი ვერსალის შეპყრებად გადაიქცეოდა.

მარკიზამ მიზნის მისაღწევად დახვეწილი ხელოვნება გამოიყენა და მეფის ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ახლა ყოველ საღამოს მეფეს მარკიზას სასტუმრო ოთახში ახალ-ახალი, საინტერესო სტუმრები ხვდებოდნენ: ბუშარდონი, მონტესკიე, ფრაგონარი, ბუშე, ვანლოო, რამო, ბუფონი... ეს გახლავთ არასრული სია იმ ადამიანებისა, რომლებიც მხატვრული და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები იყვნენ. მათ შორის ვოლტერს განსაკუთრებული ადგილი ეკავა, რომელსაც მარკიზა ბავშვობიდან იცნობდა და თავს მის მოსწავლედ მიიჩნევდა. სწორედ პომპადურის დამსახურება გახლდათ, რომ ვოლტერმა აღიარება, აკადემიკოსის ნოდება და

სასახლის კამერგერის თანამდებობა მოიპოვა.

მადლიერმა ვოლტერმა მარკიზას თავისი საუკეთესო ნაწარმოებები მიუძღვნა.

ასეთ დახვეწილ საზოგადოებაში ყოფნა მეფეს ართობდა, ამასთანავე, ის ცხოვრების ახალ-ახალ წახნაგებს ეცნობოდა. თავის მხრივ კი მარკიზას სტუმრები საზოგადოების თვალში სოციალურ სტატუსს იმაღლებდნენ. მარკიზამ მეცენატობას გემო გაუგო და ამ მოწოდებისთვის მთელი ცხოვრების განმავლობაში არ უღალატია.

1751 წელს, მარკიზას მონადინების შედეგად პირველი ფრანგული ენციკლოპედია დაიბეჭდა. იდეის ავტორი და რედაქტორი, აბსოლუტიზმისა და ეკლესიის მონინალმდეგე, დენი დიდრო გახლდათ.

მადამ პომპადურის ფავორიტი იყო ასევე მოქანდაკე ფალკონე და ჟან-ჟაკ რუსოც, რომლის სცენარის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში ჟანამ მამაკაცის მთავარი როლიც შეასრულა.

მარკიზას მიერ შექმნილ მორიგ მამულს სევრი ერქვა, სადაც მისივე მონადინებით ფაიფურის წარმოება დაიწყო.

1756 წელს ამ მიწაზე 2 საუცხოო ნაგებობა ააშენეს. ერთი მუშებისთვის, მეორე — წარმოებისთვის. მარკიზა ხშირად მიემგზავრებოდა სევრში, მუშებს ამხნევებდა, გამოცდილ ოსტატებსა და სკულპტორებს სამუშაოდ ინვევდა. ექსპერიმენტები არ წყდებოდა და მუშებს დღედაღამ მუშაობა უწევდათ, რადგან მადამ პომპადური მრუთმენელი იყო და საქმის გაჭიანურებას ვერ იტანდა. ის თავად მონაწილეობდა ყველა პრობლემის გადაჭრაში. ფაიფურის იშვიათი, ვარდისფერი შეფერილობა სწორედ ამ ექსპერიმენტების შედეგად მიიღეს და მას Rose Pompadouri

უნოდეს. მარკიზამ ვერსალში დიდი გამოფენა მოაწყო და ნიმუშები თავად გაყიდა.

მისივე დაარსებული იყო ვერსალში კამერული თეატრი, რომელიც 1747 წლის იანვარში მოლიერის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლით — „ტარტიუფი“ გაიხსნა. სპექტაკლის წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა და მასში თავად მარკიზაც მონაწილეობდა. მეფე აღფრთოვანებული იყო მისი მსახიობური ნიჭით. „თქვენ საფრანგეთის ყველაზე მომხიბვლელი ქალი ხართ“, — უთხრა მას სპექტაკლის დასრულების შემდეგ.

ამ ფრაზამ, მარკიზას უპირატესობა მეფის დანარჩენ ფავორიტებთან შედარებით, ყველასათვის ნათელი გახადა. პომპადური თავის მდგომარეობას იყენებდა და საკუთარი უპირატესობის დემონსტრირებას ყოველ მოსახერხებელ მომენტში ცდილობდა. მარკიზა თავმდაბლობით არ გამოირჩეოდა. შეექლო, ელჩები და სხვა, მეტად პატივცემული სტუმრები მდიდრულად მოწყობილ დარბაზში მიეღო, სადაც მხოლოდ ერთი სავარძელი იდგა. თავად ჯდებოდა, დანარჩენები კი იძულებული იყვნენ, ფეხზე მდგარიყვნენ.

მიანია იმასაც, რომ მისი ქალიშვილისთვის სახელით მიემართათ — ისევე, როგორც მეფის ოჯახის წევრებისთვის. გარდაცვლილი დედის ფერფლი მარკიზამ პარიზის ცენტრში დამარხა. ამისთვის სპეციალურად ნაყიდ მიწაზე უზარმაზარი მავზოლეუმი ააშენებინა. ნათესავებს, რომლებსაც მარკიზა სწყალობდა, მეფე თანამდებობებს, ტიტულებს, ჯილდოებს უძღვნიდა. მოგვიანებით ჩატარებული გამოანგარიშების მიხედვით აღმოჩნდა, რომ მან ხაზინიდან „წვრილმანი“ ხარჯებისთვის 4 მილიონი, ხოლო მეცენატობისთვის 8 მილიონი ლივრი დახარჯა.

თეატრის გარდა მისი კიდევ ერთი გატაცება მშენებლობა გახლდათ. ის უზარმაზარ უძრავ ქონებას ფლობდა და მისი ყოველი ახალი შენაძენი საფუძვლიან გადაკეთებას ექვემდებარებოდა. მარკიზა ახალი შენობის კონტურების ჩანახატს ქალაქზე თავად აკეთებდა. მის მიერ აგებულ შენობებში როკოკოს სტილი პრაქტიკულ-



თუ ლაშქარ და ჩვიან ცოლის
მოიყვან, გახსოვდეს, რომ
ამცოლოისმას ყანონი ყმძლავს.

თან შეზავებული გახლდათ. თუ ახალი შენობის ასაგებად ფული არ ჰყოფნიდა, ის დაუნანებლად ყიდდა ადრე აშენებულს და ახალ ოცნებას ფრთას ასხამდა. მისი ბოლო შენაძენი მენარის სასახლე გახლდათ, რომლის გადაკეთებაც ვერ მოასწრო. მეფის სასახლეები და ქალაქგარეთ არსებული რეზიდენციებიც თავისი გემოვნების მიხედვით მოაწყო. ამ „მოვლენას“ ვერც ვერსალი გაექცა. მარკიზას ბრძანებით, მეფის ბაღის ახლოს მომცრო ზომის, მყუდრო სახლი ააშენებინა და ეზოში ადონისის თეთრი მარმარილოს ქანდაკებაც დაადგმევინა.

30 წლის მარკიზამ იგრძნო, რომ ლუდოვიკოს სასიყვარულო ცეცხლი უნელდებოდა. მისი სილამაზე უამთასვლამ გაახუნა და ალბათ, ველარასოდეს დაიბრუნებდა...

მარკიზა დე პომპადური 5 წლის განმავლობაში იყო მეფის საყვარელი, ხოლო შემდეგი 15 წელი ბევრ საკითხში მისი მეგობარი და მრჩეველი გახლდათ, ხშირად — სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებშიც კი.

რთული სიტუაციიდან გამოსავალს ცივი გონებისა და რკინისებური ნებისყოფის წყალობით ახერხებდა. მარკიზამ პარიზის ერთ-ერთ უბრალო უბანში, არაფრით გამორჩეულ სახლში ხუთოთახიანი ბინა იქირავა. ეს ადგილი მარკიზას მიერ მიწვეული ქალიშვილებისა და მეფის შეხვედრის ადგილი გახლდათ.

მეფე აქ ყოველთვის ინკოგნიტოდ ცხადდებოდა. ქალიშვილები მას მნიშვნელოვან ადამიანად მიიჩნევდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, რომ მეფეს ხვდებოდნენ. როდესაც ქალწულის მიმართ მეფის წამიერი ვნება ჩაცხრებოდა, მას მდიდრულ მზითევს აძლევდნენ და ათხოვებდნენ. თუ კავშირი ბავშვის გაჩენით სრულდებოდა, მაშინ დედა-შვილი სოლიდურ თანხას იღებდა; მარკიზა კი

კვლავ მეფის ოფიციალურ ფავორიტად რჩებოდა.

1751 წელს, პომპადურს რეალური საფრთხე ნორჩი ირლანდიელის, მარია-ლუიზა ომერფის სახით დაემუქრა. ამ ინტრიგის განვითარებას ნახევარი ევროპა ადევნებდა თვალყურს. პაპის ელჩი რომს ატყობინებდა, რომ პომპადურის დღეები დათვლილი იყო: „მთავარი სულთანი თავის მდგომარეობას კარგავს“, — წერდა ის, მაგრამ შეცდა. ლუდოვიკომ მარკიზას ყველა პრივილეგია შეუნარჩუნა, რითაც ახალგაზრდა ლამაზმანებსა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე კიდევ ერთხელ გაამარჯვებინა. ყველასათვის მოულოდნელად სიტუაცია მაშინ დაიძაბა, როდესაც პომპადური ავსტრიის ერცჰერცოგინიასთან, მარია-ტერეზასთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა. ამან ორ ქვეყანას შორის მეგობრული სიტუაცია შეცვალა.

ლუდოვიკომ, რომელიც იეზუიტებს არ სწყალობდა, საფრანგეთში მათი ორდენი გააუქმა. ასეთმა ცვლილებებმა მაღალი საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია და მარკიზა თავს დაცულად ველარ გრძნობდა. მას კარგად ესმოდა, რომ საფრთხე ემუქრებოდა. გამუდმებით მოწმდებოდა მისთვის მომზადებული კერძები, რათა მარკიზას მოწამვლა აეცილებინა თავიდან.

მისი ერთადერთი ქალიშვილის მოულოდნელმა გარდაცვალებამ, რომლის დაქორწინებასაც მეფის უკანონო შვილზე აპირებდა, ასეთი იშვიათი გამძლეობის ქალიც კი ჭკუიდან გადაიყვანა. მას ეჭვი ჰქონდა, რომ შვილი მტრებმა მოუტყეს და გვამის გაკვეთა მოინდომა, მაგრამ ამით ვერაფერს მიაღწია.

მარკიზამ ძალზე მძიმედ გადაიტანა შვილის სიკვდილი და მარტოობას ისე მძაფრად გრძნობდა, როგორც არასდროს. მისი ყველაზე ახლო მე-

გობარი მტრებმა მოისყიდეს, მეფე კი სანდო მეგობრად აღარ ეგულებოდა.

სულიერმა კრიზისმა მარკიზა დააფიქრა და სასახლიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღებინა. მან ქმარს წერილი გაუგზავნა, სადაც მიყენებული ტკივილს გამო პატიებას სთხოვდა. როგორც ჩანს, დიდი ხნის წინ მიტოვებულ ოჯახში დაბრუნებას ცდილობდა. ქმარმა უპასუხა, რომ ყველაფერს აპატიებდა, მაგრამ ამაზე მეტის გაკეთება მას არ შეეძლო.

1760 წელს, მარკიზასთვის ხაზინიდან გამოყოფილი თანხის რაოდენობა მ-ჯერ შემცირდა. მან ძვირფასეულობის გაყიდვასა და ბანქოს თამაშს მიჰყო ხელი. როგორც წესი, ყოველთვის უმართლებდა... მას ფილტვებთან დაკავშირებული პრობლემა ჰქონდა, რომლის მკურნალობაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მარკიზა იძულებული გახდა, ფული ესესხა. მძიმე ავადმყოფმა კი საყვარელიც გაიჩინა.


მიუხედავად ამ ყველაფრისა, მარკიზა მეფეს გვერდიდან არ სცილდებოდა და ყველგან თან დაჰყვებოდა. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს მან გონება დაკარგა. ყველა მიხვდა, რომ მისი აღსასრული არც ისე შორს იყო. მიუხედავად იმისა, რომ ვერსალში სიკვდილის უფლება მხოლოდ მეფის ოჯახის წევრებს ჰქონდათ, ლუდოვიკომ მარკიზა სასახლის აპარტამენტებში გადააყვანინა.

1764 წლის 15 აპრილს მეფის ქრონოლოგმა სპეციალურ წიგნში ჩაწერა: „მარკიზა დე პომპადური, დედოფლის კარის ქალბატონი, 43 წლის ასაკში, სალამოს 7 საათზე, მეფის პირად საძინებელში გარდაიცვალა“.

როდესაც დამკრძალავი პროცესია პარიზში დაბრუნდა, თავსხმა წვიმაში, აივანზე მდგარმა ლუდოვიკომ წარმოთქვა: „უკანასკნელი გასეირნებისთვის სწორედ ასეთი საზიზღარი ამინდი აირჩიეთ, მადამ“. ამ უადგილო ხუმრობის უკან წრფელი სინანული იგრძნობოდა. მადამ პომპადური დედისა და შვილის გვერდით, მონასტრის ეზოში დაკრძალეს. ახლა ამ ადგილზე დე ლა პეს ქუჩა გადის, რომლის ქვაფენილიც XIX საუკუნეში, მონასტრის დანგრევის შემდეგ დააგეს.




ადამიანს იმითში რომ ჰქონდეს, ხმებაში ხელს შეუძლია.



გზის კნიღები

28.08. - 3.09.2008



ომის ზაღაღი

აღბათ, არ არსებობს ადამიანი, ვისაც ომი არ შეეხო. ყველა დაიღალა და თქვენც მწერით, აღარ გვინდა ამ თემაზე ლაპარაკიო, მაგრამ ამ კვირაში სხვაგვარად არ გამოვა. ამიტომ, გავეცნოთ თქვენს მესიჟებს, ტკივილსა და დარდს. ომი ხომ ჩვენს ბევრ მგზავნებს უშუალოდ შეეხო.

„ქართველო გვიღალააარგულო ლაღაღო, მე თქვენს ფარხთით ვართხმაგი და გათაყვანებით!“

მარი ჯაშარიძე

„თემო მოვიდა!“

„ომის შედეგი რომ ათასი გაუბედურებული ოჯახი და სიცოცხლისაგან უდროოდ მიტოვებული სხეულია, ახალი ამბავი არ არის. ჩემი ნაცნობი სამხედრო პირია და ამ უმძიმეს დღეებში, რა თქმა უნდა, ცხინვალში იყო. უთქვამთ, ბრუნდებაო. დედამისი მე-2 სართულის აივანზე ელოდებოდა, როცა დაიძახეს, თემო მოვიდაო. დედამისს გაუგონია, მოკვდაო და აივანიდან გადმოშტარა. ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

ახლაც საავადმყოფოშია. უფალი გვფარავდეს! ქართველი“.

მესაზღვრე

„სულით და ხორცილად ჯარისკაცი ვარ. მე ახლა საზღვარზე ვარ. ჩვენთან ყაზარმულია გამოცხადებული. მეთაურმა რომ გვითხრა, ორი კაცი უნდა წავიდეს ცხინვალშიო, ერთი მე ვიქნები-მეთქი — ვუთხარი. არ შემეძლო, შორიდან მეყურებინა, ბიჭები როგორ იბრძოდნენ. მინდოდა, ბიჭებს დავხმარებოდი. ჩვენი ერთი ათეული უკვე ცხინვალში ჰყავდათ. ჩვენც წასასვლელად გავემზადეთ და უცებ, ბრძანება გასცეს კონფლიქტის ზონიდან

მესაზღვრეების გამოყვანაზე — ვითომ საზღვრიდან იყო მოსალოდნელი რუსების შემოსვლა და უკან დაგვაბრუნეს. ომის შედეგია, რომ გაფიქრებაც კი არ მინდა, ძმაკაცები, რომლებიც იქ იბრძოდნენ, ცოცხლები არიან თუ არა... მესაზღვრე“.

„გზა“ მინდა“

„რა საშინელებაა, ომი და „უგზოობა“ (ყველა მნიშვნელობით). ორი კვირაა, რა „გზა“, რის „გზა“?! თბილისში კი დაუფრევე ნათესავს, მიყიდე ეს ნომრები-მეთქი. არც თემა ვიცი და საერთოდ, ჩამოვრჩი „გზავნილებს“. ხან ტრასისკენ ვიყურებით,

რუსების მოლოდინში, ხან კი ცაში, მათივე ვერტმფრენების ირაოებით დამფრთხალნი. ღვთის წყალობით, ჩემი მეუღლე მშვიდობით დაბრუნდა. მარი, „გზაში“ მინდა, „გზა“ მინდა, მშვიდობა მინდა და რუსის ჯარისგან გათავისუფლებული საქართველო მინდა! მიყვარხართ და მენატრებით. ელისო“.

„ომის ბრალია“

„მე ახლა გურიში ვარ და სახლში — რუსთავეში ვერ მივდივარ. 2 კვირაზე მეტია, აქ ვარ. დაბომბვის ხმები ისმის და ძალიან გვეშინია. დღეს ჩემმა ძმამ მომწერა, შენი მესიჯი ვნახე „გზაში“. მე არ მინახავს, რადგან აქ არ იყიდება. ძალიან გამახარე, მარი. ყველა და ყველაფერი მომენატრა. რა ძნელი ყოფილა მონატრება. რაღაც გაურკვეველი მესიჯია, მაპატიეთ, ალბათ ესეც ომის ბრალია. მიყვარხართ და გკოცნით. თქვენი გაურკვეველი და მონატრებული ეკაბეკა“.

„გაუქარვებელი სევდა“

„ომი... სიკვდილის სუნიტ გაჟღენთილი ჰაერი და უიმედო მომავალი... ობოლი ბავშვი და არარაობას შეწირული სიცოცხლე. უსიცოცხლო გამოხედვა და ჩამქრალი ნაპერწკალი. დაინგრა ოცნება და ფერფლად იქცა კოშკი... განადგურდა ქართველი ერი და სული დაუმძიმდა... ქართულმა მიწამ ქართული სისხლი შეინოვა... დედამ შვილი დაიტირა, დამ ძმა დაკარგა, საცოლემ — საქმრო და ეს ყველა საქართველოს დააკლდა... ჩამოუშვით ფარდები და იტირეთ. იგლოვეთ ისე, რომ სულის კვილიმა მიაღწიოს უფლამდე. ვილოცოთ და ღმერთი დაიფარავს საქართველოს. ტკივილი და გაუქარვებელი სევდა — აი, შედეგი ომისა. სესი“.

ომის პოზიტიური შედეგი

„ის წავიდა... ჩვენ დავრჩით... 12 აგვისტოს მამაჩემი მე და დედაჩემს ზღვაზე გვიშვებდა. რვაში, გორი რომ დაიბომბა, მე და დედაჩემი თბილისში წამოვედით, მამაჩემი კი გორში დარჩა. 14-ში გორიდან წამოვიდა და ბათუმში წავიდა, დასთან. 8 დღე 5-ვარსკვლავიან სასტუმროში უფასოდ „ისვენებდა“. ერთი სიტყვით, ამ ომიანობის დროს მაგრად გაერთო. პეტრო“.

ტრაგედია

„მიჭირს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მინდა, საკუთარი თვალთ ნანახი მოგიყვეთ: ღამით, როცა სენაკის დაბომბვა დაიწყეს, ვერ გავერკვიეთ, რა ხდებოდა. საშინელება იყო, ხალხი გარბოდა ქუჩებში. მეორე აფეთქება უშუალოდ ცენტრში მოხდა, სადაც ათასობით ადამიანი იყო შეგროვილი. რამდენიმე იქვე გარდაიცვალა, ბევრი დაიჭრა, საშინელი პანიკა იყო — ადამიანების ნაფლეთები ეყარა ირგვლივ. არ მჯეროდა, რომ სინამდვილეში ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა. მეორე დღეს სურათი უარესი იყო — ჩამსხვრეული და მიმოფანტული მინები, გაშავებული და დანგრეული შენობები, ტოტებდამსხვრეული ხეები და ადამიანები, რომლებსაც ნათესავების სხეულები ეპოვათ და თავებს უშედეგოდ ეძებდნენ. იმ დღეს ქალაქი დაიცალა და მეც წამოვედი. ეს იყო ჩემი თვალთ დანახული ომის შედეგი ჩემს ქალაქში. მინდა, ყველა დაღუპულის ოჯახს მიუწამდომო. არტემიდა“.

„რისთვის?“

„ომის შედეგით, ვკითხულობთ. იცი, რა არის შედეგი? — შეშლილი და შიშით დამახინჯებული სახეები, ძაძებით მოსილი დედეები

და ცოლები, გაძარცული და განადგურებული სახლები, დაზაფრული ახალგაზრდობა და დამახინჯებული სულის ბავშვები. აი, ესაა ამ უაზრო და გამანადგურებელი ომის შედეგი. მერედა, რისთვის? რისთვის დაღვარეს უმანკო სისხლი? რა ვუთხრათ მათ დედებს, ცოლებსა და შვილებს? რით ვანუგეშოთ? ზოგმა ისიც არ იცის, მის მიცვალებულს საფლავი თუ ელირსა. მაპატიეთ ამ სიტყვებისთვის და გისამძიმრებთ. ბარტყი“.

ტკივილი

„ძალიან ცუდად ვარ და მინდა, ჩემი გულისტკივილი „გზის“ ფურცლებს გაუზიარო. თითქოს ჩემს სულში დემონი ჩასახლდდა და ყურში ყოველწამს ჩამჩურჩულებს, თუ როგორ კენესიან და გოდებენ სამშობლოს სიყვარულით დაჭრილი ახალგაზრდები. მესმის და თავს ცუდად ვგრძნობ, რადგან მათი დახმარება არ შემძლია. თავს იმათ ადგილზე რომ წარმოვიდგენ, სული მენვის. გული მტკივა! გული ტანჯვით მეცხება, როცა თავს დაჭრილი ახალგაზრდების მშობლების ადგილას წარმოვიდგენ. ვგრძნობ, რაოდენ მძიმეა მათი ხვედრი ამ ისედაც აწიოკებულ და აღვირახსნილ ცხოვრებაში.“

რამ გადაარჩინა ხელვაჩაური

„ღამის 3 საათი იყო, როცა სოფელ შარაბიჭებში რუსულმა ბომბდამშენებმა ბომბები ჩამოყარეს შეშინებული, დამფრთხალი და ნახევრად მძინარე ადამიანები ქუჩაში გამოცვივდნენ. შუქი ყველგან ჩამქრალი იყო და ხელვაჩაურის მოსახლეობა მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ მომხდურებმა სიბნელეში ვერ დაინახეს ხელვაჩაურის სამხედრო ბაზა. შედეგად არავინ დაღუპულა. როცა ვთქვი, კიდევ კარგი, სახლებს არ დაუმიზნეს-მეთქი, ჩემმა გოგომ მითხრა — ისინი კი დაუმიზნებდნენ, მაგრამ ღმერთმა დაგვიფარაო. მეორე დღეს ბათუმში თითქმის დაცარიელდა, ხალხი სოფლებში გაიხიზნა. ამ ყველაფერს და იმას, რაც გორში და საერთოდ, საქართველოში მოხდა, გაძლება არ უნდა? იმას, რაც ამ ყურნალში წავიკითხე, რაც ტელევიზორში ვნახეთ და რასაც ხალხი ჰყვება, ამდენ რამეს ატანა არ უნდა? ფეხქვეშ მინა ინვის და ციდან ბომბები ცვივა, ამის ყურება არ გინდა? ამის მერე რუსეთმა თავი სად უნდა გამოყოს და თუ გამოყო, რითი უნდა იმართლოს? რამდენი დედა გამწარდა, რამდენი დაჭრივდა და რამდენი სრულიად ობოლი დარჩა. მინდა ვკითხო, ვინც ეს ჩაიდინა: რისთვის? რისთვის ასეთი სიბეცე და სისასტიკე რისთვის?“

ახლა ნაწილობრივ მომეშვა გულს, როცა რუსმა პარაზიტებმა დაგვტოვეს. თუმცა იმ ტკივილს მაინც ვერავინ წაშლის ჩემს გულში, რომელიც ჩვენმა სამშობლომ განიცადა მრავალი ახალგაზრდის დანაკლისით. უფალი გვეფარავდეს მუდამ! ლუნა“.

საამაყო სახელი

„გამარჯობა, ჩემო საყვარელო მგზავნილებო! მომენატრეთ მაგრად, დეკემბრის მერე აღარ მომიწერია... ამაზე სხვა დროს. ომის შედეგი გვინტერესებს? რაც უნდა თქვან ტერიტორიებზე, მე მაინც იმ დედებზე ვიტყვი, ვინც შვილების სიცოცხლეს შეელია, სამშობლოს სიცოცხლის გამო! ქართველო შვილდაკარგულო დედებო, მე თქვენს ფერხთით ვერთხმები და გეთაყვანებით! თქვენი ტკივილი ჩვენი ტკივილია! ვინ იცის, სწორედ თქვენი შვილები იყვნენ ჩვენი მეგობრები, ძმები, შეყვარებულები და ქმრები! მე და მთელი საქართველოს მანდილოსნები თანაგიგრძნობთ! არ გეგონოთ, რომ ომმა შვილები წაგართვათ! ალბათ, მათი დაღუპვა ღმერთმა იმიტომ ინება, რომ მათი უბრალო სახელები — დათო, ბესო, აჩიკო, ნიკუშა, გიო და ბევრი სხვა, შემდგომში ერთ საამაყო სახელად — გმირად დაჰბრუნებოდა ჩვენს ქვეყანას! ვილოცოთ მათთვის! პატარა მავნე.

„ვოვკას გაფარჩაკება“

„ომის შედეგი? ჰმ, რომელი ომის? ამას ჯორჯი ბიძიას გეგმა — „ვოვკას მსოფლიოს თვალში გაფარჩაკება“ უფრო ჰქვია. ჩემი საქართველო და ჩემი ქართველი გმირები იღუპებიან, ამათ კინკლაობაში. ცხინვალსაც და სოხუმსაც კარგა ხანს ვეღარ დავიბრუნებთ. რამდენი წელი უნდა გავიდეს, რომ ოსებსაც და ქართველებსაც ეს საშინელება დაგვაავიწყდეს. მე პირადად, ალბათ, მთელი ცხოვრება გამყვება ის ბოლმა და ტკივილი, რომელიც მეგობრების დაკარგვამ მომაყენა. მე არ გამიგია, ქართველები მტერს ცხვარს უკლავდნენ და გულითადად მასპინძლობდნენ. უარესი გაჭირვება უნახავს საქართველოს, მაგრამ ასე არასდროს მოქცეულან. ახალგაზრდა ბიჭები გმირულად ეცემოდნენ ბრძოლის ველზე და ესენი კიდევ, რუსთაველზე მღეროდნენ და „გრძელი ენები“ და „დიდი გულები“ ჰქონდათ.

STOP RUSSIA!

„ეს ის ქვეყანაა, რომ ვერ დააჩოქეთ, რომ ვერ დააჩოქებთ მერცხა! შესხედით ტანკებზე, გასწიეთ, გააქროლეთ, მოკითხვა გადაეცით დედებს... იმ დედებს, რუსებო, ჭიქა ღვინისათვის, ქართველს რომ უნევდნენ ფეხებს! აქ, ამ ქვეყანაში, არაფრის გულისთვის არ დაგიკოცნიან ჩექმებს. ჯობია, წახვიდეთ, მიხედოთ კაცურად, სხვის წახმარ ცოლებს და დედებს, თორემ თქვენ აქ იბრძვით და ვინ იცის, ცოლები, ახლა ვის უშვერენ ფეხებს! მშვიდობას გვიმყარებთ, თქვენს ცოლებს ვინ იცის, ვინ იცის, ვინ უზელს გვერდებს?! წადით, გეფიცებით, წიხლს არ დავიშურებთ, როგორც ჩანს, გამწვრალბართ ღმერთზე, ერთს ისეთს გაფეთებთ, გაგიშარიშურებთ, ვერასდროს იფიქროთ ჩვენზე. მოგთ სამშობლო, კრემლის თამადაობით, შ-ცი მედვედევს, პუტინს, გველოთ დაღმავლობით, როგორც დადიოდი, „ბომბები“ იყავით, უწინ. ვის ესწრით, რომ ესწრით, იქნება ძმა არის, ან იქნებ მამაა თქვენი?! გთხოვთ ნუ გაიკვირვებთ, ყოველი ქართველი ცდილობდა, შეგცვლოდათ გენი, მაგრამ ვერას გაგზდით, რამეთუ რუსეთს მართავენ ძალები ბნელი, ეშმაკის მოციქულთ, როგორღაც ერთბაშად სიგიჟემ დაგრიათ ხელი... გონს მოდით! თქვენ ამით ქართველებს კი არა, რუსებო, ღვთისმშობელს ებრძვით!“

არადა, დარწმუნებული ვარ, თბილისს რომ საფრთხე დამუქრებოდა, ღვთის ანაბარად მიატოვებდნენ ხალხს. ახლა ამ მესიჯს დაბეჭდავთ თუ არა, თქვენი საქმეა, მაგრამ მინდა, ყველამ გაიგოს, რომ ერი და ბერი ერთად თუ ვიქნებით, რუსი ვერაფერს დაგვაკლებს. ქართველი ერი ყველა დამპყრობლის წინაშე მუდამ გაუტყეხელი იყო, ბევრმა იცის, რომ ეს ლიტონი სიტყვები არ არის. ეს სიმართლეა და ღმერთს ვთხოვ, მუდამ ასე ვყოფილიყავით, გაუტყეხლნი, შეუპოვარნი, ბრძოლაში მამაცნი და მარადღეამს თავისუფალნი! გეო“.

შეცდომა

„გუშინ, ჩემი დაქალი მიყვებოდა: ჩვენი სამეზობლოდან 2 ბიჭი იყო ცხინვალშიო. ერთ-

ერთი ჩამოუსვენებიათ, მაგრამ მისამართი შეშლიათ და მეორე მეზობელთან მიუსვენებიათ შემთხვევით. დაიტირეს, როგორც საკუთარი შვილი (თავი არ ჰქონია მიცვალებულს). ორი დღის შემდეგ კი შვილმა დარეკა, მალე ჩამოვალეო. მერე კი გაირკვა ყველაფერი, მაგრამ იმ ბიჭის დედას ვერავინ ეუბნება — ჩვენი შეცდომით დამარხული მკვდარი, შენი შვილიაო. ომის შედეგი — ლოდინისაგან დაღლილი თვალებია. ნამცეცა“.

„რა დროს ჟურნალია?“

„მარი, ეს რა საშინელება ხდება საქართველოში? ომი უნდოდა ჩვენს დაქცეულ ქვეყანას?! ამას ისიც დაემატა, რომ მესამე კვირაა, „გზის“ გარეშე დავრჩით საბერძნეთში. არადა, როგორ მყვარებია „გზა“, ახლა

მივხვდი. ღმერთმა ქნას, მალე დამთავრდეს ეს კოშმარი. თუმცა, იმ ჟურნალებს რალა ეშველება, პუტინის წყალობით, საბერძნეთში რომ ვერ ჩამოაღწია? იტყვის ახლა ვილაც, რა დროს ჟურნალია? საქართველოში ომი, მაგრამ რა ვქნა, არ შემძლია „გზის“ გარეშე და მომკალით, თუ გინდა. მარი, ყველანი მიყვარხართ. უფალი გფარავდეთ. პია“.

მადლობა

„არ ვიცი, მესიჯი რით დავინყო, იმდენად შოკირებული ვარ დღევანდელი სიტუაციით... „ომი“ — ეს სიტყვაც კი ყოველთვის მზარავდა.

საქართველოს ისტორიას როცა ვკითხულობდი, სულ ვფიქრობდი და მიკვირდა ჩვენი წინაპრების სიმამაცის. ყოველთვის სიამაყით ვივსებოდი მათი გმირობით... დღესაც ამაყი ვარ, ჩემი თანამედროვე ბიჭების გმირობით და თავდადებით. დღეს, მესიჯს რომ გწერ, მათი დამსახურებაა. დღეს, ჩემი შვილები რომ უსაფრთხოდ არიან, მათი დამსახურებაა. ამისთვის მადლობა მათ! მინდა, მივუსამძიმრო დაღუპულთა ოჯახებს, დედებს, ცოლებს, დებს... მაგრამ მინდა ვუთხრა მათ, რომ ამაყად ასწიონ თავი და ამაყად იარონ, რადგან ასეთი გმირები ყველას არ

ჰყავს... ომის შედეგი? შედეგად მივიღეთ — ქვრივები, ობლები, უსახლკარო დევნილები, დებრესიული ადამიანები, მაგრამ მაინც გაერთიანებული, ერთ მუშტად შეკრული, რწმენით განმტკიცებული ერი! მინდა გავიმეორო ათასჯერ ნათქვამი სიტყვები: „სანამ ერთად ვართ, მტერი ვერაფერს დაგვაკლებს!!!“ ვინატრებდი, სულ მუდამ ასეთ ერთსულოვნებას, მშვიდობიანობის დროსაც... ადამიანებო, გვიყვარდეს ერთურთი და კიდევ, გმადლობთ ვაჟკაცებო, ჩვენი და ჩვენი სამშობლოს დაცვისთვის. მე ამაყი ვარ დღეს, რადგან ქართველი ვარ!!! გმადლობთ მარ, რომ მომისმინე. თუ არ მიიჩნევ საჭიროდ, არ დაბეჭდო. უზნეო ანგელოზი“.

გიორგი

„გიორგი ერთი უბრალო, სიცოცხლესა და საქართველოზე საოცრად შეყვარებული ბიჭი იყო. სამშობლოს შენი თანადგომა სჭირდებოდა, უთარეს და ისიც წავიდა. წავიდა სამუდამოდ — იბრძოდა ვაჟკაცურად და თავდადებით, მაგრამ განა ტყვია ვაჟკაცებს ინდობს? იმ ღამით წამიერად ჩასთვლიმა გაუთავებელი აფეთქებების ხმაში და სიზმარში თავისი ლამაზი, ლოდინად ქცეული ცოლი და 7 თვის ბიჭუნა, მამის სიამაყე ეზმანა. ეს მათზე მისი უკანასკნელი თვალის შევლება იყო. იმ ღამითვე გიოს გულში ჩაბუდებული სიყვარულის სითბო მტრის ტყვიამ სამუდამოდ გააცივა იმ დროს, როცა დაჭრილი მეგობარი გამოჰყავდა მისთვის აღარასოდეს გათენდება. მისი ავტომატის კაკანის გარეშე გაგრძელდა ომი... შინ კი ელოდნენ. ელოდა შიშით გათანგული დედა, მამა, ძმა, ცოლი და პატარა ოთო, მაგრამ არც ერთმა არ იცოდა, რომ მათ სახლში უბედურება იყო სამუდამო სტუმრად შემოპარული, რომ გლოვა და ცრემლები მათ სულებს აწრდილებად აქცევდა, რომ გიოს უსიცოცხლო სხეულსაც ვეღარ შეავლებდნენ თვალს, რომ ლამაზი ცოლი ქვრივად იქცეოდა და პატარა ოთო მამის ფართო მკერდს ვეღარასოდეს დაადებდა თავის პანია თავს ისე, როგორც უყვარდა ძილის წინ და რომ ის, სიტყვა „მამას“ ვაჟკაცურად მოლიმარი ბიჭის სურათს დაუძახებდა, მაგრამ ვაი, რომ ეს ერთადერთი ოჯახი არ იყო, რომელიც ორი გულქვა, ერთმანეთზე გადამტყრებული ადამიანის (თუ შეიძლება მათ ასე ეწოდოთ) პირად ინტერესებს, სიძულვილს, ზიზლსა და ბინძურ პოლიტიკურ თამაშს შეწირა. უამრავი ადამიანი აქციეს ქვრივად, ობლად, შვილმკვდარ დედად და მამად, გამწარებულ დად და ძმად, ლტოლვილად და უპატრონ-უქონელად! — უკეთეს საქართველოს ავაშენებთო, მაგრამ ვის ანაღვლებს და ვინ ფიქრობს იმ ვაჟკაცი ბიჭისა და მისწაირად, ათასობით, უაზროდ ჩაბოცილი ქართველი ბიჭების ოჯახებს ეს დაპირება დაუამებთ სამუდამოდ დაგლვევილ გულებს? სჭირდებოდათ კი მათ ისეთი ლამაზი საქართველო, სადაც მათი გიორგები, დათოები, ბეჟაკები და ა.შ. აღარ ივლიან? კამელია“.

ჩვენი ტრაგედია

„საბედნიეროდ, ყველა ჩემი ახლობელი ცოცხალი დაბრუნდა ომიდან. ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს მათი შვილების, ქმრების, ცოლების, დედების, მამების, დებისა და ძმების გარდაცვალების გამო. თითოეული ნაკანრი მტკივა და მეც ჭირისუფალი ვარ. ეს ომი არა მარტო მათი, ყველა ჩვენგანის ტრაგედიაა. ახლა გვიანია განსჯა. უკვე მოხდა და მკვდრებს აღარაფერი ეშველება. ბედკრულ გმირო ჯარისკაცებო, ვერ დაგიტირეთ შესაფერისად. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები. საქმრო დაჭრილი ჩამომიყვანეს. კისერში აქვს ტყვია მოხვედრილი და ოპერაციას ვერ უკეთებენ, სარისკოაო. ღვთის იმედად ვართ და არ ვწუნუნებ. მე ცოცხალი მაინც მყავს გვერდით და ვინც მკვდარიც ვერ დაიტირა ან ისიც არ იცის, ცოცხალია თუ არა, იმას როგორ შევედარო? არ მაქვს უფლება! ღმერთი გფარავდეს, ვილოცოთ და უფალს ვებარებოდეთ. ონავარი გოგო“.

ცრემლიანი იუბილე

„ცხრაში დაბადების დღე მქონდა. იცით, როგორ ველოდი? მაგრამ ცრემლებით შევხვდი იუბილეს — თავზე ბომბებს გვიშენდნენ და შიშით აღარ გვეძინა. მერე სახლიდან წამოვედი. მთელი ეს დრო თავს საზიზლრად ვგრძნობ, ცრემლები თავისთავად მომდის. ნიკოლმა მომწერა, სულ ვტირი, მერე კი თავი მტკივაო. როგორ მეტყვა, მეც ასე ვარ-მეთქი? მას სახლი

3 ძმა

„სოფელ თაიაში ცხოვრობდა თოლორდავების ხელმოკლე ოჯახი, რომლებმაც გაჭირვებისგან თავის დაღწევის მიზნით გადაწყვიტეს, სამივე ბიჭი საკონტრაქტო ჯარში გაეშვათ. სამი წელი იყო უკვე გასული, ძმები პირნათლად ასრულებდნენ ჯარში დაკისრებულ მოვალეობებს, ოჯახსაც ეხმარებოდნენ და თანდათან ფეხზე დააყენეს მშობლიური კერა. ომის დაწყებისთანავე სამივე ძმა ფრონტის წინა ხაზზე გაუშვეს და მერე თითქოს მინამ ჩაყლაპაო, მათგან არაფერი ისმოდა. მხოლოდ 5 დღის წინ იპოვეს მათი უსულო სხეულები და სოფელში ჩაასვენეს. დედამისა რომ ბიჭების გარდაცვალების ამბავი უთხრეს, გულმა ვეღარ გაუძლო და საბოლოოდ შეწყვიტა გულისცემა აი, ომის შედეგი, რომელმაც კიდევ ერთი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეინარა და ბიჭები უშვილოდ ამოწყვიტა, მეზობლები კი მარტოდ დარჩენილი ოჯახის უფროსის საცოდაობით კვდებიან, რომელიც ყოველდღე სიკვდილს ნატრობს. რატომ, ღმერთო, რა საჭირო იყო ამდენი მსხვერპლი? აპოლონი“.

გაუძარცვეს, მე კი სანუნუნო რა მაქვს, იოლად გადავრჩი, მაგრამ ვაი, ამ გადარჩენას. მოსმენილისგან და ნანახისგან გავგიჟდი. ნერვიულობისგან გული მერევა. გრაკლის ხიდი ჩემი სოფლის ბოლოშია და რა ამბავი იქნებოდა აფეთქებისას, წარმოიდგინეთ. ლუნა შიმშილობსო?! გული დამენვა. მე არ ვშიშობ, მაგრამ არც ჭამა მინდა. ტყვეები რომ დაგვიბრუნეს, ხმამალლა ვტიროდი. ჩემი სოფლის რეზერვისტებიდან 2 შეშლილი დაბრუნდა... რა ვქნათ ჩვენ ახლა, როგორ ვიცხოვროთ? რამ უნდა დაგვიამოს ეს ქრილობები? ვეღარ ვიქნები ძველი ლორე. ვერც ძველებური ღიმილი მექნება სახეზე. ვიცი, თქვენც ასე იქნებით, მგზავნელებო. არ მინდოდა, ვინმეს შეემჩნია ეს ტკივილი და არაფერს ვამბობდი, მაგრამ დავიღალე. ლორელია“.

სიხარულის ცრემლი

„ყველას მოგესალმებით. დიდი ხანია, თქვენთვის აღარ მომიწერია და ყველა ძალიან მომენატრეთ. ელისო, დარწმუნებული იყავი, რომ ახალციხეს და ახალციხელებსაც ენატრები. ჩემი 5 უსაყვარლესი ადამიანი ქუთაისში მსახურობს. როცა გავიგე, ავადსახსენებელი ომი დაიწყო, სულ ცუდი აზრები მიტრიალებდა თავში. ჩემი ძმები საუკეთესოდ მომზადებულები და ყოველთვის ყველაფრისთვის მზად იყვნენ. მთელი 5 დღე მათ შესახებ არაფერი ვიცოდი. ძილი არ

ვიცოდი რა იყო და საჭმელი. რომ ვფიქრობდი, როგორ პირობებში იყვნენ, რა მომასვენებდა? როცა მათი ხმა გავიგონე და გავიგე, რომ ყველა კარგად იყო, სიხარულისგან ვტიროდი. მინდა, თქვენი მემუვობით ვუთხრა მათ, რომ 31-ე ბატალიონის ბიჭებო, მუდამ თქვენ გვერდით ვიქნები. ვიცი, რა გმირებიც ხართ და არა მარტო მე, მთელმა საქართველომ იცის, ყველანი რა ვაჟკაცებიც ხართ. მშვიდობას ვუსურვებ სრულიად საქართველოს. ბიჭებო, თქვენი ჯარჯი თქვენთანაა. ჯარჯი“.

შიში

„ახლა ჩვენს სატვირთო მანქანას ბორბალი აუფეთქდა და ცეცხლი წაეკიდა. ბორბლის აფეთქებას იმხელა ხმა ჰქონდა, რომ ყველას ბომბი ეგონა. მე აივნიდან გადავიხედე და ეს ყველაფერი დავინახე. დედაჩემი მეზობელთან იყო, რომელსაც დაქალები ჰყავდა სტუმრად. ხმაურზე დედაჩემი სახლში გამოიქცა, ვაიმე, ბომბიო და ჩემს პატარა, მძინარე დაიკოს დასტაცა ხელი. მერე რომ გაიგო, რაშიც იყო საქმე, მეზობელთან წავიდა და რა ნახა? სახლის კარი ღია, კომპიუტერი ჩართული და სახლში არავინ იყო, შიშისგან ყველა გაქცეულიყო. ნარჩიტა“.

„ბოროტსა

სძლია კეთილმა“

„საქართველოს შეესია რუსულ ლორთა ურდო, ახალ

პიტლერს ჩვენ არ ვურჩევთ, თავი იგრძნოს მყუდროდ, ყველაფრისთვის მიეზღვებათ, მისხალ-მისხალ განანებთ, დიდი დღე არ გინერიათ, რუს ოკუპანტ ჯალათებს, საქართველოსგან გასწიეთ თქვენი ბინძური ხელები, არ გეცოდებათ ნეტავი, „კარგმოკითხული“ დედები? ყველა მიგიხვდათ ოინებს, ვერ იზეიმებს ფარსია, გირჩევ, ალაგმო ოსები, გაეთრიე, STOP RUSSIA! ჟირინოვსკის და ლავროვის პატივცემულო გვამებო, მსოფლიო წითელს გიჩვენებთ, მასე ვერაფერს გვავენებთო, ვერ გაიხარებს ვერასდროს, ერი ლოთი და მკვლელია, „ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია“. მოვა დრო და დაგამარცხებთ, მთავარია გული გულობს, ერთ ადგილას შეგტენიან მაგ თქვენს ნამგალსა და უროს... ლიმონა“.

ვანმუხურის ამბავი

„ასე თუ ისე, მეც საკუთარ თავზე გამოვცადე ეს საშინელება. როცა ინტენსიური დაბომბვა დაიწყო, მე ბანაკ განმუხურში ვიყავი. არ მკითხორთ, მთელი ღამე როგორ გავატარე. საშინელება იყო — უფროსობამ გვითხრა, წუთი წუთზე შეიძლება, დაგვბომბონო. როგორ გათენდა, აღარ მახსოვს. მერე ის საშინელი გზა, გორი და ა.შ. ღმერთის წყალობით, კარგად ვარ, მაგრამ ჩვენს დღევანდელ მდგომარეობაზე ძალიან მტკივა გული. იმედი მაქვს, რამე გვეშველება. თაფლაკვერა“.

სხვა

„ჩემს მახლობლად, ომში დაღუპული ბიჭი „ცინკის“ კუბოთი მოუსვენეს ოჯახს. ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ კუბოს გახსნა არ შეიძლებოდა. მალევე დაასაფლავეს, გამწარებულ-განადგურებულმა მშობლებმა, მაგრამ იცით, რა მოხდა? მეორე დილით მათი შვილი სალ-სალამათი დაბრუნდა. მის ნაცვლად კი სხვა დაუსაფლავებიათ. იმ ოჯახში საოცრება ხდება, სიხარულისგან ყველა შოკშია. გასახარია ჩვენთვის, მაგრამ ვაი, იმ ბიჭის დედას, ვინც შეცდომით დამარხეს. ღმერთმა გაანათლოს ყველა დაღუპულის სული. კამელია“.

მსხვერპლი

„დღეს ეს თემა სრულიად საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მყოფი ქართველების ტკივილია. მრავალი ადამიანი

დარჩა საცხოვრებლის გარეშე, მრავალი ადამიანი გახდა ქმრის, ძმის, შვილის, ნათესავისა თუ მეგობრის დამტირებელი. ვინც ომს გადაურჩა, არა მგონია, წლების მანძილზე დაივიწყოს ეს ტრაგედია და თვალებიდან ან გონებიდან ამოშალოს, მათ გვერდით, როგორ იღუპებოდნენ ჩვენი ბიჭები. ჩემი უბნის მოსახლეობის 50% ჯარშია და ბევრი ნაცნობი მყავდა ომში. ერთი მეზობელი დაბრუნდა, აფეთქების სიმძლავრემ ჰაერში აისროლა და მთელი ძალით დაანარცხა ძირს, რის შედეგადაც კონტუზიის ნიშნები განუვითარდა, მაგრამ მან უარი განაცხადა ჰოსპიტალში გადაყვანაზე და ცხინვალში ყოფნა და სამშობლოს დაცვა არჩია. ღმერთმა ცოცხალი დაგვიბრუნა, მაგრამ ახლა კონტუზია აქვს, ლაპარაკი უჭირს და ლამით კომპარები ანუხებს. იმედი მაქვს, რომ ეს პატრიოტი ადამიანი მალე გამოჯანმრთელდება. ღმერთო, დაგვიფარე, შენი კეთილი კალთა გადმოაფარე საქართველოს. კახელო-616“.

ყველაფერზე თემის გარდა

შილდის ბირჟა

„თბილისიდან ახალი ჩამოსული ვიყავი და დეიდასთან დავრჩი. საღამოს ბიძაჩემმა და მარიმ „300 სპარტელის“ ყურება დაიწყეს (რუსულ ენაზე). მარიმ ტვინი შეუჭამა ბიძას, გადამითარგმნე და გადამითარგმნეო. ჰოდა, ის მომენტი იყო, როცა ლეონიდე სპარსეთის ელჩი ჭაში ჩააგდო და თან უთხრა: „ეტა სპარტა“. მარიმ ვერ გაიგო და ბიძას შეეკითხა, ახლა რა უთხრაო? პაპუნამ კი უპასუხა — რა უთხრა და, ეს სპარტაა, განა შილდის ბირჟააო... იარმორკელი“.

ომში არ იჭერს?

„მე ვარ ქარიზმატული, მე! ახლა ვენახში ვზივარ და იქიდან გწერ, თან ყურძენს მივირმევ. ახლა გეტყვი, თანხა როგორ ირიცხება ომიანობის დროს. საამისოდ, უნდა გაეგზავნო მეზობლის „გამოსერიალებულ“ დედაკაცს ან „ლაი-ლაიზე“, ან „ბალზე“ ან მონოზე, მოუტანო და რადგან კოდის შეყვანა ვერაფრით ისწავლა, გადაუფხიკო და უშედეგოდ „სცადო“ შეყვანა. შემდეგ უთხრა, რომ რადგან ომია, ტელეფონი „ვერ იჭერს“, თანხა არ

ირიცხება და მერე კიდევ სცდი; გაიქცე სახლში, კოდი შეიყვანო შენს ტელეფონში, იყიდო 200 მესიჯი და გაუნყალო მარი ჯაფარიძეს გული უაზრო და შიგადაშიგ, „ნიჩაეო“ მესიჯების ჯღაბნით. მდააა“...

ლოთი მასწავლებელი

„ერთი ლოთი ქართულის მასწავლებელი გვყავდა. დილაობით „პივის“ ბოთლით მოდიოდა სკოლაში და „პახმელიდან“ ხშირად ჩვენი გინებით გამოდიოდა. ისე ვიყავით მიჩვეულები, აღარც კი გვწყინდა. ერთი კლასელი მყავდა, კლასში ორჯერ დარჩენილი. გია ერქვა და ჩურას ვეძახდით. მეოთხედის ბოლოს ჩვენმა ვანო მასწავლებელმა უთხრა, ერთი ლექსი მაინც ისწავლე, რომ სამიანი დაგინერო, მესამედაც ხომ არ უნდა დარჩე და აქ ხომ არ უნდა მაიყვანო ცოლიო? ამასაც, ვითომ უსწავლია ილია ჭავჭავაძის „ჩემო კალამო“ და უნდა ჩააბაროს. გაიყვანა მეორე დღეს (ძალიან მურტალ „პახმელიაზე“ იყო). გიამ დაიწყო: „ჩემო კალამო...“ დაავიწყდა. ვანო მიეხმარა — „ჩემო კარგო...“ გიას გაუხარდა და გაიმეორა — „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა...“ — ისევ დაავიწყდა. — ტაშ... — ისევ მიეხმარა ვანო. გიას თვალები გაუბრწყინდა — „რად გვინდა ტაშტიო“, დასჭყვივლა. როგორც იქნა, დავენარდით და ვანომ თავის ქნევით უთხრა — შენ და ილია ჭავჭავაძეს ტაშტი მართლა არ გინდათ, ჩემთვის კი მისწრება, ახლა ისე მერევა გულიო“.

„პატენტი გზა“

„4-დღიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, „გზამ“ ჩამოაღწია ქუთაისში, მაგრამ დახეტ საოცრებას, აღარც მარი, აღარც — „გზაწილები“, აღარც — „მობილი-ზაცია“! „ეტა კაშმარ“! მე კიდევ მეგონა, ჩემი ქმარი გააბრიყვა გამყიდველმა და „პატენტი გზა“ შემოაპარამეთქი. რაც ამან იბილსიტყვავა გამყიდველის მისამართით... მარ, იმედია, მომავალ ხუთშაბათს ისევ გამობრწყინდები. P.S. ბოტოტას მოკითხვა. კამელიას და თაისის გაცნობა მინდა (გინდა, კარგია). ჰა, რას იტყვით? მაგდა ანუ ფახუცანა“.

დარაგოების კლანი

„გურიის ერთ ლამაზ სოფელში უცნაურმეტსახელიანები მრავლად არიან. ერთ-ერთია — დარაგოების კლანი. ამ ოჯახის

ყველა წევრს დარაგოის ეძახიან, მიზეზი კი უფროსი დარაგოი გახდა. თურმე ის კაცი რუსულ ჯარში წაიყვანეს (არადა, „გრამი“ რუსული არ იცოდა). იქიდან კი მამას წერილი მოსწერა: „დარაგოი ატეც“, მინდა ფული, ფული, ფული. მამამ უპასუხა — არ მაქვს, არ მაქვს, არ მაქვს. წერილის ამბავი მთელ სოფელში გაბაზრდა და ჯარიდან დაბრუნებულს და მის შთამომავლობას ყველა დარაგოის ეძახის“.

დაუპატიჟებელი ნადი

„ჩვენს სოფელში ერთი მაგარი ჯიგარი კაცი ცხოვრობს. მარტოხელაა. ჰოდა, მეზობელი ქალები ლობიოს დარჩევაში უნდა მიხმარებოდნენ. ისე მოხდა, რომ ამ კაცს საქმე გამოუჩნდა და რომ მიდიოდა, ქალებს წერილი დაუტოვა: თქვენ დაიწყეთ და მეც მალე მოვალო. სანამ ქალები მივიდოდნენ, მისი ძმიშვილი მივიდა, ეს წერილი ნახა, შევიდა მარანში, ჩამოასხა ღვინო, გაშალა სუფრა, ძმაცაცებს დაუძახა და დაიწყეს ქეიფი. ამ დროს ის კაციც დაბრუნდა და იკითხა, რა ხდებაო? ამათმაც აჩვენეს წერილი — შენ ხომ ასე დანერეო? ასე იქეიფეს ბოლომდე... მეორე დღეს კი ლობიოს დარჩევა მათ დააკისრა ამ კაცმა. აპაა! 9717“.

ცეკვა „ქორწილური“

„ერთი ბიჭი უნდა და-ქორწინებულიყო და ცეკვა კარგად არ იცოდა. იფიქრა, მოდი, ცოტას მარტო წავიცეკვებ, წავივარჯიშებ, იქნებ ვისწავლოო. ჰოდა, დაიწყოოო... ცეკვავს და დაიყვირა — „გადმოდი, სიმამრო“! ცოტა ხანი გავიდა და ახლა — „გადმოდი, სიდედროო“! მეზობლის სიცილმა შეაწყვეტინა ცეკვა. გახედა და ჰკითხა — დიდი ხანია, მიყურებო? ამ კაცმა უთხრა, აი, სიდედრი რომ გადმოიყვანე საცეკვაოდ, იქიდან გიყურებო. 9717“.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ლამაზი ამბავი სიყვარულზე გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com მოკლე ჩართვის კითხვად გთავაზობთ: როგორ მოვიქცეოდი, პრეზიდენტი რომ ვყოფილიყავი. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

ფ ა ქ ბ ა ბ ი ,

როგორც არაზის სწილდა

1. ალასკის დროშა 13 წლის ბიჭუნამ შექმნა.

2. სამხედრო სალამს არც ერთ ქვეყანაში მარცხენა ხელით არ იძლევიან.

3. ანტარქტიდის საერთაშორისო სატელეფონო კოდი — 672.

4. კაპიტანი კუკი პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ფეხი ანტარქტიდის გარდა, ყველა კონტინენტზე დადგა.

5. ერთ-ერთი დასავლეთაფრიკული ტომი ფეხბურთს ადამიანის თავის ქალით თამაშობს.

6. თავდაპირველად, ავსტრალიური 50-ცენტისანი მონეტა 2 დოლარის ღირებულების ვერცხლს შეიცავდა.

7. ინგლისის ბიბლიოთეკებში ყველაზე ხშირად გინესის რეკორდების წიგნს იპარავენ.

8. მონაკოს ნაციონალური ორკესტრი უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე მისი არმია.

9. ერთხელ, 1979 წლის 28 თებერვალს, საპარის უდაბნოში თოვლი მოვიდა.

10. კანადის ფართობი მეტია, ვიდრე ჩინეთის, ხოლო ჩინეთის ფართობი, ამერიკის შეერთებული შტატებისას აღემატება.

11. ვატიკანი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც 1983 წელს არც ერთი ბავშვი არ დაბადებულა.

12. მდინარე ნილოსი ორჯერ, IX და XI საუკუნეში გაიყინა.

13. იტალიის ქალაქ სიენში მეძავი ვერ გახდება ქალი, რომელსაც მარია ჰქვია.

14. ძველ რომში, მამაკაცი, რომელიც ფიცს დებდა, ხელს შარვლის უბეზე იდებდა.

15. ზოგიერთ აღმოსავლურ ქვეყანაში ლიტინი კანონით აკრძალული იყო, რადგან აღმგზნებ საშუალებად მიიჩნეოდა.

16. ესკიმოსების ენაზე თოვლს 20 სახელი აქვს.

17. იტალიაში გაცილებით მეტი „ბარბის“ თოჯინაა, ვიდრე კანადაში — კანადელები.

18. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ კანადა 4-ჯერ დაასახელა საცხოვრებლად საუ-

კეთესო ქვეყნად.

19. თუ ძველ რომში პაციენტი ოპერაციის დროს გარდაიცვლებოდა, ექიმს ხელს აჭრიდნენ.

20. რენტგენულმა დასხივებამ აჩვენა, რომ „მონა ლიზას“ ქვეშ მისი 3 თავდაპირველი ვარიანტია დახატული.

21. მსოფლიოში ყველაზე ხშირად Happy birthday to you-ს მღერიან. ეს სიმღერა საავტორო უფლებით გახლავთ დაცული.

22. ქალის მიერ გადაღებული ერთადერთი ვესტერნი არსებობს.

23. ჯორჯ ჰარისონის ტუალეტის დასაჯდომი ასრულებ-

ცოცხალი არსებების 70%-ს ბაქტერიები შეადგენენ.


29. სპილო ერთადერთი ცხოველია, რომელსაც 4 მუხლი აქვს.

30. ტოკიოს ზოოპარკს ყოველწლიურად 2 თვით კეტავენ, რომ ცხოველებმა მნახველებისგან დაისვენონ.

31. როდესაც უირაფი მშობიარობს, მისი პირმშო მეტრნახევარი სიმაღლიდან ვარდება.

32. ძუკნა ძალღი უფრო ხშირად იკბინება, ვიდრე — ხვადი.

33. ყოველწლიურად ფუტ-



და სიმღერას — *Lusy in the sky with diamonds*.

24. მეორე მსოფლიო ომის დროს ლითონის ეკონომიის მიზნით, „ოსკარის“ ქანდაკებებს ხისგან ამზადებდნენ.

25. „ქარნალებულნის“ ავტორისეული სათაური გახლავთ — „ბე-ბე, შავი ბეკვა“.

26. მე-12 სართულიდან გადმოვარდნილ კატას გადარჩენის მეტი შანსი აქვს, ვიდრე მე-7 სართულიდან გადმოვარდნილს.

27. როდესაც ევროპელებმა უირაფი პირველად ნახეს, მას „აქლემოპარდი“ უწოდეს, რადგან მიიჩნიეს, რომ ის აქლემისა და ლეოპარდის ნაჯვარი იყო.

28. დედამიწაზე მცხოვრები

კრის ნაკბენით უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე გველის ნაკბენით.

34. ზვიგენს კიბოს მიმართ იმუნიტეტი აქვს.

35. ჩასახვის საწინააღმდეგო აბები გორილებზეც მოქმედებს.

36. ზღვის ვარსკვლავს კუჭის გარეთ გადმობრუნება შეუძლია.

37. თხუნელას ერთ ლამეში 76 მეტრი სიგრძის გვირაბის გათხრა შეუძლია.

38. ლოკოკინას 25 ათასი კბილი აქვს.

39. ძველად ეგვიპტეში ბაბუინებს წვრთნიდნენ და მაგიდასთან ოფიციალტის მოვალეობას ასრულებინებდნენ.

40. სირაქლემის კვერცხის

- მოხარშვას 4 საათი სჭირდება.
41. ღამურა ერთადერთი ძუძუმწოვარია, რომელსაც ფრენა შეუძლია.
42. 1 კილოგრამი თაფლის შესაგროვებლად ფუტკარმა 2 მილიონი ყვავილის მტვერი უნდა შეჭამოს.
43. ჭრიჭინას თეთრი ფერის სისხლი აქვს.
44. ერთადერთი ცხოველი, რომელიც ადამიანივით, სექსით სიამოვნებისთვის კავდება, დელფინია.
45. უკანასკნელი 4 ათასი წლის მანძილზე არც ერთი ცხოველი არ მოუშინაურებიათ.
46. ერთადერთი შინაური ცხოველი, რომელიც „ბიბლიაში“ ნახსენები არ არის, კატაა.
47. პინგვინს 2 მეტრ სიმაღლეზე ახტომა შეუძლია.
48. შიმპანზე ერთადერთი ცხოველია, რომელიც სარკეში საკუთარ თავს ცნობს.
49. ნიანგები ქვებს ყლაპავენ, რომ წყალში ღრმად ჩაიძირონ.


50. პოლარული დათვი 40 კმ/სთ სიჩქარით დარბის.
51. როდენის „მოაზროვნე“ იტალიელი პოეტის — დანტეს პორტრეტია.
52. მომღერალი ნიკ კეივი კუდით დაიბადა.
53. შექსპირი და სერვანტესი ერთ დღეს, 1616 წლის 23 აპრილს გარდაიცვალნენ.
54. ინგლისელმა მწერალმა ქალმა, ვირჯინია ვულფმა თავისი ნაწარმოებების უმეტესობა ფეხზე მდგომმა დაწერა.
55. სარა ბერნარმა 13 წლის ჯულიეტას როლი 70 წლის ასაკში ითამაშა.
56. პატარაობაში უოლტ დისნეის ჭოტი შემოაკვდა. მაშინ გადაწყვიტა, რომ ცხოველები მულტფილმებში გაეცოცხლებინა.
57. ერთხელ ბეთჰოვენი მანანალობისთვის დააკავეს.
58. იულიუს კეისარი დაფნის გვირგვინს სიმელოტის დასაფარავად ატარებდა.
59. ჯორჯ ვაშინგტონი თავის ბაღში მარიხუანას ამრავ-

- ლებდა.
60. ირლანდიელების მფარველი წმინდა პატრიკი ირლანდიელი არ იყო.
61. ლეონარდო და ვინჩიმ მალვიძარა გამოიგონა, რომელიც მძინარეს ფეხებს ფხანდა.
62. ნაპოლეონი აილუროფობიით (კატების შიში) იყო დაავადებული.
63. ყველა ადამიანს ენის ინდივიდუალური ანაბეჭდი აქვს.
64. როცა ადამიანი წითლდება, ამ დროს კუჭიც ფერს იცვლის.
65. სიკვდილის დროს ლენინის ტვინი ნორმალურ ზომასთან შედარებით 4-ჯერ პატარა იყო.
66. მსოფლიოში ყველაზე მაღალი IQ 2 ქალბატონს აქვს.
67. ტვინის 80% წყალისგან შედგება.
68. ერთ ღერ თმას 3 კილოგრამის აწევა შეუძლია.
69. ადამიანის საშუალო ზომის თავის წონა 3,6 კილოგრამია.

ცაცუიშუტული ღამურები

ბელგიელი მხატვარი, ვიმ დელვოი ხელოვნების კონცეპტუალურ ჟანრში მუშაობს — თავის ფერმაში გაზრდილ ღორებს ტატუირებას უკეთებს.

ტატუს სიუჟეტისთვის სხვადასხვა ნახატს იყენებს, მაგალითად, დისნეის ქალთევზას, მრავალფეროვან აღმოსავლურ მოხატულობას. ტატუირების შემდეგ, ღორები დროებით ფერმაში რჩებიან და თავიანთი არაჩვეულებრივი გარეგნობით მნახველებს ატკბობენ. შემდეგ, როდესაც გარკვეულ ასაკს მიაღწევენ, ღორებს კლავენ, ატყავებენ და კანს ჩარჩოზე ჭიმვენ. ამგვარად ერთგვარ, უცნაურ „ტილოს“ იღებენ, ხორცს კი ყიდნიან. მხატვარმა ფერმა 2005 წელს ააშენა, სადაც ამჟამად 9 დედაღორი, 9 ტახი, მათი შთამომავლობა და ვიმის ჩათვლით, 3 მხატვარი ცხოვრობს.



უხამსობის "შუღუღურება"


- საბჭოთა ფიზიკოსების ამერიკაში ყოფნის დროს სკანდალი მოხდა: ნიუ-იორკის სასტუმროს ნომრებში შესვლამდე, ჯგუფის ხელმძღვანელმა ადმინისტრაციას პირობა წაუყენა, რომელიც საბჭოთა სასტუმროებისთვის ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, ხოლო ამერიკელებისთვის უხამსად გამოიყურებოდა. მან სასტუმროს ადმინისტრატორს სთხოვა, რომ თითო ნომერში 2 მამაკაცს ეცხოვრა.

- სამოქალაქო ომის შემდეგ, ამერიკაში მაგიდასთან ქცევის განსხვავებული მანერა შემოიღეს, რომელიც ნაციონალურ ჩვეულებად აქციეს. ეს გახლავთ დანით ჭამა.

- „მის მალაიზიის“ სილამაზის კონკურსის მონაწილენი იძულებული გახდნენ, პოდიუმზე საცურაო კოსტიუმით გამოსულიყვნენ, რადგან შოუს პროდიუსერი ასე მოითხოვდა. მალაიზიაში, შენობაში საცურაო კოსტიუმით სიარული კანონით აკრძალულია. კონკურსის მონაწილენი იძულებული გახდნენ, კანონის დარღვევისთვის ჯარიმა — თითოეულს 160 დოლარი გადაეხადა.

- უნგრელები საკმაოდ უკომპლექსოები არიან, მაგრამ არსებობს ისეთი რამ, რასაც ისინი არასოდეს გააკეთებენ. მათ წინაპრებს დაფიცებული აქვთ, რომ ლუდის ბოკლებს არ მიაჭახუნებენ, ვიდრე ავსტრიის იმპერიის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების ჩახშობიდან 150 წელი არ გავა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენიდან 150 წელი უკვე გავიდა და თეორიულად ჭიქის მიჭახუნება შესაძლებელია, ძველი აკრძალვა მაინც ძალაში რჩება.

- ინგლისში შექსპირის კითხვა და ციტირება უხამსობად მიიჩნეოდა.



შოტლანდიელმა ექიმმა, თომას ბაუდლერმა 1818 წელს შექსპირის პიესები გამოსცა სახელწოდებით — „ოჯახური შექსპირი“. ამ გამოცემაში ყველა ავტორისეული უხამსი სიტყვა ამოღებული იყო.

- ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში გვასწავლიდნენ, რომ თითის გაშვერა უზრდელობა იყო. თუმცა, ძველი ბერძნები ამგვარად მოსაუბრის მიმართ კეთილგანწყობილებასა და პატივისცემას გამოხატავდნენ.

- ხშირად, ხელისუფლების წარმომადგენლების

მოწადინება, რომ საზოგადოება კულტურულ ჩარჩოებში მოაქციოს, კრახით მთავრდება და აბსურდამდე მიდის. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შარვალი ქალის ტანისამოსი არ არის, ის უხამსობისა და პროვოკაციის გამოვლინებაა და მისი ჩაცმა აკრძალეს. ფაქტზე დაკავებულ ქალებს სჯიან — იქვე, ქუჩაში ხდიან შარვალს.

- ინდოეთის ზოგიერთ რაიონში მიაჩნიათ, რომ თუ ადამიანს ვეფხვი შეჭამს, მისი შეცოდება უხამსობაა.



უსაქმოსად ცხაჯარება მოყოლია, მაგრამ ჩვენ ხშირად სიამოლოების ამ ვეჭვინია?



მობილური-მუქია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილ-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქ
ა
ე
კ
ბ
ი



- ვარ 32 წლის, წესიერი, სიმპათიური და პატიოსანი ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33-38 წლამდე მამაკაცს.
- გამომეხმაროს მამაკაცი, 40-55 წლამდე. შავგვრემანი, არათბილისელი, სიმპათიური და რა თქმა უნდა, მატერიალურად უზრუნველყოფილი. ვარ 37 წლის.
- ვარ 167/87/27 მონაცემების მქონე გოგონა. გამომეხმარონ მხოლოდ 35 წლის ზემოთ ასაკის მამაკაცები, ვინც მყარად დგას ფეხზე და ვინც იცის, ეს რას ნიშნავს. ცოლიანებმა თავი შეიკავონ.
- მარი, თუ შეგიძლია, „გზის“ მე-8 ნომრის 43-ე მესიჯის ავტორს ჩემი ნომერი მიეცი. ნინო.
- ვარ 33/164/56, სიმპათი-

- ური, შავგვრემანი, ახალგაზრდა, დასაქმებული. დაოჯახების მიზნით გავიცნობდი ღირსეულ მამაკაცს, ყველაფრით უზრუნველყოფილს, თბილისელს.
- ვარ 34/172/65, გასათხოვარი, სუფთა წარსულის, სიმპათიური, სოფლიდან. მხოლოდ დაოჯახების მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ მამაკაცს.
 - ვარ 31 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, დასაქმებულ მამაკაცს. სასურველია, იყოს დასავლეთ საქართველოდან.

შ
ა
ე
კ
ბ
ი



- ვებმეიანები „გზა“ №32, მე-6 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი. გურამი.
- მსურს გავიცნო რუსთავე-

ლი ან თბილისელი გოგონა, სიმპათიური, ლამაზი. მსურველმა დამიმესიჯოს.

10. ვარ 32/173/70, სერიოზული, ყურადღებიანი, დასაქმებული. გავიცნობდი 22-28 წლამდე გოგოს, სასურველია, თბილისელს.

შ
ა
ე
კ
ბ
ი



- ვებმეიანები გელა მუმლაძეს, ჭიათურიდან. მსახურობს სენაკში. თუ ვინმემ რამე იცით, გთხოვთ, გამაგებინოთ, როგორ არის. ლალი, გორიდან. გმადლობთ.
- ვეძებ მალბაზ ბრეგვაძეს. მსახურობდა სენაკში. თუ ცოცხალი ხარ, დამიკავშირდი.
- ვეძებ ქურთაძე დემურის, ვასილის ძეს. მისი ასაკია 60-70 წელი. თუ იცნობთ, გთხოვთ, გამომეხმაროთ.

შ
ა
ე
კ
ბ
ი



- კესო ვარ, რუსთავიდან. ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. ყველა დალუპულის ოჯახს ვუსამძიმრებ.
- გათხოვილი ქალი ვარ, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ თურმე ყოფილი შეყვარებული უფრო მაგრად მიყვარს. რა ვქნა, ვიცი. ჯი.
- ლიმონა რატომ არის ასეთი გაღიზიანებული? თუ ვინმეზე ნაწყენია, პირდაპირ თქვას, ზოგადად რატომ ლაპარაკობს?



თუ ვინმე ვიყავას, თავისუფლებას მიანიჭე — თუ ამ დაშინებულს, იპაჟე და მოყალი!



დამაინც ეგ დამიბეჭდე? მოკითხვა ფელამუშას. უკარება.

• ვაიმე, ეს რა ნავიკითხე! ვინ არის ეგ ათენი23? რას წერს ჩემს მარიზე? არა, გრუზინკა არ მალელებს, შენზე გავბრაზდი, მაგრამ მატრაკვეცა არა ვარ. თუ გინდა, გაეცი პასუხი, თუ არა და, რაში გჭირდება ჩემი დაცვა, ჩემზე უარესი მწარე ხარ, თუ დაგჭირდა. გამოცდილი მაქვს... გავბრაზდი, მაგრამ რას ვიზამთ? ევროპაში ვართ, გენაცვალე!

• მის რეალს ისე უყვარხართ, რომ არ გჭირდებათ მტკიცება, ვიცი, თუ ერთად ვიქნებით, ყველაფერი რიგზე იქნება, იცით, რა არის მთავარი? რომ ავამაღლოთ სიმართლე, არ ვაბატონოთ არავინ, ამ სისხლით მორწყულ მიწაზე! ნავიდნენ თავის პუტინთან, ეს იდიოტი რუსები, მედვედევს შუბლზე ააკრან, მიშას ნახმარი ტრუსები. მის რეალი.

• სისხლია ირგვლივ... ტკივილი, რწმენა ირევა ხალხში... უსამართლობა ზენიტშია ასული, ცამდე და მოლოდინის აღსრულებას შეიგრძნობ ხმაში, ერთი გული ძგერს საქართველოს ბარიდან მთამდე, იხოცებიან, საქართველოსთვის იხოცებიან და

საქართველოს მთელ სხეულზე ემჩნევა კვალი, — კვლავაც მოგვკვდებით, ესააო, დღეს ჩვენი ვალი. და თუ განყდება ქართველი სულ მთლად, ვერანა მიწა დარჩებათ სვავეს, დაემსგავსება ცხოვრება ბოდვას, დაემსგავსება ცხოვრება ლამეს... მაგრამ არასდროს ეს არ მოხდება, არ დაეცემა ქართველი სულით, ამ ტკივილს კი ჩვენ რა დაგვაინწყებს, ან და მარადის ვატარებთ გულით. ახლა ნამია ერთად დადგომის, ყველამ ერთმანეთს ჩავჭიდოთ ხელი, მხოლოდ სიყვარულს მივცეთ უფლება და დამარცხდება სასტიკი გველი! მის რეალი.

• პრივეტები, როგორ ხართ? ხომ ხართ კარგად? მოკითხვა ყველას. ბოტოტა.

• ამირან (გიო) მალაძეს: ნათელში იყოს შენი სული, მეგობარო. მის ოჯახს კი ვუსამძიმრებ. ძალიან გული დამწყდა, კარგი ადამიანი იყო. ბოტოტა.


• ეს რა შარი გადამკიდე, ჯაფარიძე მარიო, რომ დამადე „ჯეოსელის“ ამოდენა ვალიო, ვერ ვეშვები ვერც მესიჯებს, აგერ, ფიქრიც დამება, კიკოდან ლიმონჩიკამდე, დიდი გზები გამება. როცა დიდხანს ვფიქრობ მათზე, არ მასვენებს მუხები, ნეტავ

ერთ დღეს განყვეტილან, ეს დამპალი რუსები! ჩამიტარეს მაგ მკვლელებმა, სიძულვილის კურსები, საქართველოს დაესივნენ, როგორც ლეშა — ბუზები, მაგრამ თქვენი სიყვარული, თქვენი რწმენა მამხნელებს, რუსეთი ვერ დააჩოქებს ერთ მუშტად მდგომ ქართველებს! მის რეალი.

• მარი, როგორ ხარ? მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ ხშირად არ გწერთ. მეც შენსავით მარი მქვია. მგზავნელებო, „გზა“, „გზა“ და „გზა“! გაკოცეთ. მარიკუნა.

• ვერ ვპოულობ განსხვავებას, ჰიტლერსა და პუტინს შორის, ერთ ქვაბშია მოსახარში, ფაშისტიც და რუსი ლორიც. თუმცა, თქვენაც ხომ კაცნი ხართ, ღვთის გაჩენილი შვილები, სცადეთ, კაცურად იცხოვროთ, არ იყოთ ვირიშვილები. ვარდსა და ნეხვსა ვინათგან, მზე სწორად მოეფინების, თქვენც გაქვთ უფლება სიცოცხლის, მტრად ნულარ მოგვეკიდებით. ეს ჩემი „ქება-დიდება“ ეძღვნება რუსსა მელასა, „პივით“ დაგლოცე ლიმონამ, რა იყო, პუტინ, გევასა? ლიმონა.

• მგზავნელებს გაუმარჯოს! გამაგრდით, ჩვენთან არს ღმერთი. მოვიკითხავ



იპოვეთ განსხვავება...

პარიზსა და ნიუ-იორკს შორის...



პარიზი



ნიუ-იორკი

>>> 29

ათენი23-ს, გუ-ათენს, ნონ სტოპს, მის რეალს, კახელო 616-ს, ნიკოლს, ashSley pcd-ს. გაკოცეთ. 13.07.

• ღმერთმა შეგარჩინოს ჩემი ცრემლები და სულის უსაშველო გლოვა... განძის მაძიებლის გაცნობა მსურს. scorpion girl.

• ათენი-23-ს: უკომენტაროდ! სონი, დიდი მადლობა მეგობარო, რომ ხედავ კარგსა და ცუდს. კამელიამ გადამარწმუნა და ვრჩები. crazy girl, მეც ჩაგოცნეო. გრუზინკა.

• ათენი23, საპასუხოდ რამეს გეტყოდი, მაგრამ მესმის, რომ ახლა ამის დრო არ არის და შენთვის არ მცალია, ძვირფასო. ეგოისტკა.

• უპუუუ! უკვე 1 წელია, რაც „გზაელი“ ვაააარ! აუჰ, რას ასწორეებს! მოკითხვა nicole-ს, ბოტოტას, აბეზარას, მისს 13.07-ს, მის რეალს და ა.შ. ashley pcd.

• არაფერი მაქვს მოსაწერი, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ძალიან მიყვარხართ ქართველებო და რომ მთლიანად საქართველოზე ვაბოდე. საქართველოს გაუმარჯოს! გაკოცეთ ბელი-ბელი. ცირა.

• ომია! ტანკები გუგუნით მიდი-მოდიან, უწვერული ბიჭები სახლიდან გადიან, უკან კი ვეღარ ბრუნდებიან. ვაიმე, რა გვეშველება ნეტავ, ღმერთო, გადმოგვაფარე შენი კალთა. სიკვდილა.

• ეჰ, მართლაც და რა რთულია ცხოვრება! ღმერთო, რამდენი ხალხი დაიხოცა. გაანათლოს ღმერთმა მათი სულები, მშვიდობისა და ჯანმრთელობის ფასი არაფერი ყოფილა. სიკვდილა.

• თავს დიდი უბედურება დაგვატყდა, ამ პატარა ქვეყნის შვილებს. ყველამ ხელი ხელს უნდა ჩავკიდოთ,

ერთად დავდგეთ, ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად. ღმერთო, გვიშველე. ცირა.


• პირველად ვინატრე, ბიჭი ვყოფილიყავი. მეც ხომ ვიბრძოლებდი ჩვენს ბიჭებთან ერთად, მაგრამ... ახლა საკუთარი უსუსურობა მტანჯავს... ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ!!! ეგოისტკა.

• მაესტროს ვეთანხმები, ტკივილი არასოდეს ყუჩდება! ამ მკვლელებმა რაც ჩაიდინეს, თაობების სისხლითაც ვერ გამოიხსიდიან. გამძლეობას გისურვებთ, ჩვენი დროც მოვა! ეგოისტკა.

• ათენი-23 და უკარება, რა დაგემართათ? ასე რატომ ლაპარაკობთ? ქეთათო, შენ თუ ხუმრობა არ გესმის, რა უნდა გელაპარაკო? შენი გასარჩევი არაა, სად ვიჯდები. სესი.

• უკარება, კარგად მომისმინე, გოგო! იცოდე, მარის ცუდად არ შეეხო, თორემ!!! ვისაც მარისთან პრობლემები გაქვთ, ჩემთან მოამესიჯეთ და განახვებთ! ashhley pcd.

• ჭრიჭინ, შენნაირი ვაჟკაცები ცოტაა, ქვეყნად და მაინც შენ ერთადერთი ეგზემპლარი ხარ. თურმე, როგორ გვაკლდი და მოგვნატრებიხარ?! გაკოცე გულში. ტირიფი73.



ჩვენს ჩინოზნიუებს მოსაჯარი
აღასაოქროს დასმისი და ვიხივია,
გადიხადამი გადსახადები!

• ბოხო, ძმაო, იმედა, კარგად ხარ. ეს ყველაფერი რომ დალაგდება, ერთმანეთი მაშინ გავიცნოთ. მანამდე კი ვილოცებ, რომ კარგად გქონდეს ყველაფერი. გრუზინკა.

• გაა, ძალიან გთხოვ, გამაგებინე, სად ხარ, როგორ ხარ, თქვენებს ვუკავშირდები და არაფერი იციან. ვდარდობ გას, აქ მაინც მომწერე, ორი სიტყვით, რომ კარგად ხარ. ნატო.

• 7 აგვისტოს შემდეგ ჩემს გულს არ გაუხარია და ჩემს ბაგეს არ გაუღიმა ან რა გვაქვს გასახარი და გასაციანი?! ასიათასობით ლტოლვილი და ათასობით დაღუპული გვყავს.

• მარი, დაიკო, გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდე. გაფიცებ ყველა ვაჟკაცის ხსოვნას. ღმერთი იყოს ძლიერი, ერთიანი საქართველოს მფარველი. ამინ! ქუთასი. ლომუა.

• მთელი ამ ხნის მანძილზე სავადმყოფოში ვწევარ და ჩემს თავს ვეკითხები — ნუთუ ეს სიზმარია? მაგრამ კვლავ ვუბრუნდები შემზარავ რეალობას და თვალს ცრემლი არ სცილდება.

• მკურნალ ექიმს ვემუდარებოდი, გავწერე. მეც მინდოდა იმ ბიჭებთან ერთად, ჩემი სამშობლოს სიყვარულში

მოვმკვდარიყავი. ჩემი ქალაქი ხომ შავმა ფერმა მოიცვა. გადამწვარი სოფლები, ქალაქები და განადგურებული საქართველო. ეს ყველაფერი ერთი დიდი, დაუსრულებელი კომპარი მგონია და მინდა, გავიღვიძო, მაგრამ ყველაფერი ისევ ისეა. მათთან ერთად მეც მოვკვდი. თითოეული ადამიანი, ვინც ჩემს სამშობლოს თავი შესწირა, ჩემი სისხლი და ხორცია. ცათა სასუფეველი გაგიბრწყინოთ, ბიჭებო, ღმერთმა.

• მოგესალმებით. როგორ ხართ, ჩემო კარგებო? გრუზინკა და ლუნა, უსაყვარლესები ხართ. კიდევ ვინ გამეცნობა? განძის მაძიებელი, გილოცავ იუბილეს! გატოცეთ! crazy girl.

• პრივეტ, როგორ ხართ? ორთვიანი დასვენების შემდეგ დავბრუნდი. ძაან მომენატრეთ ყველანი. ნიკს ვიცვლი და ამიერიდან ზესტაფონის ლამაზმანი ვიქნები.

დამ ჩემი მეგზურია, მონატრების სხივები გზას მინათებს, ყოველ ღამით შენს სურათებს ვეფერები, აქ არ ხარ და სიზმრად მაინც გინატრებ. მ.შ.მ. მიცანი, გიუჟნი?

• ეშხიანი თვალები და გამყინავი მზერა, გაბუტული ტუჩები და წარმოთქმული ბგერა, ეშმაკური ღიმილი და ეშმაკური ქცევა, ებ თვალები და ღიმილი მაგრად მენატრება. ლილე.

განძის მაძიებელი




• განძის მაძიებელს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში. ღმერთი გფარავდეს, შენს დედიკოსთან ერთად. ქალბატონო თათია, უსაყვარლესი ადამიანი ბრძანდებით. მადლობა, ჩემდამი სიმპათიისთვის. უკარება.

• პატარა გიორგი როსტიაშვილს 24 აგვისტოს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერ მომავალს, მშობლებთან ერთად. მი-

სიყვარული



• სიყვარული მუ-



ქალსა და მამაკაცს შორის...



ყვარხარ და მენატრები. შენი ლია ბებო.

- ათენში ირმა ავანაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. მზია.

- ჩემს უსაზღვროდ მონატრებულ შვილს, დათო გირდას ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ, ღმერთმა აყვავებულ, გაერთიანებულ და მშვიდობიან საქართველოში გაცხოვროს. მზია.

- თიანეთში მარინა მეშველაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. მზია.

- მარიამ ჯიმშიტაშვილს ვულოცავ მარიამობას. როდესაც ქრისტე გააკრეს ჯვარზე, ის ლოცულობდა მაშინაც ხალხზე, შენ დაეფარე მის წმინდა ლოცვას, ეტარებინე ბედნიერ გზაზე. მზია.

- თიანეთელ ნუკრი პადიურაშვილს ვულოცავ იუბილეს. ნათლია, ყოველივე საუკეთესოს გისურვებ. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ღმერთი იყოს შენი მფარველი. თამუნა ჯაბანიშვილი.

- ჩემო სიხარულო, ნიკა დუგლაძე, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას და მალე გაერთიანებულ, მშვიდობიან საქართველოში გეცხოვროს. შენთან ერთად, მინდა, ჩემს მონატრებულ სამშობლოს ვუსურვო გაერთიანება და მშვიდობა, მუდამ. გკოცნი და გეფერები, ჩემო მონატრებულ ვაჟკაცო. თინიკო ბებო.

- ზურიკო ლაფერიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 24 აგვისტოს ათენიდან, მშობლები და ახლობლები. გვინდა გისურვოთ ჯანმრთელობა და მალე თავისუფლება.

- ათენში დალი სიდამონიძეს, 23 აგვისტოს ვულოცავ დაბადების დღეს. ათონის წმინდა სალოცავი გფარავ-

დეს შენ და სრულიად საქართველოს. შენი კეთილმსურველი, ლია.

- ირმა ბრეგაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, სიხარულო. ასევე კახას (განძის მაძიებელს) და ყველას, ვინც აგვისტოშია დაბადებული. გაიხარეთ! ბოტოტა.

- ჩემს ულამაზეს და უსაყვარლეს დეიდაშვილს, ნათია ფაშურიშვილს მინდა მივულოცო გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ღმერთი გფარავდეს, ჩემო დაიკო. მიყვარხარ. თამი.

- ჩემს მეუღლეს, გიორგი როსტიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ გამოჯანმრთელებას, სიყვარულს, სიხარულსა და ბედნიერებას, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. ლია.

- 1-ელ სექტემბერს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ მამიკოს, მალხაზ ლაგაზაურს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ღმერთი იყოს შენი მფარველი. შენი მონატრებული შვილი, ნანა.

- თამთა ალავერდაშვილს ვულოცავ დაბადების დღესა და მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს. მიყვარხარ. ლია ბიცოლა.

- განძის მაძიებელო გილოცავ დაბადების დღეს, 25 აგვისტოს. გენაცვალეთ, კარგები ხართ. scorpion girl.

- ყველას გილოცავთ მარიამობას. წმინდა ღვთისმშობლის მადლი შეგენიოთ და მისი მადლიანი კალთა გადაეფაროს, სრულიად საქართველოს. ashley pcd.

- დუჩე, გილოცავ დაბადების დღეს, დიდი და ძიასავით ჭკვიანი ბიჭი გაიზარდე. ბევრი ჯიპი, პულტიანი მანქანი და ფოჩიანი კანფეტი :))

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. უურუნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



მზის თავისმოყოფაზე ყი არა, საყოთარმონ მონებზე მოცნებობს.

მარი ჯაფარიძე

ერთი ჩემი ძველი ნაცნობი სამხედრო პირი გახლავთ. პოდა, ამ გაგანია ომის დროს დავურეკე და მოვიკითხე ვიფიქრე, შუაგულ ფრონტზე იქნებოდა და კონფლიქტის ზონის ამბებს პირდაპირ პირველი პირისგან მოვისმენდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე 2 თვის წინ ავარიაში მოყოლილა და დამტყვევულა. ახლა ყველა ქრილობა მოშუშებული აქვს და ფეხის მორჩინას ელის. სანოლში ბორგავს (ფეხზე ჯერ ვერ დგება) და ცოლს ნუნუნით გულს უწყალებს.

ეს ამბავი შევიტყვე თუ არა, ავადმყოფის სანახავად გავეშურე.

— შემოდი, მარი, იქნებ შენთან საუბარს გული გადააყოლოს და ცოტა ხნით მაინც დამშვიდდეს, — მარიკას ჩემი დანახვა გაუხარდა.

— ვინ არის, ქალო, თუ ისეც ლამაზაა (მეზობელი, ასაკოვანი ქალბატონი, რომელიც თურმე ყოველ 5 წუთში შედის და ომის შესახებ იმ საშინელებებს ჰყვება, რასაც ტელევიზორში არ გადმოსცემენ), არ შემოუშვა, თორემ ყავარჯენს ვესწრო, — ოთახიდან ბუჟანის ხმა გავიგონე.

— რა იყო, უკვე ყავარჯენით ისწრო? რა დრო დაგიდგა, ბუჟან, — გაფულიბე ძველ მეგობარს და ოთახში შევაბიჯე.

— ააა, შენ ხარ? შემოდი, შემოდი, ტელევიზორის შემყურემ, ყავარჯენით კი არა, ლამის თაბაშირიანი ფეხით სროლაც დავინყო. რა გვიქნეს კაცო, ამ დედადაფეთქებულებმა, ამ რუსების დედა ვატირე, რა დროს მაქვს ფეხი მოტყეხილი?!

ომის თემა მიმოვიხილეთ, საგარეო და საშინაო პოლიტიკა გავარჩიეთ, საერთო ნაცნობები მოვიკითხეთ და შიგადაშიგ მარიკას ნახელავი ნამცხვარიც შევაქეთ.

— ბოლოს რომელ ნაწილში მასხურობდი? — როცა ვკითხე, სულ არ მიფიქრია, რომ ეს კითხვა „სიტუაციის“ დანერის საწინდარი აღმოჩნდებოდა.

— ჯანდაბა, მაგათ, რომელ ნაწილში ვიყავი და... (დაასახელა) თანაც, ქალებს შემატოვებს და მათი მეთაური ვიყავი.

— ოოო, საინტერესო იქნება ქალების მეთაურობა, არა?

— ძალიან, — დამცინავად თქვა ბუჟანმა, რალაც გაახსენდა და გულიანად გადაიხარხარა.


— რა გაცინებს, კაცო, ხომ არ შეიშალე? — შეშინდა მარიკა.

— მაგათ ხელში კიდევ კარგად ვარ, ისეთ რალაცებს მიჩალიჩებდნენ ხოლმე, ლამის ჭკუიდან გადამიყვანეს კაცი. ერთხელ (მათი ჯარში ყოფნის პირველი დღე იყო), დილით ყაზარმაში შევედი და დავიძახე:

— გათყენდა! ადექი!

— კარგი, რა, ბატონო ბუჟან, სიხარულს ასე ხმამაღლა ნუ გამოხატავთ, თუ შეიძლება, — მითხრა ერთმა. დანარჩენებს გულიანად გაცინათ.

— აბა, გამოდით და მოენყვეთ!



ჯამისყვანი ქალები

— გვაცადეთ მონყობა და მოკვნიყობით, — მიპასუხა იმავე ხმამ.

— ნესიურად მოიქეცით და ჩემში მიძინებულ მხეცს ნუ გააღვიძებთ, — ვცადე, შემეშინებინა გოგონები და ნესრიგი და მეთაურის მორჩილება მესწავლებინა.

— ეი, ჩვენი გაღვიძება შეიძლება, მხეცის გაღვიძება — არა?

— ადექით, რომ გეუბნებით და მოენყვეთ, — ლამის ხვეწნაზე გადავედი.

გარეთ გავედი და გოგონებიც აუჩქარებელი ნაბიჯით მომყვინენ. ყველაზე გვიან სწორედ ის გოგონა გამოვიდა, რომელიც ყაზარმაში მეპასუხებოდა.

— რა გვარი ხარ?

— ყოლბაია, — მიპასუხა მკვირცხლად.

— გამოდი მწკრივის წინ და დანექი! — ვუბრძანე და მკაცრი სახე მივიღე.

— დავნექ? კი, მაგრამ ახლა არ გაგვალვიძებ?

— ყოლბაია, დასაძინებლად არ გვაბატყებ, დანექი!

— აქ?

— ჰო, მანდ!

— არა, მინაზე ვერ დავნექები, ნავალ, „აღიალას“ მოვიტან.

— დანექი-მეთქი, — მართლა გავბრძანდი.

— ქალის მინაზე დანოლა არ შეიძლება, გავცივდები, — ვიუტობდა ყოლბაია.

— ჯარმა კაცი და ქალი არ იცის, აქ ყველას მოვალეობა სამშობლოს დაცვაა, — ჭკუა დავარიგე.

— ვიცის, მაგრამ მაინც ვერ დავნექები.

— რიგში დადექი! — ძლივს გადავფარე გოგონების სიცილი, — ნაბიჯივით, იარ, ერთი, ერთი, ერთი, ორი, სამი! — ბატებივით ნაბაჯბაჯდნენ ყველანი. — ყოლბაია, ფეხი ასნიე!

— ვრა, ვრ ავნევ, — მიპასუხა ყოლბაიამ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ წინ მდგომის საჯდომი მიშლის.

— ყოლბაია, ლაპარაკი! უვარგისია ის ჯარისკაცი... — დავინყე

შეგონება.

— რომელიც გენერლის ცოლობაზე არ ოცნებობს! — დაასრულა ყოლბაიამ. გოგონებმა გულიანად გადაიხარხარეს.

— აბა, ჰომინი შემოვძახოთ, — მათი გაჩუმება ამ მეთოდით ვცადე. გოგონები არეულად აყაყანდნენ.

— მარჯვენა, მარჯვენა, ყოლბაია, სად გაქვს მარჯვენა ფეხი? — მაინც-დამაინც მას გადავეკიდე. ყოლბაია გაჩერდა და შემობრუნდა.

— მეთაურო, თქვენ ჩემს მკერდს ხედავთ?

— ვხედავ, მერე?

— ჰოდა, მე სწორედ ის მიშლის ხელს, რომ მარჯვენა ფეხი დავინახო.

— მაშინ, ჯარში რატომ მოდიოდი? — უკვე აღარ ვბრაზობდი.

— აბა, რა უნდა მექნა? კაცები ყველანი პოლიტიკაში ნავიდნენ, ზოგი დაიჭირეს, ზოგი უცხოეთში გაემგზავრა. მე კი ბავშვობიდან მასწავლიდნენ, რომ სამშობლო მკერდით უნდა დავიცვა. ჰოდა, გადავწყვიტე, რომ ასეთი მკერდის პატრონი თუ ჯარში არ ნავიდოდი, ეს ნამდვილი უსამართლობა იქნებოდა.

— ეჰ, არ ვიცის, რა ჭკუაზე იყო ის ადამიანი, ვინც ქალების ჯარში ნაყვანა კანონით დაუშვა. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ახლაც გავუქმებდი ამ კანონს.

— რატომ, ქალები არ გაინტერესებ?

— აქამდე მაინტერესებდა, მაგრამ ახლა, რაც თქვენთან დავიჭირე საქმე, უკვე — აღარ, — გულწრფელი ვიყავი, როცა ამ სიტყვებს ვამბობდი.

— კარგი, შევრიგდეთ, ვხუმრობ, გავა რამდენიმე კვირა და ნახავთ, როგორ მოგწონებთ ქალებთან ურთიერთობა, — დამამშვიდა ყოლბაიამ.

დანარჩენები ისე იღიმებოდნენ, რომ მივხვდი, მის ნათქვამს ეთანხმებოდნენ.

მართლაც, რამდენიმე კვირის შემდეგ, გოგონებს ძალზე დავუახლოვედი და მივხვდი, რომ მამაკაცებზე ნაკლები ჯარისკაცები არ არიან. თუმცა, ჩემი წვალეობა მოსწონდათ და ხან რას მოიფიქრებდნენ, რომ გავუბრაზებინე, ხან — რას.

10 ზღაპარული, ჩინური ბაზილი მანქანების უწყვეტი, თანხი განადიდებლობის

1. მიზანი — მელოტთა პარტიაში შესვლა! ცოტა ხნის წინ, საფრანგეთში მელოტთა კავშირის ყრილობა ჩატარდა, რომელსაც ევროპის ქვეყნების 50 წარმომადგენელი ესწრებოდა. ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ 1965 წელს ჩამოყალიბდა და დღესდღეობით 250 ადამიანს აერთიანებს. ახალი წევრის მიღების პროცედურა საზეიმო ფიცის დადებას ითვალისწინებს, რომლის დროსაც მამაკაცი ხელს ადებს ბილიარდის ბურთს და ამბობს, რომ არასოდეს შეიცვლის ვარცხნილობას. ისინი თავს სრულყოფილი ფორმის მქონე, ბალნით დაუფარავი თავის პატრონებად მიიჩნევენ.

2. შესაძლოა, მეორე მიზეზი ბრიტანელი მელოტების კავშირში შესვლა იყოს. ცოტა ხნის წინ, მათ პლაკატი გამოუშვეს: „ღმერთმა ცოტა სრულყოფილი თავი შექმნა. დანარჩენი თმით დაფარა!“


3. „ჩვენს კერძო თმას ვერასოდეს იპოვით!“ — ეს ლონდონის ერთ-ერთი რესტორნის დევიზია, რომლის მომსახურე პერსონალი მელოტი მამაკაცებისგან შედგება. სხვათა შორის, 1727 წელს, ინგლისის მეფემ, ჯორჯ II-მ ბარდის წვნიანში თმა აღმოაჩინა და ბრძანება გასცა, რომ 51-ივე მზარეულისთვის თავი გადაეხოტრათ და ამასთან, ჰიგიენის

ინსპექტორის თანამდებობა შემოიღო.

4. წონის კორექცია. 1953 წელს გერმანიის ქალაქ კარლსრუეში კლასიკურ ჭიდაობაში ჩემპიონატი შედგა. შეჯიბრების დაწყებამდე, ანონის დროს აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი თურქი მოჭიდავე იმაზე მეტს იწონიდა, ვიდრე მის წონით კატეგორიას შეესაბამებოდა. თურქმა ტანზე ბალანი გაიპარსა და შესაბამის წონაზე დადგა.

5. ბრძოლის მოგება. ქალაქ აკვილეს მცხოვრებნი რომის იმპერატორს, მაქსიმინს აუჯანყდნენ და გაიმარჯვეს კიდევ იმ ქალების მეშვეობით, რომლებმაც თავი გადაიპარსეს, რათა მშვილდ-ისრებისთვის ლარი გაეკეთებინათ. ამ მოვლენას მიეძღვნა მსოფლიოში ერთადერთი, მელოტი ვენერას ქანდაკება.

6. საიდუმლო გზავნილის წასაკითხავად. თუმცა, ამ დროს თავი თავად კი არ უნდა გადაიხოტრო, არამედ საკუთარ მონას უნდა გადახოტრო. ჰეროდოტეს მტკიცებით (ჩვ.წ.ალ-მდე V საუკუნე), ტირანი გესტია საიდუმლო გზავნილებს მონების თავებზე წერდა, ხოლო რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც თმა წამოიზრდებოდა და წარწერას



დაფარავდა, მას ადრესატთან უშვებდა. იქ მონას თავს ხელახლა გადაჰპარსავდნენ, რომ გზავნილი წაეკითხათ.

7. აღმასის მომპოვებელ საწარმოში მომუშავე ზანგებს თავს ჰპარსავდნენ, რომ თმაში აღმასის დამალვა ვერ მოეხერხებინათ.

8. ცნობილი ამერიკელი მსახიობი, იულ ბრინერი თავის სიმელოტეს ათასგვარი მალამოს საშუალებით ინარჩუნებდა და ამბობდა, რომ „სიმელოტე მამაკაცს მკაცრ და საშიშ იერს აძლევს, ეს კი უამრავ ქალს იზიდავს“.

9. დაეხმარე მეგობარს, ელვის თავიდან აცილებაში. ძველი ინგლისური თქმულების თანახმად, თუ გზაში ცუდმა ამინდმა მოგისწრო, 40 მელოტი მამაკაცი უნდა დათვალო და ყველაფერი კარგად იქნება.

10. ებრძოლე სიმელოტეს თავის გადახოტრით! სიმელოტესთან ბრძოლის ეს მეთოდი ინგლისში გამოიგონეს. ლონდონში ამ ხერხს მელოტი მამაკაცების 80% მიმართავს. მათ უმეტესობას მიაჩნია, რომ ეს ძალზე ეროტიკულია.

თბილისის 161-ე საჯარო სკოლა

პირველი, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო, სკოლის ეზოში მდგარი, შელახული „ფორდ-ტრანზიტი“ იყო. მასში ჩაფენილი ლეიბების გამო ადვილი მისახვედრი გახლდათ, რომ მიკროავტობუსს ლამის გასათევად იყენებენ. მანქანის წინ დაახლოებით 40 წლამდე ასაკის ორი მამაკაცი წარდს თამაშობდა. ეს მანქანა ვისია-მეთქი? — ვიკითხე. ერთ-ერთმა მათგანმა თავი ასწია და მიპასუხა, — ჩემიო!.. შემდეგ თხრობა დაიწყო: — ამ „ფორდ-ტრანზიტით“ გორიდან 3 გზა გავაკეთე: ქალები და ბავშვები გამომყავდა, როცა გორს ბომბავდნენ... ახლა მანქანაში მე და ჩემს მეზობლებს გვყინავს.

— აქ რატომ გინათ? სკოლაში ადგილი არ არის?

— წარმოიდგინე და, აღარ არის...

— სხვა სკოლაში გადასვლა არ გიცდიათ?

— ჩემი ოჯახი აქ არის და სად წავიდე?! მირჩენია, მათთან ერთად ვიყო. ადრე ამით ტვირთი დამქონდა და დღეს ჩემს სახლად იქცა იმედს არ ვკარგავ და მჯერა, რომ ვინც ომის დროს თბილისში ჩამოვიყვანე, ისევე ამ მანქანით დავაბრუნებ გორში. გავაგრძელებთ ცხოვრებას, როგორც აქამდე...

ამის შემდეგ, 40 წლის ზაზა მსაბშიძემ წარდის თამაში გააგრძელა. მე კი სხვა დევნილებთან სასაუბროდ გავუშურე.

თამილა, 33 წლის:

— 8 აგვისტოს წამოყვით გორიდან. პირველად რომ დაიბომა ქალაქი, გათენებისთანავე დაეტოვეთ, რადგან ოჯახში პატარა ბავშვები გყავს. ამ სკოლაში 10 აგვისტოს მოვედით. მანამდე ნათესავებთან ვაფარებდით თავს. შემდეგ, ტელევიზიით მოვისმინეთ ინფორმაცია და აქ გადმოვბარდით.

— ყველაზე მეტად რა პრობლემები განუჭებთ?

— პირდაპირ გეტყვით, რომ გაუსაძლის მდგომარეობაში ვიმყოფებით: მერხებზე ვწევართ, არ გვაქვს საწოლები, არ არის საკმარისი ლეიბები... რაც არის, ისიც მოსახლეობამ მოგვიტანა. დაგვირგვინებს საბნები და გადასაფარებლები, მაგრამ ცოტა. მე პირადად ცხრასულიანი ოჯახი მაქვს და მერხებზე გაშლილ სამ ლეიბზე მორიგეობით ვწევართ.

— საკვებით როგორ გამარაგებენ? დღეში რამდენჯერ ჭამთ?

— საჭმელი მეტ-ნაკლებად, გვაქვს. გვინაწილდება ოჯახის წევრების რაოდენობის მიხედვით, ძირითადი მენიუ — ძხვი და პურია. მწერალთა კავშირი დაგვეხმარა ძალიან კარგად, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. მოგვიტანეს შაქარი, წინიბურა და ა.შ. ზოგჯერ დღეში სამჯერ ვიკვებებით...

— რას გულისხმობთ?

— ხშირად საჭმელი ყველას არ გვგვდება... ცუდად არ გამოგოთ, მაგრამ 10 აგვისტოდან მოყოლებული აქ ვართ და ჩვენი ძირითადი საკვები — შემწვარი ძხვი და პურია. იშვიათად კუთდება „სუშები“ და ისიც, როგორც გითხარით, ყველას არ გვგვდება.

— ხელისუფლების წარმომადგენ-

ლები თუ მოდიან?

— არავინ მოსულა ყოველ შემთხვევაში, მე არავინ მინახავს. ერთადერთი, ვინც ჩვენთან მოვიდა, ჯონდი ბალათური, რომელმაც ავტობუსი მოიყვანა და აქ მცხოვრები ადამიანების გარკვეული ნაწილი აბანოში წაიყვანა. ჩემი ოჯახი ნათესავებთან მივედივართ და იქ ვზანაობთ. მოსახლეობის დიდად მადლობელი ვართ, ვისაც რა შეუძლია, მაქსიმალურად გვჭმარებიან. ხშირად მოდიან და ბავშვებისთვის ნაყინი, ორცხობილა და სათამაშოები მოაქვთ. მინდა აღვნიშნო, რომ ექმი ყოველდღე ჩვენთან არის და საჭირო მედიკამენტებს გვირიგებს.

საუბარში ჩვილებსეიანი ქალბატონი ჩერთო:

— ჩემი შვილი 11 თვისაა და რაც მას კვება და ჰიგიენური ნივთები სჭირდება, ყოველდღე მოსახლეობას მოაქვს. გუშინ ის ბავშვები იყვნენ მოსული, რომლებსაც ეს სკოლა ჰქონიათ დამთავრებული. მათ პამპერსები და ჰიგიენური ნივთები მოგვიტანეს. მოსახლეობისგან უფრო დიდ ყურადღებას ვგრძნობთ და ამისთვის მადლიერები ვართ. როგორც ვიცით, ხელისუფლებამ საბნები და გადასაფარებლები გამოგვიგზავნა. ამჟამად სკოლაში 26 საწოლია, ისიც მოსახლეობამ მოიტანა...

— რამდენად დაცულად გრძნობთ თავს?

— ჩვენმა ერთ-ერთმა ახლობელმა სკოლის შენობაში მობილური ტელეფონი დაკარგა. შენობაში ბევრი უცხო ადამიანი შემოდის, ძნელია, ყველა აკონტროლო. გუშინ რეგისტრაცია გავიარეთ და უამრავი აქაური აღმოჩნდა, რომელიც ჩვენთან ერთად, ადენი ხნის განმავლობაში იკვებებოდა, ინანილებდა ხალხის შემოწირულ ტანსაცმელსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს...

თბილისის 29-ე საჯარო სკოლა

ნიწოშვილის ქუჩაზე მდებარე ამ სკოლაში რადიკალურად განსჯავეული სიტუაცია დამზავდა. ეზოში თითქმის არავინ იყო. ყველანი სკოლის პოლში, პატარა შავ-თეთრ ტელევიზორთან შეკრებილიყვნენ და საინფორმაციო გამოშვებას ადევნებდნენ თვალყურს. კორიდორში მხოლოდ ერთი ქალბატონი იდგა და პირსახოცი თმას იშორავდა. როცა მას მივმართე, მომიბოდიშა, — ასეთ ფორმა-

ში რომ დაგხედო... — და განმიმარტა:

— ამწუთას მოვედი. სკოლის წინ, აგურის სახლში ძალიან კარგი ქალბატონი ცხოვრობს — გულიყო ბურჯანაძე, რომელსაც ყოველდღე რამდენიმე ადამიანი მიყვავართ დასაბანად. თან გვევება, მართლაც, თუკი რამის საშუალება ჰქონდა, ყველაფერი მოგვიტანა. ვისარგებლებ შემთხვევით და დიდ მადლობას გადაუხდბი.

— დანარჩენები როგორ ახერხებენ დაბანას?


— პატარა გაზეტურები დაგვირიგებს. წყალს ვაცხელებთ და საპირფარეოში ვიბანთ. ვწვალბობთ, მაგრამ სხვა რა გზა გვაქვს?... მალე დაგვბრუნდები ჩვენ-ჩვენს სახლებში, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცი, ჩემი სახლი დამზავდება თუ არა, მაგრამ სულ ნანგრევებშიც რომ მომიწიოს ცხოვრებამ, მაინც იქ ვიქნები... ერთი კვირაა, რაც აქ ვცხოვრობთ. დიდად მადლიერი ვართ სკოლის მთელი პედკოლექტივის. მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ყველანაირად მხარში გვიდგანან და გვეხმარებიან, საკვები და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთი მოაქვთ. ცდილობენ, ყოფა შეგვიმსუბუქონ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში რემონტი მიმდინარეობს, არანაირი პრობლემა არ შეგვექმნია და მაინც შეგვივარეს. ამჟამად აქ 80 ოჯახი ვცხოვრობთ.

— საკვების პრობლემა მოგვარებულია? ვინ გამარაგებთ?

— კვების პრობლემას სკოლის დირექტორი აგვარებს. ალბათ ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკონტაქტება, ზუსტად ვერ გეტყვით. კვებას ნამდვილად არ ეწევივით, ბევრი გვაქვს კიტრი, პომიდორი, წვნიანი საჭმელიც ხშირად. ბევრი ძხვი და პური შემოდის. დღეში სამჯერ ვიკვებებით. ჰუმანიტარული დახმარება, წვნიანი და ამერიკიდან ჩამოსული ნახევარფაბრიკატის სხვადასხვა სახეობა მოგვიტანეს, რომელიც ვერ არ გამოგვიყენებია.

— როგორ ხდება შემოტანილი საკვების განაწილება?

— ისე ნაწილდება საჭმელი, რომ უკმაყოფილო ნამდვილად არავინ რჩება. საჭმელს, ამ სკოლაში პირველი შემოსახლებული, გორელი მოხუცი ქალბატონი აწანილებს, რომელიც ძალიან კარგად ართმევს ამ საქმეს თავს. ყველაზე პატარა ამ „სახლში“ 4 თვის ბავშვია, რომელზეც მოსახლეობა ზრუნავს. დღეს იმდენი საჭმელი მოუტანეს, უკან გავატანეთ, რომ არ გავგუფუჭებოდა.



ამ „ფორდ-ტრანზიტით“ გორიდან 3 გზა გავაკეთე: ქალები და ბავშვები გამომყავდა, როცა გორს ბომბავდნენ...

— მედიკამენტები თუ გყოფნით?

— ორი ექიმი აკონტროლებს ჩვენს ჯან-მრთელობას. ერთმანეთს ენაცვლებიან. როგორც ვიცი, ყველანაირი ნაშალი არ აქვთ, მაგრამ პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები არის. მეც ექთან ვარ და შეძლებისდაგვარად ვხმარებ.

თავიდან ქალბატონმა თავისი ვინაობის გამოხელა არ ისურვა, მაგრამ მერე რატომღაც გადაიფიქრა და კართან მისულს დაამანია: **ცინან ვარ უმასაშვილი, ქვეც დაწერეო!**

თბილისის 150-ე საჯარო სკოლა

შესასვლელში 20-მდე დევნილს მოეყარა თავი. საინფორმაციო გამოშვებას ისეთი ინტერესით უყურებდნენ, ჩემი შესვლა ვერც კი შეამჩნიეს. ეკრანზე რუსული ჯარის ნაწილების გასვლის კადრებს უჩვენებდნენ...

— გავიდნენ და იქნებ გვეშველოს რამე!..

— აქ ყოფნას, ჩემს დანახშირებულ კედლებში დაბრუნება მიჩვენებია.

— მე ისიც არ ვიცი, დანახშირებული კედლები დამხვდება თუ არა...

საუბარში რომ არ ჩავრეულიყავი, მათი დიალოგი ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა. გავეცანი და ჩემი მათთან მისვლის მიზეზი აუხსენი. ყველამ საკუთარი ოთახისკენ მიმობატიყა.

საწოლი ამ ადამიანებისთვის ფუფუნების საგნად ქცეულა უმეტესობას ერთმანეთზე მიდგომულ მერხებსა და სკამებზე ან იატაკზე სძინავს. ლეიბების მაგივრობას ენ. „გუბკა“ ასრულებს მოუხედავად გაჭირვებისა, იუმორის გრძობა მაინც შერჩენიათ. არაფერი გვანუხებს, მხოლოდ ის გვადარდებს, რომ პრესა დროულად არ მოაქვთო, — მუშებზე ერთ-ერთი ახალგაზრდა...

— რა არ გვიჭირს, შვილო?! მაგას არ დაუფერო. უკვე 3 საათი შესრულდა და ჯერ საქმელი არ გვიჭამია. აქამდე ძხვი და პური მაინც მოჰქონდათ, ახლა ეგვეც აღარ გვადირსეს, — შემომჩვილა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

— ასეთი შეფერხება დღეს პირველად მოხდა?

— გუშინაც ასე იყო. მთავრობაზე მეტად, ადგილობრივი მოსახლეობა გვეხმარება. ზოგს უკანასკნელი თეთრები გვექონდა გამოყოლილი და ის დავხარჯეთ, ან რა უნდა ვქნათ?!

— შესაბამის ორგანოებს არ უკავშირდებით?

— ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში არაერთხელ დავრეკეთ. გვიპირდებიან, ყველაფერი გვეწებათო, მაგრამ ჩვენამდე არაფერი აღწევს.

— რამდენიმე დღის წინ ამერიკული დახმარება მოგვიტანეს, — ჩავვერთო საუბარში მეორე ქალბატონი, — მაგრამ ისეთი გემო აქვს, პირს არავინ აკარებს.

— პირადი ჰიგიენის საკითხს როგორ აგვარებთ?

— ესეც დიდი პრობლემაა: ურთხელ ამ სკოლის შედაგოგმა 4 ქალი შინ ნაგვიყვანა, გვაბანავა, თითო ხელი ტანსაცმელი მოგვცა, მაგრამ ერთხელ დაბანა გვეყოფა?!

— პირველადი მოთხოვნების საგნები თუ გაქვთ?

— თითო ცალი საპონი, კბილის პასტა და ჯაგრისები დაგვირიგეს. პირსახოცები არ გვაქვს.

— აქ მოსულ ჰუმანიტარულ დახმარებას ვინ განაწილებთ?

— ქალბატონი მაცვალა. ისიც ჩვენსავით, დევნილია. მამასახლისად იმიტომ ავირჩიეთ, რომ ვწვდებით. აი, იმ ოთახში ზის, თუ გსურთ, გაესაუბრეთ.

— ქალბატონო მაცვალა, სკოლაში რამდენი დევნილი ცხოვრობს?

— 66 ოჯახი ცხოვრობს. დევნილთა რაოდენობა 270-ს აღწევს, აქედან 35 ბავშვია. ყველაზე პატარა 3 თვის არის. მიმე პირობებში გვიწევს ცხოვრება, მაგრამ რა ვქნათ?.. ძირითადი საკვები — ძხვი და პურია. ერთხელ კარტოფილი, თევზის კონსერვები, მინერალური წყალიც მოგვიტანეს. პურით სისტემატურად გვამარაგებენ. ჰიგიენასთან დაკავშირებითაც პრობლემები გვაქვს. წყლით სავსე ბოთლებს მზეზე დებენ, ათბობენ და ბავშვებს საპირფარეოში აბანავენ. რაც შეიძლება, მე განაწილებ, თითო-სართულზე თითო მამასახლისი მყავს და ისინი მეხმარებიან.

— მედიკამენტები გაქვთ?

— ბინტი, ბამბა, „კალი“ და ტყვიელგამ-აყუჩებელი საშუალებები გვაქვს.

ამ დროს დერეფანში ჩვილბავშვიანი ქალბატონი, **ნუნა მარიამიძე** გამოჩნდა.

— თქვენი პატარა რა წნის არის?

— 5 თვის.

— რით კვებთ?

— ძირითადად, მანონს ვაჭყვეთ. ჩვენ თვითონ ვყიდულობთ, მაგრამ მაცივარი რომ არ გვაქვს, მალე გვიფუჭდება.

მე-3 სართულზე ერთ-ერთი საკლასო ოთახის კარზე დავაკაკუნე.

— შემოდი, შვილო, — შემეპატიყა ქალბატონმა და საუბარი თავადვე დაიწყო:

— ნახე, შვილო, როგორ ვცხოვრობთ... ოთახს თვალი მოვაგლე.

— სხვებთან შედარებით, თქვენ უკეთესი პირობები გაქვთ: გასაშლელი საწოლი, ლეიბი, თევზები, ჭიქები...

— ეს ჩვენი ნათესაების დასახურებაა: რასაც აქ ხედავთ, ყველაფერი მათ მოგვიტანეს. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობაც გვეხმარება. გუშინ ვებერთელა ქვაბით „სუბი“ მოგვიტანეს და გავინაწილეთ. ხელისუფლებამ თითო კილოგრამი შაქარი, ბრინჯი და ვერმიშელი დაგვირიგა გვითხრეს — ეს 14 ადამიანზე უნდა განაწილოთო. აბა, როგორ?..

— ჭურჭელი თუ გაქვთ?

— არც ტყავა გვაქვს და არც ქვაბი. თითო სართულისთვის თითო მადულარა დაგვირიგეს და გვითხრეს, — ყველამ ისარგებლეთო. ძხვი, რომელიც 1 კვირის მანძილზე უმაცივროდ ინახება, როგორ უნდა შევჭამოთ?! 3-4 დღის წინ პაშტეტი უნდა გავკვებინა და „აფეთქდა“, სულ სახეში შეგვეხსა.

ამ დროს 5 წლის **პირობი** მომიახლოვდა ჩემი დიქტოფონი იმდენად მოწონდა, მზად იყო, ყველა კითხვისთვის ეპასუხა.

— გიორგი, გახსოვს, სახლიდან როგორ წამოხვედი?

— მახსოვს, ბომბები ცვიოდა. შენც იქ იყავი?

— არა.

— მე მოვრბოდი. შენ შენს სახლში იყავი?... ჩემი სახლი მეც მენატრება.

— კიდევ რა გენატრება?

— საწოლში ძილი.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან, ნათესაებთან მცხოვრები დევნილები შეკრებილიყვნენ და ცხარედ კამათობდნენ.

— რას ითხოვთ, ქალბატონო? — კვითხე ერთ-ერთ დევნილს.

— მეოთხე დღეა, აქ ვდგავარ. ყველანი ნათესაებთან ვცხოვრობთ. სახელმწიფო 1 პურიოაც კი არ დაგვხმარებია. ცოდვები არ ვართ? 1-ოთახიან ბინაში 20-მა ადამიანმა შეიძლება, იცხოვროს?

— თურნალოსტი ხართ? — მომიახლოვდა ახალგაზრდა გოგონა.

— დიან.

— მე ცხინვალიდან დევნილი ვარ. ჩემს სახელსა და გვარს იმიტომ არ გეუბნებით, რომ ჩემი მშობლები ახლაც იქ, ოსურ სოფელში ცხოვრობენ და მეშინია, მათ არაფერი დაუშვონ. დედა ოსია. მაინტერესებს, სად მიდის ამდენი ჰუმანიტარული დახმარება? მხოლოდ იმ 500 დევნილზე ანაწილებენ, რომლებიც კარვების ქალაქში ცხოვრობენ? რატომ ერთხელ არ მოვიდა ტელევიზია ამ სამინისტროსთან? იმიტომ, რომ არ უნდათ, მშვიერი ადამიანები აქვინო.

ამ დროს სამინისტროს შენობიდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, შეკრებილთ განუცხადა, — კითხვები არ დამისვით, რისი თქმაც მინდა, შეკითხვების გარეშეც გეტყვითო და განაგრძო:

— ყველა თქვენგანი კომპაქტურად უნდა დასახლდეს, რის შედეგადაც მიიღებს ამერიკიდან გამოგზავნილ დახმარებას.

დევნილების კითხვას — როდის ან სად მოხდებოდა მათი კომპაქტური დასახლება ან ვისთვის უნდა მიემართათ დახმარებისთვის? — ახალგაზრდა ჩინოსანმა არ უპასუხა. ბუნებრივია, მისი ვინაობითა და თანამდებობით დავინტერესდი, მაგრამ როგორც კი დიქტოფონი დაიწება და მასთან ჩემი მისვლის მიზანი შეიტყო, შენობაში შევიდა და რკინის კარი ისე მიიჯახუნა, ერთმა დევნილმა ჩაილაპარაკა რა იყო, შე კაცო, რამ გაგამარა? ასეთი ხმა ავეთქების დროს რუსების ბომბებსაც კი არ ჰქონიაო...

რუსთავის პროექსიული სასწავლებელი

როცა იქ მივედი, დევნილები სასადილოში იყვნენ ნასულები. მიუხედავად ამისა, შენობაში ბევრი ადამიანი დამხვდა. აღმოჩნდა, რომ უფასო საუბრითა და ვახშით ყველა არ სარგებლობს.

მურგან ხალუნი:

— ძალიან აზიზი ვარ, სასადილოში ვერაფერს შევქამ — იქ სიბინძურე და უგემური საქმელია. რომ მივიდე, ზუსტად ვიცი, აურზაურს ავტყვ. ამიტომ ვოხს, აქ დავრჩე ხოლმე... 10 აგვისტოდან დღემდე, საკუთარი ფინანსებით ვიკვებები. ცხინვალის რაიონში, ვანათში ვცხოვრობდი. ყველაფრით უზრუნველყოფილი იყავი: მალაზია, 2 მანქანა და თევზის „ბასეინე“



ბი“ მქონდა. ახლა აღარაფერი მაქვს. სად უნდა დაებრუნდე? საქართველოში ტონობით ჰუმანიტარული დახმარება ჩამოაქვთ და თუკი თბილისში მცხოვრებ ლტოლვილებს ამარაგებენ, ჩვენ რაღა დავაშავეთ?!

ლელა, 49 წლის:

— სანოლები გვაქვს, ექიმი ყურადღებას გვაქცევს, მაგრამ ჰუმანიტარული დახმარებიდან რაც გვეკუთვნის, ჩვენამდე არაფერი აღწევს!.. არ გვაქვს სარეცხი ფხვნილი და ელემენტარული, საჭირო ნივთები. სულ გვპირდებიან, — ხვალ იქნებაო. გავიდა ეს „ხვალ“! თამარაშენში ჩემი სახლი სულ განადგურდა. შინიდან ერთი ხელი ტანსაცმელით ვარ გამოქცეული. სახლიდან რაღაც „კაპიკები“ გამომყვა და იმით ტაშტი ვიყიდე. ამ შენობაში წყალი ერთგან მოდის, დაბანის სერიოზული პრობლემა გვაქვს. საკვებით რესტორნების მეპატრონეები და ბიზნესმენები გვიმასპინძლებიან. ძირითადად, რუსთავის მოსახლეობის იმედზე ვართ. ძალიან ვემაღლიერებთ ენ. საკუთ-ჯგუფის წევრებს. ისინი პერიოდულად მოდიან, ბავშვები გასართობად მიჰყავთ და მათ კარგადაც კვებავენ... მთავრობაზე იცით, რატომ ვბრაზობ? სხვაგან ლტოლვილებს ფეკილიც დაურიგეს, ზეთიც, ქვებებიც, დენის ჩაიდნებიც, ტელევიზორებიც...

სხვაგან — სად?

— ტელევიზორს ხომ უყურებ? გამოდიან დენილები და მთავრობას მადლობას უხდის. ჩვენ სამადლობელი არაფერი გვაქვს.

ბევრმა ლტოლვილმა საუბარზე უარი მითხრა. ბოლოს, შენობის ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში 7 წლის **მარის** გადავანყდი.

— ახლა მოვედი სასადილოდან. აჯაფსან-დალი არ მინდოდა, მხოლოდ „სუპი“ მივირთვი. საჭმელად ყოველდღე დავდივარ, მაგრამ გუშინ არ ნაქსელვარ — ლალი მანაჯლელმა (საკუთ-ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. — ავტ.) ბავშვები პარკში გაგვასყივნა.

— მარო, სად ბანაობ ხოლმე?

— ნონა მამიდასთან. ის ახალ რუსთავში ცხოვრობს.

ენო მამაბარამი, პროფესიული სასწავლებლის დირექტორის მოადგილე:

— აქ მცხოვრები ლტოლვილების პრობლემებს დირექტორს ვაცნობ, ის კი მერიის თანამშრომლებს საქმის კურსში აყენებს. თავიდან, ორი-სამი დღის განმავლობაში, ქაოსი იყო, ახლა მდგომარეობა გამოსწორდა. დღეში ორჯერ — 10 და 4 საათზე ავტობუსი მოდის და დენილები სასადილოში მიჰყავს. უმეტესობა არ მიდის, ე.ი. კვების პრობლემა არ აქვთ — თუ შიათ, ნავალი და მიირთმევენ.

— ამბობენ, სასადილოში სიბინძურე და უფემური საჭმელიაო...

— არ ვიცი, არ მინახავს. ყოველ შემთხვევაში, პრეტენზია პირადად ჩემთან არავის გამოუთქვამს. გუშინ ერთმა ქალმა მითხრა: მთავრობა ძალიან არ უნდა გადაგვეყვს, მთავარი, აფეთქებული ხიდები და გზები გააკეთონ, რომ შინ დაბრუნების საშუალება გვექონდესო...

ოვა, — იქნებ, ვინმეს ხმა მიანვიდინო, რომ ყურადღება მოგვაქციოსო.

— მხოლოდ სასადილოში ვიკვებებით. იქ კი ისეთი საჭმელია, ხალხს ჭამის მადა ევარგება და უკან მშიერი ბრუნდება. ერთი-ორჯერ ძებვით გაგვიმასპინძლდნენ, ახლა კი ნახევრად ტკბილ და ნახევრად მჟავე „მანიქასას“ გვაჭმევენ. პურის ნაკლებობას არ ვუჩივით. თბილისში ლტოლვილებს დიდძალ პროდუქტს რომ ურიგებენ, ჩვენ არ გვიანდა? მოსახლეობას უზხდით მადლობას. სხვა არავინ გვაქცევს ყურადღებას. ჩვენს მდგომარეობას ვითმენთ, მაგრამ როდემდე მოვიტომინოთ? „ლუქანკები“ დაიბრცია, დაიმტვრა. 100-კილოგრამიანი კაცი ვარ და ჩემი „ლუქანკაც“ მალე გატყდება. კარგად უნდა მოგვესახურონ.

— ყველაზე მეტად რა გჭირდება?

— საჭმე-ლი! რითიც სახლში ვიკვებებოდი, აქაც ის მინდა: ხორციანი წვნიანი, სოსისი, „კალბასი“. ამის საშუალება მთავრობას ძალიან კარგად აქვს — აეროპორტში, ლტოლვილების დასახმარებლად, დიდძალი ტვირთი ჩამოდის... ცხინვალის რაიონში ვცხოვრობდი და ალბათ, იქ ჯერ ვერ დაებრუნდები. სახლიდან ჩემი ნებით არ წამოვსულვარ: იძულებული ვაგხდით, რომ ასე მოვექცულიყავი. მთავრობამ ნება იბოძოს და მაჭამოს, მასვას, დამაბინავოს ისე, როგორც წესია!.. მოკლედ, ჩვენს მდგომარეობას ძალიან არ ვეძღურით, მაგრამ არც მთლად ვწყაოფილები ვართ!..

ნუნუ ჯაბაბაძე, 32 წლის:

— ლტოლვილი უკვე მეორედ ვარ: როცა სოხომიდან გამოვიქცეით, მაშინ ასაკით პატარა ვიყავი. კარგად არც მახსოვს, რა მოხდა... ხელისუფლებას ჩვენთვის არანაირი ყურადღება არ მოუქცევია. ნათესაობა დაგვეხმარა და გორის რაიონში თავი დავიმკვიდრეთ. შემდეგ, სახლიც შევიძინეთ, მაგრამ ახლა ბინა ისევ დაკვარვით — დღეს კვლავ დენილები ვართ... ვაშლიჯვარში, ერთ-ერთ სკოლაში ვცხოვრობ, სხვა ლტოლვილებთან ერთად. აქ დედასთან სტუმრად მოვედი. რუსთავეში მართლაც ცუდ მდგომარეობაში არიან დენილები. ამთხვე განსჯავებით, არც საკვები გვაკლია, არც — ტანსაცმელ-ფეხსაცმელი და არც — სისუფთავე. დღეში ორჯერ კრებას ვინვეთ და ფურცელზე ვწერთ, რაც გვესაჭიროება. ერთხელ წამოგვეცა — ფეხსაცმელებში ფეხები მოგვეწარმა-თქო და მაშინვე „შლოპანტები“ დაგვირიგეს. სილამაზის სალონშიც წაგვიყვანეს — ვისაც სურვილი გვექონდა, თმა შევიჭერით. შენობის თითოეულ სართულზე 2-2 სამსრობი დაგვიყენეს, სარეცხის მანქანები მოგვითქანეს... საწინააღმდეგარეობა არაფერი გვაქვს. ერთი ეგაა, რომ სახლში არ ვართ.

— ხელისუფლება გეხმარება?

— არა, არა, რა ხელისუფლება?! ვილაც ბიზნესმენი გვაპატრონობს. თავის ვინაობას არ გვიმხელს: როცა შინ დაბრუნდებით, მამის გეტყვით, ვინც ვართ.

კარგების ქალაქი

აქ მცხოვრებმა დენილებმა ერთსულოვნად მითხრეს: კარგად გვესმის, რომ ქალაქში ბევრი ლტოლვილია, ბუნებრივია, ყველას ყურადღება...

დღედა სჭირდება, ამიტომ რითიც გვეხმარებიან, იმითაც ვწყაოფილი ვართ; სასადილოში ნორმალურ საკვებს — „გრეჩისას“, სალათას, მაკარონს გვაჭმევენო. მათ მხოლოდ დაბანისა და დენის პრობლემა ჰქონდათ. აქედან მეორე — დენის პრობლემა იმ საღამოსვე მოიხსნა.

თამაზ ჯოჯაბაძე, რუსთავის გარე განათების მთავარი ინჟინერი:

— ჩვენ ლტოლვილების დახმარება დენის მიწოდებით შეგვიძლია და ასეც ვიქცევით. გამორჩეულად არავის ვეხმარებით. უბრალოდ, ყველაფრის ერთბაშად გაკეთება ძნელია. ნელ-ნელა ელექტროგაყვანილობას ყველგან მოვანერგებთ.

კარგების წინ, სანოლზე 14 წლის **მარი** იჯდა და ტელეფონს ანაკლებდა.

— მარო, გზა?

— არა. უკვე „გადაშვივდა“.

— არც შენ ისაუზმე?

— არა, რადგან ცუდი საჭმელი მოგვიტანეს.

— გასინჯე?

— ჩემ გვერდით, მაგიდასთან ერთ-ერთი ლტოლვილი იჯდა, რომელსაც 3 წლის ბავშვი ჰყავს და მაკარონი მისთვის უნდა ეჭმია. მაგრამ რესტორნის თანამშრომელმა უთხრა: ბავშვს არ აჭამო, საკვები ძველიაო. მისი სიტყვები გავიგონე და აღარც მე ვისაუზმე.

— ასეთი შემთხვევა სხვა დროსაც ყოფილა?

— არა... ალბათ გუშინ ბევრი მაკარონი მოხარშეს და დღესაც იმით გავვიმასპინძლდნენ... ზოგჯერ საზამთროსაც გვაჭმევენ... ახლა საჭმელი ჩვენ თვითონ უნდა მოვამზადოთ. ეს ძნელი საქმეა, რადგან კარგების ქალაქში მხოლოდ 4 გაზის ბალონი გვაქვს: 3 — მერიის თანამშრომლებმა მოგვიტანეს, 1 კი — მოსახლეობამ. იმედია, სახლში მალე დაებრუნდებით და საჭმელსაც მაშინ შეგვჭამ, როცა მომინდება...

გიორგი ჟოჯაბაძე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ქვემოქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი:

— აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით დენილებს რაც შეეხებათ, ყველაფერი მე მუშავია. მთელი რუსთავი და საერთოდ, მთელი საქართველო ზრუნავს ლტოლვილებზე. უპირველეს ყოვლისა, მათი უზრუნველყოფა საკვებით, სანოლებით და პირადი მოხმარების საგნებით ხდება. როგორც შეგვიძლია, ვეხმარებით. მაგალითად, ზოგს საპონი და სარეცხის ფხვნილი მივუტანეთ და უკვე გამოელიათ კიდევ. შექლებისდაგვარად, ყველას მოვამარაგებთ. ღმერთმა ქნას, თავიანთ სახლებში მშვიდობით დაბრუნდნენ, მაგრამ ვიდრე აქ იცხოვრებენ, მათზე ზრუნვას განვაგრძობთ...

ასეა თუ ისე, ყველა დენილს გაძლებას ვუსურვებთ. იმედია, თავ-თავიანთ სახლებს ძალიან მალე დაუბრუნდებიან და მშვიდობიანი ცხოვრების რიტმი მთელ ქვეყანაში სრულყოფილად აღდგება.


ირმა ხარშილაძე
თორნიკე ყაჯარიშვილი
თამუნა კვინიკაძე
პიო ყორღანაშვილი

№2 საბავშვო ბაღი

44 წლის **ვახტანგ განცხაიშვილი** მთელი რიგი მოთხოვნებით შეშვდა და მთხ-



მხიერის ნიშანი



დასაწყისი „გზა“ №24-34

სვეტა კვარაცხელია

ნანარჩობზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

ირაკლის დაჟინებული მოთხოვნით, თავოს, როგორც იქნა, ჩაეძინა... პირადი მცველი ესიზმრა, მისი ცხელი კოცნა... მამაკაცი ყოველთვის ისე ეხებოდა გოგონას სხეულს, თითქოს მისი დაკარგვის ეშინოდა...

დილით, გამოღვიძებული კი იმაზე ფიქრობდა, ცხადი იყო მისი ზმანება თუ მართლა სიზმარი. უცებ თვალი მოჰკრა კარის ზღურბლთან მდგარ მამაკაცს, რომელიც დაჟინებით მისჩერებოდა, როგორ ჩახუტებოდა თავო... მამაკაცის სხეულს... არა, ეს არ იყო მამაკაცის სხეული, ეს ბალიში იყო. ბალიში, თავოს ლოყის შეხებით გამთბარი... სულ ეს იყო, რაც მას წუხანდელი სიზმრისგან დარჩა. სიზმრისეული სიტბო, სიზმრისეული ალერსი — ცხადში ჩამოართვეს სიყვარულის უფლება. რატომ, რატომ? რატომ მოსთხოვა ირაკლიმ, დროებით დავემორდეთ ერთმანეთს და მხოლოდ საქმეზე ვიფიქროთ? რა დააშავა ცხოვრებაში

ისეთი, რომ მისი ბედნიერება მხოლოდ რამდენიმე დღე გაგრძელდა? მის ასაკში რა არის რამდენიმე დღე ბედნიერებისათვის? თუნდაც რამდენიმე კვირა? ზღვაში წვეთი! არც მეტი, არც ნაკლები! მცირედი მონყალება, რომელსაც გემო ვერც კი გაუსინჯა, ვეღარც მოასწრო... თუმცა იმ პირობებში, რომელშიც იგი ბოლო თვეების განმავლობაში იმყოფებოდა, ბედნიერების რამდენიმე დღეც კი რაღაცას ნიშნავდა...

ირაკლი უთქმელად გატრიალდა და წავიდა...

დღემ თითქოს მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა ირაკლი გამუდმებით გაურბოდა თავოსთან პირისპირ შეხვედრას, თითქმის მთელი დღე გარეთ, ეზოს შემოგარენში გაატარა, მხოლოდ სადილობისას შემოირბინა სამზარეულოში, ისიც, მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავომ უკვე ისაძილა და თავის ოთახში ავიდა...

ბინდი ჩამოწვა. ირაკლი მორიგ შემოვლას შეუდგა. გარე საქმეებს რომ მორჩა, სახლი შიგნიდან დაიარა, ყველა ოთახი, კარი და ფანჯარა შეამოწმა, ვიდრეთვალთანაც კარგა ხანს იყურებოდა. ამასობაში კიდეც დაღამდა. როცა ყველაფერს მორჩა, თავოს საძინებლის წინ შედგა. ყური მიუგდო. სინყნარე სუფევდა. კარგია, რომ გოგონა არ ტირის ძილში, როგორც წუხელ, ამის გამო მან მთელი

ღამე მოსვენება დაკარგა.

რა თქმა უნდა, თავო არ ტიროდა და მხოლოდ იმიტომ, რომ არ ეძინა. როცა მის კართან მამაკაცის ნაბიჯების ხმა კვლავ გაისმა, გოგონა მიხვდა, პირადი მცველი წასვლას რომ აპირებდა და დაუძახა.

— ირაკლი! შემოდი, რა...

ის შევიდა.

— სიმშვიდეა გარეთ?

— პო, — მოკლედ უპასუხა.

პირადი მცველი ზღურბლს არ გასცილებია.

გოგონას კი მისი ძლიერი ხელების შეხება სწყუროდა.

ის კარგად გრძნობდა თავს ამ ხელებში.

მას სჭირდებოდა ეს ხელები.

— შენი აზრით, ისინი დღეს არ მოვლენ?

— ნაკლებსავარაუდოა. რატომ არ გძინავს?

— არ მეძინება... დარჩი ცოტა ხანს ჩემთან, თუ შეგიძლია.

მამაკაცი მორჩილად მიუახლოვდა, საწოლზე ჩამოჯდა, როგორც ყოველთვის — კიდეში.

— ჩამეხუტე, მეტი არაფერი მინდა, გთხოვ, — ჩურჩულით წარმოთქვა თავომ.

ირაკლი გვერდით მიუწვა და ჩახუტა. ვერ შეძლო უარის თქმა. თავომ თავი მკერდზე დაადო. „კატასავითაა, სულ სითბოს და მოფერებას ითხოვს“, — ჩაეღიმა მორიელს.

კარგა ხანს იწვნენ ასე. არც ერთი ხმას არ იღებდა. მალე თავოს დაძაბული სუნთქვა თანაბარი, ღრმა სუნთქვით შეიცვალა. როგორც ჩანს, ჩაეძინა. ძილში შეირხა და მოხერხებულად მოკალათდა მამაკაცის მკლავებში, თავდაც მოხვია ხელი პირად მცველს და ამოიკენესა. არა, კი არ ამოიკენესა, კატასავით დაიკრუტუნა... ყოველ შემთხვევაში, ირაკლის ასე მოეჩვენა. „პატარა, ცოცხალი არსება, რომელსაც ჩემი დაცვა სჭირდება, მხოლოდ ეგ და სხვა არაფერი“, — გაივლო გულში მამაკაცმა და საკუთარ ხელებს უბრძანა, არ ეგრძნო, მის გვერდით ქალი რომ იწვა...

სასურველი ქალი...

მოულოდნელად თავო კვლავ შეირხა, ხელის ერთი მოძრაობით გადაინადა საბანი და მჭიდროდ ჩაეკრა პირად მცველს... მათ ახლა მხოლოდ ტანსაცმელი ამორებდა ერთმანეთს, რომლის მიღმაც აშკარად ეგრძნობოდა ორი სხეულის სიმხურვაღე.

გაჭირვებით შეძლო ვნების მოზღვავებული ტალღის უკუგდება, ცდილობდა, რაც შეიძლება, უხმაუროდ ესუნთქა. რამდენიმე წუთი კიდეც იწვა გაუნძრევლად იმავე პოზაში, მერე ფრთხილად წამოდგა და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა.

მისი გასვლა და თავოს გაღვიძება ერთი იყო. სასოწარკვეთილი კარს მიაჩერდა. წავიდა!.. წუთუ არ დაბრუნდება? მას ძალიან სჭირდებოდა ირაკლი, მისი სხეული, მისი სიახლოვე... არავითარი „რატომ“, არავითარი „რისთვის“, სჭირდებოდა და მორჩა... მაგრამ ვერ გაუბედა

ამის თქმა. მაინც ვერ დაითანხმებდა. თანაც... რას იფიქრებს? იტყვის, რა გამინყალა გულიო... ის ვერ გაიგებს თავის შინაგან მდგომარეობას, იმიტომ, რომ ვერ წარმოუდგენია, მისი ასაკის გოგონას თუ შეუძლია ასე თავგანწირვით შეყვარება, თანაც, მასზე ბევრად უფროსი მამაკაცი...

მაგრამ თუკი იგი ამაღამ მასთან არ დაბრუნდება, თავი დილამდე ვერ გაატანს, მოკვდება... გოგონას სჯერა მისი, მხოლოდ მისი. პირად მცველს ენდობა მხოლოდ. ეს უფრო უძლიერებს სიყვარულს.

მისი დაკუნთული სხეულის შეხება თავის სიკვდილის შიშს თრგუნავს.

მისი ცხელი სუნთქვა მასში სიკვდილის შიშს ანელებს.

მისი ძალა მასში სიკვდილის შიშს ამარცხებს.

წამოდგა და საძინებლიდან პერანგის ამარა გავიდა. რატომ და რისთვის — ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა. მთვარეულივით დაუყვა დერეფანს. მას უბრალოდ, ირაკლი უნდოდა, ეგ იყო და ეგ.

შიშველი ფეხებით ჩუმად წინ მიიწეოდა. სახლში ბნელოდა, პირადი მცველი ღამით ყოველთვის ყველგან აქრობდა შუქს. ასე უფრო უადვილდებოდა სახლის მეთვალყურეობა. ირაკლი მეორე სართულზე ვერ იპოვა. დაბლა ჩავიდა. ფეხის დადგმისას კიბის საფეხურმა რამდენჯერმე დაიჭრაჭუნა. თავი ელოდა, როდის გამოეხმაურებოდა მორიელი...

მაგრამ მამაკაცი არ გამოხმაურებია... რატომ? ვერ გაიგო? გამორიცხულია. ოდნავი ფაჩუნიც კი არ გამოეპარებოდა მის მახვილ სმენას.

ძირს ჩავიდა, პოლიც ცარიელი დახვდა. სამზარეულოსკენ გაეშურა, კარი შეღო და ადგილზე გაშეშდა. მამაკაცი ფანჯარასთან იდგა, ზურგს უკან დაწყობილი ხელებით... რაც შეეძლო, ჩუმად მიუახლოვდა, თუმცა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, როცა პირადი მცველი მოტრიალდებოდა.

ის არ მოტრიალდებულა. თავი მისი ზურგიდან ორი ნაბიჯის მოშორებით დადგა და გახედა.

პირველი ირაკლი ალაპარაკდა, მაგრამ არც შერხეულა და არც მობრუნებულა.

- არ გეძინება?
- გესმოდა ჩემი ნაბიჯები?
- რა თქმა უნდა.
- მერე რატომ არ მომიახლოვდი?

ანუ... რატომ არ დამიძახე, არ მკითხე... — დაბნეული გოგონა გაჩუმდა.

იგი მოტრიალდა, ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა, ფანჯრის რაფას მიეყრდნო და გასაოცრად ცივად იკითხა.

- რა საჭირო იყო?
- თავი წამოჭარხლდა. კიდეც კარგი,

სიბნელეში მისი სახე არ ჩანდა. რატომ ეთამაშება ეს კაცი ასე? ერთ წუთს უყვარს, მეორე წუთს ვერ იტანს. მართლა პატარა ხომ არ ჰგონია? თუ თოჯინაა, რომლითაც, როცა გაუსარდება, მამინთამაშებს?

— ეგებ რისთვის გამოხვედი? იქნებ ტუალეტში გინდოდა? მე შენი პირადი მცველი ვარ, ჯამუში კი არა! ეს შენი სახლია, პატარავ, და უფლება გაქვს, როცა გინდა და საითაც გინდა, იქითვენი გადაადგილდე.

ამ სიტყვებმა უფრო გაართულა სიტუაცია. ირაკლი მას თავდაჭერილი ელაპარაკებოდა, რითაც შეგნებულად ავლებდა იმ ზღვარს, რომელიც მასა და თავის შორის არსებობდა — როგორც დამკვეთსა და შემსრულებელს, როგორც დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის...

— დალევა ხომ არ გინდა? — მოგვიანებით კვლავ ალაპარაკდა ირაკლი, რადგან თავის რამდენიმე წუთის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს.

დალევა არა, პრინცესას მხოლოდ მოფ-



ერება უნდოდა, მისი ძლიერი მკლავების შეხება, მამაკაცის სიძლიერის კიდეც ერთხელ შეგრძნება.

— არა, არ მინდა. მე შენთან მოვედი. არ მეძინება, თანაც... მეშინია...

როგორც იქნა, მორიელმა ხელები ჩამოუშვა და თავის მაჯაში სწვდა.

— წამოდი, აჯობებს, დამამშვიდებელი აბები მიიღო. გვერდით დაგიჯდები, სანამ არ ჩაგვიძინება.

— არ მინდა აბები. შენ ხომ იცი, მე როგორი ძლიერი წერვები მაქვს, — თავი ადგილიდან არ დაძრულა, მას არ სურდა საძინებელში, მას მხოლოდ ის სურდა, რაც შეიძლება დიდხანს სჭეროდა პირად მცველს მისი მაჯა და ამიტომ ამბობდა ყველაფერს, რაც ენაზე ადგებოდა, — ჩემს ადგილზე ალბათ ბევრი ვერ გაუძლებდა ასეთ ყოფას, ასეთ რეჟიმს. საუკეთესო შემთხვევაში, კარგა ხნის შემსხდარი იქნებოდა ანტიდეპრესანტივზე.

მე კი ამის გამკეთებელი არა ვარ, მიუხედავად იმისა, რომ განებივრებული ბავშვი მეთქმის. თუმცა ეს ერთი შეხედვით ჩანს ასე. სინამდვილეში, დედის სიკვდილის შემდეგ არავინ მომფრებია, არავის

უზრუნია ჩემზე, არც ჩემს განცდებზე უდარდია ვინმეს და არც ჩემს სულიერ მდგომარეობაზე. მეც მივეჩვიე საკუთარი თავის, წერვების, ხასიათის, ემოციების დამოუკიდებლად მართვას, თავისი სიხარულით, დარდითა და დეპრესიებით. ვისწავლე, როგორ უნდა დამეძინა ყველაზე ცუდ მდგომარეობაშიც კი. ანტიდეპრესანტი არასდროს მიმიღია. ახლა კი... ძალიან მიჭირს, ვეღარ ვაკონტროლებ თავს, ვეღარ ვმართავ ვერც ემოციებს და ვერც დეპრესიას ვუმკლავდები, თუმცა კი ვცდილობ. ასე არ არის?

— მართალი ხარ, — სერიოზული სახით დაეთანხმა მამაკაცი, — მე გაოგნებული ვარ შენით. ასეთი პატარა და ასეთი ძლიერი... არ მეგონა, არ დაგიმალო. ბევრი ვერ გაუძლებდა ამას, მით უფრო, შენი ასაკის ბავშვი. ყოჩაღი ხარ.

თავის გაღიმილა. ირაკლის ნათქვამი „ყოჩაღი ხარ“ უდავოდ დიდ კომპლიმენტს ნიშნავდა. უკან მოიხედა, იქვე მდგარ სკამს ხელი დაავლო, თავისკენ მიიჩინა და სახით მამაკაცისკენ დაჯდა, რომელიც კვლავ ფანჯარასთან იდგა.

— მოდი, გინდა, ღვინო დავლიოთ?

— შენ ხომ იცი, პატარა საოცრებავ, რომ მე მორიგეობაზე ვარ და არ შემიძლია, — მსუბუქად შეახსენა მან.

— მხოლოდ რამდენიმე ყლუპი, ამით არაფერი დაშავდება. მე ბოლომდე დავლევ, შენ კი უბრალოდ, მოსვი და მორჩა. მარტო იმიტვის, რომ მომიჭახუნო, კარგი? დავლიოთ იმ ბედისწერის სადღეგრძელო, რომელიც მე მიცავს...

ბოლოს და ბოლოს, ირაკლი ფანჯარას მოსცილდა და იქვე, კედელზე დამაგრებული ჟალუზები სათითაოდ გახსნა, რომ მთვარის შუქი შემოსულიყო... შემდეგ კარადა გამოაღო, სადაც რამდენიმე სახის საუკეთესო ღვინო ინახებოდა დანსულ ერთლიტრიან ბოთლებში. გადმოიღო და ჭიქებიც მოაყოლა. მამაკაცი უსიტყვოდ ირჯებოდა, დინჯად ამოაძრო საცობი ღვინის ბოთლს და ჩამოასხა.

— არ გცივა? — იკითხა და გოგონას შიშველ ფეხებს შეხედა.

— არა, — იცრუა თავი, ამკარად გაჰყინოდა ფეხის თითები, რადგან სამზარეულოში მეტლახი იყო დაგებული.

ირაკლიმ მეორე სკამი აიღო, მის მოპირდაპირედ დაჯდა და გოგონას შიშველ ტერფებს შეეხო. როცა ნახა, რომ პატარას ცივი ფეხები ჰქონდა, ორივე მუხლებშია მოიმწყვდია, თბილ მუხლებშია...

— მოხერხებულად ზიხარ ასე? — ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე იკითხა, თუმცა კი მსხვილი წერწყვი გადააგორა.

თავი უსიტყვოდ დაუქნია თავი. ბნე-

ლი ოთახი ამ ყველაფერს უცნაურ ელფერს სძენდა — თითქოს რაღაცას ცვლიდა, აჯადოებდა... ამ ნუთებში თავის ირაკლი სრულიად სხვანაირი ეჩვენა, სრულიად შეცვლილი... მართალია, იგი გულგრილ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა, მაგრამ... ახლა რომ დღის სინათლე ყოფილიყო, არაფრით დაიდებდა მის ტერფებს მუხლებზე და მის გათბობას არ შეეცდებოდა. თავი ამაში ღრმად იყო დარწმუნებული.

მამაკაცმა ჭიქა ასწია.
— შენს მფარველ ანგელოზს გაუმარჯოს.

გოგონამ სასმისი სულმოთქმელად გამოცალა. მამაკაცმა ტუჩები გაისვლა მხოლოდ. მერე დაუინებით დააშტერდა პატარა საოცრებას სიბნელეში.

— ჩემთან რამის სათქმელად მოხვედი?

— არა, უბრალოდ მოვედი, იმისთვის, რომ მარტო ვი ყოფილიყავი. მთელი დღე მარტო ვიყავი, მომბეზრდა... კიდევ დამისხი.

მან მოიტყუა, რბდგან სიმართლის თქმა ვერ შეძლო... და რაღაც მომენტში თავდაც დაიჯერა თავისივე ნათქვამი — მას უბრალოდ, ირაკლისთან ჭორაობა მოუნდა, მეტი არაფერი...

და კიდევ — დალევა.

— მოიცადე, — თქვა უცებ მორიელმა, — კიდევ ერთხელ დავივილი სახლს და ახლავე დავბრუნდები, — და მისი ფეხები ფრთხილად ჩამოიღო მუხლებიდან.

მერე ადგა და გავიდა.

დაახლოებით ათი ნუთი დარჩა თავი მარტო. როცა მორიელი დაბრუნდა, ფლოსტები და ხალათი მოაყოლა მისთვის

და მეტჯერ არ უცდია პრინცესას ფეხების მუხლებზე დაწყობა. ან კი რაღა საჭირო იყო ეს, როცა თბილმა ფლოსტებმა — ფეხები, ხოლო თბილმა ხალათმა სხეული გაუთბო? პირადმა მცველმა ალბათ მიიჩნია, რომ ნახევრად შიშველი გოგონა „უნესლო“ გამოიყურებოდა. ან იქნებ, მხოლოდ იმიტომ მოუტანა, რომ არ შესცივებოდა?

რატომ ჰგონია მას, რომ ირაკლი მისი ხელის ერთი აქნევით ფეხებში ჩაუჯერდებოდა და ყველა სურვილს უსიტყვოდ შეუსრულებს? ის ამაყია, როგორც გადამწყვეტს, ისე მოიქცევა, ქალის დაკრულზე არც ადრე გაუვლია და არც ახლა გაივლის. ქალის კი არა — ბავშვის.

თავი მეორე ჭიქაც სულმოთქმელად გამოცალა და მესამე მოითხოვა. ირაკლი შეეყოვნდა, მაგრამ მაინც დაუსხა.

— შენ რა, დათრობა გინდა?

— აჰ, დაუტასტურა თავი, — მინდა, რომ არაფერზე ვიფიქრო.

მესამე ჭიქა სვენებ-სვენებით დალია, თან ლაპარაკობდა, თავდაც არ იცოდა, რაზე. მორიელი ხმას არ იღებდა, მხოლოდ უსმენდა. სიბნელის გამო თავის მისი სახის გამომეტყველების გარჩევა უჭირდა.

— კიდევ დამისხი.

— გეყოფა, პატარავ. ნამოდი, დავიძინოთ.

ის მბრძანებლობდა მასზე... ხედავ, როგორ „გაბლატავდა“? რა უფლებით? ვინ არის ირაკლი, რომ მას უბრძანოს, ეყოფა თუ არ ეყოფა დალევა? ვინ ევითხება? იგი მხოლოდ დაქირავებული პირადი მცველია და მორჩა!

თავი დათვრა.

— დამისხი, რომ გეუბნები!

მამაკაცი დინჯად წამოდგა, გოგონას ხელი დაავლო, აიტატა და ისე წაიყვანა საძინებლისკენ. პრინცესა კისერზე ჩამოეცა და და თვალდახუჭულმა თავი მხარზე



დაადო. მისი მძიმე ნაბიჯები სარწმუნოებასავით არწევდა თავის. თითქმის ეძინა, როცა მორიელმა საწოლზე მიანწინა. მან ოდნავ გაახილა თვალები და ძილმორეულმა დაიჩურჩულა: „ცოტა ხნით დარჩი ჩემთან, კარგი?“ — და მალევე ჩაეძინა.

მეორე დღით თავის ცუდ გუნებაზე გაეღვიძა, ნაბახუსევს თავი სტკიოდა. სააბაზანოში შევიდა, წყალი გადაივლო, ლამის მთელი ბოთლი „ნაბელაგი“ გამოცალა, მაგრამ არაფერმა უშველა. ირაკლის წესიერად არც მისალმებია, კვლავ ოთახში აბრუნდა და ძილს მისცა თავი.

შუადღე გადასული იყო, თვალი რომ გაახილა. მოშივებოდა. საშარეულოში ჩავიდა. ირაკლი არსად ჩანდა. მაცივარი გამოაღო, დაჭრილი სალათა და ყველი გამოიღო, პურის მონიჭრა და ჭამას შეუდგა. ესამოვნა ცივი სალათა. როცა დაწყურდა, ცივი ყავაც დააყოლა და კმაყოფილი ჰქონდა. იგი გამოვიდა და ქირსი დივანზე წამოწოლილიყო და აქრის მიშტერებოდა. მის დანახვზე წამოჯდა და თვალზე მოისვა ხელი.

— როგორ ხარ? — მზრუნველად

ჰკითხა.

— კარგად, რატომ უნდა ვიყო ცუდად?

— მერედა, ვინ გითხრა, ცუდად ხარო?

— არც არავინ, — დაიბნა თავი და ფეხებმოკეცილი სავარძელში მოკალათდა.

— ასე ცხოვრება არ შეიძლება, პატარავ... რატომ ერთხელ მაინც არ ჩართავ ტელევიზორს? მერე კიდევ, რატომ ხევ ამ შენს ესკიზებს? ვის გაუგონია ასე მოქცევა? დახატავ, დახევ, დახატავ, დახევ... არადა, რამდენიმე ვნახე და ძალიან მომეწონა. გინდა, ვინმეს წაუვლო და ვაჩვენო?

— არა! — შეეყირა გოგონამ მთელი ხმით. — არ მინდა! არაფერი მინდა! იმდენი ხანია, ჩემს მოკვლას ცდილობენ, ასე მგონია, უკვე მკვდარი ვარ. არავინ და არაფერი მინდა. მარტო ყოფნა მირჩევნია! ასე უკეთესია!

— აბა, ერთი წამით დაფიქრდი, რას ამბობ, პატარავ... შენ ახალგაზრდა ხარ, ლამაზი... ჯერ ყველაფერი წინ გაქვს.

თავი უიმედოდ გაიღია მხოლოდ და წამოიწია, წასვლა დააპირა. ირაკლი მიეჭრა და მაჯები დაუჭირა.

— არა, არ ნახვიდე! რატომ გაურბიხარ ამ თემაზე საუბარს? იმიტომ, რომ ცხოვრება მოგებზრდა და დეპრესიამ შეგიპყრო? დეპრესიულ მდგომარეობაში უკეთ გრძნობ თავს? ეს ხომ ძალიან ადვილია, პრინცესავ, ნურაფერს გააკეთებ და მორჩა!

მამაკაცი შეგნებულად ლაპარაკობდა ასე, რათა გოგონა კამათში გამოეწვია ან სულაც გაებრაზებინა, ოღონდ კი მისი დაღონებული სახისთვის არ ეყურებინა საათობით.

— მოგწონს, რომ იტანჯები, არა? დრამის მთავარი მოქმედი გმირი გგონია ხომ თავი? როგორც კინოში, არა?!

თავის თვალბში უფრო და უფრო იგრძნობოდა გაკვირვება. ირაკლის მოეჩვენა, რომ ცოტაც და, იგი აფეთქებოდა — შენ ვინ ხარ, რა უფლებით მიკითხავ მორალსო, მაგრამ მისდა გასაკვირად, გოგონამ ფართოდ გაიღია.

— შენ კარგი კაცი ხარ, ირაკლი, მაგრამ... ძალიან ეშმაკი... თვითონაც არ იცი, რა დონის ეშმაკი ხარ. აი, შენმა ჭინკებმა კი ყველაფერი იცინა.

მამაკაცი შეცბა. მზერა აარიდა და თავისთვის ჩაიბურტყუნა.

— რატომ ამბობ ამას? შენ გგონია, არ მანუხებს, ასეთ სევდიანს რომ გხედავ? — და მის თვალბში ახმაურებული ჭინკები წამით მიიმაღნენ.

ახლა კი იფეთქა თავი.

— განუხებს? შენ განუხებს? რას მელაპარაკები, მართლა? ერთი უყურე, რაში ყოფილან საქმე! მერე? რას აკეთებ, თუ განუხებს? არ იცი, რატომ ვარ ასე? არ იცი, რა არის ჩემი ნევდის მიზეზი? ვერ ხვდები, რას ვდარდობ? თუ გინდა, მაინცდამაინც მათქმევიწინო? იქნებ ჩემი ხვეწნა-მუდარა განიჭებს სიამოვნებას?! კარგი, ბატონო, ამაზეც თანახმა ვარ და

გეტყვი, რომ მე უ...

— არ გინდა, პატარავ, არ გაბედო! — გაფრთხილების ნიშნად საჩვენებელი თითი გაფშოკა პირადმა მცველმა და ცხვირწინ დაუტრიალა გოგონას. — ხმას ნუ უწევ! ადი შენს ოთახში, მეც მალე მოვალ და იქ ვილაპარაკოთ, — ბოლო სიტყვები ხმადაბლა წარმოთქვა და გარეთ გავიდა.

თაკოს სიბრაზისგან მხრები უცახცახებდა, მაგრამ იმდენად გააოგნა პირადი მცველის საქციელმა, რომ ნირი წაუხდა. მერე წამიერად მიიღო გადაწყვეტილება და ტელეფონს ეცა. გიოსთვის უნდოდა დაერეკა და ეთქვა, დაეთხოვა ირაკლი სახლიდან. ის იყო, ნომერი აკრიბა და ზუმერს დაელოდა, რომ შემობრუნებული მორიელი პირდაპირ მაჯაში სწვდა.

— გითხარი, არ გაბედო-მეთქი! ადი მალლა! — ისეთი ხმით წარმოთქვა მამაკაცმა, გოგონა უძლური აღმოჩნდა, წინააღმდეგობა გაენია. მხრებანურული წამოდგა და კიბეს თავდახრილი აუყვა.

რამდენიმე წუთიც და ირაკლიც უკან მიჰყვა. როცა მის საძინებელში შევიდა, თავო ოთხად მოკეცილი დახვდა სანოლზე. იგი ერთიანად კანკალებდა.

— რა გემართება, პატარავ, რა გჭირს? — მიეჭრა მამაკაცი.

— მცივა, — დაიჭრაწულა თავომ და კიდევ უფრო მოიკუნტა.

მორიელს ეჭვი შეეპარა გოგონას ნათქვამში. ეს, უბრალოდ, მიზეზი იყო, მამაკაცი ლოგინში შეეტყუებინა, მაგრამ მინც დაუყვავა, იქვე დაგდებული პლედი აიღო და დაახურა.

— ეს დაიფარე, გაგათბობს, — რაც შეიძლებოდა, თბილად უთხრა და გატრიალდა.

სანამ კარს მიუახლოვდებოდა, გზაში თავოს გესლიანად ნათქვამი სიტყვები დაენია.

— რა საცოდავი ხარ, რომ იცოდე! განა რა შეგიძლია? შენს ახალგაზრდობაში ხომ სექსზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ! საინტერესოა, როგორ ერთობოდი იმ ქალთან, ჩემამდე რომ გაყვდა? ვხედავ, რომ გეშინია. ისიც ვიცი, რისიც გეშინია! საკუთარი ასაკის. სიბერემ მოგიკაკუნა ალბათ! ამიტომაც გამირბინა!

ირაკლი შედგა. მონოლილი სიბრაზე ყელში ბურთივით გაეჩხირა. ამწუთას როგორ გემრიელად მიტყეპდა ამ გომბიოს! გაბრაზდა... მერედა, როგორ გაბრაზდა! რა დიდი სიამოვნებით უჩვენებდა ახლა, რა შეძლო, მაგრამ...

— ტყუილად თამაშობ ნესიერი და კეთილშობილი რაინდის როლს, ბატონო ირაკლი! — არ ცხრებოდა თავო. — კარგად ვხედავ, როგორ მიყურებენ შენი თვალები. რაც უნდა მალო, ისინი ჩემში ქალს ხედავენ მხოლოდ, ქალს, რომელსაც უდიდესი სიამოვნების მონიჭება შეუძლია შენთვის. ტყუილად მალავ მაგ მზერას. გგონია, ვერ ვხვდები, როგორ იტანჯები ღამღამობით ჩემი სიახლოვის სურვილით? მაგრამ არა, ჯერ საკუთარ თავში გინდა გაერკვე, სერიოზულია თუ

არა შენი გრძნობა ჩემ მიმართ. მართებულა თუ არა შენი დამოკიდებულება ჩემდამი. მამაჩემს რა პასუხი უნდა გასცე მერე?! შენ ხომ ყველაფერს სერიოზულად უდგები, ამჩატება არ გმართებს „ამ ხნის კაცს“, პირადი მოვალეობა არ გაძლევს უფლებას, გრძნობებს აპყვი, გონებით უნდა მოქმედებდე და არა გულთ. ასე არ არის?

— მერედა, შენ რა? — მოტრიალდა განრისხებული ირაკლი. — ვცხოვრობ ისე, როგორც სწორად მიმაჩნია. ეს ჩემი საქმეა და შენ არ გეხება.

— მე რა-ა? მე ის, რომ ჭკუაზე მშლის შენი კეთილსინდისიერება! შენი რკინაბეტონის ნესიერება მაცოფებს, მისი დამტყვევება მინდა, მისი გაცამტყვერება შენს სულს მინდა თავისუფლება მივცე!

— ჰმ, შენი აზრით, თავისუფლება და ნესიერება შეუთავსებადია ერთმანეთთან?

— არა, რა თქმა უნდა, მაგრამ... გული მერევა, როცა ვხედავ, როგორ იტყუებენ თავს შენნაირები. გამოტყდი, რომ მართალი ვარ. გამოტყდი, რომ გინდევარ და გაზუდუმებით ჩემზე ფიქრობ და რომ უბრალოდ, თავს არ აძლევ ამის უფლებას. მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმაა საჭირო, რომ ჩემ გვერდით აღმოჩნდე. შენ კი... გეშინია ამ ერთი ნაბიჯის... — ამის თქმაზე თავო ლოგინიდან ჩამოხტა, ხელის ერთი გაქნევით გაიხადა ტანთ და სრულიად შიშველი, გამომწვევი მზერით წინ აესხვება პირად მცველს.

ქალი უხმობდა მამაკაცს...

ირაკლიმ თვალები დახუჭა... მერე გაახილა... რომც ნდომებოდა იმ ერთი ნაბიჯის გადაგმა, ვერ შეძლებდა, იმდენად შებოჭა ქალის შიშველი სხეულის სიახლოვემ, ვერც ადგილიდან დაძვრას ახერხებდა, ვერც თავისუფლად სუნთქვას.

— ახლა კი... თქვი უარი ჩემზე, თუკი შეგიძლია. მხოლოდ მაშინ გაშტოლდება შენი ნესიერება ვაჟაკობას.

მამაკაცი შეტორტმანდა. წამით თვალთ დაუზნელდა, თავბრუსხვევა იგრძნო და იმდენად ცუდად გახდა, რომ არა თავო, იატაკზე გაიშხლართებოდა. გოგონამ ხელები შეაშველა მორიელს და შიშველ ტანზე მიიხუტა. პირადმა მცველმა თავი მის ყელში ჩარგო და გოგონას სხეულის მონატრებული სურნელი შეისრუტა...

ირაკლი მალევე მოეგო გონს და მკლავები მჭიდროდ მოხვია წელზე.

თავო უკვე აღარაფერს ამბობდა. ყველა სიტყვა გაუფრინდა, გაქრა, გაექცა. მის ხელებში თავს დაცულად გრძნობდა. ნეტარების ტალღამ გაუთბო სხეული. ფიქრი არაფერზე სურდა, არც ლაპარაკი უნდოდა. უკვე აღარ იყო გაბრაზებული, განრისხებული და გააფთრებული. ამწუთას მხოლოდ სურვილისგან აცახცახებდა. ლოყა მკერდზე მიაბჯინა. მამაკაცის სიტბო მასში გადმოიღვარა.

— მიყვარხარ, პატარავ, — ეს ირაკლიმ წარმოთქვა.

— შენთან მინდა... — ეს თავო იყო... ორი ერთმანეთში ჩახლართული სხეული იატაკზე დაეშვა...

— თავო, გაიღვიძე? ირაკლიმ თავი წამოსწია და მიმოიხედა, მაგრამ არავინ უპასუხა. მის გვერდით ლოგინი ცარიელი იყო. თავი ისევ დადო ბალიშზე და თვალები დახუჭა.

ჯერ კიდევ ყოყმანობდა...

წუხელ, თავომ დაიძინა თუ არა, ფიქრებს მიეცა. რამდენიმე ვარიანტი მოსინჯა, როგორ დაეღწია თავი ამ რთული სიტუაციიდან, რა იქნებოდა უკეთესი გამოსავალი. მართალია, ძალიან უშედეგოა, მაგრამ მინც უკიდურეს არჩევანზე შეჩერდა. სხვანაირად ყველაფერს გააფუჭებდა...

უეცრად გამოღებულ კარში თმაგანწილი და ნამძინარევი თავო გამოჩნდა მოკლე, თეთრი ატლასის პერანგში გამოწყობილი. ისეთი ლამაზი და მიმზიდველი იყო ამ სამოსში, ირაკლის სულის შეძვრამდე მოუწვდა მისი ჩახუტება. ძლივს შეიკავა თავი, რადგან გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა.

— დილა მშვიდობისა, — ჩაიბურტყუნა მორიელმა.

— აჰა, — უცნაურად მიესალმა გოგონა.

— იქნებ საუზმე მომიზადო, მე უნდა ნავიდე.

— რატომ ისევ მე? გუშინ მე არ მოვამზადე?

— გუშინ შენ შენთვის მომიზადე და არა ჩემთვის. ახლა კი გთხოვ, ჩემთვისაც გაისარჯო, — თქვა პირადმა მცველმა.

მას, რა თქმა უნდა, თავადაც შეეძლო ამის გაკეთება, მაგრამ ამწუთას თავოს ნახელავის გასინჯვა უნდოდა, კიდევ ერთხელ სურდა შეეხედა, როგორი მოუხეშავი იყო გოგონა სამზარეულოში, როგორ მოუხერხებლად ხმარობდა დანას, როგორ ემსხვერუდა ჭურჭელი, ესმებოდა წყალი, ეხრუკებოდა კერძი, როცა დიასახლისობას ცდილობდა.

— წინდებიც ხომ არ გაგირეცხო? — გაღიმებული თავო სანოლზე ჩამოჯდა.

— კარგი აზრია, მივესალმები! შეგიძლია ამ სულიკვეთებით გააგრძელო.

— რა მოგიმზადოთ, ბატონო? — ეშმაკურად შეხედა პატარამ და მის თვალებში ჩამსხდარ ჭინკებს დააკვირდა, რომლებიც, მისდა გასაოცრად, უცნაურად გასუსულიყვნენ, თითქოს ემალებოდნენ თავოს მოლიმარ სახეს.

ცუდად ენიშნა გოგონას ეს. თავი ნელა მიატრიალა და მამაკაცის მკლავზე განოლილ მორიელს დაამტყერდა. სვირინგი თითქოს საკბენად იყო გამზადებული, თითქოს შხამის დანთხევას აპირებდა. გამოუცნობმა შიშმა აიტანა.

კვლავ გაიხედა პირადი მცველისკენ.

— თავო, — დაასწრო და ყრუდ წარმოთქვა ირაკლიმ; მის გამჭოლ მზერას ვერ გაუძლო და განზე გაიხედა. — მე მივდივარ აქედან, გიგამ გამომიძახა. უნდა წავიდე, მას უფრო სერიოზული საქმისთვის ვჭირდები. შენი დატოვება მომიწევს. ჩემს ადგილს ალბათ სხვა დაიკავებს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გონების სპარატი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვტისკენ არ გაბეჟხეთ თავალი.

1. დაასახელეთ კეტჩუპის სამშობლო.
2. საიდან გაჩნდა გამოთქმა „არსენას ადლი“?
3. რა ჰქვია კაზაკების ფართო შარვალს?
4. რომელ ქვეყანაშია დაბადებული ნიკოლ კიდმანი?
5. წარმოშობით სადაური ებრაელია ჯორჯ სოროსი?
6. ვისი ნამდვილი სახელი და გვარია მორდეხაი ლევი?
7. დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ სტუდენტმა იგორ სტეჩკინმა სადიპლომოდ ნამუშევრის სახით შექმნა 9-მილიმეტრიანი ავტომატური პისტოლეტი, რომლის მჭიდშიც 20 ტყვია ჩადიდდა. კომისიის ერთმა წევრმა ჩაიბუზღუნა: „ნახაზები ნახაზებად, მაგრამ როგორი იქნება ეს პისტოლეტი რეალურად? რა პასუხი გასცა მას ახალგაზრდა კონსტრუქტორმა?“
8. რის ნიშნად ატარებდნენ ძველ საბერძნეთში ოხრახუშისგან დანულ გვირგვინს?
9. ვის უწოდებს გიზო ნიშნიანიძე სიყვარულის მათხოვრებს?
10. შეერთებული შტატების ეს პრეზიდენტი არჩევიდან 2000 დღის შემდეგ გადადგა. დაასახელეთ იგი.
11. ვის უსახსოვრა ფრანგმა მოქანდაკემ ოგიუსტ როდენმა საკუთარი შემოქმედება?
12. ვის ეკუთვნის სიტყვები: „მე შემძლია საწერ მაგიდასთან მჯდომმა ვმართო იტალია“?
13. რას ნიშნავს სიტყვა დერციკი?
14. რა ჰქვია კახეთში დღესასწაულს, რომლის დროსაც ჭაჭის არაყს ხდიან და ლორს კლავენ?
15. ვინ იყო პირველი ქართველი პიანისტი?
16. რეჟისორმა ლეონიდ გაიდაიმ პირველი გადაღების წინ ამ მსახიობს უთხრა, გრიმი არ გჭირდება, ისედაც სულელური გამომეტველება გაქვს, ოღონდ უფრო ხშირ-ხშირად ახამხამე თვალებით. დაასახელეთ მსახიობის სახელი და გვარი.

ანეკდოტები

— როგორ ხარ? — ეკითხებიან ჭიჭიკიას.



— უხ, ისე მაგრად ვგრძნობ თავს, მგონია, ჯიხვს რომ ჩავბერო უკანა მხრიდან, რქებს გავუსწორებ.

— დედას უფრო უსმენ თუ მამას?

- დედას.
- რატომ?
- ის მეტს ლაპარაკობს.

ქმარი ცოლს:
— ჩამაწერიწე, რა, ამ ნამცხვრის რეცეპტი! ცემენტის მწარმოებლებს მივყიდი, მაგარ ფულს ვიშოვიო...

ახალგაყნობილი წყვილი ლოგინში წევს.

- ის, რაც ჩვენ ჩავდინეთ, ძალიან ცუდია, არა? — კითხულობს ქალი.
- მაშინ ერთხელაც ვცადოთ, იქნებ უკეთესად გამოგვივიდეს.

— რას ნიშნავს გამოთქმა — „თვალი — თვალის წილ, კბილი — კბილის წილ“?

— ოკულისტი და დანტისტი ჩხუბობენ.

- მის, რამდენი წლისა ხართ?
- კითხულობს კაცი.
- თქვენ რამდენს მომცემდით?
- ინაზება ქალი.
- ჯერ კითხვაზე მიპასუხეთ და ფასზე მერე ვილაპარაკოთ.

— მაქს, — მიმართავს ცოლი წყენით, — როგორც კი სიმპათიურ ქალს დაინახავ, მაშინვე გავიწყდება, რომ ცოლი გყავს.

— პირიქით, ჩემო კარგო, სწორედ მაშინ მახსენდება.

— ძალიან მურტალი სიზმარი ვნახე ნუხელ, — ცუდ სასიათზეა ჭიჭიკია.

- ასეთი რა ნახე?!
- კლაუდია შიფერი და ჩემი ცოლი ჩემ გამო ჩხუბობდნენ და ჩემმა ცოლმა აჯობა.

— მამიკო, ხალიჩას რომ ვბერტყავდი, ათლარიანი ჩამოვარდა!

— განაგრძე, შვილო, ბერტყევა...

- ვაზგენ, შენს ცოლთან შენი ძმაკაცი დადის!
- რომელი?
- რაფიკა!
- რაფიკა რომელი ჩემი ძმაკაცია?!

- სად მუშაობ?
- ქალის ტანსაცმელს ვყიდი.
- არის ხეირი?
- აბა, რა! სიდედრს ერთი კაბალა დარჩა.

ახალგაზრდა ცოლი ეკითხება ქმარს:
— ჩემი მომზადებული კერძებიდან რომელი უფრო მოგწონს, ძვირფასო?
— თევის კონსერვი.



— მე და ჩემი ცოლი არასოდეს ვჩხუბობთ.
 — მაგას როგორ ახერხებთ?
 — უბრალოდ, ერთ დღეს ის იქცევა ისე, როგორც თვითონ სურს, მეორე დღეს მე ვიქცევი ისე, როგორც ჩემს ცოლს სურს.

ექიმი მიმართავს პაციენტს:
 — თქვენ ფინანსთა მინისტრი ბრძანდებით?
 — დიას!
 — ჰოდა, კარგად მომისმინეთ: დღეს თქვენი ხელქვეითები მოვლენ თქვენს სანახავად და უთხარით, ერთი წლის ხელფასი წინასწარ დაგვირიგონ, თორემ ცუდად წაგივით საქმე.
 — გზას გადაკვეთავთ?
 — არა, უანგბადის მილს.

ჩემს მშობლებს ძალიან ეშინიათ მულტიფილმების. როგორც კი საბავშვო გადაცემები იწყება, ტელევიზორთან დამსვამენ, თვითონ ოთახში გარბიან და საბნის ქვეშ შემკვრალეები შიშისაგან კანკალებენ.

— აი, ბენსიაზე გავალ და მეორე წიგნსაც დავამთავრებ.
 — თქვენ წიგნს წერთ?
 — არა, ვკითხულობ.

— როგორ გახდათ ქურდი?
 — ერთხელ ცოლს წამოსცდა, — ყველაზე ძალიან ქურდების მემშინაო.

— დედიკო, ნავალ, გავისეირნებ, ძალზე მომენტარა სუფთა ჰაერი, — უუბნება ქალიშვილი დედას.
 — იმ შენს „სუფთა ჰაერს“ გადაეცი, სახლში ცხრა საათზე გამოგიშვას.

— სიყვარულში გაგიმართლათ, არა?
 — ჰკითხეს მიხოს.
 — არა, ჩემო კარგო, ერთადერთი ქალი, მარო მიყვარდა და ისიც გათხოვდა.
 — ვის გაჰყვა?
 — მე, — ნალვლიანად ამოიხრა მიხომ.

— მამა, რაღაც უნდა გითხრა.
 — ოღონდ მოკლედ და გსაგებად მითხარი.
 — ორასი დოლარი!

— რას უუბნები ხოლმე ცოლს, როდესაც სახლში გვიან ბრუნდები?
 — მხოლოდ „სალამო მშვიდობისას“.



დანარჩენს სულ ის მელაპარაკება.

— შენ ხარ გარენარი, მათხოვარი, ტუტუცი, ვირიშვილი და არამზადა. ხომ არ გწყინს, შენობით რომ მოგმართავ?

— პატარა რომ ვიყავი, ერთმა მკურნალმა მითხრა, თუ ფრჩხილების კენჭს არ მოიშლი, იდიოტი გაიზრდებიო.
 — მერე, რატომ არ მოიშალე?

— ტომ, — მიმართავს შვილს მივლინებიდან დაბრუნებული დედა, — მამაშენი უჩემოდ მოწყენილი იყო?
 — თავიდან არა, მაგრამ როცა შენი ჩამოსვლის დრო მოახლოვდა, ძალიან მოიწყინა.

ქურდი ნახატების მოპარვაზე დაიჭირეს:
 — ვინ იყო შენთან ერთად? — ეკითხებიან პოლიციელები.
 — ლეონარდო და ვინჩი.
 — ახლა სად არიან?

გონების სასაჩიპო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ამერიკა.
2. ადლი სიგრძის ძველებური საზომი ერთეულია უდრიდა დაახლოებით მეტრს. განთქმული ყაჩაღი არსენა ოძელაშვილი ბაზარში ვაჭრებს ადღს უზრდიდა (ვაჭრები ამ ადლით გასაყიდ ქსოვილებს ზომავდნენ) და აიძულებდა, ამ ადლით ევაჭრათ.
3. შირავარი.
4. ავსტრალიაში.
5. უნგრელი.
6. კარლ მარქსის.
7. პასუხად, სტეჟკინმა მაგდაზე მზა პისტოლეტი დადო. (ეს პისტოლეტი დღესაც ერთ-ერთ საუკეთესო იარაღად ითვლება).
8. გლოვის ნიშნად.
9. მსუბუქი ყოფაცქევის ქალებს.
10. რიჩარდ ნიქსონი.
11. ფრანგ ხალხს.
12. ბენიტო მუსოლინის.
13. დერციკი და თერძი სინონიმებია.
14. ზაოტობა.
15. ალოიზ მიზანდარი.
16. იური ნიკულინი.

რეანიფორსიზაცია



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგივზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტროს“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონფერტზე მიანერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.



ჭკვიანი თუ სულელი?

სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ბევრჯერ დაამტკიცა, რომ მამაკაცთა უმრავლესობა ჭკვიან ქალებს ერიდება. სულელებს ჯი უჯეთ ეგუება.



მაინც რა განსხვავებაა ჭკვიან და სულელ ქალს შორის?

სულელი, როგორც წესი, ბუნებრივად მიმზიდველია და შეუძლია, ცხოვრების დინებას მიჰყვეს. ჭკვიანი ქალი კი გარეგნობით ნაკლებად მანიპულირებს და წინა პლანზე პიროვნულ ღირსებებს წამოსწევს.

სულელს უღირს საქციელსაც კი მიუტყვებენ, ამბობენ, — უნებლიეთ, სისულელით მოუვიდაო. ჭკვიანს შეცდომებს არასოდეს აპატიებენ.

სულელი უსიამოვნო სიტუაციებს

ოსტატურად არიდებს თავს და რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ერთადერთ სწორ გზას პოუ-

ლობს. ჭკვიანი კი იმის შიშით, რომ შეცდომა არ დაუშვას, ყველა ნაბიჯს ასჯერ ანონ-დანონის, ამასობაში კი ხშირ შემთხვევაში, გაუგებარ სიტუაციებსა და ინტრიგებში ეხვევა, თანაც სერიოზულად და ხანგრძლივად.

სულელი ილბლიანია — წარმატებით თხოვდება და ბედნიერადაც ცხოვრობს — რადგან მზად არის, ყველაფერი მოითმინოს. ჭკვიანი ცხოვრებაში თვითდამკვიდრებას ცდილობს და ქორწინებაში მთავარ კრიტერიუმად ქმრის პატივისცემას მიიჩნევს.

სულელს ყველა კითხვაზე მზად აქვს პასუხი, მას არ ღრღინს ეჭვები და მუდამ დარწმუნებულია თავის განუმეორებლობაში. ჭკვიანს კი ხშირ შემთხვევაში, თავდაჯერებულობა აკლია და საკუთარ შესაძლებლობებშიც ეჭვი ეპარება.

სულელი პრობლემების გაჩენისას იბნევა, ბედზე ჩივილს იწყებს და ცრემლებს აღვარღვარებს. მის მიმართ გარშემო მყოფები სიბრაულულით ივსებიან და შეძლებისდაგვარად ეხმარებიან. ჭკვიანი არასდროს ტირის, ცდილობს, სირთულეებს დამოუკიდებლად გაუმკლავდეს.

სულელი, როგორც წესი, მშვენივრად გამოიყურება, სილამაზის სალონში ბევრ დროს ატარებს და საყვარელს თუ მეუღლეს სიამოვნებით ყვლეფს. ჭკვიანი პრაქტიკულია, იცის ფულის ყადრი, არასდროს ფლანგავს მას და ხშირად, საკუთარ თავს სიამოვნებაზე უარს ეუბნება.

როგორც ჩანს, სულელს მართლაც უმართლებს და ცხოვრებაც ეიოლუბა. მაგრამ ჭკვიან ქალს ერთი დიდი უპირატესობა აქვს: მას ყოველთვის ეყოფა ჭკუა საიმისოდ, რომ სულელის ნილაბაფარებულმა მთელი ცხოვრება ბედნიერად გაატაროს, სულელს კი ეს არასდროს გამოუვა.

როგორ ტიპს მივაკუთვნებით?



პირველი ტიპი — „მშვიდები“ — ადამიანები, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, კონფლიქტის თავიდან აცილებას.

მეორე ტიპი — „მოკამათები“ — მუღლუები, რომლებიც ყველა წვრილმანის გამო თავშეუკაპებლად არკვევენ ურთიერთობას.

მესამე ტიპი — „კონსულტანტები“ — ცოლ-ქმარი, რომელიც ყურადღებით ისმენს ერთმანეთის არგუმენტებს და ორივესთვის მისაღებ გამოსავალს ეძებს.

როდესაც წყვილდებიან ადამიანები, რომლებიც ურთიერთობის გასარკვევად სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ (მაგალითად, „მოკამათე“ და „კონსულტანტი“ ან „მშვიდი“ და „მოკამათე“), მათი ქორწინება ყოველთვის ირღვევა.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა მიაგნეს მეთოდს, რომლის მიხედვითაც ქორწინების ხანგრძლივობის წინასწარმეტყველება შეუძლიათ. მართალია, გამოკვლევების მიხედვით, ეს მეთოდი მხოლოდ 94 პროცენტით მართლდება, მაგრამ მისი შედეგები მაინც საინტერესოა. ამერიკელ მეცნიერთა მტკიცებით, მნიშვნელოვანაა არა, აქვს, რამდენად ხშირად ჩხუბობენ, მეუღლეები და როგორ „ამკობენ“ ერთმანეთს ამ დროს. მთავარია, ცოლიც და ქმარიც დისკუსიის დროს ერთსა და იმავე მეთოდს მიმართავენ.

მკვლევართა აზრით, არსებობს მეუღლეების სამი მთავარი ტიპი, რომელსაც ხანგრძლივი ერთობლივი ცხოვრება გარანტირებული აქვთ.

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2



პრესის გავრცელების სააგენტო „საქსაქმისი“

ქ. თბილისი ოსტეპიდის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74

ავრთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

E-mail: elva@kvispalitra.com

მითები და რეალობა ლამაზი თმის შესახებ

გავრცელებული აზრის თანახმად, ძილის წინ თმა გულმოდგინედ და ხანგრძლივად უნდა ივარცხნოთ, სპეციალისტები კი ამტკიცებენ, რომ მცდარი და მოძველებული შეხედულებები შეიძლება, თმის ცვენის, მტკრევადობის და სიჩაჩლის მიზეზი გახდეს.

აი, რამდენიმე მითი ლამაზი თმის შესახებ:



40 წელს გადაცილებულმა ქალებმა მოკლე ვარცხნილობა უნდა აფარონ

თუ ლამაზი და ჯანსაღი თმა გაქვთ, მნიშვნელობა არა აქვს, მოკლე ვარცხნილობა გექნებათ თუ გრძელი. მთავარია, გიხდებოდეთ. გაითვალისწინეთ, თუ ფართო სახე გაქვთ, მოკლე, კიბისებურად აჭრილი თმა მოგიხდებათ; თუ ვიწრო — გრძელი, ლამაზად აჩეხილი. ვინაიდან, ასაკის მატებასთან ერთად, თმა იფიტება, რეკომენდებულია სპეციალური ბალზამის გამოყენება.



გრძელი წელის გადავლება თმას ბზინვარებას სძენს

ასეთი პროცედურა ნამდვილად გააძლიერებს თმას, მაგრამ თმას ბზინვარებას არ შესძენს. სხვა საქმეა, თუ დაბანილ თმაზე მწვანე ჩაის, გვირილის, საღების ან ჭინჭრის ნაყენს გადაივლებთ.

სტრესი თმის ცვენას იწვევს
მიუხედავად იმისა, სტრესის ქვეშ იმყოფებით თუ არა, ყოველდღიურად 50-დან 120 ლერამდე თმა გცვივათ. რასაკვირველია, ნერვიულობის, ჰორმონული დარღვევების შემთხვევაში, თმის ცვენა ძლიერდება. თუ სრულფასოვნად იკვებებით და დღე-ღამეში სულ ცოტა 8 საათი გძინავთ, 1-2 კვირაში თმა თავისით აღდგება.

თმის შეღებვა მავნეა

თანამედროვე თმის საღებავები იმდენად კარგი ხარისხისაა, რომ თმას ზიანს არ აყენებს. პირიქით, ზოგი მათგანი ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც თმას აჯანსაღებს, არბილებს და ბზინვარებას მატებს. მთავარია, საღებავი სწორად შეარჩიოთ.



სპეციალური საშუალებებით თმის გაყოფილ ბოლოებს აღიდგენთ

გაყოფილი ბოლოების აღდგენა შეუძლებელია. სპეციალური საშუალებებით შესაძლებელია, ის მხოლოდ ნაკლებმესამჩნევი გახდეს. თმის გაყოფილ ბოლოებს მხოლოდ მოჭრა უშუალოდ (მხოლოდ იმ ადგილამდე, სადაც ღერი იყოფა).

თმა დღის განმავლობაში ხშირად და ხანგრძლივად უნდა ივარცხნოთ

რაც უფრო ხშირად და ხანგრძლივად ივარცხნით თმას, მით მეტი ჩამოგცვივდებათ. სავარცხელს მრგვალი, მეჩხერი კბილები უნდა ჰქონდეს. თმა მანამ ივარცხნეთ, სანამ სავარცხელი სრიალს არ დაინწყობს.

დროდადრო შამპუნი უნდა ცვლით

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ თმისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ერთი და იმავე შამპუნით იბანოთ თუ არა: მთავარია, ის ხარისხიანი იყოს. თუ ცხიმიანი თმა გაქვთ ან ვარცხნილობის შესანარჩუნებლად სპეციალურ, ცვილის შემცველ საშუალებებს იყენებთ, მაშინ კვირაში ერთხელ თავი ისეთი შამპუნით უნდა

დაიბანოთ, რომელიც თმიდან ამ ნივთიერებებს ჩამოორცხავს.


ქალარა უდამაზო

მთლად ასეც არ არის. თუ თმა ჯანსაღია, ფაფუკი და ლამაზად არის დავარცხნილი, ფერს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. მთავარია, ქალარა ბზინავდეს.

რბილი, სწორი თმა

მოცულობითი ან არის

თმა მსხვილი თურმობიგუდით დაიხვეთ, 5-10 წუთის შემდეგ ნახავთ, როგორი მოცულობითი გახდება. ვარცხნილობა სპეციალური ლაქით დააფიქსირეთ და ხშირად დავარცხნას მოერიდეთ.



დიდგორის საჯი ფანაზია და აზიზი

ბორბა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-34

ნაწარმოებზე თქვენი შეხედულება შეგიძლიათ გაგიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

ორმოცი უკან დარჩა. თავიდან ზღვა და გემთმისადგომთან მდგარი ხომალდები გაუჩინარდა, მერე კლდოვანი სანაპირო, ბაზარი, თავის დახლებითა და სახელოსნოებით, პალმის ტყეებში ჩაფლული სასახლეები.

ზღვასთან დაშორებასთან ერთად, საგრძნობი გახდა უდაბნოს სუნთქვა. ქვიანი ზედაპირი დამსკდარმა მიწამ შეცვალა. მერე მიწა გაქრა და მისი ადგილი თოვლივით რბილმა და ფხვიერმა სილამ დაიკავა. სილა უჩვეულოდ ბზინავდა. მზის სხივებს ისე ირეკლავდა, თითქოს ვილაცამ ზედ წვრილად დაფხვნილი, მტვრად ქცეული ალმასი მოაბნიაო. ირგვლივ მცენარის ნასახი გაქრა. რომელ მხარესაც არ უნდა გაეხედათ, ერთ სურათს ხედავდნენ — მონითალო სილის ბორცვებს. მხოლოდ პირდაპირ, სადღაც შორეთში მოჩანდა ღრუბლებში აზიდული მთები.

ჩამოცხა. მზე უმოწყალოდ აჭერდა. გავარვარებელი ჰაერი ყელსა და ფილტვებს წვავდა. შუბლიდან ჩამოდენილი ოფლი, თვალის უბებში გროვდებოდა და მზერას აჭრებებდა. და ეს მშვენიერი ქარავანი უდაბნოს საზღვარს უახლოვდებოდა და რა მოხდებოდა, როცა ისინი შუა უდაბნოში შევიდოდნენ.

ქარავანს ჰასანის ძველი ნაცნობი, ქერმენელი ჩაუში ალ აზიზ ტალიბი მიუძღოდა წინ. აზიზი ორმოცდაათ წელს

ტანხმელი მამაკაცი იყო, დაძარღვული და დანაოჭებული გრძელი კისერი ჰქონდა. გამუდმებით მზებზე ყოფნისგან გამომხმარ, ფხური აპოხტის (გამხმარი ხორცი) მსგავს სახეს თხელი წვერი უფარავდა. შუბლსა და ყვირიმალზე კი ფართო ნაიარევი გასდევდა. ნაიარევი თვალის უბეს სწვდებოდა. ამიტომაც ცალი თვალი, მუდამ მოჭუტული ჰქონდა, თითქოს რალაცას აკვირდებო.

ჰასანსა და აზიზს დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდათ. ისინი ერთად იბრძოდნენ ბაღდადის ხალიფის ცხენოსან ჯარში. მერე ჰასანი შავიფთანიანთა ასისტავი გახდა. აზიზმა კი მექარავენობას მიჰყო ხელი.

მერე ჰასანმაც მიატოვა შავიფთანიანები და ვაჭრობა წამოიწყო. იმ წლებში ძველი თანამებრძოლები ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ვენციის გარდა, აზიზი ყველგან უწევდა მეგზურობას, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად, შორეულ ქვეყნებში მოგზაურობაზე ხელი აიღო და მშობლიურ ქერმენს დაუბრუნდა.

უდაბნოში მოგზაურობას შეჩვეულ ჩაუშს, მცხუნვარე მზე ვერაფერს აკლებდა. საერთოდ არ ემჩნეოდა დაღლილობა. დროდადრო ცხენს წინ გაიგდებდა, მენინავე მცველებს რალაცას შეუძახებდა. მერე ქარავნის ბოლოში ჩავიდოდა, მეაქლემეებს ააჩქარებდა. ისევ შემოაბრუნებდა ცხენს და ქარავნის შუაში მიმავალ ჰასანსა და მის მეგობრებს წამოეწეოდა და საუბარს გაუბამდა. ყველაზე მეტ დროს აზიზი მუროჩისა და გვიდოს უთმობდა. განუწყვეტლივ უსვამდა კითხვებს და თავადაც ხალისით სცემდა პასუხს. დროდადრო კი რჩევებს აძლევდა, რომლებიც უდაბნოში მოგზაურობისას გამოადგებოდათ.

— ესე იგი, ეს შენი პირველი მოგზაურობაა, მესერ (ბატონო) გვიდო, — ვენციურ ყაიდაზე მიმართა აზიზმა ახალგაზრდა ბლანკოს.

— არა, მაგრამ სპარსეთში პირველად წამომიყვანა მამამ.

— შენ? — მუროჩის მიუბრუნდა აზიზი.

— ეგ არც ვაჭარია და არც — მოგზაური, — ჩაურთო ჰასანმა.

— მაშინ როგორ მოხვდა ამ ალაჰისგან დანყვედილ ალაგას? — გაუკვირდა აზიზს.

— შემთხვევით... ყველაფერი შემთხვევით მოხდა.

— დაუფიქრებელი კაცი ყოფილა. მე შემთხვევით ჩემსავე ხარჭის სარეცელზე არ მოვხვედრილვარ, მან კი უდაბნოში ამოყო თავი და თანაც არაბეთის ყველაზე საშიშ უღელტეხილზე გადასვლასაც აპირებს, — გაეცინა აზიზს.

— დაუფიქრებელი ეგ კი არა, შენ ხარ.

— მეე?! — გაუკვირდა აზიზს, — რატომ?

— ერთ ბაღდადეღ კაცს ვიცნობდი, რომელიც დაუფიქრებლად მოექცა ჩემს მეგობარს და საფეთქელი ჩაემსხვრა! — გააფრთხილა ჰასანმა. — ეგ გურჯია და ხმლის შემოქნევაც გაუფრთხილებლად იცის!

— ხუმრობ?! — აზიზმა ეჭვით შეათვალა მუროჩის ზღვისფერი თვალები და ჩალისფერი თმა. — ასეთი გურჯი არასოდეს მიხილავს. ვენციელს უფრო ჩამოჰვავს.

— გამოცადე, მაგრამ ახლა ნუ იზამ მაგას. ჯერ ცინში ჩაგვიყვანე და მერე გამოცადე, — ურჩია ჰასანმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ახლა გამცილებელი მჭირდება. ცინში კი შენც არ ხარ ნამყოფი და იქ ჩასულს აღარაფერში დამჭირდები, — გაიცინა ჰასანმა და ცხენი ააჩქარა.

— თქვი, რომ მატყუებს. ხომ ვენციელი ხარ და არა — გურჯი? — მუროჩის მიუბრუნდა აზიზი.

— ასაკი სიღინჯით ფასდება და არა — ჭალარა წვერით! — მისკენ გაუხედავად ჩაილაპარაკა მუროჩი.

— რისი თქმა გინდა მაგით, უცხოელო? — ჩაეძია აზიზი.

— გრძელი ენა გაქვს, მოხუცო! — ცივად გამოცრა მუროჩი.

აზიზი უკმუნად აპირებდა პასუხის გაცემას, მაგრამ ფხოველმა ისე შემოუბღვირა, რომ მაშინვე გადაიფიქრა და გვიდოს მიუბრუნდა, რომელიც წყლით იგრილებდა სახეს.

— მესერ გვიდო, ნუ იზამთ მაგას.

— რატომ? — გაუკვირდა ვენციელს.

— წყალს უნდა მოვუფრთხილდე.

— შენ ხომ თქვი: ერთი კვირა დაგვჭირდება ამ უდაბნოს გასაველელო?!

— ვთქვი, — დაუდასტურა აზიზმა.

— განა, ერთი კვირისთვის საკმარისი წყალი არ გაქვს? — გვიდომ ტიკვებით დასაპალნებულ აქლემს გახედა.

— მესერ გვიდო, უდაბნოში არასოდეს არსებობს საკმარისი წყალი. შეიძლება, ქარბობრბალა ამოვარდეს, გზის გაგრძელება ვეღარ შევძლოთ და ერთი კვირის მაგივრად, ორჯერ ან სამჯერ მეტხანს დავრჩეთ უდაბნოში. შეიძლება, წყალი დაიღვაროს; შეიძლება, უწყლოდ დარჩენილ მგზავრებს გადაეყაროთ. რა ვქნათ მაშინ?... უარი ვუთხრათ დახმარებაზე და სასიკვდილოდ



გავნიროთ?.. არა, მესერ გვიდო, აქ არასოდეს არსებობს ზედმეტი წყალი. ყოველ წვეთს ოქროს ფასი ადევს.

— ოფლს ვერაფერი მოვუხერხებ. თვალებს მწვავს. წყურვილს უფრო ადვილად ავიტან, ვიდრე თვალების წვას, — შესჩვილა გვიდომ.

— ეგ ვენეციელთა სენია. ვერ ეგუებით სიცხეს. ზღვაოსნები კარგები ხართ, მაგრამ უდაბნოში არაფერი გესაქმებათ, — ამ სიტყვებთან ერთად აზიზმა ქისიდან შაქარყინულის მსგავსი ნატეხები ამოიღო და გაუნოდა.

— რა არის ეს? — გვიდომ ყურადღებით შეათვალა თეთრ-რუხი ნატეხები.

— მარილია... ენის ქვეშ დაიდგე. ერთი ნატეხი რომ გადნება, მეორე ჩაიდგე, — დაარიგა აზიზმა.

— ხომ არ შეიშალები?! — ბრაზი მოერია გვიდოს, — წყურვილისგან სული მეხუთება და კიდევ მარილი ვწუნო?!

— რა უფრო განუხებს, წყურვილი თუ ოფლი?

— ოფლი!

— ჰოდა მაგის ნამალიც ეგ არის... ხედავ, — აზიზმა მშრალ შუბლზე მოისვა ხელი, მერე კი ვენეციელის დასარწმუნებლად პირში მარილის მოზრდილი ნატეხი ჩაიდო.

ვიდრე ჩაუში გვიდოს მარილის სასწაულმოქმედებაში არწმუნებდა, მუროჩი ჰასანს წამოეწია და საუბარი გაუბა.

— სად გამოჩნრივე ეს ჩამომხმარი მოხუცი?

— გაგაბრაზა? — ჩაიცინა ჰასანმა.

— არა... მაგრამ თავი მომაბუზრა გაუთავებელი ლაყბობით.

— გეჩვენება?

— რა მეჩვენება? — გაიკვირვა მუროჩი. — რაც უდაბნოში შემოვედით, ენა არ გაუჩერებია.

— აზიზი გამოცდილი ჩაუშია. ხომ შენიშნე, რომ მუდამ შენი და გვიდოს სიახლოვეს ტრიალებს, თავის ხალხს კი იშვიათად ელაპარაკება?! — ალბათ იმათ უკვე მოაბუზრა თავი.

— არა... უბრალოდ შენ და გვიდო პირველად ხართ უდაბნოში.

— და რა ამით?

— უდაბნოს ერთფეროვნება თავისებურად მოქმედებს ადამიანზე. საკუთარ თავზე გამოიხდება. წარსულის ტვირთს მუდამ თან დავატარებთ. დროდადრო ვისხენებთ იმ ტკივილს, რაც ადრე განვიცდიდა. ზოგჯერ ძილის წინ, ზოგჯერ, უბრალოდ, მარტო ყოფნისას. უდაბნო კი აათმავებს და აასმავებს იმ ტკივილს და როგორც არ უნდა ეცადო, ფიქრს ვერსად გაექცევი. ცდილობ, თავი აიძულო, სხვა რამეზე იფიქრო, მაგრამ არაფერი გამოგივა.

წარსულის ხილვები ისევ ცოცხლდება. უფრო და უფრო მწვავე ხდება. ასე გადის ერთი დღე, მეორე... მესამე... თუ ეს გადაიტანე და არ შეიშალები, მაინც დაიტანჯები. ეს კარგად იცის აზიზმა და ცდილობს, ლაპარაკით მოგწყვიტოს ფიქრს.

— გამოდის, რომ ტყუილად ვანყენინე? — გახედა მუროჩიმ.

— არა... აზიზი ამ საქმეში ფულს იღებს. მაგის საქმე მარტო მეგზურობა არ არის. დროულად და ჯანმრთელები უნდა გაგვიყვანოს უდაბნოდან და ცინის საზღვრამდეც მიგვაცილოს, — უპასუხა ჰასანმა.

— კარგი, მაშინ მეც დავეხმარები, იმ ფულის დამსახურებაში, — ჩაილაპარაკა მუროჩიმ და ცხენი უკან მიაბრუნა.

ეს დროულიც იყო. გვიდოს უკვე ხმლის ვადა ჩაებლუჯა, გამშაგებული უყვიროდა ჰასანის ნაქებ მეგზურს, დროდადრო იფურთხებოდა და ტუჩებს ხილაბანდით იწმენდა.

— ხომ არ შეიშალები, ბებერო? რატომ მომატყუე?! — აზიზი ლიმილით პასუხობდა და შემრიგებლურად გაიძახოდა:

— არა, მესერ გვიდო, არ მომიტყუებხარ. უნდა მოითმინო.

— რა მოგდის? — გაოცებით ჰკითხა მუროჩიმ.

— ამ ბებერმა არამზადამ მირჩია: მარილი მოწუნე (მარილის ნუნა წყურვილთან ბრძოლის ბედუნური წესია; ორგანიზმი მარილის კონცენტრაციის ამალეებაზე რეაგირებს და ოფლის გამოყოფა მცირდება. შედეგად სითხე სხეულში რჩება და წყურვილის შეგრძნება იკლებს) და ოფლი აღარ დაგედინებაო! — უპასუხა გვიდომ.

— მაგისთვის ნუ გალანძლავ. არ



მოუტყუებხარ. მარილი მართლაც შეგამრობს ოფლს, მაგრამ შენ შეჩვეული არა ხარ ამას და მოთმენაც გიჭირს, — ჩაურთო ჰასანმა.

გვიდოს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. ტყავის მათარას წაეჭანა, რათა წყალი დაეღია, მაგრამ აზიზმა ამის

საშუალება არ მისცა. უზანგებზე წამოინია, მათარა ხელიდან გამოჰკლიჯა და უთხრა:

— არ დალიო, უფრო მოგანყურებს. ახლა სალამომდეც რომ სვა წყალი, წყურვილს მაინც ვეღარ მოიკლავ.

პასუხად გვიდომ მათარასი მოუქნია, მაგრამ ბრძოლებში ნაცადმა ჩაუშმა ისევ იმარჯვა, სხარტად გაერიდა დარტყმას, ცხენი შეაბრუნა და მუროჩის ამოეფარა, რათა გვიდოს მეორედ არ მოეღერებინა მათარასი. ვენეციელს არც უფიქრია შეჩერება. თავადაც მოზიდა ალვირი და უკან მიჰყვა ჩაუშს. ვინ იცის, რით დამთავრდებოდა შეხლაშემოხლა, ჰასანი რომ არა. ის წინ გადაუდგა გვიდოს, შეაჩერა და ქარავნის ბოლოსკენ წაიყვანა. აზიზმა კი მუროჩისთან გააბა ლაპარაკი.

— ხედავ, რა არის ცხოვრება? სიკეთის გაკეთება მინდოდა და ამისთვის კინალამ მათარასი მითავაზე.

— არაფერია. გვიდო გულბოროტი არ არის. მალე გადაუვლის წყენა, — დაამშვიდა მუროჩიმ.

— შენ?... შენ თუ გადაგივლის გაბრაზება?

— უკვე გადამიარა, — გაეცინა მუროჩის.

— მაშინ გურჯი არ ყოფილხარ, — ეჭვით შეხედა აზიზმა, — გურჯი ასე ადვილად არ ივიწყებს წყენას!

— რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, გურჯი ვარ თუ — სელჩუკი. შენ შენს საქმეს გააკეთებ. მიგვაცილებ, სადამდეც ჰასანი გეტყვის, მერე ერთმანეთს დაგმორდებით და ალბათ, აღრასოდეს შეეხვდებით.

— შენ გგონია, რომ მნიშვნელობა არა აქვს?! გგონია, რომ სელჩუკი მირჩევნია გურჯს?! — რა, არ გირჩევნია?

— არა!.. — აზიზი მცირე ხნით დადუმდა და მერე ბოლმით განაგრძო.

— სელჩუკი ჩემსავით მუსლიმანია, მაგრამ ის ჩემი თანამომე არ არის. თანამომე ჩემს ქალაქში სისხლის ზღვას არ დააყენებდა. სელჩუკებმა ამოწყვიტეს ჩემი ოჯახი, მე კი — უსუსური ყრმა, გამიტაცეს და სხვა, ჩემნაირი ოჯახების დამარბეულად მაქციეს. განა, შენც ასე არ მოხვდი ბალდადში? — მუროჩიმ დუმილით უპასუხა.

— ასე მოხვდი, — განაგრძო აზიზმა, — ჰასანიც ასე გახდა მუსლიმანი. ვიცი, რომ ის გურჯად და ქრისტიანადაა დაბადებული. რამდენჯერმე ცყოფილვარ გურჯისტანში, სალაშქროდაც და ქარავანთანაც. გურჯებს ომშიც შეეხვედრივარ და მშვიდობაშიც, მაგრამ სულ არავინაც რომ არ მენახა, მარტო ჰასანი იკმარებდა თქვენს გასაცნობად. უცნაური ხალხი ხართ. ბრძოლაში — შეუპოვარი, მშვიდობისას — გამრჯე და მომლხენი. სტუმარი გიყ-



ვართ, ამხანაგისთვის სიცოცხლეს არ დაინანებთ, შურისმაძიებლებიცა ხართ და პატიებაც შეგიძლიათ... სპარსელები ყოველთვის პატივს სცემდნენ ასეთ ხალხს. ასეთია ჰასანი და ალბათ შენც ასეთი იქნები. სხვაგვარად, აქ არ იქნებოდი. განა, ჰასანი სხვას ვერ დაიამხანაგებდა?! ბაღდადში ბევრზე ბევრია გულმაგარი და ხიფათისმაძიებელი კაცი. უარს არავინ ეტყოდა და სიხარულითაც გამორკვევდნენ, მაგრამ ჰასანს არ უყვარს სელჩუკები. მარტო გულადობასა და ხიფათისმაძიებლობაში არ არის საქმე. ჰასანი ულალატო კაცია და თავისი ამხანაგებისგანაც იმავეს მოითხოვს. შორეულ ქვეყანაში მოგზაურობა კი იგივე ომია და თუ გვერდით სანდო და ერთგული ამხანაგი არ გყავს, დასაღუპავად ხარ განწირული...

— განა, სელჩუკებს შორის არ არიან ულალატო კაცები? — ჰკითხა მუროჩიმ.

— არიან, როგორ არა, მაგრამ ისინი ერთმანეთს ერთგულობენ. ისინი დამპყრობლები არიან, ჩვენ — დაპყრობილი ხალხი. ყველა სელჩუკი ბატონად მიიჩნევს თავს და ჩვენგან უსიტყვო მორჩილებას ელის. შენ ვერასოდეს გახდები მისი ამხანაგი, თუ დასჭირდა, დაუფიქრებლად გაგწირავს. აი, ასეთი არიან სელჩუკები და ახლა თავად თქვი: ვის ამხანაგობას მოვინდომებდი შორ გზას მიმავალი — ჩემი ქვეყნის დამარბეველი სელჩუკისა თუ ჩემსავით დაჩაგრული გურჯისა?! — აზიზი პასუხს აღარ დალოდებია. სათქმელი თქვა თუ არა, ცხენი ქარავნის ბოლოსკენ შეაბრუნა.

სამი დღე არც ადამიანი შეხვედრიათ და არც ხისა თუ ბუჩქისთვის მოუკრავთ თვალი. ირგვლივ უსიცოცხლო, გავარვარებული სივრცე გადაჭიმულიყო. ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ მორიელეები, ხოჭოები და ქვეწარმავლები თუ ხვდებოდნენ. უცნაურები იყვნენ ეს ქვეწარმავლები, არაფრით ჰგავდნენ ტყესა თუ მთებში მობინადრე თანამომხმეებს. გველები პირდაპირ კი არა, გვერდზე დახობავდნენ. აზიზმა უდაბნოში შესვლისთანავე უჩვენა იმ გველის მიერ სილაზე დატოვებული კვალი და გაფრთხილებაც მისცა: ქვიშაზე ამგვარი კვალი თუ შეგხვდათ, მისი დამტოვებლის გამოჩენას ნუ დაელოდებით, მაშინვე იქაურობას გაეცალეთ, რამეთუ ძალიან ბევრს უგუნურს დაუჯდა ძვირად უდაბნოს გველებსა თან შეხვედრათ.

გველებსა თან უცნაური იყვნენ სილაზე სწრაფად მორბენალი ხვლიკები. ისინი მრავლად ხვდებოდნენ გზად მიმავალთ. ქვიშის გორაკებიდან ადევნებდნენ თვალს მოახლოებულ მგ-

ზავრებს. მერე კი უეცრად მოსწყდებოდნენ ადგილს და თვალის დახამხამებაში უჩინარდებოდნენ.

უდაბნოში სხვა უცნაურობებიც აღმოაჩინეს: გავარვარებული ქვიშის სამყარო არნახულ სურათებს უჩვენებდა მგზავრებს. დროდადრო შორეთში მათნაირი ქარავანი მოჩანდა, დროდადრო — პალმის კორომები. ერთხელ სასახლეც იხილეს. გაუკვირდათ: საიდან გაჩნდა ამ უდაბნოში პალმის კორომები ან სასახლე ვინ ააშენაო? მაგრამ უფრო გაოცებულები დარჩნენ, როცა გაიგეს, რომ უდაბნოში არც სასახლე აეგო ვინმეს და მათ სიახლოვეს პალმაც არ ყვავდა.

— მაშ, ის რა არის?! — იკითხა გაკვირვებულმა გვიდომ. — სასახლეა... გარკვევით ვხედავ, ცაში აზიდულ გუმბათებს.

— ეგ უდაბნოს შაითნის ხრიკია და მეტი არაფერი, — უპასუხა აზიზმა, — მაგ ხილვებით მგზავრებს აბნევს და ჯოჯოხეთში იტყუებს. ზოგჯერ მწვანე ჭალაში ჩაფლულ ლამაზ ტბას გიჩვენებს. სიციხით გატანჯული მგზავრი იქით იწყებს სვლას. ეჩვენება, რომ ჭალა იქვეა, ხელის ერთ განვდენაზე. მიდის... მიდის... ჩრდილისა და ცივი წყლის მოლოდინში წინ მიიწევს, მაგრამ მანძილი არ მცირდება. მერე კი ის ჭალაც და ტბაც ისევე მოულოდნელად ქრება, როგორც გამოჩნდა. მოგზაური კი მარტო მაშინ ხვდება, რომ გზას ასცდა და შაითნით ცდუნებულმა თავი დაიღუპა.

მგზავრებს მალე მოუწიათ აზიზის სიტყვების სიმართლეში დარწმუნებამ. გავიდა ცოტა ხანი და სასახლე, პალმის კორომი და ქარავანი ისევე გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა.

მგზავრობის შესამე დღეს უდაბნომ თავის სასტიკი სახე გამოაჩინა. საღამოვდებოდა. აზიზი უკვე ბანაკის დასაცემ ადგილს ეძებდა, როცა ძლიერი ქარი ამოვარდა. ქარს წვიმა მოჰყვა. აზიზმა თავი მიანება ძებნას და სასწრაფოდ დაბანაკება ბრძანა. ამჯერად მექარავნეები სხვაგვარად მოიქცნენ. აქლემები წრიულად დააწვინეს ქვიშაზე. მერე წრის შიგნით ცხენები შეიყვანეს, ისინიც დააწვინეს და ტყავის საბელებით ერთმანეთს მიაბეს. ბოლოს, თავადაც ცხენებს შორის მოიყარეს თავი. ამასობაში ქარი ნამდვილ გრიგალად იქცა. იმატა წვიმამაც. მაშინ მიხვდა მუროჩი, რაზეც ლაპარაკობდა ჰასანი, როცა უდაბნოს ხორშეკ ქარზე უამბობდა.

ქარი გამაყრუებელი ზუზუნ-გრივით უტევდა აქლემებსა და ცხენებს შორის ჩამალულ მგზავრებს. წვიმდა, მაგრამ წყალი ვერ აგრილებდა ქარს. მხურვალე ნაკადი სახეს, ყელს, ფილტვებს უწვავდა. ქარით ატაცებული სველი სილა ნესტოებში, ყურებში, თვალებში

უძვრებოდა და აუტანელ ტკივილს აყენებდა.

დილამდე გაგრძელდა უდაბნოსა და ადამიანების ჭიდილი. მზის პირველ სხივებთან ერთად, ქარი ჩაეგა, წვიმამაც გადაიღო. მგზავრებმა მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს საფრიდან გამოსვლა. მართალია, ყველა ცოცხალი გადარჩა, მაგრამ საღ-სალამათი მინც არ ეთქმოდათ. ყველაზე მეტად უდაბნოს შეუჩვევლი ვენეციელები და მუროჩი დაზარალდნენ. მხურვალე ქარმა და ქვიშამ სახე და ტუჩები დაუხეთქა. მტკვრივით სილით ამოვსებული, ჩანითლებული თვალებიდან კი ცრემლი სდიოდათ.

უდაბნოში ყოფნის მეხუთე დღეს შორეთში მწვანე ლაქა გამოჩნდა.

— ისევ ხაფანგს გვიგებს უდაბნო! — გვიდომ ხელით მიანიშნა თანამგზავრებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვენეციელი ცდებოდა. მწვანე ლაქა ის ოაზისი იყო, რომელზეც აზიზი წინა დღეებშიც ლაპარაკობდა.

წყლის სიახლოვე ცხოველებმაც იგრძნეს. აქლემებსა და ცხენებს გარეკვა აღარ სჭირდებოდათ. თავად აუჩქარეს ნაბიჯს და ნესტოებდაბერილები გაცივიდნენ მწვანე ლაქისკენ.

ყოველი ნაბიჯის მერე, ლაქა უფრო და უფრო იზრდებოდა. დღის მიწურულს კი მოგზაურების თვალწინ არნახული სანახაობა გადაიშალა. მწვანე კორომში ლურჯად კამკამებდა ტბა, რომელსაც ფრინველები დასტრიალებდნენ თავს. ნაპირებზე კი სწრაფად მიმორბოდნენ რქებჩაგრებიანი ანტილოპები. ადამიანების შემჩნევისას რამდენიმე ანტილოპამ სტვენისმაგვარი ხმა გამოსცა. ეს საფრთხის ნიშანი იყო. მთელი ჯოგი ერთბაშად მოსწყდა ადგილს და ტბის საპირისპირო მხარეს, ლელქაშში მიიშალა, მაგრამ მგზავრებს მათთვის აღარც მიუქცევიათ ყურადღება. უდაბნოს მხურვალეობით თავმოებურებულები, მაშინვე ტბისკენ გაქანდნენ და ხარბად დაუნაფნენ მაცოცხლებელ სითხეს.

ის ღამე ტბის ნაპირზე გაატარეს. გული მოიჯერეს გრილ წყალში ბანაობით. წყლის მარაგიც შეივსეს და დილით სამგზავროდ მზადებას შეუდგნენ. სამზადისი დამთავრებული არ ჰქონდათ, როცა აზიზმა ჰასანი ბანაკიდან გაიხმო.

— ამას ხედავ? — ქვიშაზე მიუთითა ჩამუშმა, როცა უახლოეს გორაკზე აღმოჩნდნენ.

ჰასანი დაიხარა და ყურადღებით დააკვირდა ქვიშაზე აღბეჭდილ ნაკვალევს.

— ღამით რალაც ლანდი შევნიშნე. ქვიშაზე იწვა და ძლივს შესამჩნევად მოძრაობდა. მერე გაუჩინარდა. მაშინ ვიფიქრე, რომ ტურა ან უდაბნოს მეღაუნდა ყოფილიყო. შეიძლება წყურვილ-



მა მოიყვანა აქ, მაგრამ ადამიანის სიახლოვმ დააფრთხო. ცოტა ხანი იწრიალა და მერე აქაურობას მოშორდა. ასე ვიფიქრე ღამით, მაგრამ დილით მაინც ამოვედი აქ. ის ლანდი ტურა ან მელა არ ყოფილა. ეს ადამიანის ნაკვალევი! — თქვა აზიზმა.

— რალაც გეშლება, — ეჭვით შეხედა ჰასანმა, — ადამიანი რატომ გაგვერიდებოდა?!

— არაფერი მეშლება... მთელი ცხოვრება უდაბნოში გაატარე. ნაკვალევის ამოცნობაში არ შეეცდები, — ამ სიტყვებთან ერთად აზიზი ქვიშაზე განვა და ლაპარაკი განაგრძო, — აქ ორი კაცი იყო. აქამდე ცოცვით მოვიდნენ. შუა უდაბნოში ცხენების ან აქლემების გარეშე ვერ მოხვდებოდნენ. გამოდის, რომ ცხენები მოშორებით დატოვეს. ალბათ ამხანაგებიც ეყოლებოდათ...

— მესმის, რომ კარგად ერკვევი კვალის ამოცნობაში, მაგრამ იქნებ ეგ კვალი ძველია, — შეაწყვეტინა ჰასანმა.

— ისეც ცდები. სად გაგონილა უდაბნოში მყოფი მოგზაური, ტბას ახლოსაც კი არ გაეკაროს?! ტბის ნაპირზე ადამიანის ნაკვალევი არ არის. თანაც ქვიშა დიდხანს არ ინახავს ნაკვალევს. საკმარისია ნიავის ერთი წამოქროლება და ყველაფერი მოსწორდება. მერწმუნე, ჰასან, ეს გუშინდელი ნაკვალევი იმ ლანდმა დატოვა, რომელსაც თვალი მოვკარი.

— ესე იგი, ისინი შეგნებულად გაგვერიდნენ? — ჩაილაპარაკა ჰასანმა.

— არა... არა, — თავი გაიქნია აზიზმა, — საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე გგონია. ეს ხალხი ჩვენ შემდეგ მოვიდა აქ. ჩვენ წინ რომ ევლოთ, ნაკვალევს ნავაწყებოდით, მაგრამ მე არაფერი მინახავს. ისინი კვალში გვედგნენ. ფრთხილად მოგვევებოდნენ უკან და ალბათ ყოველ ღამეს ჩვენი ბანაკის თვალთვალში ატარებდნენ. ახლა კი შგონია, რომ გაგვისწრეს და ჩვენზე წინ მიდიან.

— რისთვის უნდა მოქცეულიყვნენ ასე?

— არ ვიცი, მაგრამ ასე მარტო ის იქცევა, ვისაც ბოროტება აქვს ჩაფიქრებული. კარგად გაიხსენე, ორმუშში ვინმე ხომ არ გითვალთვალებდა?

— არა... — თავი გაიქნია ჰასანმა. — არავინ შემინიშნავს... არც შემინიშნავს და ვერც ვხვდები, რისთვის უნდა მდევნიდეს ვინმე.

— ვეწვილები სანდონი არიან? — შო... სანდო ხალხია.

— გურჯი? — განაგრძო აზიზმა.

— მასზე ლაპარაკიც არ ღირს.

— ტვირთში რაიმე განსაკუთრებულად ღირებული ხომ არ გაქვს — ისეთი, რისთვისაც მძარცველები უდაბნოში შემოყოლასაც არ მოერიდებოდნენ? — გამოკითხვა განაგრძო აზიზმა.

— ბაჰრეინის მარგალიტი, მაგრამ მაინც არა მგონია, რომ მარგალიტის გულისთვის ამხელა გზა გამოევლოთ. ასეც რომ იყოს, წინა დღეებში რატომ არ დაგვეხსნენ თავს?

— არ ვიცი, — ჩაილაპარაკა აზიზმა. მერე კი ადგა და ქვიშაზე ალბეჭდილ ნაკვალევს მიჰყვა.



აზიზმა მომდევნო ბორცვს მიღმა მიაგნო, რასაც ეძებდა. ქვიშაზე გარკვევით მოჩანდა ცხენებისა და ადამიანის ნაკვალევი.

— ხედავ? — მიუბრუნდა ჰასანს. — ახლა ყველაფერი გასაგებია. ისინი სამნი იყვნენ. მთელი დღე ჩვენს კვალს მოჰყვებოდნენ. ტბასთან მოახლოებისას მარჯვნივ გადმოუხვიეს, რომ პირდაპირ არ მოგვედგომოდნენ. აქ კი ერთმანეთს დაშორდნენ. ცხენები და ერთი მათგანი აქ დარჩნენ. გორაკი საიმედოდ ფარავდა. ტბის ნაპირიდან ვერაფერს დავინახავდით. მათგან ორი კი ჩვენკენ წამოვიდა. გორაკის ძირამდე ფეხით იარეს. მერე ქვიშაზე განვინ და ცოცვით განაგრძეს გზა. გორაკის თავზე შეჩერდნენ. რალაც დრო ჩვენს ბანაკს ზერავდნენ. მერე უკან გაბრუნდნენ და აქაურობას გაეცალნენ. ეტყობა, ჩქარობდნენ. მთელი დღე იარეს და დასასვენებლად არ შეჩერებულან... — აზიზმა წვერი მოიფხანა და ლაპარაკი განაგრძო. — სამში ხალხი ჩანს, გაბედულებიც არიან და უდაბნოს ავანჩავანშიც კარგად ერკვევიან — სხვაგვარად, სამნი ამ გზაზე წამოსვლას ვერ გაბედავდნენ. ამტანი ხალხი ყოფილა. მივივრს, როგორ გადაურჩნენ იმ ქარბორბალას... კიდევ ერთი რამ არ მომწონს. ისინი ხუთი დღე-ღამე გვედგნენ კვალში და ჩვენს ბანაკს ერთხელაც არ მოახლოებიან, შორიდან გვითვალთვალებდნენ. აქ კი გადაგვისწრეს და წინ წავიდნენ. ამაში მარტო ერთ მიზეზს ვხედავ. სამნი თავდასხმას ვერ გაბედავდნენ...

— იქნებ, ახლომასლო ამხანაგებიც ჰყავთ და წინ იმიტირებ გადაგვისწრეს, რომ ისინი გააფრთხილონ და გზად ჩაგვისაფრდნენ? — ჰასანი თავადაც მისვდა, რისი თქმა უნდოდა ჩაუშს.

— შეიძლება, ასეც სურდეთ, მაგრამ ეგ ასე იოლი არ იქნება. ყველაზე ადვილი აქ, ტბაზე ჩასაფრება იქნებოდა. იოლი გასათვლელია, რომ ჩვენ ტბას გვერდს არ ავუვლიდით. წინა დღეებშიც შეეძლოთ ჩვენი გასწრება, ამხანაგების გაფრთხილება და ჩვენთვის ხაფანგის მოშალება. თანაც ამხანაგები ამდენ ხანს უდაბნოში ვერ დაელოდებოდნენ. ისინი სადმე უდაბნოს მიღმა უნდა იყვნენ. ისინი კი მხოლოდ ერთი ღამით დანინაურდნენ. ეს ძალიან ცოტა დროა ამხანაგების გასაფრთხილებლად. აქედან უღელტეხილის მისადგომებამდე ორი დღის სავალია. მათ იციან, ჩვენ არ შეეჩერდებით. თავადაც ვერ ივლიან ჩქარა. უდაბნო და დაღლილობა არ მისცემთ ამის საშუალებას. ამხანაგები რომც გააფრთხილონ, უკან მოსაბრუნებელი და ხაფანგის მოსაწყობი დრო აღარ დარჩებათ. ვიდრე ისინი ამას მოასწრებენ, ჩვენ უდაბნოს განაპირას, ქალაქ ბალქის მისადგომებთან ვიქნებით. ბალქი კი კარანაუსელთა სამფლობელოების საზღვარზეა და იქ სულთნის დიდი ჯარი დგას. ჩვენ რომც დაგვარბიონ, სულთნის მეომრებს ვერსად წაუვლენ. მაშინ უდაბნოში მოუწვეთ შემობრუნება, მაგრამ ამით თავს ვერ გადაირჩენენ. სულთნის ჯარი კვალში ჩაუდგება, ორმუშამდე სდევს და მაინც მოიხელთებს.

— ბალქის შემდეგ რომ ჩაგვისაფრდნენ? — ივარაუდა ჰასანმა.

— არა... ბალქის მერე კარანაუსელთა სამფლობელო იწყება. მხოლოდ შემოვლილი თუ გაბედავს მათ მინაზე ქარავანზე თავდასხმას.

— თავად კარანაუსელები რომ იყვნენ?

— ამაშიც ცდები. ისინი მთის ხალხია, უდაბნოს გაურბიან. თანაც კარანაუსელთა შეიარაღებული რაზმი სულთნის მხედრებს არ გამოეპარებათ.

— მაშინ რა გამოდის?... — დაიბნა ჰასანი. — ვინ გვედევნის, თუ ისინი არც კარანაუსელები არიან და არც — სელჩუკები?... იფრითები ხომ არ ჩაგვიდგნენ კვალში?!

— შაითანს მრავალი ხრიკი მოუწყია ჩემთვის, მაგრამ ქვეყნად არ არსებობს იფრითი, რომელიც ცხენდაცხენ დაჰყვებოდეს და ქურდულად უთვალთვალბდეს ქარავანს. ისინი ჩვეულებრივი მოკვდავები არიან და დარწმუნებული იყავი, მალე მოგვიწევს მათთან შეხვედრა, — ჩაილაპარაკა აზიზმა და ბანაკისკენ შებრუნდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში




15 მუსიკოსის ერთობლივი სინგლი

თანამედროვე მუსიკალური სამყაროს 15 ყველაზე ცნობილი და წარმატებული წარმომადგენელი ერთობლივი სინგლის ჩასაწერად შეიკრიბა. კომპოზიციაში — Just Stand Up ისეთი ვარსკვლავების ხმები აულერდება, როგორებიც არიან: მერაია ქერი, ბეიონსი, მერი ჯეი ბლაიჯი, რიანა, ფერჯი, შერილ ქროუ, მაილი საირუსი, აშანტი, ნატაშა ბედინგფილდი, კეიშა ქოული, სიარა, ლეონა ლუისი და სხვები. ამერიკის რადიოსადგურების ეთერში სინგლის პრემიერა 2 სექტემბერს შედგება. ამავე დღეს დაიწყება სინგლის გაყიდვა iTunes-ზე, მიღებული შემოსავალი კი ონკოლოგიურ დაავადებათა კვლევის საქველმოქმედო ორგანიზაციის ანგარიშზე ჩაირიცხება. კომპოზიციის პროდიუსერია ანტონიო ლ.ა. რეიდი. 5 სექტემბრისთვის დაწინაურულ საქველმოქმედო ტელეკონცერტში — Stand Up to Cancer — კომპოზიციის შესრულებელი თხუთმეტივე მომღერალი მიიღებს მონაწილეობას. შოუ ტელეარხებით — ABC, NBC და CBS გადაიციება. ცნობილია ისიც, რომ კონცერტში ჯენიფერ ენისტონი, სელმა ჰაიეკი, მერილ სტრიპი და რიზ უიზერსპუნიც მიიღებენ მონაწილეობას. შეგახსენებთ, რომ 2007 წელს დაარსებული საქველმოქმედო აქცია — Stand Up to Cancer — ცნობილ ადამიანებსა და მსხვილ კომპანიებს მოუწოდებს, კიბოსთან ბრძოლის საქმეში საკუთარი წვლილი მათაც შეიტანონ.



დენიელ რედკლიფს ტვინის იშვიათი დაავადება აღმოაჩნდა



ჰარი პოტერის შესახებ გადაღებული მრავალრიცხოვანი ფილმის წყალობით სახელმწიფოში მსახიობმა დაადასტურა, რომ იგი ურთულესი სენით — დისპრაქსიით არის დაავადებული. რედკლიფის თამაშის შემყურე ადამიანს გაუჭირდება იმის წარმოდგენა, რომ 19 წლის ყმაწვილს ფეხსაცმელზე თასმების შეკვრა არ შეუძლია!.. დისპრაქსია — იშვიათი დაავადებაა. ექიმების მიერ ეს დიაგნოზი მაშინ ისმება, როდესაც ადამიანს მიზანდასახული მოძრაობის სწორად შესრულების უნარი არ აქვს. ამ სენით შეპყრობილს ხშირად უბრალოდ, მოუხერხებელ ადამიანად მიიჩნევენ. ის წებისმიერ სფეროზე ახდენს გავლენას — იქნება ეს ფიზიკური, ინტელექტუალური თუ ენობრივი. დაავადებულ ადამიანს სწავლაც უჭირს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული სენი მამაკაცებში 4-ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე ქალებში.

ახალგაზრდა მსახიობი ამბობს, რომ დაავადებამ მის ბედს უდიდესი კვალი დაამჩნია. მან სწორედ სწავლაში ჩამორჩენის გამო გადაწყვიტა, რომ ბედი კინემატოგრაფში ეცადა. დისპრაქსიას მრავალი ფორმა აქვს და რედკლიფს დიდად გაუმართლა, რომ მსუბუქი ფორმის დარღვევები აღენიშნება. ჩვეულებრივ, დაავადებულ ადამიანებს კიბეზე ასვლა, სირბილი, სტუნვა და ბურთზე ფეხის დარტყმაც კი უჭირთ.

დენიელ რედკლიფი მსახიობობაზე 5 წლის ასაკიდან ოცნებობდა, მაგრამ დედა ხშირად უშეშებდა, — ეს საშუალო საქმე არ არისო. წინააღმდეგობამ ბავშვის გატაცება კიდევ უფრო გაამძაფრა. 9 წლის დენიელს მშობლებმა BBC-ის მიერ ჩარლზ დიკენსის რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმში — „დევიდ კოპერფილდი“ სინჯვებზე წასვლის უფლება მისცეს და ამ დღემ მისი მომავალი განსაზღვრა. 2000 წლისთვის, ჯერ კიდევ „პოტერიანის“ გადაღებების დაწყებამდე, ნიჭიერი დამწყები მოზარდის შემოსავალმა 34 მილიონ დოლარს გადააჭარბა. „ჰარი პოტერის“ შესახებ გადაღებული ფილმების უდიდესი თაყვანისცემელი ვარ და ძალიან მიკვირს, რომ რედკლიფი დისპრაქსიით არის დაავადებული. მას აშკარად მსუბუქი ფორმა აქვს, მაგრამ ის ფაქტი, რომ დენიელი დაავადებას არ იმჩნევს, მისი შესანიშნავი სამსახიობო მონაცემების წყალობაა. დენიელი — მისაბაძი მაგალითია მათთვის, ვინც ამავე დაავადებით იტანჯება“, — ამბობს ნიუ-იორკის სამედიცინო უნივერსიტეტის ნევროლოგი, დოქტორი დევიდ იანგერი.

დენიელის დაავადება მისმა წარმომადგენელმა დაადასტურა: „რედკლიფს არასდროს დაუფარავს, რომ დისპრაქსიით არის შეპყრობილი. საბედნიეროდ, სენი ძალზე მსუბუქი ფორმებით მიმდინარეობს და ყველაზე მძიმე შემთხვევაში, ცუდი კალიგრაფიისა და ფეხსაცმლის თასმების შეკვრის პრობლემის სახით მჟღავნდება“.

სკანდალი „ოლიმპიურში“ და ჩამოილილი კონცერტი

მოსკოვის საკონცერტო დარბაზში — „ოლიმპიური“ — ინგლისური ჯგუფის — Iron Maiden კონცერტზე, რომელსაც 10000 მსმენელი ესწრებოდა, ფსიქიკურად დაავადებული ახალგაზრდა თავს დაესხა მაყურებლებს. თავდასხმის შედეგად, 3 ადამიანი დაშავდა. გიჟური მზერა და ის გაშმაგება, რომლითაც თავდასხმელი მაყურებლებს სცემდა, აშკარად მეტყველებდა იმაზე, რომ 23 წლის ჭაბუკი არანორმალურია. ხალხის სიმრავლის გამო მილიციამ დამნაშავეს აღმოჩენა დააგვიანა. პუბლიკას პანიკა დაუფლდა, მით უმეტეს, რომ დარბაზში ხმა გავრცელდა, თითქოს მანიაკი შეიარაღებული იყო. „უხედავდი, რომ ამ გოქმა ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიყო, თითქოს დანის ან პისტოლეტის ამოღებას აპირებდა. ნამდვილად საშიში მდგომარეობა შეიქმნა!“ — ამბობენ თვითმხილველები. რამდენიმე წუთში ბრბოს სამართალდამცველებიც შეესივნენ. მასობრივი პანიკის დაწყების საშიშროება უფრო რეალური იყო. ამასობაში, „სასწრაფო დახმარების“ ექიმებიც მოვიდნენ. „ერთ მამაკაცს გულის შეტევა დაეწყო. ორ დაშავებულს პირველადი დახმარება გავუწიეთ. დაზარალებულებმა ჰოსპიტალიზაციაზე უარი თქვეს და შინ წავიდნენ“, — ამბობენ ექიმები. ცოტა ხანში მილიციამ დამნაშავე დააკავა და განყოფილებაში მიაბრძანა.



ავრილ ლავინმა ისლამური ტესტი ვერ ჩააბარა

ავრილ ლავინის მალაიზიელი ფანები სათაყვანებელ მომღერალთან შეხვედრას შესაძლოა, ვეღარ ელირსონ. ისლამურ ფასეულობათა შენარჩუნებისთვის მეზობელმა, გავლენიანმა პოლიტიკურმა პარტიამ — **Parti Islam SeMalaysia** — ქვეყნის ხელისუფლებას ოფიციალური თხოვნით მიმართა და მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში 29 აგვისტოსთვის დანიშნული კონცერტის აკრძალვა მოითხოვა, რომლითაც კანადელი პოპმუსრულებლის აზიური ტურნე უნდა დაიწყო.

ისლამის აქტივისტები შიშობენ, რომ ავრილი მოზარდ თაობაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. ისინი ფიქრობენ, რომ მომღერლის ქცევა სცენაზე „მეტისმეტად სექსუალურია“. რაც მთავარია, მალაიზიის დამოუკიდებლობის დღის წინ (31 აგვისტო) „დასავლურ ფასეულობათა ღია დემონსტრირება“ PAS-ს დაუშვებლად მიანიხა. „დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ და ჩვენი კოლონიზატორების შთამომავლები არ უნდა მოვიწვიოთ. ისინი ჩვენი შვილების უჭკუო მაიმუნებად გადაქცევას ცდილობენ, რომელთაც მხოლოდ გართობა სურთ“, — ამბობს პარტიის პრესმდივანი ჰერმან სამსუდინი.

კონცერტის ორგანიზატორები კი ირწმუნებიან, რომ ავრილ ლავინის შოუ არანაირ „ნეგატიურ ელემენტს“ არ შეიცავს. ქვეყნის ხელისუფლებას შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია.

Parti Islam SeMalaysia — კონსერვატიული შეხედულებების ორგანიზაციაა და ტრადიციულ ისლამურ ფასეულობებს ქადაგებს. ისლამური კანონების თანახმად, მაჰმადიან



ქალებს სცენაზე გამოსვლა და მყვირალა სამოსის ჩაცმა ეკრძალებათ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ მალაიზიაში გამოსვლასთან დაკავშირებით, პრობლემები გვენ სტეფანისა და ბეიონსსაც შეექმნათ. სტეფანიმ კულტურის სამინისტროს ფუნქციონერთა წინაშე პირობა დადო, რომ სცენაზე მოკრძალებულად მოიქცეოდა და სასცენო გარდერობიდან მეტისმეტად გამომწვევ სამოსსაც ამოიღებდა. ამის წყალობით, მომღერალმა მალაიზიაში გამოსვლის უფლებაც მიიღო. ბეიონსი კი იძულებული იყო, 2007 წლის ნოემბრისთვის დანიშნული კონცერტი გაუქმებინა, რადგან მომღერლის მენეჯერებმა განაცხადეს, რომ მისი თამაში კოსტიუმები შოუს განუყოფელი ნაწილია და მათ გარეშე გამოსვლა აზრს დაკარგავდა!

ჯენიფერ ენისტონის კიდევ ერთი უიღბლო რომანი

ჟურნალი **People** იუწყება, რომ ჯენიფერ ენისტონი და ჯონ მაიერი ერთმანეთს დაშორდნენ და ამ ფაქტის დასადასტურებლად, წყვილის ახლობელთა სიტყვებს იმონებებს. „ისინი ერთად თავს კარგად გრძობდნენ, მაგრამ ახლა სხვადასხვა მიზანი აქვთ“, — ამბობს მაიერის ერთ-ერთი ახლობელი და დასძენს, რომ ყოფილი შეყვარებულები ალბათ მეგობრებად დარჩებიან: „ჯონი არასდროს წყვეტს ურთიერთობას ისე, თუ ყველაფერს ნათელი არ მოპოვინა. იგი ყველაფერს იძიებს, ურთიერთობას არკვევს და მოვლენებს აანალიზებს. შემდეგ კი ყოველთვის ცდილობს, რომ ყოფილ შეყვარებულებთან მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოს“.



არადა, სულ ცოტა ხნის წინ წყვილი უზომოდ ბედნიერი და თავდავიწყებით შეყვარებული ჩანდა და ამერიკული პრესა და ტელევიზია მის ქორწილს სულმოუთქმელად ელოდა. ბედნიერი ჯენი მეგობრებს გულს უშლიდა და ამბობდა, რომ მისი ყოფილი ქმარი ბრედ პიტის მეიერის ფეხის ფრჩხილადაც არ ღირდა, რომ მათი ინტიმური ურთიერთობა ბევრად უფრო სისხლსავსე და ბედნიერების მომტანი იყო, ვიდრე მისი და ბრედ პიტის ქორწინების ოთხი წელი. ჯენიფერ ენისტონის აღფრთოვანების მიუხედავად, მისი ყოფილი საყვარელი ვინს კონი მუდამ დარწმუნებული იყო, რომ მაიერი ენისტონის შესაფერისი არ იყო და აფრთხილებდა: „ეს არასერიოზულია! ჯონი საკუთარი პოპულარობის ასამაღლებლად გიყენებს“. ენისტონს მაიერის ყოფილი სატრფო, მსახიობი ჯესიკა სიმფსონიც აფრთხილებდა: „არ მინდა, რომ ჯენიმა სხვისი შეცდომები გაიმეოროს. ჯონი — ცნობილი შექალთანეა“, — ამბობდა ჯესიკა, რომელიც მაიერს ერთი წლის წინ დაშორდა.

ლილი ალენი — EMI-ს წინააღმდეგ

ბრიტანელმა მომღერალმა ლილი ალენმა ხმის ჩამწერი ლეიბლი **EMI** მისი ახალი სტუდიური ალბომის გამოშვების განზრახ შეფერხებაში დააბანაშულა. ალენი ირწმუნება, რომ ალბომზე მუშაობა კარგა ხანია, დასრულებულია და მას ვერ გაუგია, თუ რა ხდება ლეიბლის შიგნით. „ახლა ხმის ჩამწერი ინდუსტრია ძალზე პოლიტიზებული გახდა. ამას წინათ **EMI**-ს ბევრი ძველი თანამშრომელი დაითხოვეს, რადგან ლეიბლის მფლობელი შეიცვალა. ბევრი მათგანი ჩემს პროექტზე შრომობდა და ახლა არ ვიცი, ვისთან უნდა ვიმუშაო“. ლილი ალენი თავისი შემოქმედების თავყვანისმცემელთა დამშვიდებებს ცდილობს და აცხადებს, რომ ლეიბლის მუშაობა მალე მონესრიგდება და მსმენელი მის მეორე ალბომს — **Stuck on the Naughty Step** მიიღებს. „დარწმუნებული ვარ, მალე ყველა საკუთარ საქმეს მიხედავს და ამ ფირფიტას ბოლოს და ბოლოს, მაინც გამოვუშვებთ“, — ამბობს მომღერალი.





„პრადის გაზაფხულის“

ალსანრუდი

40 წლის წინ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ჯარებმა ჩეხოსლოვაკიელ ხალხს „მშური დახმარების“ სელი გაუწოდა. არადა, დახმარება არავის უხბოვია... პოლო ხანებში გამოქვეყნებული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ეს გაუგონარი აგრესია და ჩეხოსლოვაკიის სამაგალითო დასჯა „მოძვე ქვეყანაში“ ცენზურის გაუქმებას მოჰყვა: პრადელმა რეფორმატორებმა სხვა ცვლილებების განხორციელება უბრალოდ ვერ მოასწრეს.




როგორ გასრისა „მოძვე“ ბანამ დემოკრატიის ყლორბები

გორბაჩოვის თანაშემწე ანატოლი ჩერნიაევი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას საერთაშორისო განყოფილებაში დიდხანს მუშაობდა, თავის მოგონებებში იხსენებს ბრეჟნევის სიტყვებს, რომელიც მან 1967 წლის დეკემბერში პრადაში ვიზიტის შემდეგ თქვა: „პირველი მდივანი ნოვოტნი პრეზიდენტის ნებრებს უჩივის, ისინი კი ცდილობენ, განზე გამიხმონ და პირველი მდივანი აგინონ. ეს ამბავი რაში მჭირდება? მეტი საქმე არ მაქვს, მათ ბინძურ საქმეებში ჩავერიო“. 9 თვის შემდეგ, ბრეჟნევი ჩეხოსლოვაკიის საშინაო საქმეებში უბრალოდ, კი არ „ჩავერია“, არამედ მას ჯარი შეუსიას.

მოასწრო. ზაფხულის მოახლოებასთან ერთად, ქვეყანაში გახშირდა ლაპარაკი ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესაძლო ლეგალიზაციისა და ალტერნატიული არჩევნების ჩატარების შესახებ, მაგრამ ლაპარაკი — ლაპარაკადვე დარჩა. 1956 წლის უნგრეთის მოვლენებისგან განსხვავებით, ჩეხოსლოვაკიაში არასდროს დასმულა საკითხი, ვარშავის ხელშეკრულებიდან ქვეყნის გასვლის შესახებ. როდესაც 1968 წლის 5 იანვარს მმართველი კომპარტიის სათავეში ალექსანდრე დუბჩევი მოვიდა, ერთ-ერთი პირველი, რაც მან გააკეთა, ცენზურის გაუქმება და მითითება იყო, რომელიც პარტიულ ორგანოებს ავალდებულებდა, საკუთარი მუშაობის შესახებ საზოგადოებრივ სფეროში ინფორმაცია მიეწოდებინათ. ამ მოვლენას წლების შემდგომ, საბჭოთა კავშირში „საჯაროობა“ უწოდეს.

რომელიც მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებას, სხვადასხვა კლუბსა და საზოგადოებას დაეფულა“. 23 მაისს პოლიტიბიუროს სხდომა, სადაც თავდაცვის მინისტრის გრეჩკოს ჩეხოსლოვაკიაში ვიზიტის შესახებ მოხსენება განიხილეს, ბრეჟნემა ასე შეაჯამა: „ლიბერალიზაციისა და დემოკრატიის არსი — კონტრ-რევოლუციაა!“

5 აპრილს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცეკას პლენუმმა „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის სამოქმედო პროგრამა“ მიიღო, სადაც პუბლიცისტი რადოვან რიხტის მიერ ჩამოყალიბებული ფორმულირება — „ადამიანური სახის სოციალიზმი“ შევიდა. ეს ფაქტი მოსკოვმა გამონკვად აღიქვა: როგორ, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ არაადამიანური სახე გვაქვს?!



26 აპრილს საბჭოთა ცეკას სამდივნომ უურნალ „უურნალისტის“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან გაათავისუფლა მომავალი „პერესტროიკის“ საშუალოთა მწარმოებელი ეგორ იაკოვლევი, რომლის დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ პროფესიონალურ გამოცემაში ჩეხოსლოვაკიის ახალი — ბექდვითი სიტყვის კანონის ტექსტი გამოაქვეყნა. 17-25 მაისს საბჭოთა პრემიერი ალექსეი კოსიგინი კარლოვი-ვარში ისვენებდა. 27 მაისს პოლიტიბიუროს სხდომაზე კოსიგინი უკიდურესად აღშფოთებული იყო. ადგილობრივმა ტელეურნალისტებმა ინტერვიუს დროს მას ძალზე უხერხული კითხვები დაუსვეს, შემდეგ კი ჩანაწერი ეთერში ყოველგვარი მონტაჟის გარეშე გაუშვეს! 27 ივნისს ჩეხოსლოვაკიის გაზეთებში მწერალ ლუდვიკ ვაცულიკის მიერ მომზადებული, ინტელიგენციის მანიფესტი „ორი ათასი სიტყვა“ გამოქვეყნდა. დოკუმენტის რეფორმების გაგრძელების, სიმართლის თქმის მორალური მონოდებების გარდა, განსაკუთრებულს არაფერს შეიცავდა, მაგრამ როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, ამ მანიფესტმა საბჭოთა ხელმძღვანელობის მოთმინების ფილა აავსო. 2 ივლისს გრეჩკომ (საბჭოთა კავშირის თავ-

„დემოკრატიზაცია — ეს კონტრრევოლუციაა!“

„პრადის გაზაფხულის“ ეკონომიკური გურუს — ვიცე-პრემიერ ოტო შიკის რეფორმატორული ჩანაფიქრი „საბაზრო სოციალიზმისა“ და სრული თვითდაფინანსების იდეას არ სცილდებოდა, მაგრამ მან ამ იდეების განხორციელებაც ვერ

ბოდნენ. მოსკოვის რეაქცია ელვისებური იყო. ჯერ კიდევ თებერვალში, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პეტრე შელესტის (რომელიც ჩსსრ შექმნის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე ჩასულ ბრეჟნეს თანახლდა) დღიურში ასეთი ჩანაწერი გაჩნდა: „ქვეყანაში ფარული ძალა მოქმედებს,



დაცვის მინისტრმა) ხელმძღვანელობას „ძლიერი დაჯგუფების შექმნისა და მისი სრულ მზადყოფნაში მოყვანის“ წინადადებით მიმართა. გადანყვეტილება „ჩეხოსლოვაკი ხალხის დახმარებისა და ქვეყანაში წესრიგის დამყარების“ შესახებ პოლიტიკურად 5 ივლისს მიიღო. ეს გადაწყვეტილება 17 ივლისს პლენუმზე შეკრებილ ცეკას წევრებსაც კი არ გაუმხილეს. უმეტესობამ ამ გადანყვეტილების შესახებ, მხოლოდ ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის შემდგომ, გაზეთებიდან შეიტყო. სავარაუდოა, რომ საბჭოთა ლიდერებს „წესრიგის დამყარება“ ჩეხოსლოვაკიაზე მეტად, საკუთარ ხალხში სურდათ. ისტორიკოსთა და პუბლიცისტთა ერთი ნაწილი არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობს, რომ საბჭოთა ლიდერთათვის ალტერნატიული სოციალიზმის შესაძლებლობის იდეაც კი უფრო თავზარდამცემი იყო, ვიდრე აშკარა კონტრრევოლუცია. იმ პერიოდის საბჭოთა იატაკქვეშა გამოცემებში ერთი ლექსი გავრცელდა, რომელიც დაახლოებით ამგვარი შინაარსის იყო: „ვიცი, უკეთესი მომავალი მოვა, რადგანაც დედაჩინაზე ჩვენი, საბჭოთა დუბჩიკი დააბიჯებს. ჩვენი დუბჩიკი კრემლში მალე შეაბიჯებს“... საბჭოთა დუბჩიკს კრემლამდე რომ მივლენია, ხალხს კიდევ 17 წლის ლოდინი დასჭირდა!

ვლესტი წარდა: „იგრძნობოდა, რომ მთელ ქმედებას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა (CIA) და დასავლეთ გერმანიის დაზვერვის გამოცდილი ხელი წარმართავდა“. სინამდვილეში კი ჩეხოსლოვაკიაში ღიად მოქმედებდა სუკის წარმომადგენლობა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ეშელონში უამრავი ნახევრად ოფიციალური და უჩუმი „მეგობარი“ და თანამშრომელთა უზარმაზარი შტატი ჰყავდა. ლუბიანკასთან თანამშრომლობა სამშობლოს ლაღატს სულაც არ ნიშნავდა, უფრო მეტიც, ამგვარი კონტაქტები ხშირად წარმატებული კარიერის საფუძველი ხდებოდა. დასავლეთის დაზვერვა ასეთ შესაძლებლობებზე ვერც კი იოცნებებდა. დღეს არსებული მონაცემებით, ქვეყანაში შეჭრის წინ, საბჭოთა და ვარშავის პაქტის ქვეყნების დაზვერვა, მომავალი ძალისმიერი ქმედებების გასამართლებლად აქტიურ „სპეცოპერაციებს“ ატარებდა. ასე მაგალითად: მასში გაზეთმა „ბერლინერ ცაიტუნგმა“ სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნა: თურმე პრალაში 8 ამერიკული ტანკი უნახავთ! აღმოჩნდა, რომ პრალის ქუჩებში ისტორიული ფილმის გადაღებები მიმდინარეობდა. ტანკი არავის უნახავს, სტატისტიკების ჯგუფს კი მართლაც ამერიკული სამხედრო ფორმა ეცვა. ივლისის შუა რიცხვებში პოლიციამ ანონიმური წერილის მეშვეობით, დასავლეთ საზღვართან ახლოს მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ამერიკული ავტობუსებით სასვ 5 ყუთი აღმოაჩინა. საბჭოთა გაზეთებმა ერთი ამბავი ატყეს: ამერიკელები კონტრრევოლუციონერებს უკვე იარ-


ალით ამარაგებენ! ჩეხოსლოვაკიის შსს-ს თანამშრომლებმა სწრაფად დაადგინეს, რომ ეს იარაღი ცოტა ხნის წინ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განთავსებული საბჭოთა ჯარების საწყობში ინახებოდა. ასეთივე უხერხული სიტუაცია შეიქმნა გავრცელებულ ცნობასთან დაკავშირებით, რომელიც დასავლეთ გერმანიიდან საიდუმლოდ შემოტანილი რადიოსადგურების აღმოჩენის შესახებ იუწყებოდა. აღმოჩნდა, რომ ეს საშაღავები საომარი სიტუაციის შემთხვევისთვის თავად ჩეხოსლოვაკიის უშიშროებაში მოამზადა. როდესაც ქვეყანაში მილიციის გარეკვის მოთხოვნით ხელმწიფების შეგროვება დაიწყო, შს მინისტრმა იოჟეფ პაველმა აღმოაჩინა, რომ ხელმწიფებს ჩეხოსლოვაკიელი „ჩეკისტები“ მისი პირველი მოადგილის სუკთან დაახლოებული ვილიამ შალგოვიჩის ბრძანებით აგროვებდნენ! დასავლელი ტურისტების პასპორტებით შენიღბული საბჭოთა აგენტები პრალის ქუჩებში ნამაქეზებელ ფურცლებს აკრავდნენ. გაზეთმა „პრავდა“ თითქოსდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შემუშავებული „იდეოლოგიური დივერსიის გეგმა ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ“ გამოაქვეყნა. 1991 წლის შემდეგ გაირკვა, რომ ეს დოკუმენტი სსრკ სუკის A სამსახურმა მოამზადა (ქვედანაყოფის კოდური დასახელება ფრაზის „აქტიური ქმედება“ პირველ ასოს წარმოადგენს, რაც პროფესიონალურ უარგონზე დეზინფორმაციის ღონისძიებებს ნიშნავს).

18 აგვისტოს დილის 9 საათზე საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს შენობის მეორე სართულზე უმაღლესი გენერალიტეტი შეიკრიბა. შეხვედრას მარშალი ანდრეი გრეჩკოც ესწრებოდა. 38-ე გაერთიანებული არმიის ყოფილი სარდალი, გენერალი ალექსანდრ მაიოროვი (რომლის არმია ერთ-ერთი იყო იმ სამი: არმიიდან, რომელთაც ოკუპაცია უნდა განეხორციელებინათ), ამ შეხვედრის შესახებ თავის წიგნში („შეჭრა. ჩეხოსლოვაკია. 1968“) მოგვითხრობს. გრეჩკომ დამსწრეთ ჩანაწერების გაკეთება სასტიკად აუკრძალა და განაცხადა: „ეს წუთია, პოლიტიკურის სხდომიდან დაებრუნდი. მიღებულია გადაწყვეტილება ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ჯარების ჩეხოსლოვაკიაში შეყვანის შესახებ. ეს გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს, თუნდაც მან მესამე მსოფლიო ომამდე მიგვიყვანოს.“ რეალურად კი გენერალიტეტის სხ-

დომანზე, ჩეხოსლოვაკიის ოპერაციის გარდა, შეიარაღებულ ძალთა ბირთვული კონფლიქტისთვის მზაობის საკითხი განიხილებოდა. სადესანტო ჯარების მხედართმთავარმა ვასილი მარგელოვმა მინისტრს უპასუხა: „ამხანაგო მინისტრო, ჩემი 7 დივიზია მზადაა, ნებისმიერი მტერი გაანადგუროს!“ „მშვიდად, გენერალო, მშვიდად“, — გრეჩკომ გენერლის ალტყინება გაანელა... შეჭრის შემდეგ, საერთაშორისო მდგომარეობისადმი მიძღვნილ, ნახევრად



„მიღებულია გადაწყვეტილება ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ჯარების ჩეხოსლოვაკიაში შეყვანის შესახებ. ეს გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს, თუნდაც მან მესამე მსოფლიო ომამდე მიგვიყვანოს“



დახურულ ლექციებზე პარტიული კომიტეტების წარმომადგენლები მსმენელს „საიდუმლოდ უზიარებდნენ“ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა ჯარებმა ჩეხოსლოვაკიაში შესასვლელად გამზადებულ ამერიკელებსა და დასავლეთ-გერმანელებს მხოლოდ რამდენიმე საათით დაასწრეს. რთული სათქმელია, საბჭოთა ხელისუფლება პროპაგანდას ეწეოდა თუ მისი წარმომადგენლები ანტიდასავლური პარანოიის მსხვერპლნი თავადვე იყვნენ... 1968 წელს ვიქტორ სუვოროვი ცნობილი წიგნის — „ყინულმჭრელი“ — ავტორი და სამხედრო დაზვერვის სამმართველოს (ГРУ) თანამშრომელი ჯერ კიდევ არ იყო. მაშინ იგი კარპატისპირე-



დუბჩეკმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა და საბჭოთა დელეგაცია იძულებული გახდა, ბოდიში მოეხადა

თის სამხედრო ოლქში სატანკო ოცეულს მეთაურობდა. წიგნი — „განმათავისუფლებელი“ — სუვოროვი წერს, რომ ოპერაციის დაწყების წინ საბჭოთა მეთაურების წინაშე დასახული ამოცანის თანახმად, ისინი ნატოს ტანკებთან შესახვედრად მზად უნდა ყოფილიყვნენ. ცეცხლი არ უნდა გაეხსნათ. მაგრამ ქვეყანაში რაც შეიძლება ღრმად უნდა შესულიყვნენ, რადგან გამორიცხული არ იყო, ჩეხოსლოვაკია „დასავლეთ“ და „აღმოსავლეთ“ ნაწილებად დაყოფილიყო.

მაშინ, როდესაც საბჭოთა პროპაგანდა ჩეხოსლოვაკიაში დასავლეთის „აზრდილს“ ებრძოდა, ვაშინგტონში საბჭოთა კავშირის ელჩმა ანატოლი დობრინინმა 21 აგვისტოს ლინდონ ჯონსონთან სასწრაფო შეხვედრა ითხოვა. დობრინინი იხსენებს, რომ შეხვედრის პირველ ნუთებში ამერიკის პრეზიდენტს გონების დაძაბვა დასჭირდა იმისათვის, რომ გახსენებოდა, თუ რა ქვეყანაა ჩეხოსლოვაკია და სად მდებარეობს იგი...

შეზღუდული სუვერენიტეტი

1968 წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირის ელჩი პრალაში სტეპან ჩერვონენკო პოლიტიკურს სხდომაზე მოხსენებით წარდგა იმის შესახებ, თუ როგორი იქნებოდა პოლიტიკური დანაკარგები საკითხის ძალიან მძიმერი მეთოდით გადაჭრის შემთხვევაში. ჩერვონენკო იხსენებს, რომ შესვენების დროს ბრეჟნევი გვერდით მიუჯდა და „გული გადაუშალა“: „თუ ჩეხოსლოვაკიას დაკვარგავთ, გენერალური მდივნის პოსტს დაგტოვებ!“ გადიპლომატებული ყოფილი პარტიული მუშაკი ოდნავადაც არ გაოცებულა, როდესაც გენერალურმა მდივანმა სუვერენული სახელმწიფო ყოფილიყვნია, თითქოს მისი საქართვება ყოფილიყვნია.

შეჭრის შემდგომ, ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელობასთან მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე ბრეჟნევის საკუთარი პოზიციის არგუმენტაციამ მოუწია. „საშინაო პოლიტიკაში იმას აკეთებთ, რაც მოგესურვებათ და ანგარიშს არ უწევთ, მოგეწონს ჩვენ ეს თუ არა. ჩეხოსლოვაკია მი

ტერიტორიის ფარგლებში შედის, რომელიც ომის წლებში საბჭოთა ჯარისკაცმა გაათავისუფლა. ამ ტერიტორიის საზღვრები — ჩვენი საზღვრებია და ეს სამუდამოდ ასე იქნება!“ როდესაც დასავლეთში ამ კონცეფციას „შეზღუდული სუვერენიტეტის დოქტრინა“ უწოდეს, მოსკოვში სასტიკად აღშფოთდნენ და თავად ეს ტერმინი ანტისაბჭოთა ცილისწამებად შერაცხეს.

კლასობრივი ძმები

ვარშავის პაქტის სხვა ქვეყნების ლიდერები მეზობელი ქვეყნების ოკუპაციაში მთავარი დამნაშავენი არ იყვნენ, მაგრამ ისინი დანაშაულის აქტიური თანამონაწილენი აღმოჩნდნენ. ჩეხოსლოვაკიის მაგალითის მათ უფრო ემინოდათ, ვიდრე საბჭოთა ბელადებს. განსაკუთრებული გულმოდგინებით ვლადისლავ გომულკა (პოლონეთის ლიდერი) და ვალტერ ულბრიხტი (აღმოსავლეთ გერმანია) გამოირჩეოდნენ. 13 ივლისს ბრეჟნევიან შეხვედრაზე მისული გომულკა გენერალურ მდივანს თითქმის უყვიროდა და მას უმოქმედობაში ადანაშაულებდა.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა შიშობდა, რომ ჩეხოსლოვაკიაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების შესვლა ხალხს ფაშისტური ოკუპაციის წლებს გაახსენებდა, ამიტომ ოპერაციაში ამ ქვეყნის არმიის ჩართვისგან ბოლო ნუთამდე თავს იკავებდა, მაგრამ ულბრიხტმა დაჟინებით განაცხადა: „ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის ჩვენც ვართ“. მხოლოდ უნგრელმა იანოშ კადარმა (რომელსაც 1956 წლის ბუდაპეშტის მოვლენების მწარე გამოცდილება კარგად ახსოვდა) გაბედა და დუბჩეკი მეგობრულად გააფრთხილა. შეჭრამდე ოთხი დღით ადრე, კადარმა მას სასწრაფოდ შეხვედრა სთხოვა და უთხრა, რომ თუ თავად დუბჩეკი სასწრაფოდ არ „დაამყარებდა წესრიგს“, ოკუპაცია გარდაუვალი იქნებოდა. ჩეხოსლოვაკიის ლიდერმა არ დაუჯერა და როგორც მოგვიანებით თავადვე იხსენებდა, კადარის ხმაში სასონარკვეთილება გაისმა: „ნუთუ მართლა ვერ ხვდებით, თუ ვისთან გაქვთ საქმე?!“

„ჯანსაღი ძალები“

უცხოური კომპარტიის დაუმორჩილებლობის შემთხვევისთვის საბჭოთა ლიდერები ჩვეულ სცენარს ათამაშებდნენ. ისინი მმართველ ჯგუფში იმ ადამიანებს პოულობდნენ, რომლებიც მზად იყვნენ, „რევიზიონისტებს“ გასწორებოდნენ. ამ სცენარს პარტიულ ჟარგონზე „ჯანსაღი ძალები კონსოლიდაცია“ ეწოდებოდა. ჩეხოსლოვაკიაში ეს როლი სლოვაკეთის ცეკას პირველმა მდივანმა, ვასილ ბილიაკმა იკისრა. ჯერ კიდევ აპრილის ბოლოს მან უკრაინის ცეკას პირველ მდივან შელესტთან შეხვედრა და კონფიდენციალური საუბარი ითხოვა. ბრეჟნევი კონტაქტზე სანქცია მაშინვე არ გაცა.

22 მაისს შელესტი საზღვარზე „მეგობრობის ესტაფეტის“ ცერემონიაზე დასასწრებად უყვაროდმი ჩავიდა. ღამით სუკის თანამშრომლებმა ბილიაკი კამენიცებში მდებარე სამონადირო სახლში მიიყვანეს, საუბარმა დილაზე გასტანა. ბილიაკმა რეფორმატორებს „პოლიტიკური ვირთხები“ უწოდა და კოლეგა დაარწმუნა, რომ „პარტიაში მარქსისტულ-ლენინური ხაზის გასატარებლად ბოლომდე იბრძობებდა“. მაგრამ მოგვიანებით, როდესაც „ჯანსაღ ძალებს“ მონოდების მომზადება მოსთხოვეს, სადაც „ჯანსაღ ძალებს“ საბჭოთა ჯარების შეყვანა უნდა მოეთხოვათ, ბილიაკმა უკან დაიხია და დროის განვლვა სცადა. ბრეჟნევი „გამამართლებელ“ დოკუმენტს კატეგორიულად მოითხოვდა. მოლაპარაკებებს შელესტი აწარმოებდა. 3 აგვისტოს ბილიაკმა გაბედა და ბრატისლავაში „ქმურ პარტიათა“ ლიდერების შეხვედრის დროს ტუალეტში სუკის თანამშრომელს დოკუმენტი გადასცა. ამ დოკუმენტის ორიგინალი დღემდე არ გამოქვეყნებულა. ზოგიერთი მონაცემით, საბუთს 5 მაღალი თანამდებობის პარტიული მუშაკი აწერდა ხელს, სხვა ვერსიით კი — 11.

მოლაპარაკების უკანასკნელი მცდელობა

28 ივლისიდან 1-ელ აგვისტომდე, ჩეხოსლოვაკიის პატარა სასაზღვრო ქალაქის სადგურზე, რკინიგზელთა კლუბში, ბრეჟნევის ინიციატივით, საბჭოთა კომპარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პოლიტიკური ობიექტის ნევრთა შეხვედრები მიმდინარეობდა. საბჭოთა ლიდერები საზღვარზე სპეცმატარებლით გადადიოდნენ, ღამით კი საკუთარ ტერიტორიაზე ბრუნდებოდნენ. მოსკოვში დუბჩეკის პირველი ვიზიტის დროს, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ვლადიმერ სემიონოვს მოეჩვენა, რომ ჩეხოსლოვაკიის ლიდერი „ინტელიგენტური სახისა და რუს უფლისწულ ალექსეის აღნაგობის მქონე, მერყევი, სუსტი ადამიანი“ იყო. ამჯერად დუბჩეკმა სიმტკიცე გამოავლინა, დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ მისი პოლიტიკა სოციალიზმს არ ეწინააღმდეგებოდა, უფრო მეტიც — სოციალისტურ იდეას დისკრედიტაციისგან იცავდა. დუბჩეკის პოზიციაზე მეტად, ბრეჟნევი იმ ალტყინებამ გააღიზიანა, რომლითაც ქალაქის მოსახლეობა საკუთარ ლიდერს ეგებებოდა... მოლაპარაკების პირველსავე დღის ბოლოს მან თავი შეუძლოდ იგრძნო. ბრეჟნევის არყუფნით მისმა კოლეგებმა ისარგებლეს და გრძობებს გასაქანი მისცეს: შელესტმა ჩეხოსლოვაკია — არც მეტი, არც ნაკლები — უკრაინისთვის პირიქითა კარპატების ოლქის წართმევის მცდელობაში დაადანაშაულა; კოსიგინმა განაცხადა, რომ „გალიციელ ებრაელ კრიგლთან“ სალაპარაკო არაფერი ჰქონდა. დუბჩეკმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა და საბჭოთა დელეგაცია იძულებული გახდა, ბოდიში მოეხადა.

გმირი მამა და დამპყრობელი შვილი

შუქრა 21 აგვისტოს გამთენიისას დაინ-
ყო. ბრეჟნევი, პოდგორნი და კოსიგინი
ოპერაციას გენშტაბის სამეთაურო პუნ-
ქტიდან ხელმძღვანელობდნენ. ისტორიკოს
ლეონიდ მლენინის ცნობით, გრეკომ ჩეხ-
ოსლოვაკიელი კოლეგა მარტინ ძური ტელე-
ფონით გააფრთხილა, რომ თუნდაც ერთი
გასროლის შემთხვევაში, ძურს პირველ-
სავე ხეზე ჩამოახრჩობდნენ. უცნობია, მინ-
ისტრის მუქარის შედეგად, თუ ამაო მსხ-
ვერპლს მოერიდა, ერთი რამ კი ცხადია:
ჩეხოსლოვაკიის 200000-კაციან არმიას არაე-
თიარი წინააღმდეგობა არ გაუწევია!

მოსახლეობა, საბჭოთა ჯარისთვის
თავგზის ასაბნევეად, საგზაო ნიშნებს ხს-
ნიდა. ხალხი კედლებზე ნიშნებს — „ვარ-
სკვლავი-სვასტიკა“ ხატავდა, გაჩნდა წარ-
წერები: „მამა — გმირი, შვილი — დამპ-
ყრობელი“. ზოგან ტანკებსა და საბარგო
მანქანებს ქვები დაუშინეს... ჩეხეთის მო-
წაცემებით, ოკუპაციამ 72 ადამიანის სიც-
ოცხლე შეინარა, 700 ადამიანი კი დაი-
ჭრა. მათი უმრავლესობა სამხედრო
ტრანსპორტის მოძრაობის ბლოკირების
მცდელობის დროს დაზარადა.

1969 წელს ვარშავის ხელშეკრულების



მოსახლეობა, საბჭოთა
ჯარისთვის თავგზის ასაბნევეად,
საგზაო ნიშნებს ხსნიდა

მოკავშირეთა სამხედრო კონტინგენტი სამ-
შობლში დაბრუნდა. საბჭოთა მეომრები
იზოლირებულ დასახლებებში განთავსდ-
ნენ და თავიანთი გამოჩენით, მოსახლეო-
ბის ზედმეტად გაღიზიანებას თავს
არიდებდნენ. ოფიცერთა შემადგენლო-
ბისთვის გდრ-სა და ჩეხოსლოვაკიაში
სამსახური — პრივილეგია იყო, ჯარისკ-
აცებისთვის კი — სასჯელი, რადგან მათ
დასვენების დღეებში ყაზარმიდან გასვ-
ლის უფლება არ ჰქონდათ. სუვოროვი
იხსენებს, რომ ოპერაციის საწყის ეტაპში
მონაწილე ოფიცერთა უმრავლესობა
მოგვიანებით, ჩინეთის საზღვარზე გადა-
ისროლეს, რადგან არმიაში გამეფებული

განწყობილებიდან გამომდინარე, ცხადი
იყო, რომ უახლოეს მომავალში ვერავინ
გაბედავდა, საბჭოთა ჯარი ისეთ ქვეყნებ-
ში შეეყვანა, სადაც ცხოვრების გაცილებით
მაღალი დონე იყო...

„სტაბილიზაცია“

საოკუპაციო ჯარებმა ჩეხოსლოვაკია-
ში ნატოს ტანკები ვერსად აღმოაჩინეს,
სამაგიეროდ ხალხის ჩუმ, მაგრამ მუდგარ
წინააღმდეგობას გადააწყდნენ. მათთან
თანამშრომლობა პრაქტიკულად არავის
სურდა! 9 სექტემბრისთვის დანიშნული
ჩეხეთის კომპარტიის XIV ყრილობის დელე-
გატები 22 აგვისტოს პრაღის ერთ-ერთი
ქარხნის სასაბინო საგანგებო სხ-
დომაზე შეიკრიბნენ. მათ ჯარების გაყვა-
ნა და ხელისუფლებისთვის ნორმალური
მუშაობის პირობების შექმნა მოითხოვეს.
პრეზიდენტმა ლუდვიკ სვობოდამ ახალი
მთავრობის დანიშვნის ბრძანებას ხელი
არ მოაწერა და განაცხადა, — ასეთ შემთხ-
ვევაში, ხალხი პრაღიდან ძალღვივით გამ-
აგდესო. 22 აგვისტოს საბჭოთა კავშირის
საელჩოში თათბირზე შეკრებილმა ჩკე-
ის ცენტრალური კომიტეტის პრომოსკ-
ოფურად განწყობილმა წევრებმა საკუთარი
პოზიციის საჯაროდ გამოხატვაზე სას-

ტიკი უარი განაცხადეს.
საბჭოთა პოლიტიბი-
უროს წევრმა კირილ
მაზუროვმა, რომელსაც
ოპერაციის საერთო ხე-
ლმძღვანელობა ევალებო-
და, ცეკას პროპაგანდის
განყოფილების ხელმძღ-
ვანულ ალექსანდრ იაკოვ-
ლევს გაუხილა: „იცი,
საქმე ჩაფლავდა!“ „თვით-
მპყრობელობის უხეშმა
ძალამ უკან დაიხია,
როდესაც ხალხის მუდგარ
სულს გადააწყდა“, —
წერდა თავის მემუარებ-
ში ვალენტინ ფალინი,
რომელიც მაშინ, საგარ-
ეო საქმეთა მინისტრ
გრომიკოს მრჩეველი იყო.
საბჭოთა ხელმძღ-
ვანელობა იძულებული
იყო, მანევრირებისა და
ნელი ქმედებისთვის მი-

ემართა. 21 აგვისტოს ჩეხოსლოვაკიის
ცეკას შენობაში დაბატირებულ დუბჩეკ-
სა და მის მომხრეებს თავდაპირველად,
„რევოლუციური ტრიბუნალით“ ემუქრე-
ბოდნენ, შემდეგ დასავლეთ უკრაინაში
კომფორტულ სამთავრობო აგარაკებზე
დააბინავეს. 23 აგვისტოს საღამოს კი
მოსკოვში ჩაიყვანეს და მათთან, როგორც
პარტიის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკება
გამართეს.
წინააღმდეგობა თანდათან გატყდა. კო-
მპრომისზე ჯერ პრეზიდენტი სვობოდა
წავიდა, მერე მას სხვებიც მიჰყვნენ; ისინი
პრაღაში დაბრუნდნენ და ქვეყანაში საბ-
ჭოთა ჯარების ყოფნას საჯაროდ აღარ

აპროტესტებდნენ. ისტორიკოსთა აზრით,
მათ საკუთარი თავი დაარწმუნეს, რომ
რეფორმების გაგრძელების უფლებას მის-
ცემდნენ... იქნებ, უბრალოდ თანამდებო-
ბის შენარჩუნების იმედი ჰქონდათ?..

მტკიცედ მხოლოდ ფრანტოშევი კრიგე-
ლი იცდა და საკუთარი ბედ-იღბალი არ
აღელვებდა... დუბჩეკი ცეკას პირველი მდი-
ვნის პოსტიდან 1969 წლის აპრილში
გადააყენეს, მაგრამ მისი პოსტი ბილიაქმა
ან მოსკოვის ნდობით ალქურვილმა პირ-
მა — ალოიზ ინდრამ როდი დაიკავა.
ხელისუფლების სათავეში, მანამდე ყვე-
ლასთვის უცნობი გუსტავ გუსაკი მოვი-
და, რომელმაც პარტიის პირველი მდი-
ვნის თანამდებობამდე რთული ცხოვრება
განვლო და თავის დროზე სტალინური
ბანაკების სიმწარეც გამოცადა.

ალექსანდრ დუბჩეკი წლებს მანძილზე,
მეტყვევდ მუშაობდა. „ხავერდოვანი რე-
ვოლუციის“ შემდგომ — 1989 წლიდან
გარდაცვალებამდე (1992 წელს საავტო-
მობილო კატასტროფაში დაიღუპა) ჩეხ-
ოსლოვაკიის პარლამენტის თავმჯდომარის
პოსტი ეკავა.

გუსტავ გუსაკმა საკუთარი პოლი-
ტიკური კურსი „სტაბილიზაციის“ სახ-
ელით მონათლა. მმართველობის 20 წლის
მანძილზე იგი მოსკოვის მორჩილი იყო.
„სტაბილიზაციის“ ეპოქაში პარტიიდან ნახ-
ევარი მილიონი ადამიანი გარიცხეს. მენე-
ჯერები, მწერლები და მეცნიერები შავ
მუშებად და მენაგვეებად მუშაობდნენ.
რეპრესირებულთა რაოდენობამ (ოჯახის
წევრების ჩათვლით) ქვეყნის მოსახლეო-
ბის 10% შეადგინა. ცენზურა კვლავ დაბ-
რუნდა და კიდევ უფრო გაძლიერდა. აქ-
ტიურ დისიდენტებს იჭერდნენ და ციხე-
ში სვამდნენ. შემდგომში სუვერენული ჩეხ-
ეთის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი იხ-
სენებდა, რომ იმ ბანაკის უფროსი, სა-
დაც ის სასჯელს იხდიდა, გულდანწყვტილი
იტყოდა ხოლმე: ამ ნაძირალებს პიტლერი
პირდაპირ გაზის კამერაში გაუშვებდაო...

რეპრესიების მიუხედავად, ჩეხოსლო-
ვაკიაში არავინ დაუხვრეციათ. „პრაღის
გაზაფხულის“ თითქმის ყველა მოღვაწე
„ხავერდოვან რევოლუციას“ მოესწრო და
ახალი ხელისუფლების ბირთვი სწორედ
მათ ჩამოაყალიბეს, — სხვა პოსტსაბჭოთა
ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ოპოზი-
ცია საერთოდ არ არსებობდა და კვალი-
ფიციური კადრების ნაკლებობა იგრძნო-
ბოდა, ხელისუფლება ისევ ყოფილი პარ-
ტიული ნომენკლატურადან კომპლექტდე-
ბოდა.

უნგრეთთან და პოლონეთთან შედარე-
ბით, ჩეხოსლოვაკიაში ნაკლები თავისუ-
ფლება იყო, მაგრამ საბჭოთა მოქალაქეებს
იქაური ცხოვრება მაინც მინიერ სამოთხედ
და ჯადოსნურ ზღაპრად ეჩვენებოდათ. მა-
გალითად, 1970-იან წლების მინურულს ჩეხ-
ოსლოვაკიაში ტურისტად ნამოგზაურებმა
ერთმა კაცმა შთაბეჭდილებების გაზიარებ-
ისას მეგობარს უთხრა: „წარმოვიდგენია?
შენ ჯერ არასოდეს გინახავს მალაზია, სა-
დაც ყველაფრის ყიდვა შეიძლება!..“

ზურგსა და სახსლის ხაზს შუა...

კონკრეტულ ადგილებს არ ასახელებენ: შესაძლოა, ეს სამხედრო საიდუმლოება იყო. სამაგიეროდ, საუბრობას, უკვე გახმაურებულ გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიულ დასახელებებს — ტყვიავი, ქურთა, ლიახვის ხეობა — თამამად ახსენებენ და მებრძოლ ბიჭებზე სასწაულებს ჰყვებიან...



თამარ ჯიშკარიანი

თურმე სამხედრო თუ დაიჭრებოდა, ბრძოლას მხოლოდ იმისთვის წყვეტდა, რომ სანიტრის მოსვლამდე სისხლდენა შეეჩერებინა, ჭრილობა საკუთარი ხელით დაემუშავებინა. ამის შემდეგ, დაჭრილი მეომარი შესაბამის რგოლს თავისი ადგილსამყოფლის ზუსტ კოორდინატებს ატყობინებდა და ისევ საბრძოლო პოზიციას უბრუნდებოდა. ამბობდა, — მე რომ იმავე ადგილას გაჩერდე, საფრთხეს არა მხოლოდ საკუთარ თავსა და გვერდით მყოფ თანამებრძოლს, არამედ იმ სანიტარსაც შეუუქმნი, რომელმაც დახმარება გაძინიაო.

ყოფილა შემთხვევა, როცა საჰაერო იერიშის შემდეგ, მძიმედ დაჭრილმა მეომარმა ვერც ჭრილობა გადაიხვია და ვერც ბრძოლის გაგრძელება შეძლო, მხოლოდ კოორდინატები გადასცა... ამბობენ, ცეცხლის ხაზიდან მისი გამოყვანა თითქმის ექვსი საათი ვერ მოხერხდაო. ამ დროის მანძილზე, დაჭრილი მებრძოლი შუბლზე იარაღმიდებული ელოდა მამველებს: თუ „ისინი“ თავზე წამომადგნენ, ცოცხალი მაინც არ ჩავებარდებიო... ამ მეომარს ჩვენებმა მიაკითხეს და გადაარჩინეს...

მსგავს ამბებს ჰყვებიან რეზერვისტები, საომარი მოქმედებების ზონიდან სამშვიდობოს გამოსული მოსახლეობა, ექიმები... რამდენიმე ასეთ ამბავს ჩემი კოლეგა და მეგობარი, ხათუნა ბექაიაც მომიყვა, მას კი ლუდუშაურის კლინიკაში მომსახურე და — მარჯობა...

ავგისტოს ეპოპეის დროს, საბედნიეროდ, „ჰიპოკრატეს ქვედანაყოფიდან“ მხოლოდ ერთი დაიღუპა — გორის საავადმყოფოში — და ისიც, სნაიპერის ტყვიით. თუმცა ექიმები ჰყვებიან, რომ ამ ომში ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს რატომღაც, „ნითელი ჯვარი“, ექიმი და სამედიცინო ბატალიონი წარმოადგენდა. რატომ ხდებოდა ასე? ალბათ იმ მიზნით, რომ ჯარის სულსკვეთება გა-

ეტებათ — აქაოდა, უკან თუ არ იქნება ექიმი, რომელიც დაჭრილს დაეხმარება და გადაარჩენს, მაშინ, ჯარისკაციც ბრძოლის უნარს დაკარგავსო. ჰოდა, რუსები ჭურვებს არც ექიმებისთვის იშურებდნენ. ასე რომ, თუ ქალაქში ან ქვეყნის ტერიტორიაზე გადაცხრილულ რეანიმობილს დაინახავთ, იცოდეთ, რომ მასში ერთ-ერთი იმ ეკიპაჟთანაა მუშაობდა, რომელსაც ცეცხლის ხაზიდან დაჭრილები გამოჰყავდა და ის ვერც უნუვის კონვენციამ და ვერც სხვა მსგავსმა საერთაშორისო დოკუმენტებმა დაიცვა.

ისინი, მართალია, ფრონტის ხაზზე, მაგრამ მაინც ზურგში იმყოფებოდნენ... ოცეულებში — სანიტრები, შემდეგ — სავლე რეანობილები, სავლე ჰოსპიტლები და ბოლოს — გორის საავადმყოფო და ჰოსპიტალი... გორიდან ყველაზე მძიმეები უკვე თბილისში გადმოჰყავდათ. ასე იყო, ვიდრე თავად გორი არ გადაიქცა ბრესტად და საჰაერო ცეცხლის ხაზი იმ კაცის მშობლიურ ქალაქში და ძეგლის ქვეშ გავიდა, ვინც თავის დროზე, ნითელი არმიის ურჩხულის შექმნაში ლომის წილი შეიტანა და ვისიც ამ ქალაქში ყველაზე მეტად და დიდხანს სწამდათ...


რეზერვისტი ექიმები — ქართულ რეალობაში ასეთი ცნება რამდენიმე ასეულ ექიმს აერთიანებს. თუმცა, ომის დაწყების პირველ საათებში ქირურგებისა და ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგების ეს არმია რამდენიმე ათეულამდე დავიდა: სწორედ ექიმთა ეს ბირთვი დაიძრა პირველად საომარი მოქმედებების ადგილებისკენ.

— 7 ავგისტოს „ქირურგიაში“ (ქირურგიის ინსტიტუტი)

ვიყავი მორიგე. მოგვიანებით გავიგე, რომ ბიჭები უკვე იქ იყვნენ წასულები... დილით ადრე მეც დამირეკეს გამწვევი პუნქტიდან და მითხრეს, „დინამოს“ სტადიონთან გამოცხადებულიყავი, — ჰყვება **გიორგი კორონავილი**, რომელიც იმ ექიმ-რეზერვისტთა შორის მოხვდა, ვინც ცეცხლის ხაზზე პირველებს შორის აღმოჩნდნენ. „დინამოსთან“ მისული გიორგი სხვა რეზერვისტებისგან, ავტობუსში ჩაჯდა და ვაზიანის ბაზისკენ გაემართა. იქ მისულს ფორმა მისცეს და ის იყო, ექიმებით სავსე ავტობუსმა გუბი დასავლეთისკენ აიღო, რომ ვაზიანის დაბომბვა დაიწყო.

— საბედნიეროდ, მსხვერპლი არ იყო. რუსულმა მოიერიშემ ჭურვები ბაზიდან დაახლოებით 500 მეტრში ჩამოყარა... იმ მომენტში შიშზე არ ვფიქრობდი, თუმცა მას შემდეგ, რაც დავინახე, რომ თვითმფრინავი თბილისის მიმართულებით გაფრინდა, უკვე იმ ხალხის ბედზე დავფიქრდი, ვინც იქ მეგულებოდა... ვხედავდი, თვითმფრინავმა როგორ გააკეთა მანევრი, შემოტრიალდა და თბილისის გაცვილდა. როგორც მოგვიანებით გავიგე, მარნეულისკენ გაფრენილა და იქაურობა დაუბომბავს. იქ კი მსხვერპლი იყო, — იხსენებს გიორგი.

მარნეულის ამბავი რეზერვისტმა ექიმებმა გზაში შეიტყვეს. თითქოს ნაცნობ გზას ავტობუსში მსხდომნი მაინც უჩვეულოდ აღლევდნენ მითყვებოდნენ. რაც უფრო ახლოს იყვნენ ფრონტის ხაზთან, შიდა ქართლიდან მოსული ცნობები მით უფრო დამაფიქრებელი და შოკის მომგვრელი ხდებოდა... ხილით დახუნძლული ხეები გამოკეტილ





ეზობებში, დაცარიელებული ქართული სოფლები, მოჩვენებების სამფლობელოს უფრო გაგონებდა...

— ზოგადად, სტრესი ნამდვილად შეიმჩნეოდა და ეს ბუნებრივია, იმიტომ, რომ მშვიდობიანი გარემოდან უცებ, პრაქტიკულად ფრონტის ხაზზე ხვდები... კი, სტრესი იყო... ვიდრე იქ ჩავიდოდით, თითქოს გარკვეული, თუმცა გაუცნობიერებელი შიშითაც ვიყავით



ვიდრე იქ ჩავიდოდით, თითქოს გარკვეული, თუმცა გაუცნობიერებელი შიშითაც ვიყავით შეპყრობილი...

შეპყრობილი... აი, ადგილზე როცა უყურებ გარშემო მიმდინარე მოვლენებს, უფრო ახერხებ მობილიზებას. მიუხედავად იმისა, რომ იქ ისვრიან, მაინც სიმშვიდე გეუფლება, მაშინაც კი, როცა ორმხრივ სროლაში ხვდები. მომდევნო დღეებში კი, როდესაც უკან ვიხევიდით, უფრო დიდი სტრესი განვიცადეთ.

გიორგის ნაწილი ფრონტის ხაზიდან რამდენიმე კილომეტრში — ტყვიავში გაჩერდა. უფრო ზუსტად, როდესაც რეზერვისტი ექიმების ბრიგადა ტყვიავში ჩავიდა, იქ ჯერ კიდევ შედარებითი მშვიდობა იყო...

— ისე მოხდა, რომ არტილერიის წინ დაებანაკდით. თავიდან, რომ ჩავედით, ამ არტილერიის ამოქმედებისას მინაზე ვწვებოდით, რადგან ჭურვების გასროლის ხმა ჩვენს ზურგს უკან ისმოდა. შემდეგ გაგვაფრთხილეს და აგვიხსნეს, — ესენი ჩვენები არიან და ნუ გეშინიათ...

გიორგის ეცინება, რადგან ახლა იცის, რომ იმ მომენტში ყველაზე ნაკლები საფრთხე ელოდა. თუმცა ექიმების ჩასვლამდე რამდენიმე საათით ადრე რუსეთის ავიაციამ სწორედ საველე ჰოსპიტლის მომავალი დისლოკაციის მიდამოები გვარიანად დაბომბა. აი, ეს უკვე ნამდვილად არ იყო ვაზიანიო, — დასძინა ექიმმა.

საველე ჰოსპიტალი სულ რამდენიმე წუთში, სახელდახელოდ, ტყვიავის სა-

ვადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე გაიშალა. წითელჯვრიანი კარების ქალაქი სრულად იყო აღჭურვილი თანამედროვე საოპერაციოს სტანდარტების გათვალისწინებით: რვა საოპერაციო ოთახი, თავისი სასუნთქი და სანარკოზე აპარატებით; რეანიმაცია, რომელსაც ასევე საკუთარი სასუნთქი აპარატები ჰქონდა, ყველა სახის უახლესი მედიკამენტი... ჩვენს ექიმებს მუშაობისას პრობლემა პრაქტიკულად, არ გასჩენიათ. ალბათ ერთადერთი დისკომფორტი — ფრონტის ხაზიდან მოტანილი, სროლისა და აფეთქებების ხმა იყო.

— ჩვენი ამოცანა იყო, აღმოგვეფხვრა სიცოცხლისთვის საშიში გართულებები. ფრონტის ხაზიდან შემოსული დაჭრილების ასეთი გართულება მხოლოდ სისხლდენის შეჩერება როდი იყო. ყოველ შემთხვევაში, ყველა დაზარალებული, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, გადარჩა... რა სახის ჭრილობებით შემოდიოდნენ? უმეტესობა კიდურებისა და გულჭურვის მიდამოში იყო დაჭრილი. იყო შემაგალი

ჭრილობები, ძირითადად — ჭურვების გახეთქვის შედეგად ჰქონდათ მიღებული... იყო მუცლის ფარში შემაგალი ჭრილობა, რომელიც ჩვენს ჩასვლამდე იქ მყოფმა ექიმებმა დაამუშავეს: ადგილზევე მოახერხეს სისხლდენის შეჩერება და მოგვიანებით, ზურგის ჰოსპიტალში გაგზავნეს. ასე ხდებოდა სხვა შემთხვევებშიც — ცუცხლის ხაზიდან გორში გადაჰყავდათ ასეთი პაციენტები. იმ სამხედროს არც სახელი მახსოვს და არც გვარი — უბრალოდ, დრო არ მქონდა, მეკითხა. ჯარისკაცს თვალის ზედა ქუთუთო ჰქონდა დაზიანებული. საბედნიეროდ, უშუალოდ თვალის კაკალი უვნებელი აღმოჩნდა...

გიორგი ცდილობს, დეტალურად მომიყვას, თუ როგორი სახის ოპერაციის ჩატარება მოუხდა. ეს პაციენტი საველე ჰოსპიტლიდან პირდაპირ თბილისში, თვალის კლინიკაში გადმოგზავნეს. მოგვიანებით გიორგიმ შეიტყო, რომ მის შრომას ფუჭად არ ჩაუვლია: ჯარისკაცს მხედველობა შეუნარჩუნდა, თუმცა ექიმმა პაციენტის სახელი ვერც მოგვიანებით დაადგინა. დაავიწყდა, ეკითხა. სხვა ექიმებით, მისთვისაც მთავარი, ჯარისკაცის გადარჩენილი სიცოცხლე, კონკრეტულ შემთხვევაში კი — ახალგაზრდა კაცისთვის მხედველობის შენარჩუნება გახლდათ.

— ბუნებრივია, როცა ომში ხარ, ყველაზე მეტად შენინი გადარდება, თუმცა ვალდებული ხარ, დაჭრილ მტერსაც

უშურნალო. ჩვენთან, ქართველების გარდა, არაყინ მოხვედრილა. ჯარისკაცებთან ერთად, დაჭრილთა შორის, სამოქალაქო პირებიც იყვნენ, მსუბუქი ჭრილობებით, მაგრამ მაინც...

კიდევ ერთ ომს საქართველოში არაყინ ელოდა. აფხაზეთში ომის შემდეგ, ჩვენ არც ბიჭები გვინახავს ბრძოლაში. სამაგიეროდ, კარგად გვახსოვს ჭუბერის თოვლიან გზაზე მომავალი დევნილები და ტრაგიკული ამბები. იმ მოვლენების დროიდან საკმაო ხანი გავიდა, მაგრამ ნაიარევი დღემდე მტკივნეულია. ბუნებრივია, ახლაც, ორიოდ დღეში ათიათასობით დევნილის ხილვამ, გადამწვარი სოფლების რიცხვმა და თითქმის მთლიანად დაბომბილმა საქართველომ დაჭრილთა და დაღუპულთა შესახებ არარეალური ციფრები წარმოშვა... იყო მომენტები, როდესაც საველე ჰოსპიტლებში ფრონტის ხაზიდან ერთდროულად რამდენიმე ათეული დაჭრილი შემოჰყავდათ, მაგალითად, 4-5 საათში — 70 დაჭრილი. დამეთანხმებით, ეს საკმაოდ დიდი ნაკადია.

— უშუალოდ ჩვენს საველე ჰოსპიტალში სამი მოკლეული ჯარისკაცი ვნახე. ამბობენ, მეოთხეც იყო, მაგრამ მე არ მინახავს. ეს დაღუპული ბიჭებიც ჩვენთან უკვე გარდაცვლილები მოასვენეს. ბუნებრივია, ომში საველე ჰოსპიტალს ექსტრემალურ პირობებში უწევს მუშაობა. დაჭრილები ბრძოლის ეპიზოდებს იხსენებდნენ: „ჩვენ დავარტყით... სიმძლელე ავიღეთ...“ სხვათა შორის, იყვნენ ბიჭები, რომლებიც ჰოსპიტალში შემოყვანის მეორე დღესვე ისევ ბრძოლის ველისკენ მიიწვედნენ. მათ შედარებით მსუბუქი დაზიანება ჰქონდათ. მახსოვს, ერთი, კონტუზიით შემოიყვანეს, მეორე დღეს კი, გონი რომ არ წასვლოდა, ფრონტზე იპარებოდა. აი, ასე, წამოდგა და მირობდა, მაგრამ გონება დაკარგა და ვეღარ მოახერხა...

როდესაც ცუცხლის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა და ე.წ. მორატორიუმი გამოცხადდა, ტყვიავში გამოლილმა საველე ჰოსპიტალმა ერთსაათიანი კორიდორი მოითხოვა, რათა ფრონტის ხაზზე დარჩენილი დაჭრილი და დაღუპული მეომრები გამოეყვანა. თავიდან მონინააღმდეგე დათანხმდა და წითელჯვრიანებმაც დანიშნულების ადგილისკენ მოძრაობა დაიწყეს, მაგრამ რუსებმა დანაპირები არ შეასრულეს და ექიმებს არ მისცეს საშუალება, დაჭრილები და დაღუპულები გამოეყვანათ. უფრო მეტიც:

— როდესაც საომარი მოქმედებების ადგილის დატოვების ბრძანება მოვიდა, ბუნებრივია, მას დავემორჩილეთ. ისეთ ადგილებში გვინევდა მოძრაობა, სადაც მონინააღმდეგე ჯერ კიდევ არ იყო შემოსული. მოვეხსენებთ, როდესაც ფრონტის ხაზიდან გამოდიხარ, სამედიცინო ბატალიონი ჯარს ერთი ნაბიჯით წინ



უსწრებს. არ ვიცი, შესაძლოა, ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა, მაგრამ იყო ერთი-ორი ეპიზოდი, როდესაც ჩვენ თითქოს წინა ხაზზე აღმოვჩნდით. ვიმეორებ, შეიძლება, ვცდები და ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა, მაგრამ... რაღაც მომენტში ასე ჩანდა... ისიც ბუნებრივია, რომ ჩვენი მიმართულებითაც ისროდნენ. სწორედ იმ დღეს გავრცელდა აქ ხმა, რომ ჩვენი საველე ბატალიონი დაიბობმა, ჩვენი პერსონალის დიდი ნაწილი დაჭრილია და არიან დახოცილებიც... კი, „წითელ ჯვარს“ რუსები უმოწყალოდ ესროდნენ. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ამ ომში ერთ-ერთი მთავარი საშიშნე — „წითელი ჯვარი“ იყო... რაც შეეხება ჩვენ გარშემო აგორებულ ჭორს, უბრალოდ, ერთი ადგილიდან მეორეზე ჩვენი ევაკუაცია ხდებოდა. „სასწრაფოს“ მანქანებით გადავადგილდებოდით, თან გვახლდა „კამაზები“, რომლებიც სამედ-იციონო აღჭურვილობით იყო დატვირთული. ეს აპარატურა არსად დაგვიტოვებია. კარვების აშლასაც ვასწრებდით და ტრანსპორტზე დატვირთვასაც. ამას მხოლოდ რეზერვისტები ვაკეთებდით და ჩვენს დასახმარებლად, ჯარი არ მოცდენილა. ეს არ იყო სპონტანური ქმედება. ამისთვის ჩვენ მოგვამზადეს. ამ გადაადგილებას ხედავდა ყველა და ალბათ, ასე „მოითარგმნა“...

პარასკევიდან მოყოლებული, ორშაბათს ღამით ექიმები კონფლიქტის ზონიდან სულ ბოლოს გამოვიდნენ. მიუხედავად განცდილი სტრესისა, გიორგი ამბობს, რომ თუ საჭირო გახდა, კვლავ მზადაა, წინა ხაზებზე დაბრუნდეს... რატომ? ახალგაზრდა ექიმი მოკლედ პასუხობს, — მე ვალდებული ვარ და თან, მინდა, ეს გავაკეთო.

— როდესაც ჩემს პროფესიულ მოვალეობას ვასრულებდით, ოდნავადაც არ გვიგრძნია შიში. იყო სრული მობილიზაცია, ორგანიზებულიობა. ჩემსავით, ყველა აკეთებდა თავის საქმეს. ქირურგებისა და ანესთეზიოლოგების გარდა, სხვა სპეციალობის ექიმები, ექთანები, სანიტრები დაუღალავად შრომობდნენ. მანდილოსნები?.. ვიტყვოდი, რომ ჩვენზე მეტნიც იყვნენ. თანაც, ტოლს არ გვიდებდნენ... — ამბობს გიორგი, რომელსაც, მცირედი ამოსუნთქვის შანსი მიეცემოდა თუ არა, მეუღლეზე, პატარა შვილზე, ძმასა და დედაზე ფიქრობდა:

— დედა თბილისში იმ რაიონში ცხოვრობს, რომელიც ყველაზე მეტად იბომბებოდა — საავიაციო ქარხნის დასახლებაში. ვაკვაცურად იდგა, ერთი ნუთითაც კი არ უფიქრია სახლის დატოვება. თურმე სახლის წინ მდებარე, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ჩადიოდა ხოლმე, სანთლის დასანთებად... საოცარია, მაგრამ გასაჭირის დროს, საკუთარ თავზე ყველაზე ნაკლებად ფიქრობ, სახლშიც და ფრონტის ხაზზეც... ■

ინფორმაცია ჰაკერმა საინფორმაციო მასალაზე რუსულ მაფიას მიჰყიდა

THE DAILY MAIL-ის ინფორმაციით, ინფორმაცია ჰაკერმა მსოფლიოს უმსხვილესი სასტუმროების ქსელის BEST WESTERN HOTEL GROUP-ის ინტერნეტ-საიტებში შეაღწია და დაახლოებით 8 მილიონი ადამიანის პერსონალური მონაცემები „მოიპარა“. გაირკვა, რომ ჰაკერი სწორედ ამ ქსელის ერთ-ერთ სასტუმროში მთელი წლის მანძილზე ცხოვრობდა და როგორც ჩანს, იქაურ სისტემას გულდასმით სწავლობდა. მოპარული ინფორმაცია — ტელეფონის ნომრები, საცხოვრებელი სახლების მისამართები, საბანკო ანგარიშების ნომრები



და ა.შ. ჰაკერმა რუსული მაფიის მიერ კონტროლირებად „ინტელექტუალურ“ ინტერნეტ-საიტებში განათავსა და ამის საფასურად, 5 მილიონი დოლარი აიღო. აღსანიშნავია, რომ პერსონალური ინფორმაცია არა მარტო სასტუმროების თანამშრომლებს, არამედ ვიზიტორებსაც ეხება. ერთადერთი ფილიალი, რომელიც ამ მხრივ თავს დაზარალებულად არ მიიჩნევს, ბრიტანეთის BEST WESTERN HOTEL GROUP-ია. ექსპერტებმა მომხდარი ფაქტი, „გატაცებული“ ინფორმაციის მასშტაბურობის გამო, უნიკალურად შეაფასეს. ■

რუსეთის პროკურატურის მაღალჩინოსანი მიძრისამეოხაშია ბრალდებული



რუსეთის გენპროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს ყოფილ ხელმძღვანელს — დიმიტრი დოვგის ქრთამის აღებასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის ბრალი უკვე ოფიციალურად წაუყენეს. საქმეში ბრალდებულის სტატუსი აქვს დოვგის თანამშრომელს — ანდრეი საგურასაც. დოვგი და საგურა 2008 წლის 18 აგვისტოს დააკავეს, ორ დღეში კი წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს. დაკავება დანაშაულის ფაქტზე მოხდა. სწორედ იმ დღეს, სამართალდამცველთა ინფორმაციით, საგურას დოვგისთვის ქრთამის სახით 750 ათასი ევრო უნდა გადაეცა. თანხა ფუ-

ლის გათეთრების ბრალდებით დაკავებულმა ერთ-ერთმა ბიზნესმენმა გადაიხადა, რომელსაც დოვგი დახმარებას დაჰპირდა. ქრთამი ბიზნესმენმა საგურას მისცა, რომელიც საქმეში შუამავლად მონაწილეობდა, საგურას კი ფული დოვგისთვის უნდა ჩაეთვალა. მალე ბიზნესმენის ვინაობაც გაირკვა. ის ვინმე რაფიკ ვალიევი აღმოჩნდა და მან დოვგისა და საგურას სანაწარმდეგო ჩვენება უკვე მისცა გამოძიებას. აღსანიშნავია, რომ დოვგის საქმიანობა თანამშრომლებს ჯერ კიდევ 2008 წლის აპრილში მოხვდათ თვალში. მაშინ ორმა გამოძიებელმა ის ხელმძღვანელობასთან დაასმინა და ბრალი მექრთამეობაში დასდო. ამ განცხადების საფუძველზე გენპროკურორმა მოკვლევის ჩატარების განკარგულება გასცა. როგორც ჩანს, მოკვლევის დროს ბევრმა საეჭვო გარემოებამ იჩინა თავი, რის საფუძველზეც დოვგი სამსახურიდან დაითხოვეს. ხელმძღვანელობაზე განაყენებულმა ყოფილმა ჩინოსანმა სასამართლოში საჩივარი შეიტანა და თანამდებობაზე აღდგენა მოითხოვა, მაგრამ ის სასამართლოდანაც უარით გაისტუმრეს. ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს და აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ საქმე „შეკერეს“, თუმცა თუ რა მიზნით და ინტერესით, ამას ჯერჯერობით დამაჯერებლად ვერ ასაბუთებს. ■



ჰაკერული ზუზი: მსოფლიოში ყველაზე აქტიური აბვისტო აღმოჩნდა



ჰაკერები — თანამედროვე სამართალდამცველთა ნამდვილი თავსატეხი და „დამნაშავეთა სამყაროს“ ყველაზე ინტელექტუალური ნაწილი. ისინი XXI საუკუნის მალალტექნოლოგიურ მიღწევებს ფეხდაფეხ მოჰყვნენ. ნელს კი, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მსოფლიო მასშტაბით, ნამდვილი ზუზი ატყდა. ყველაზე აქტიური პერიოდი, რატომღაც, სწორედ მიმდინარე თვე — აგვისტო აღმოჩნდა... ყველასთვის გასაგებია, რომ ჰაკერთა შორის განასაკუთრებული პოპულარობით საბანკო ინტერნეტსაიტები სარგებლობს. „საქმის“ დიდოსტატები ისე სწრაფად და შუშმწველად „კრეჭენ“ და „ასუფთავენ“ საბანკო ანგარიშებს, რომ მოგვიანებით გონს მოსულ კლიენტებს თუ ბანკის ხელმძღვანელებს მხოლოდ უძლური გაოგნება და დარჩენიათ. სხვათა შორის, ექსპერტები გულდანყვევით და ნიშნის მოგებითაც აღნიშნავენ, რომ დანაშაულის გამოვლენისა და თავად დამნაშავის მიკვლევის ხერხები და მეთოდები ხარისხითა და ეფექტურობით ბევრად ჩამორჩება ინტელექტუალ ბოროტმოქმედთა პრაქტიკასა და გამჭრიახობას. ბოლო რამდენიმე თვის მონაცემებით, ისიც ირკვევა, რომ ჰაკერთა ინტერესების სფეროს არა მარტო სარფიანი საბანკო სისტემა, არამედ სახელმწიფო ორგანიზაციებიც წარმოადგენს. ამიტომაც, მათი უმრავლესობა სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან მჭიდრო კავშირსა და ფინანსურ გარიგებებშია ეჭვმიტანილი.

სომხეთის გენკროკურატურის „გატეხილ“ საიტზე ოლიგოპიური ჩემპიონის ხოტბა გამოჩნდა

AZERBAIJAN DEFACERS — ამ სახელით „მოღვაწე“ ჰაკერებმა სომხეთის გენპროკურატურის ოფიციალური ვებგვერდი „გატეხეს“ და იქ სხვადასხვა პოლიტიკურ განცხადებასთან ერთად, აზერბაიჯანელი ოლიგოპიური ჩემპიონის, ძიუდოსისტ ელნურ მამადლის ხოტბაც განათავსეს. როგორც გაირკვა, ჰაკერებმა საიტის მთავარი გვერდი სპეციალური კოდით დაბლოკეს. ამის შედეგად, ვებგვერდზე შესული ადამიანი ავტომატურად ხვდებოდა AZERBAIJAN DEFACERS-ების საიტზე, სადაც სომხეთის მთავრობისა და მალაჩინოსნებისადმი უცნაურ მიმართვებს, ანტისომხურ პოლიტიკურ განცხადებებსა და მონოდებებს კითხვობოდა. ერთ-ერთი მონოდება სომხების მიერ აზერბაიჯანული ტერიტორიების დათმობასა და გათავისუფლებას ეხება. ვებგვერდის სათაური ოლიგოპიური ჩემპიონისადმი მილოცვის შინაარსისა გახლდათ. ასე რომ, დასაწყისში მკითხველი ვერც ხვდებოდა, თუ რასთან ჰქონდა საქმე. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ანალოგიური შეტევა აზერბაიჯანელმა ჰაკერებმა სომხეთის სხვადასხვა სამინისტროს ვებგვერდებზეც განახორციელეს. ზოგიერთი მათგანი დღემდე დაბლოკილია. ამ ფაქტზე ამჟამად რამდენიმე საგამოძიებო ჯგუფი მუშაობს. ისინი AZERBAIJAN DEFACERS-ის წევრთა გამოვლენას ცდილობენ.

შეერთებულ შტატებს, რა თქმა უნდა, არ სჯერა. ამერიკის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ საქმე გაცილებით სერიოზულადაა და ის სპეცსამსახურების დავალების პირნათლად შესრულებას უფრო ჰგავს, ვიდრე კომპიუტერთი გატაცებული ადამიანის უბრალო ცნობისმოყვარეობას.

შეერთებულ შტატებს, რა თქმა უნდა, არ სჯერა. ამერიკის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ საქმე გაცილებით სერიოზულადაა და ის სპეცსამსახურების დავალების პირნათლად შესრულებას უფრო ჰგავს, ვიდრე კომპიუტერთი გატაცებული ადამიანის უბრალო ცნობისმოყვარეობას.

SOLO ამბობს, რომ NASA-ს მასალებში უცხოვლანეტილები აინტერესებდა

მსოფლიოში უძლიერეს ჰაკერად აღიარებული ბრიტანელი SOLO, იგივე ჰარი მაქკინონი ევროპის სასამართლოს წინაშე წარდგა. მოსამართლეები ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მისი გადაცემის, ანუ ექსტრადიციის საკითხს განიხილავდნენ. გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ გახლავთ, საქმის არსებით განხილვას სასამართლო 28 აგვისტოდან იწყებს. ევროპულ სასამართლოს საჩივრით მაქკინონის ადვოკატებმა მას შემდეგ მიმართეს, რაც დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა ინსტანციამ — ლორდთა პალატამ ექსტრადიციის საკითხზე აშშ-ის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ თუკი მაქკინონს შეერთებულ შტატებს მართლაც გადასცემენ, ჩადენილი დანაშაულისთვის, მას იქ სულ მცირე, 60 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება...



უკვე საყოველთაოდ ცნობილი ჰაკერის წინააღმდეგ ბრალდება მართლაც მძიმეა. მას პენტაგონისა და NASA-ს კომპიუტერულ ქსელებში შეღწევისა და უმნიშვნელოვანესი, საიდუმლო ინფორმაციების გაშიფვრაში ადანაშაულებენ. საგულისხმოა, რომ ბრალდება არც თავად ჰაკერმა უარყო.

მან აღიარებით ჩვენებაში NASA-ს ქსელის „გატეხა“ დაადასტურა, მაგრამ ყველაფერი იმით ახსნა, რომ უცხოვლანეტილებსა და მფრინავ თევზებზე ინფორმაციები აინტერესებდა. ამ გულუბრყვილო აღიარების, ამერიკის

შეერთებულ შტატებს, რა თქმა უნდა, არ სჯერა. ამერიკის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ საქმე გაცილებით სერიოზულადაა და ის სპეცსამსახურების დავალების პირნათლად შესრულებას უფრო ჰგავს, ვიდრე კომპიუტერთი გატაცებული ადამიანის უბრალო ცნობისმოყვარეობას.

ჰარი მაქკინონი 42 წლისაა და ის სამხედრო კომპიუტერული ქსელების „გატეხაში“ ადრეც — 2001-2002 წლებშიც ყოფილა შემჩნეული. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ის დააფიქსირეს თავდაცვისა და უშიშროების კოდირებულ საიტებსა თუ საბაზო მონაცემებში და სწორედ ამ დროიდან გახდა ცნობილი მისი მეტსახელის — SOLO-ს შესახებაც. ბოლო დაკითხვისას, მაქკინონმა აღიარა, რომ პენტაგონისა და NASA-ს 97 კომპიუტერში შეღწევა მოახერხა, თუმცა ამჯერად სულ სხვა ახსნა-განმარტება მისცა საკუთარ ქმედებას. ჰაკერმა განაცხადა, რომ ამით სურდა ამერიკული სერვერების უსუსურობა დამტკიცებინა და გამოეაშკარაებინა...



რუსეთის გაღარჩანა ოლიგარქებს შუამლიათ

ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეკონომიკის საკომანდო სიმალეებზე“ კონტროლის აღდგენის პუტინისეული მცდელობების მიუხედავად, რუსეთში კერძო საკუთრება, ბიზნესმენები და მსოფლიო ეკონომიკასთან მზარდი კავშირი მაინც არსებობს. დღეს რუსი კაპიტალისტები შეიძლება, რუსეთის ავისმომასწავებელი გამოხდომების შეზღუდვის საქმეში ჩვენს მთავარ იმედად კი მოჩანდნენ.



კეტები უფრო გაბედულად უნდა გამოიყენოს. კერძოდ, უარყოს განაცხადი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მისი მიღების თაობაზე და მისი მეზობლების, მაგალითად, უკრაინის მხარდაჭერა განაგრძოს. თავად პუტინისგანაც რატომ არ უნდა ვისწავლოთ ზოგი რამ? მოსკოვს პირდაპირი კონფრონტაციებისაც არ უშინია, მაგრამ ზოგჯერ მისთვის არასასურველი ქვეყნების, კომპანიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დევნას ვიზებზე უარის თქმითა და მათთვის გაუთავებელი საგადასახადო შემოწმებების მოწყობის გზით ახორციელებს.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ რუსეთის დემოკრატიულ გზაზე დაბრუნებაში სწორედ მათ შეუძლიათ გადამწყვეტი როლის შესრულება. ყველაფრის მიუხედავად, დღევანდელ რუსეთში სწორედ ბიზნესია ძალაუფლების მქონე ძალთა შორის ყველაზე პროგრესული ძალა. დასავლური ბაზარი, დასავლელი მომხმარებლები, შენაძენები დასავლეთში და თვით დასავლური ბიზნესკოლების დიპლომატიები რუსეთში უკვე საქმეების გაძლიერების განუყოფელ ნაწილად იქცა. ამდენად, რუსული ბიზნესი სისხლხორ-

ცეულადაა დაინტერესებული დასავლეთთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებით ანუ იმით, რაც არასდროს არაფერში სჭირდებოდა პოლიტიურის და რასაც ნაკლებად იზიარებდნენ ძალოვნები.

რუსი კაპიტალისტები ფსიქოლოგიურადაც სხვანაირები არიან. მათ საბჭოთა კავშირის დაშლა პუტინისა და მისი „კაგებეშნიკი“ ამხანაგებივით დამცირებდა როდი აღუქვამთ. ამდენად, დასავლეთმა რუსეთზე ზენოლის მის ხელთ არსებული მცირეოდენი ბერ-

მდიდრული დასავლური ვილები, უზარმაზარი ანგარიშები დასავლეთის ბანკებში და ბუერი სხვა სიკეთე რუს ოლიგარქებს მსგავსი ჩხვლეტების მიმართ დაუცველებს ხდის. როგორც ახლახან ერთ-ერთმა ოლიგარქმა მითხრა, პუტინის ტრაგედია ისაა, რომ ქვეყნის მართვა — სტალინით, ხოლო ცხოვრება აბრამოვიჩით სურსო. მას და მის ძმაც ბიზნესმენებს უნდა გავაგებინოთ, რომ მსგავსი შეთავსება შეუძლებელია.


რუსული საბრძოლო მანქანა

იმ ქვეყნისთვის, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ სამხედრო ზესახელმწიფო იყო, 58-ე არმია თანამედროვე საომარ ძალად ნამდვილად აღარ გამოიყურებოდა. გამარჯვებას მხოლოდ უზარმაზარი რიცხოვრივი უპირატესობითა და გულმოდგინე დაგეგმარებაზე დაფუძნებული სამაგალითო საბჭოთა სტრატეგიის შედეგად მიაღწია. ერაყისა და ავღანეთის, ასევე ბალკანეთის სამხედრო კამპანიებიდან, ჩანს, რუსებმა სათანადო დასკვნა ვერ გააკეთეს და საქართველოში ოპერაცია მაინც „ძველი სტილით“, ცივი ომისდროინდელი ალჭურვილობით ჩაატარეს. ისინი საქართველოში არაადეკვატურად დაცული ტრანსპორტით შევიდნენ და თავიანთი არტილერიისა და ბომბდამშენების სამიზნეების აღმოსაჩენად საპერო

სადაზვერვო პლატფორმები არ ჰყოფნიდათ. მათ ოთხი თვითმფრინავი, მათ შორის, ერთი ზებგერიტი ბომბდამშენი TV-22 დაკარგეს.

თვითმფრინავების დაკარგვა უსიამოვნებაა, მეთაურის დაკარგვა კი — საშინელი დაუდევრობა. არმიის მეთაური, გენერალი ანატოლი ხრულევი ავტოკოლონაში სათანადო დაცვის გარეშე გადაადგილდებოდა და ამიტომაც დაიჭრა. თუმცა რუსებისთვის ყველაზე უსიამოვნო მაინც ის იყო, რომ ქართული არმიის ზოგიერთი ალჭურვილობა ტექნიკური მაჩვენებლებით რუსულს უსწრებდა. ქართული ტანკები T72 და გამანადგურებლები CY-25 ლამის ხედვის ხელსაწყოებითაა ალჭურვილი, რაც როგორც ჩანს, რუსებს არა აქვთ.

როგორც გაზეთ Moscow Times-თან საუბრისას სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების ანალიზის ცენტრის დირექტორმა კონსტანტინ მაკინკომ აღიარა, „რუსეთის ჯარებს ტექნიკური სისუსტის პირობებში მოუხდათ მოქმედება“.




უნდა გავხივხოთ

თუ არა გერგიევში?

კონცერტს, რომელიც ლონდონის სიმფონიური ორკესტრის მთავარმა დირიჟორმა ვალერი გერგიევმა სამხრეთ ოსეთში გამართა, არცთუ მცირე კრიტიკა მოჰყვა. მსოფლიო დონის მუსიკოსმა საკუთარი ნიჭი იმ პროპაგანდისტული მანქანის სამსახურში ჩააყენა, რომელიც რუსული იარაღის გამარჯვებას ზეიმობს. გერგიევი ეროვნებით ოსია. მისი ცოლ-შვილი დღემდე ოსეთში ცხოვრობს. ამასთან, ის ვლადიმირ პუტინის ახლო მეგობარია და, შეიძლება, რუსეთის პრემიერის ზოგიერთ პოლიტიკურ პრინციპსაც იზიარებს.

შემოქმედის შეხედულებებისგან მისი ხელოვნების სრულიად გამოყოფა შეუძლებელია. პრობლემა მხოლოდ ისაა, სამართლიანია თუ არა მისი ნამოქმედარი. გერგიევმა საკუთარი ნიჭი იმ საქმეს მიუძღვნა, რასაც გაზეთი „თაიფსი“ „გაუმართლებელ ომის აქტად, იმპერიალის-



ტურ ინტერვენციად“ მიიჩნევს. მაგრამ რაოდენ მკაცრი და სამართლიანიც უნდა იყოს შემოქმედის კრიტიკა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ დირიჟორს, მისი პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, დასავლურ საზოგადოებაში უნდინდებურად თავისუფლად შეუძლია გასვლა.

პუტინის რუსეთში, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირში, ხელისუფლების გამონწვევა ოსტრაკიზმამდე მიდის. ჩვენთან ასეთი რამ არ უნდა მოხდეს.

ბაზარი ომის ეუზობლად

როგორც Daily Telegraph იუწყება, ქართულ ოპერაციაში მონაწილე რუს ჯარისკაცებს საქართველოში ნაძარცვით ვაჭრობაში ედებათ ბრალი. როგორც გაზეთი წერს, გაოცებულმა გალის მცხოვრებლებმა აღმოაჩინეს, რომ მათ პატარა საგარნიზონო ქალაქში საქართველოდან 150 სამხედრო სატვირთო მანქანის შემოსვლისთანავე ახალი ბაზარი გაჩნდა, სადაც, ამერიკული სამხედრო ფესსაცმლით დაწყებული, პლაზმური ტელევიზორით დამთავრებული, თითქმის ყველაფერი იყიდება. მეტიც, აქა-იქ გასაყიდად გამოტანილ თანამედროვე სარაღარო დანადგარებსაც კი შეხვდებით. ადგილობრივების თქმით, ბაზარში გამყიდველებად რუსი ჯარისკაცები დგანან.

„ეს მართლაც გასაოცარი იყო, ისინი ტანსაცმელს, დურბინებს, მიკროტალღოვან ლუმებს, ნოუტბუკებს ყიდდნენ. აფხაზეთში მსგავსი რამ არასოდეს გვინახავს. ჩემმა მეზობელმა ათას მანეთად ხუთასდოლარიანი მაცივარი იყიდა“, — გაზეთი იმონებს გალის მცხოვრებ ნანო ჯაისაშვილის სიტყვებს. მდინარე ენგურის მეორე ნაპირზე მყოფი ქართველი პოლიციელები, რომლებიც პატრულირებას ახორციელებდნენ, ხიდისკენ დაძრულ ქართველებს ურჩევდნენ, იმ ბაზარში არაფერი ყვიდათ, რადგან ნივთები მართალია, იაფია, მაგრამ ნაქურდალია.

რუსული ჯარი მენარმის ფხით გამოირჩევა, — განაგრძობს Daily Telegraph, — თავის დროზე, ჩეჩენი ბოევიკებისთვის იარაღის მიყიდვით, ბევრმა რუსმა ოფიცერმა კარგი ფული იშოვა. მეზობელ ბლოკპოსტზე მდგარი რუსი ოფიცერი კი იმპროვიზებული ბაზრის არსებობას უარყოფს. „მე აქ უკვე რამდენიმე დღეა ვარ და ვინმეს რომ რაიმე ნივთები გადმოქონდეს, დავინახავდი, — ამბობდა იგი, — რუსი ჯარისკაცები არ მაროდორობენ, ხოლო მათ, ვისაც ამაზე იჭერენ, პირდაპირ პროკურატურაში გზავნიან“.

Daily Telegraph-ის კორესპონდენტმა გალში გამგზავრებისა და ყველაფრის საკუთარი თვალით ნახვის ნებართვა ვერ მიიღო. მაგრამ როგორც ის წერს, მაროდორობასთან შეურიგებელი ბრძოლის თაობაზე რუსული მხარის განცხადებები, რუსი ჯარისკაცების მიერ ბოლომდე გამოცარიელებული სენაკის სამხედრო ბანაკის ფონზე, ფრიად საეჭვოა.

რუსები სანგრებს თხრიან

როგორც Guardian წერს, საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ რუსეთი საჯარისო ნაწილების გაყვანის თაობაზე ხელმოწერილ შეთანხმებას არ ასრულებს და ამის ნაცვლად საქართველოს ტერიტორიაზე სანგრებს თხრის. თბილისის აზრით, რუსული მხარე ცეცხლის შეწყვეტის გარდა, არც ერთ შეთანხმებას არ ასრულებს. საქართველოს ოფიციალური პირების თქმით, რუსმა სამხედროებმა საქარ-

თველოში, მათ შორის კონფლიქტის ფარგლებს გარეთაც, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებზე, 25 საკონტროლო გამშვები პუნქტი გახსნეს. ორი ასეთი პუნქტი ფოთის პორტთან, ერთი — თბილისიდან 25 კილომეტრში მდებარე სოფელ შავშვებში და კიდევ რამდენიმე — საქართველოს დედაქალაქის შავი ზღვის სანაპიროსთან დამაკავშირებელ მთავარ საავტომობილო მაგისტრალთან მოქმედებს.

ოსეთი და გზვიდოზიანი აბოგი

Financial Times-ის ცნობით, ვაშინგტონს ატომური ენერჯეტიკის სფეროში მოსკოვთან დადებული მნიშვნელოვანი შეთანხმების რეალიზაციის შეჩერება აქვს განზრახული. რუსეთი დიდ იმედებს ამყარებდა ამ შეთანხმებაზე, რომელიც მას შეერთებულ შტატებთან ბირთვული სათბობისა და მასალების სარფიანი გაცვლის საშუალებას მისცემდა. ვაშინგტონი აცხადებდა, რომ ეს გარიგება რუსეთში

შუალეხას აძლევდა, ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა მიიღო. თუმცა, როგორც Financial Times წერს, ამ გარიგებას ქართულ-რუსულ კონფლიქტამდეც ბევრი ამერიკელი კონგრესმენი ეწინააღმდეგებოდა, რომელთა აზრით, რუსეთს ირანთან ძალზე მჭიდრო კავშირები აქვს. ახლა ვაშინგტონში ამბობენ, რომ ეს შეთანხმება „ამ მომენტისთვის მკვდარია“.

ბირთვული სათბობის საერთაშორისო სავაჭრო შესაქმნელად იყო საჭირო.

ამ იდეამ, როგორც ბირთვული იარაღის გაუფრცხვლებლობის ეფექტურმა საშუალებამ, რომელიც სხვა ქვეყნებს საკუთარი ბირთვული ტექნოლოგიების განვითარებაზე უარის თქმის სა-






Renault-ს არასაგზაო ჰერბეკი

რამდენიმე დღის წინ ფრანგულმა ავტოგიგანტმა ჰერბეკის — Sandero (იგი Logan-ის ბაზაზეა აწყობილი) — ეგრეთ წოდებული არასაგზაო ვერსიის ფოტოები გამოამხეურა, რომელიც სამხრეთ ამერიკის ბაზარზე გასაყიდადაა განკუთვნილი. სიახლე, რომელსაც Sandero Stepway ეწოდა, საბაზო მოდელისგან გაზრდილი საგზაო ხედვითა და მაღალპროფილიანი საბურავებით აღჭურვილი, უფრო განიერი ბორბლებით გამოირჩევა. გარდა ამისა, Sandero Stepway სახურავზე ბარგის მოსათავსებლად განკუთვნილი რელინგებითა და უკანა კართან მომცრო სპოილერითაც დაკომპლექტდება. ასეთი მკაცრი იერის მიუხედავად, ამ მოდელს არანაირი არასაგზაო არსენალი არ გააჩნია — ჰერბეკი კვლავაც წინამძღვრავინა და 112 ც.ბ. სიმძლავრის, 1,6-ლიტრიანი მობოტორითაა დაკომპლექტებული, რომელსაც ბიოეთანოლზე შეუძლია მუშაობა. არგენტინაში ეს ავტომობილი 1,5-ლიტრიანი ტურბოდინამოტორითაც აღიჭურვება. Renault Sandero-ს ახალი მოდიფიკაციის წარმოება ბრაზილიაში მდებარე ქარხანაში იგეგმება. ევროპაში ამ მანქანის გაყიდვის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.



Bugatti-ს სიახლე



კალიფორნიაში ჩატარებულ Concours d'Elegance-ის კლასიკური ავტომობილების შოუზე კომპანია „ბუგატიმ“ ოფიციალურად, 1001 ც.ბ. სიმძლავრის მქონე სუპერმანქანის — Veyron 16.4 — ღია ვერსია წარმოადგინა, რომელსაც Veyron 16.4 Grand Sport ეწოდა. ჩვეულებრივი „ვერონისგან“ სიახლე სახურავის ასახდელი, ცენტრალური სექციით განსხვავდება, რომელიც ნახევრად გამჭვირვალე პოლიკარბონატისგანაა დამზადებული. მანქანის თავლია მოდიფიკაციასაც, ისევე, როგორც მის დახურულ ვარიანტს, 407 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია, ხოლო სახურავის ახდის შემთხვევაში, იგი 349 კმ/სთ სიჩქარეს განავითარებს. ამასთანავე, პლასტიკური სექციის მოხსნა მხოლოდ ავტოფარეშია შესაძლებელი, რადგან „ვერონში“ ამ დეტალისთვის არავითარი ადგილი არაა გათვალისწინებული. ამის ნაცვლად, კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს რბილი ქსოვილისგან დამზადებული ტენტი, რომელიც ქოლგის მსგავსად იკეცება და მისი დაყენება უამინდობის დროს სულ რამდენიმე წუთშია შესაძლებელი. თუმცა ამ შემთხვევაში, სუპერავტოს მაქსიმალური სიჩქარე 130 კმ/სთ-ით შემოიფარგლება. ჩვეულებრივი „ვერონისგან“ Grand Sport-ის მოდიფიკაცია ძარას გაძლიერებული სტრუქტურით განსხვავდება. და ბოლოს, Grand Sport 2,7-დუიმიანი მონიტორით აღიჭურვება, რომელიც უკანა ხედვის სარკეზე დამონტაჟდება. მას ექნება აგრეთვე ახალი აუდიოსისტემა და დიოდური სექციის მქონე, მოდერნიზებული მამუქები. თავლია Bugatti Veyron-ის წარმოება 2009 წლის მარტში დაიწყება. სულ 150 ასეთი ავტომობილის გამოშვებაა დაგეგმილი, აქედან 40 უკვე დაჯავშნეს ჩვეულებრივი „ვერონის“ მფლობელებმა. Veyron 16.4 Grand Sport-ის ფასი 1 მილიონ 450.000 ევროა.

განახლებული Honda Civic


ამ მოდელის ამერიკულ მოდიფიკაციას უახლოეს მომავალში მსუბუქ რესტაინინგს ჩაუტარებენ. ასეთი დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ დილერთა ბროშურებში გამოქვეყნებული ფოტოების მიხედვით: ამ სურათების მიხედვით, Honda Civic-ს ახალი რადიატორის ცხაური, მოდერნიზებული მამუქები და კაპოტი, აგრეთვე უფრო აგრესიული წინა ბამპერი ექნება. უკანა მხრიდან კი, სანომრე ნიშნის ზევით, ზოგიერთი ვარიანტით, ქრომირებული ზოლი გაკეთდება. როგორც ვარაუდობენ, ცვლილება შეეხება Honda Civic-ის ყველა მოდიფიკაციას — სედანს (მისი პიბრიდული ვერსიის ჩათვლით), Civic Si-ს და კუპესაც. შეცვლილი გარეგნობის გარდა, ეს მოდელი ძარასა და სალონის ახალი ფერითაც იქნება გამორჩეული. გარდა ამისა, შეიცვლება საბორბლე დისკებიც.



სკანოკრიტი



				1 აპირული მწერალი	2 მოსწავლი მწერალი	3 ქვეს თავისებურება	4 ქართული საბერი მიმღერალი	5 უბე დაე
								6 საერთაშორისო ტანსაცმელი გაყვანილობა
				7 უკლებილი სასწავლი				
				8 ზღვის დადი ფრინველი				
						9 მცალი თანამშრომლის პირის მსაზღვრელი	10 საინფორმაციო გამზარდი და ფიცილები	11 საქართველოს პირველი ლელი
12 საბიო ინჟინერი	13 დაბადების მოწმობა	14 გუბე	15 ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში		16 სურდი			
					17 მანრიბე- ლა გეგლი			
							18 მოკილი თავის კონა	19 მღერი ავტობილი
	20 გაუგებე სწავლი მშველი სარა	21 მუდიცინის დარგი				22 ტროპიკუ- ლი ხელი		23 ზღვის პატარა ფრე
				24 ერთგვარი კანფეტი				25 ამერიკის შტატი
	26 ბუღა		27 ტყე პერტნი დრამატურგი					
	28 მგალიბელი ფრინველი	29 თიხის ტურქული	30 გერმანული ელტეციის ფერმა					31 ესპანელი მომღერალი და მსახიობი
					32 ვერობული ქვეყნის დედაქალაქი			
	33 პატარა ტყე მინდორში			34 ტელევი- ფრეზურიელი				
	35 მწეანილი							
		36 დანის არამტრული მხარე	37 მონღოლი და მონრა- მონრაში					
38 მაწის თხელი								39 მწე ჩანაფიქრი



წინა ნომრის სკანოკრიტის პასუხები

1. გვატემალა; 2. ვალეტა; 3. ცენტნერი; 4. მარალი; 5. პამაში; 6. ელექტრობა; 7. ქათო; 8. ბოტი; 9. სატელიტი; 10. იარისი; 11. ილი; 12. სტიკია; 13. სპირტი; 14. ტრეფიკინგი; 15. ტოტემი; 16. პიროგა; 17. ბაჭია; 18. კნუტი; 19. იდეა; 20. მანი; 21. ქერი; 22. ფიროსმანი; 23. ნიუკასლი; 24. ტომი; 25. ვენერა; 26. ნერპა; 27. ნეფერტიტი; 28. ესე; 29. ბირმა; 30. ბიუიკი; 31. ბინოკლი; 32. ანდამატი; 33. ერბო; 34. საგა; 35. მალარია; 36. ყილიაია; 37. ალ. სურათებზე: გვეს სტეფანი; ემილიო ესტეფესი.



ბრძნობისპიპი ალაპიანი ხართ თუ გონისპიპი?

1. საქმიანი საუბრის დროს, კოლეგა სრულიად მოულოდნელად ლექსის სტრიქონების ციტირებას იწყებს:

ა) სერიოზულ საკითხზე მსჯელობისას ადამიანმა საკუთარ თავს ამგვარი ქმედების ნება არ უნდა მისცეს;

ბ) მსგავსი რამის გაკეთება თავად აზრდაც არ მოგივიდოდათ, მაგრამ ამ რიტორიკულ გამოსვლას საინტერესო ქმედებად აღიქვამთ;

გ) ვინ იცის — პოეტის ბრძნულმა გამონათქვამმა შესაძლოა, სწორი გადაწყვეტილება მიგაღებინოთ.

2. თუკი უყურებთ ტელესერიალებს, უპირატესობას რომელ ჟანრს ანიჭებთ?

ა) დეტექტივის;

ბ) ეს ფილმის მხატვრულ ღირებულებაზე დამოკიდებული;

გ) მელოდრამას.

3. სამსახურში შეფხმა ისეთი განკარგულება გასცა, რომელიც თქვენი აზრით, სავალალო შედეგებს გამოიღებს:

ა) სიტყვის შეუბრუნებლად შეუდგებით განკარგულების შესრულებას. ბოლოს და ბოლოს, თუკი თქვენი პესნიმისტური პროგნოზი გამართლდება, პასუხისმგებლობა თქვენ არ დაგეცისრებათ;

ბ) ეცდებით, უფროსს შეაცვლევინოთ აზრი, მაგრამ თუკი ამას ვერ მოახერხებთ, ძალ-ღონეს არ დაიშურებთ, რომ ბრძანების შესრულებისას, მოსალოდნელი სავალალო შედეგები მინიმუმამდე დაიყვანოთ;

გ) უგუნური ბრძანების შესრულებას ნებისმიერი ხერხით შეენინააღმდეგებით.

4. პოროსკოპის მიხედვით, ხვალ-ინდელი დღე თქვენს ზოგადიქოს ნიშნს სერიოზულ უსაიმოვნებას უქადის:

ა) ამას არანაირ მნიშვნელობას არ მინიჭებთ, რადგან ასტროლოგების პროგნოზების არ გნამთ;

ბ) მიგაჩნიათ, რომ ამგვარი გაფრთხილება სულაც არ არის ზედმეტი, რადგან

სიფრთხილის აუცილებელი ზომების მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, ხიფათის თავიდან აცილება შეძლოთ;

გ) ეცდებით, ამ დღეს სახლიდან საერთოდ არ გახვიდეთ.

5. რა აზრი გიჩნდებათ, როცა მეუღლეებს შორის სხვაობა 20 წელს შეადგენს?

ა) გამოირიცხული არ არის, რომ მას, ვინც ამ წყვილიდან უმცროსია, ანგარება ამოძრავებდეს. სხვაგვარად მისი საქციელის ასხნა სრულიად წარმოუდგენელია;

ბ) ძნელია ამ ადამიანების ურთიერთობაზე რაიმე კონკრეტულის თქმა, თუკი ამ წყვილს ახლოს არ იცნობ;

გ) ჭკმარიტ სიყვარულს ასაკი ხელს ვერ შეუშლის!

6. ყმანვილი ან გოგონა ჭუმანურ, მაგრამ მცირეანაზლაურებად პროფესიას ირჩევს:

ა) მან გონივრულად განჭვრიტა, რომ მომავალში ამ პროფესიისადმი დამოკიდებულება შეიცვლება და ანაზლაურება გაიზრდება;

ბ) სავარაუდოა, რომ ამ სფეროში მუშაობა მისი მონოდება;


გ) მისი ამგვარი არჩევანის წინაშე ქედი უნდა მოვიხაროთ, რადგან თანამედროვე ახალგაზრდობის უმრავლესობისგან განსხვავებით, ეს ყმანვილი (გოგონა) მერკანტილური არ აღმოჩნდა.

7. საგაზეთო პუბლიკაციის ავტორმა არცთუ ისე კომპეტენტურად გააშუქა ის საკითხი, რომელშიც თქვენ საკმაოდ კარგად ერკვევით და თავს ამ სფეროს სპეციალისტად მიიჩნევთ:

ა) ის რომ ამ სფეროში თქვენსავით კარგად ყფილიყო ჩახედული, ასეთ უზუსტობას არ დაუშვებდა;

ბ) საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება მასაც აქვს. აი, ის კი, დაეთანხმებით მას თუ არა, უკვე თქვენი ნებაა;

გ) დაუშვებელია ჭკმარიტების დამახინჯება, განსაკუთრებით საგაზეთო პუბლიკაციაში.



8. რაღაც მსხვილი შენაძენი გქონდათ დაგეგმილი, მაგრამ მალაზაში მისვლისას აღმოაჩინეთ, რომ ეს ნივთი გაძვირებულა და თქვენ მიერ მოგროვილი თანხა მის საყიდლად არ გყოფნით:

ა) შინ დაბრუნდებით და მოთმინებით განაგრძობთ ფულის მოგროვებას;

ბ) ანალოგიურ ნივთს შეიძენთ, ოღონდ შედარებით დაბალ ხარისხისას, რომელიც შესაბამისად, იაფი ღირს;

გ) თავის დამშვიდებას შეეცდებით — მაგალითად, შეიძენთ ტორტს ან რაიმე მიმზიდველ სუვენირს.

9. მეგობარმა ისეთი წიგნი გაჩუქათ, რომელიც მართალია, იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ თქვენ ნაკლებად გაინტერესებთ:

ა) ამ წიგნს ბუკინისტთან წაიღებთ, რათა საჩუქრიდან რაიმე სარგებელი მაინც ნახოთ;

ბ) თაროზე შემოედებთ წიგნს იმის იმედით, რომ ის ოდესმე რაიმე გამოგადგებათ;

გ) საჩუქრის მიღებისას ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი მეორე ადამიანის მიერ გამოვლენილი ყურადღებაა. თქვენი მეგობრობის ამ სიმბოლოს სათუთად გაუფრთხილდებით.

ტესტის შედეგები


როცა პასუხებში „ა“ ვარიანტი ძარბოვს: ძალზე რაციონალური ადამიანი ბრძანდებით. ნებისმიერ პრობლემას პრაგმატულად უდგებით და ლოგიკურ და კეთილგონივრულ გადაწყვეტილებას იღებთ. თუმცა, მოუხედავად ამისა, შეცდომებისგან დაზღვეული არც თქვენ ბრძანდებით, რადგან შესაძლოა, თქვენი გადაწყვეტილებები ლოგიკურია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს მიკრობოზულ მიდგომასა და ცრურწმენას. ლოგიკურად აზროვნებისას, თქვენ აბსოლტურად უზულებელყოფთ ემოციებს და არ ითვალისწინებთ იმას, რომ ზოგჯერ ემოციებსაც შეუძლია სიკეთის მოტანა.

როცა პასუხებში „ბ“, ვარიანტი ძარბოვს: ეს მეტყველებს იმაზე, რომ აფექტსა და ინტელექტს პარმონოული შერწყმის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენთ. თქვენთვის უცხო არ არის ძლიერი გრძნობები, მაგრამ მათი გაკონტროლება შეგიძლიათ.

როცა პასუხებში „გ“ ვარიანტი ძარბოვს: ეს მოჭარბებულ ემოციურობაზე მეტყველებს. ზოგიერთები თქვენს ემოციურობას გულისხმიერ საქციელად აღიქვამენ და ამის გამო გაფასებენ, სხვები კი ამას ეგზალტირებულ ქმედებად მიიჩნევენ და ულოგიკო საქციელში გდებენ ბრალს. შეიძლება ითქვას, რომ ერთიც და მეორეც თავისებურად მართლები არიან ყურადღება გამამართლებელი იმაზე, რომ ემოციურობამ საღი აზრის წაწინააღმდეგო ნაბიჯი არ გადაგადგმევინოთ.

როცა თქვენს პასუხებში არც ერთი ტიპი არ ძარბოვს: ეს მეტყველებს იმაზე, რომ არც ერთ კონკრეტულ კატეგორიას არ მიეკუთვნებით. ზოგ შემთხვევაში ციქსისხლიანი ანალიტიკოსივით მოქმედებთ, ზოგჯერ კი ემოციებს აყვებით სოლმე. იმას კი, რამდენად გამართლებულია ამა თუ იმ სიტუაციაში თქვენი ქმედება, მეგობრებისა და ახლობლების შეფასების მიხედვით, ადვილად გაარკვევთ.

ფოტოკუჩიოზები



საბა SABA



პირველი ელიტური სახლი ბუჩაქიშვილებს

6 135/30



ღმალედა

ბუჩაქიშვილი



გინა შენდება
PASCHEI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ბინები 65 მ² - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო პარკი
აუთიანე
სამედიცინო ცენტრი
მინისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული.
კეთილმოწყობილი
ფართობი 5000 მ²
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიასლა!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში